

ბ. ჯაკობია

იოსებ-ზილიხანიანის
ქართული ვერსიები

(კრიტიკული ტექსტი ლექსიკონისა და საძიებლების დართვით)

პირველი ნაწილი
(ტექსტები)

ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა

ტფილისი 1927

I

(იბეჭდება პედაგოგიური ფაკულტეტის დადგენილებით)

ტფილისი ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრ. ტრესტის 1-ლი სტამბა. პლახან. პრ. № 91.
29/XI-26. შეკ. № 267. მთავარლიტი № 1644. დაიბეჭდა 500.

წინასიტყვაობა.

ჩვენ განვიზრახეთ თეიმურაზ მეფის (I, 1589 – 1663 წ.) ორიგინალ თუ ნათარგმნ ნაწარმოებთა სისტემატიური გამოცემა.

ყურადღება გავაჩერეთ პირველად „იოსებ-ზილიხანიანი“-ზე მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჩავთვალეთ თეიმურაზის მიერ ნათარგმნ თხზულებათაგან საუკეთესოდ – მასში ყველაზე უფრო მკაფიოდ აისახა ავტორის პოეტური ნიჭი.

დაწვრილებითი გარჩევა ამ ნაწარმოებისა მოთავსებული იქნება გამოცემის მეორე ნაწილში – გამოკვლევაში.

ჩვენს გადაწყვეტილებას – თეიმურაზის „იოსებ-ზილიხანიანი“-ს კრიტიკული ტექსტის გამოცემას – გვერდით ამოუდგა ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებო გარემოება: ამ რომანტიული პოემის თარგმანი ჩვენ მოგვეპოება უფრო ადრინდელი, ვიდრე თეიმურაზ I-სა, დაახლოებით მე-16 ს-ის. ეს უკანასკნელი განსხვავდება თეიმურაზისეულიდან როგორც ენით, სტილით, ლექსიკით, ისე, ნაწილობრივ, სფუჟეტის დეტალებით. ამან გამოიწვია აუცილებლობა პარალელური ტექსტის გამოცემისა, რათა თვალნათლივ დასანახი გამხდარიყო ლიტერატურული გემოვნების განვითარების ერთ-ერთი ეტაპი აღორძინების ხანისა ჩვენში. გარდა ამ მოსაზრებისა ძველი ტექსტის გამოცემას აქვს წმინდა ლიტერატურული ინტერესი.

„იოსებ-ზილიხანიანი“ წარმოშობით სპარსული პოემა-რომანია. ამ თემაზე უწერიათ სხვადასხვა დროს სხვადასხვა სპარსელ პოეტებს: ფირდოუსის, ამაყ ბუხარელს, ჯამის, ნაზიმს და მრავალ სხვას მათ შუა და მათ შემდეგ¹. თუმცა ფაბულად გამოყებულია გარკვეული ბიბლიური თქმულება იაკობის მეთერთმეტე ძე – იოსების თავგადასავალის შესახებ, მაგრამ პოეტური ფანტაზია სხვადასხვა ნაირად სახავდა მას და ამიტომაც რედაქციები განსხვავდება ერთი-მეორესაგან. არ არის დადგენილი, თუ რომელი პოეტი (სპარსელი ან თურქი) უთარგმნიათ ან პირველი ვარიანტის (უცნობ) მთარგმნელს, ან თეიმურაზ I ს².

საკითხის გადაწყვეტის გასაადვილებლად აუცილებელია ორივე ვარიანტის ზედმიწევნით გაცნობა.

ჩვენ გადავწყვიტეთ უცნობი ავტორის მიერ ნათარგმნი ვარიანტი პირველ ვარიანტად გამოვაცხადოთ (ეპოქალური თვალსაზრისით), ხოლო თეიმურაზისეული – მეორედ.

¹) თურქულ ლიტერატურაშიაც არის ცდა ფაბულის გამოყენებისა დამოუკიდებლად: ჰამდ ულაჰ-ჩელები-ხამდი, იახია ბე და უკაგინი და სხვ.

²) ამ საკითხს დაწვრილებით გამოკვლევაში შევეხებით.

პირველი ვარიანტი წარმოდგენილია unicum ხელნაწერით წ.-კ. გამ. საზ. მუზ. № 1283. ხელნაწერი დაზიანებულია: მას აკლია დასაწყისი (შესავალი), დასასრული და აქა-იქ შუაშიაც: წარმოდგენილი ფურცლებიც არ არის დაუზიანებლად შენახული – რამოდენიმე მათგანი მოხეულია. ხელნაწერს დართული აქვს ტექსტის საილმუსტრაციოდ რამოდენიმე ფერადებით შესრულებული სურათი საშუალო საუკუნეების მიწურულ ხანის ხელოვნებისა ¹. ხასიათდება ხელნაწერი მე-16 საუკუნისათვის ნიშანდობლივი „ა“-მეტობით.

თეიმურაზისეული ვარიანტი შენახულა ჩვენამდე სხვადასხვა დროის პირებში (დედანი არა გვაქვს), რიცხვით 18-ში. კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის ყოველი მათგანი არ არის სათანადო მნიშვნელობის და ღირსებისა – ზოგი დეფექტიანობის და ზოგი ტექსტის წარყვნილობის გამო ². მეორე (თეიმურაზისეულ) ვარიანტის ტექსტის დადგენისათვის ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ხელნაწერები, მაგრამ განსაკუთრებით: A-(№ 59-საისტორიო-საეთნოგრ. საზ". მუზ.), E-(№ 403 – წ.-კ. გ. საზ.), C-(№ 1547 – წ.-კ. გ. საზ.) და M-(№ 1511 – წ.-კ. გ. საზ.).

ტექსტში ადვილად გასარკვევად ჩვენ შემოვიღეთ ხელნაწერებისათვის პირობითი ნიშნები (მეორე ვარიანტისათვის):

A = № 59 (საისტ.-საეთნ, საზ. მუზ.).

B = № 369 (წ.-კ. გამ. საზ. მუზ.)

C = № 1546 („)

D = № 3189 („)

E = № 403 („)

F = № 3706 („)

G = № 1547 („)

H = № 1508 („)

I = № 879 („)

J = № 2969 (საისტ.-საეთნ. საზ.)

L = № 2676/ზ (წ. კ. გ. საზ.)

M = № 1511 („)

N = № 593 (ყოფ. საეკლესიო მუზ.)

O = № 2694 (წ.-კ. გ. ს.)

P = № 656 (ვოფ. საეკლესიო მუზ.)

R = № 2775 (წ.-კ. გ. საზ.)

¹) ბ. შალვა ამირანაშვილმა პირად საუბარში გადმომცა შემდეგი: „როგორც ხედავთ, სურათები დაწებებულია დედნის ცალიერ ფურცლებზე; სურათების ზედა და ქვედა ორნამენტები ყველა ნიშნების მიხედვით მე-16 საუკუნისაა; თვით სურათები კი – მე-15 საუკუნის დასაწყისისა“. (ამ ცნობის მოწოდებისათვის ბ. ამირანაშვილს მადლობას უძღვნი).

თუ ბ. ამირანაშვილის ცნობას დავემყარებით, ირკვევა შემდეგი გარემოება: წარმოდგენილი ხელნაწერი მთარგმნელის დედანი არ უნდა იყოს; ერთ-ერთ გადამწერს უსარგებლნია ძველი ილმუსტრაციებით და ახალ ნუსხაში აქა-იქ ჩაუწებებია. ეტყობა, ხელნაწერი, საიდანაც ამოღებულია წარმოდგენილი ილმუსტრაციები, თვით დაზიანებული ყოფილა: ზოგი მათგანი ნაკუწ-ნაკუწად დაწებებულია ერთი მეორეს გვერდით.

²) დაწვრილებით გამოკვლევაში.

S = № 1109 (წ.-კ. გ. ს.)

T = № 1365 („)

ტექსტს ბოლოში დართული აქვს უცხო ან გაუგებარ სიტყვების ახსნა. სიტყვათა ახსნაში შემოკლებულად ხმარებულ სიტყვების მნიშვნელობას:

1. სპ. – სპარსული.
 2. არ., არაბ. – არაბული.
 3. სომ. – სომხური.
 4. ბერ., ბერძ. – ბერძნული.
 5. ინდ. – ინდური.
 6. ურდ. – ურდული.
 7. მონდ. – მონღოლური.
 8. თურქ. – თურქული.
 9. ს.-ს. – საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონიდან.
- დანარჩენი განმარტებანი თვით ტექსტშია ნაჩვენები.

სიტყვების შემდეგ რომაული ციფრი აღნიშნავს ტექსტის ვარიანტს, არა-ბული შავი – ხანას, არაბული პეტიტი – ხანის სტრიქონს.

მრავალ-წერტილი (პირველ ვარიანტში) გამოყენებულია იქ, სადაც ტექსტი დაზიანებულია. პოემა ორივე ვერსიაში დაყოფილია თავებად (კარებად), მაგრამ ნუსხეებში სათვალავი არ უზის: კარი პირველი, კარი მეორე და სხვ.: ნუმერაცია თავებისა ჩვენია.

აქვე ვათავსებთ ხელნაწერების მოკლე დახასიათებას¹.

№ 1283 (პირველი ვერსია. წ.-კ. გ. საზ. მუზეუმი):

ხელნაწერი შეიცავს მხოლოდ იოსებ-ზილიხანის ამბავს, ზომით 22×16 სანტ.; ყდა ხის აქვს, გარედან ტყავ-გადაკრული. ხელნაწერი დაზიანებულია: თავში აკლია სამი ფურცელი: **ა, ბ, გ**, (ე. ი. დაახლოებით 21 ხანა), მე-27 ხანის შემდეგ – **ღ და თ** (14 ხანა), მე-41-ს შემდეგ – **იბ და იგ** (14 ხანა), მე-194-ს შემდეგ – **ლვ და ლზ** (14 ხანა), მე-436-ს (ორი სტრიქონის) შემდეგ – 8 ფურცელი – **ფგ – პ** (56 ხანა), მე-715-ს (ერთი სტრიქონის) შემდეგ – **რკა და რკბ** (14 ხანა) და მე-736-ს შემდეგ – არ ვიცით, თუ რამდენი. ამრიგად ირკვევა, რომ უკანასკნელ ხანამდე მანც აკლია შიგა და შიგ 133 ხანა; შენახულ 736 ხანას რომ მიუმატოთ ამოვარდნილი ხანები (133), გამოვა, რომ პოემა-რომანი ყოფილა შემცველი სულ მცირე 869 ხანისა. პოემა წყდება იქ, სადაც „მიწდილი და წამქდარი“ ზილიხა პირისპირ შეხვდება იოსებს. საფიქრებელია, რომ შემდეგ აღწერილი იქნებოდა ზილიხანის თავგადასავალი ცნობად იოსებისა, ურთი-ერთის მიმართ სიყვარულის გამჟღავნება და, ბოლოს, დაქორწინება. ამ რიგად, თავდაპირველად პოემა დაახლოებით 1000-მდე ხანას შეიცავდა.

გარდა ამოვარდნილი ფურცლებისა, აქა-იქ ფურცლები მოხეულია, სიტყვები წაშლილია. (დაზიანებული ადგილები გამოცემულ ტექსტში აღნიშნულია მრავალ წერტილებით). დაწერილია ლამაზი მხედრული ხელით. ასოები ხშირად

¹) ხელნაწერების დეტალურ აღწერილობას და დახასიათება-გარჩევას დაუბრუნდებით გამოკვლევაში.

გადაბმულია ერთი-მეორეზე, რაც კითხვას ოდნავ აძნელებს. ქაღალდი ხელნაწერისა უფილიგრანოა, საკმაოდ მაგარი და ზედაპირი გაპრიალებული – ერთის შეხედვით პერგამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. დამახასიათებელია ამ ხელნაწერისათვის „ანმეტობა“, რაც ნიშანდობლივ თვისებად ითვლება მე-15-16 საუკუნეების ისტორიულ-ლიტერატურულ (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს) ძეგლებისათვის.

მოვიყვანთ ნიმუშებს:

ხანა 416.

ღვინო ო ვასვათ ო ვაზარხოშოთ ო რა ო შეიქანას ო ღამე ო ბანელი ო
ერთად ო მაწოლათა ო ფეიქარამა ო დაუშარიტოს ო ყამას ო სანთე-
ლი ო

მის ო ადგომა ო თაქვენი ო წოლა ო უკუნშიგა ო არარს ო მანელი ო
და ო რა ო გათენდეს ო მასც ო იამოს ო რა ო თაქვენ ო განახოს ო მზი-
სათა ო მაწველი ო

ხანა 550:

ქალმა ო დაწერა ო საბარალო ო უსატარი ო ყამასა ო წანარე ო
შენივ ო ბარალია ო ჰე ო ლომო ო კარზედა ო მალე ო იარე ო
ველი ო მოჰკიდე ო აზიზასა ო დაშინავ ო შამოიარე ო
და ო მეგონა ო გითქვამას ო ველმაწიფე ო მოვა ო ჩემაზედა ო მაწყარო-
მარე ო

ხანა 680:

ვით ო ვაქო ო უსთა ო ქარები ო რადგან ო ფარანგები ო არისა ო
რა ო გითახარა ო მათი ო ამბავი ო ან ო გარძნეულობით ო რარისა ო
სახლი ო ააგეს ო ასეთი ო უხდომი ო კაცთა ო გვარისა ო
და ო ბარუნევადის ო გარდაყვიროდის ო ჯამა ო მოდის ო მუდამ ო ზა-
რისა ო

გარდა ამისა გადამწერს ბევრ შემთხვევაში სიტყვაში ორი ხმოვნის ნაცვლად მხოლოდ ერთი აქვს წარმოდგენილი; მაგ.:

შეშვენა = შეეშვენა (16-3),

დაკაზმინე = დააკაზმინე (56-2).

რარი = რა არის (63-3).

რათასნი = რა ათასნი (64-1),

შექნათ = შეექნათ (79-2).

მიტანეს = მიიტანეს (86-1).

გახშირეს = გაახშირეს (86-1).

დამახეს = დაამახეს (105-1).

გაკეთეს = გააკეთეს (107-2) და სხვა.

არ ითქმის, რომ გადამწერს ეს განგებ ჩაედინოს, ვინაიდან აქა-იქ სისწორით აქვს დაცული ორი ხმოვანი; უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შეცთომათა

ნუ გონიათ = ნუ გგონიათ (2-1),

მუნათქვამი = მუნ ნათქვამი (9-2),

მომცემა = მომცემმა (45-2),

ჩემა = ჩემმა (46-1),

ჭკვიანო = ჭკვიანო (82-3) და სხვ.

ხელნაწერს დართული აქვს 12 ილდუსტრაცია-მინიატურა¹, სიუჟეტისათვის დამახასიათებელი, მინიატურები შესრულებულია ფერადებით (ფერები მშვენივრად არის დაცული); როგორც აღვნიშნეთ, ეს მინიატურები ამოღებულია სხვა ნუსხიდან (ან დამზადებულია პარალელურად, მაგრამ დამოუკიდებელი – სხვის მიერ) და დაწებებულია საგანგებოდ დატოვებულ ცალიერ ადგილებზე; საილდუსტრაციოდ განზრახული ფურცლებს თავიდან ჰქონია ზედა და ქვედა არშია უფრო მდარე ხარისხისა, ვიდრე თვით მინიატურა.

სურათები თვის უმთავრეს ნაწილებში დაცულია, მაგრამ საერთოდ საგრძნობლად დაზიანებულიან; ზოგს ზედა ნაწილი აკლია, ზოგს ქვედა ყურე მარჯვნივ; საფუჟეტის შესაფერისი წარწერა (ტექსტიდან) ზოგან არის დაცული (ნაწილობრივ), ზოგან დაზიანებულია, ზოგან კიდევ სულ არ არის წარმოდგენილი.

აი სათაურები:

I – : აქა :· ზილიხან :· თავს :· ირჩობს :·

II-ს ქვედა არშია მოხეული აქვს (სანახევროდ), მოჩანს წარწერის მხოლოდ პირველი ასოს ნაკუწი; შემდეგი დროის ვულგარული ხელით მინიატურის ზედა არშიაზე ვიღაცას წაუწერია (ქვედა არშიის წარწერა აღუდგენია – საფუჟეტი ადასტურებს ამას; ჩანს, წარწერის გამკეთებლის დროს სურათი არ იყო დაზიანებული): „აქა ქორწილი აზიზ მეფისა და ზილიხანისა“.

III-ს წარწერა არ აქვს (არც ჰქონია).

IV – : აქა :· იოსებ :· ორმოდა-მა :· ამოიყუა[ნეს]..., (მოხეულია).

V – : [ზი]ლიხ[ა]ნ: ნახა :· გასასყიდად :· მოიყვანეს :· :

VI – (ტექსტის ხელით): აქა :· აზიზ. მეფემან :· იოსებ: ი[იყიდა] (უცხო ხელით).

VII – : აქა: იოსებ :· სას[ა]მსახუროთ :· წინ :· უთქს :· ზილიხან :· (მოხეულია).

VIII – : აქა :· ბაზიცი :· მოკდა: იმისი: თაბუთი: არის.

IX – : აქა: იოსებ: შამოიყუან :· ზილიხან :· და... (მოხეულია).

X-ს ქვედა არშია მოხეული აქვს, წარწერის კვალი არ დარჩენილა.

XI-ს წარწერა არ აქვს, არც არშიები – თვით სურათს დაუკავებია მთელი გვერდი.

XII-ე თითქმის შუა წელზე გადახეულია, წარწერა არ აქვს.

ილდუსტრაციების უკანა გვერდზე მრავალ პირს უვარჯიშნია – ზოგს უსაქმობის გამო, ზოგს კიდევ ლექსები უწერია, მაგრამ ისე უთავბოლოდ არის მიწაწერი ან უკვე წაშლილი, რომ რაიმე საგულისხმოს (ტექსტის სადაურობის ან

¹⁾ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს შეცთომა მოსვლია: „Рукопись укрощена 11 рисунками“ – წერს ის („Опис.“, II, გვ. 268).

– 06 –

გადამწერის ვინაობის დადგენის თვალსაზრისით) ამოკითხვა შეუძლებელია; ეტყობა, რომ ასეთი რამე არც ყოფილა მიწერილი. მაგალითისათვის მოვიყვანო რამოდენიმე ამოკითხულ მინაწერს:

მე-2 მინიატურის უკანა მხარეზე (უცხო ხელით):

ქ: დანიელ წინასწარმეტყველი არა არს
მთქმელი ამისი ვითარმედ სამეოც
სამს შვიდეულს მოვიდეს წმინდა
წმინდათო მისია.

მე-3-ს უკანა მხარე ერთობ აჭრელებულია სხვადასხვა ხელით სხვადასხვა შინაარსის წარწერებით, მაგ.:

ა) ქ :: დავით სარდალ მოურავს კეთილ სახსოვარო...

ბ) ქველს წერეთელსა... ოთხასი ორმოცდა ორი,..

გ) ქ :: ხოლო განმამათლებელი ჩემი უფალი არს. ზი სავსეო ყ[ოვ]ლითა ზაკულებით[ა] და ყოვლითა მანკიერებითაო შვილო ეშმაკისაო და მტრ...

დ) ქ :: ნუ ენდობი დედაკაცსა ბოროტებით სავსეს. და სხვ.

A – № 59 (საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზ.):

ეს ხელნაწერი კრებულია, რომელშიაც სხვათა შორის მოთავსებულია: „სიბრძნე-სიცრუე“, „ვარდ-ბულბულიანი“, „იოსებ-ზილიხანიანი“ და სხვ. ხელნაწერი მე-19 საუკუნისაა (ქალაქის ფილიგრანი უჩვენებს 1810 წელს); გადაწერილია ვიღაც „აზნაური მოსესა ყორღანოვის“ მიერ. მთელი კრებული საკმაოდ ლამაზი და სუფთა მხედრული ხელით არის დაწერილი. ჩვენს რომანს უკავია წიგნის უკანასკნელი 85 გვერდი. რომანი დაყოფილია ჩვეულებრივი რედაქციის შესავლად და 15 კარად. ალაგ-ალაგ გადამწერს დაუტოვებია ნახევარ-გვერდი, ალბად, ილფუსტრაციისათვის, მაგრამ ეს უკანასკნელი შესრულებული არ არის. რომანი სრულად არის წარმოდგენილი – სულ 311 ხანაა.

რომანის სათაური: „მიჯნურთ ამბავი. სპარსულისაგან ქართულად. ნათარგმანები. მეფისა თეიმურაზისაგან. იოსებისა და ზილიხანისა და ლექსადვე მისგან თქმული“. ტექსტი რომანისა დამაკმაყოფილებელია, დამოუკიდებელი კვლევა-ძიებისათვის სანდო (ზოგიერთი მომენტების გამოკლებით), ხოლო ხანდისხან ზედმიწევნით კარგი.

B – № 3693 (წერა-კითხვის საზოგადოების მუზ.-წიგნსაც.):

ხელნაწერი მე-19 საუკუნისაა, წარმოადგენს კრებულს; ბოლოში დართული აქვს, სხვათა შორის, ასეთი დამახასიათებელი მინაწერი:

„სიტყვას ვიტყვი მეტად მხრიანს, თუ შეესმის ადამიანს,
მოვახსენებ ბრძენსა, ჭკვიანს, არ ვამხილებ გიჟ-ბნედიანს:
ვის ღმერთი სწამს ადამიანს, ნუ ჩაჰხედავს ვის-რამიანს –
დაუბნელებს დღესა მზიანს, ჯოჯოხეთში მისცემს ზიანს“.

კრებული გარეგნულად კარგად არის შენახული, მხედრული, ძნელად გა-

სარჩევი ხელით არის გადაწერილი, მხოლოდ გადამწერს ალაგ-ალაგ შეცთომები მოსვლია როგორც ენის, ისე ორთოგრაფიის, ტექსტის მთლიანობის და სისრულის თვალსაზრისით; ასე, მაგალითად, რომანს აკლია შემდეგი ხანები (ეს არ არის ტექნიკური ხასიათის დანაკლისი): მე-69, 84, 110, 111, 112, 113, 114,

– 07 –

115, 116, 117, 270; შიგა-და-შიგ ხანები არეულად არის წარმოდგენილი, მაგალითად: მე-36 ხანას მოსდევს მე-40, 41, 42, შემდეგ იწყება მე-37, 38, 39, შემდეგ მე-43 და მიყოლებით.

სათაური რომანისა შენახულია ასეთი: „იოსებისა და ზილიხანის გამიჯნურება სპარსულისაგან ქართულად გადმოთარგმნილი მეფის თეიმურაზისაგან“.

გადამწერი თავიდან შესდგომია რომანის კარებად დაყოფას, მაგრამ მეხუთეს შემდეგ დავიწყნია (ან იქნება დედანში არ იყო?).

რედაქციას ახასიათებს ნაწილობრივი „ჰაე“-მეტობა; იშვიათი არ არის შემთხვევა, როდესაც არ ეთანხმება სხვა რედაქციებს და იძლევა უსწორო ფორმებს თუ გამოთქმებს; რითმათა წყობაშიაც ხშირად ცდება.

(ნიმუშები იხ. ტექსტში).

C – № 1546 (წ.-კ. საზოგად.) :

დამოუკიდებელი ხელნაწერი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრისა (ბოლო-მინაწერიდან ჩანს, რომ 1840 წელსაა გადაწერილი). ხელნაწერი თითქმის უნაკლოა (აკლია მხოლოდ ერთი ხანა – მე-33-ე; მხედრული ხელით არის ნაწერი, კარგად იკითხება; რომანი დაყოფილია კარებად ტრაფარეტის მიხედვით; ისე როგორც სხვაგან, კარების სათაურები წითურით არის დაწერილი; წითურითვეა ხანის დასაწყისის პირველი სიტყვა.

რომანის სათაური: „სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები. დიდის მეფის თეიმურაზისაგან. და ლექსადაც მისგანუწ თქმული“.

რედაქციის მხრივ ხელნაწერი თუმც სრულია, მაგრამ ოდნავი ვულგარიზმი ეტყობა ზოგიერთ ფორმებს და გამოთქმებს. ჩანს, რომ ერთ-ერთ პროტოტიპად გამოუყენებია D ხელნაწერის ავტორს (იხ. შემდგომ), ან ორივე ერთი წყაროდან სარგებლობდენ.

D – № 3189 (წ.-კ. საზ.):

ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს, ლამაზი და გაშლილი მხედრული ხელით გადაწერილს 1857 წელს ლუკა ასათიანოვის მიერ. ჩვენი პოემა-რომანის სათაური წარმოდგენილია ასე: „სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები დიდის მეფის თეიმურაზისაგან და ლექსადაც მისგანვე თქმული“.

სულ წარმოდგენილია 309 ხანა, ე. ი. აკლია ორი, სახელდობრ – მე-141 და 309.

რომანი აქაც 16 კარად (შესავლითურთ) არის დაყოფილი. მეორე კარში შეცთომას ვპოულობთ მე-48 ხანას მოსდევს მე-50 და შემდგომ მე-49.

რედაქცია მისდევს C ხელნაწერისას, თუმცა მეტი შეცთომები აქვს და, შედარებით, ხალხური (მარტივი) ფორმებია მოტანილი.

E = № 403. (წ.-კ. საზოგად.):

მე-18 საუკუნის ხელნაწერი (კრებული), მშვენიერი მხედრული ხელით ნა-

წერი, მხოლოდ ნაკლულევანი: კრებულის გარეგნული დაზიანების გამო დაკარგულა რომანის შემდეგი ხანები: მე-165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, ხოლო გადამწერის შეცთომით (ან დედნის ნაკლულევანების გამო) რომანში არ არის მე-69, 125, 134, 135, 136 და 137 ხანები. კრებულში რომანი დაყოფილია თავებად, თუმცა ყოველთვის არ ეთანხმება სხვა ხელნაწერე-

– 08 –

ბის დაყოფას: წარმოდგენილია 16 კარი (შესავლის გარდა); ეს ერთი ზედმეტი კარი ახალ ამბავს არ შეიცავს, ის არის უფრო ქვე-კარი უკანასკნელი კარისა.

სათაური რომანისა: „მიჯნურთა ამბავი სპარსთა ენათაგან ქართულად ნათარგმანები მეფის პატრონის **თაიმურაზისაგან** იოსებისა და ზილიხანისა ლექსადვე მისგან თქმული“.

რედაქციის მხრივ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანად უნდა ჩაითვალოს, თუმც ხშირად განკერძოებულად დგას. (ჩვენი მუშაობის დროს ერთ-ერთი სახელმძღვანელო ხელნაწერთაგანი იყო C, G და M ხელნაწერებთან ერთად).

შეიძლება ითქვას (შედარებით), რომ ყველაზე უფრო სანდო ტექსტია წარმოდგენილი.

F = № 3706. (წ.-კ. საზოგ.):

პოემა-რომანი მოთავსებულია მე-19 საუკუნეში შედგენილ კრებულში; გადაწერილია მხედრული ხელით, ლურჯ ქაღალდზე ანდრია მესხიშვილის მიერ. კრებული მშვენივრად არის შენახული და თუ ჩვენი რომანის ტექსტში რაიმე დეფექტია, მიეწერება ან გადამწერს, ან სახელმძღვანელო დედანს; ტექსტი ნაკლულევანია: არ არის წარმოდგენილი მე-48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62 და 63 ხანები; ხსენებულ ადგილას ტექსტი დაზიანებული არ არის. არც ეტყობა, რომ დედანი ყოფილიყოს დეფექტიანი – დანაკლისი უნდა მიეკუთვნოს ანდრია მესხიშვილის საპირო ნუსხის გადამწერს: სამაგიეროდ შემდეგი წყების ორი დანაკლისი – ა) მე-242, 243 და ბ) მე-245, 246 და 247 – სავსებით დედნის უშუალო წყაროს ბრალია: ჩვენს გადამწერს გადაუწერია დედნის ნაშთები – ტაეპების დასაწყისი და შემდგომ დაუტოვებია ცალიერი ადგილი იმ იმედით, რომ მომავალში თვითონ ან სხვა ვინმე შეავსებდა დანაკლისს. გადამწერი აღნიშნავს კიდევაც კრებულის ბოლოში¹ რომ ნუსხა, რომლითაც ის სარგებლობდა, დაზიანებული ყოფილა.

რომანი თავებად (კარებად) არის დაყოფილი, კარების სათაურები და ხანების პირველი სიტყვები წითურით არის ნაწერი.

სათაური რომანისა ტიპიურია.

რედაქციის მხრივ უხეიროთ მრავალი შეცთომები მოსვლია გადამწერს: ძალიან ხშირად მისდევს G ხელნაწერის რედაქციას – ეტყობა ორივე გადამწერი ერთი და იმავე დედნით სარგებლობდენ. ამას ამხელს ის გარემოებაც, რომ ორივე ხელნაწერს ერთი და იგივე ხანები აკლია (გარდა იმისა რაც G -ს ტექნიკური დაზიანების გამო დაუკარგავს), ორივეგან ეტყობა აშკარად, რომ დაზიანებული ტექსტით სარგებლობდენ – დაზიანებული ხანების დასაწყისები თითქმის ერთნაირად არის მოტანილი, თუმცა G-ს ავტორს უფრო მეტი გაურჩევია და ამოუკითხავს.

G = № 1547 (წ.-კ. საზოგ.) .

მე-19 საუკუნის დაზიანებული ხელნაწერი; გადაწერილია საკმაოდ ლამაზი, ადვილად საკითხავი მხედრული ხელით. კრებულში მოთავსებულია სხვა თხზულებებიც. რომანი დაყოფილია ტრაფარეტულ კარებად, თან ახლავს შესავალიც (ნაკლულევანი – არ არის პირველი ცხრა ხანა). წითური შაბლონურად არის გამოყენებული (ეს ყველა ხელნაწერებშია, გარდა I, J, L, R, T – ამის შესახებ

– 09 –

შემდგომში არ ვილაპარაკებთ). საპირო წყაროს მეოხებით ტექსტს აკლია 21 ხანა, სახელდობრ: მე-48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61.

62, 63, 242, 243, 245, 246 და 247, ხოლო საკუთარი დაზიანებულობის გამო, გარდა ზემოხსენებულის შესავლის ცხრა ხანისა, კიდევ შემდეგნი: მე-254-283, მე-303, 311 – სულ კი-69 ხანა.

რედაქცია F-ს ანალოგიურია, თუმცა ამ უკანასკნელს გაცილებით სჯობია ლექსიკის და ფორმების სისწორის მიხედვით. დამახასიათებელია, რომ ხელნაწერი გაურბის მესამე პირის ობიექტური და მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსებს (ჰ, ს) – გარდა ზედმიწევნით აუცილებელ შემთხვევებსა.

რომ არა დეფექტიანობა, სამუშაოდ გამოსაყენებელი ნუსხაა.

H = № 1508 (წ.-კ. საზოგად.):

მე-18 საუკუნის დასასრულის ხელნაწერი, ლამაზი მხედრული ხელით მოსკოვში გადაწერილი გიორგი ავალიშვილის მიერ (აღწერილობა იხ. ლ ა . ხ ა ხ ა - ნ ა შ ვ ი ლ ი : „Очерки“... ტ. III.):

ტექნიკური დაზიანების გამო ნუსხას აკლია ოცი ხანა – მე230-249-ე.

საერთოდ მისდევს F და G-ს რედაქციებს.

I = № 879 (საისტ.-საეთნ. მუზ.):

დამოუკიდებელი, დაზიანებული ხელნაწერი მე-19 საუკუნისა; რომანი წარმოდგენილია ჩვეულებრივი საწერ ქაღალდის (№ 6) უყდოთ აკინძულ 24 ფურცელზე; დაწერილია გაურჩეველი და გაუმართავი ხელით მხედრულით, დასაწყისში აკლია პირველი ორმოცდახუთი (45) ხანა. ტექსტი მეტად დამახინჯებულიად არის წარმოდგენილი – აუარებელი შეცთომები და არევ-დარევაა შიგადა-შიგ.

ამ ხელნაწერით სარგებლობა თითქმის შეუძლებელია – მუშაობის დროს ჩვენ ის მხედველობაში არ გვქონია, როგორც ერთობ საეჭვო წყარო.

სათაური რომანისა: „ანზავი მისრ-ეგვიპტის მეფის სპარსულ ენაზედ ნაწერი, გადმოთარგმნული მეფე თემურაზისაგან უკლებლად“.

j = № 2969 (საისტ.-საეთნოგრ. საზ.):

ნაკლულევანი, დაზიანებული ფოლიანტები, ლურჯ ქაღალდზე, 16 ფურცელი; ქაღალდისა და ხელის მიხედვით შეიძლება მე-19 ს. ხელნაწერად ჩაითვალოს.

იწყება მე-110 ხანით:

„ემშაკი მათთვის ღუთად არის, შემოქმედი დაუტევა“... „ამბავი“ კარებად არ არის დაყოფილი, ბოლოში აკლია – თავდება მე-288 ხანით:

„მოვიდეს, ჰკადრეს უკლებრად“...

ხელნაწერი გამოუსადეგარია, ვინაიდან დაზიანების და ნაკლულევანების გარდა ტექსტი წარყვნილია.

L = № 2576/ზ (წ.-კ. საზოგ.):

მე-18 საუკუნის დეფექტიანი (გარეგანი და შინაგანი) ხელნაწერი, ჩვეულებრივი მხედრული ხელით გადაწერილი, ამოვარდნილა ერთი ფურცელი და ამის გამო აკლია 10 ხანა, სახელდობრ მე-40, 41, 42, 43. 44, 45. 46, 47, 48, და 49.

– 010 –

რომანი დაყოფილია კარებად ოდნავი ცვლილებით სხვა ხელნაწერებთან შედარებით.

ხელნაწერი ახალ რამეს თითქმის არაფერში არ იძლევა – პირ-იქით: ხანებში სტრიქონები უფრო არეულია, ვიდრე სხვაგან, და შეცთომებიც მრავალია.

სათაური რომანს ჩვეულებრივი აქვს:

M = № 1511 (წ.-კითხვის საზ.):

მე-19 საუკუნის დიდტანიანი კრებული, რომლის მე-795 – 858 გვერდ. მოთავსებულია ჩვენი ნაწარმოები; გადაწერილია მშვენიერი მხედრული ხელით. სათაური რომანისა ტრაფარეტულია; თვით რომანი 16 ჩვეულებრივი თავებად არის დაყოფილი. რედაქციის მხრით ხელნაწერი სანდოა, ხშირად მხოლოდ ის იძლევა სწორ ფორმებს (იხ, ტექსტში). ჩვენს მუშაობაში ერთი საფუძველთაგანი იყო. ტექსტი სამწუხაროდ ნაკლულევანია – აკლია სამი ხანა: მე-69, 209 და 310.

როგორც ტექსტის გაცნობიდან დაინახავს მკითხველი, ეტყობა, რომ M და B ხელნაწერები ერთი წყაროდან სარგებლობდენ; მსგავსება მათ შორის დიდია, მხოლოდ B-ის გადამწერს გაცილებით მეტი შეცთომები მოსვლია. M-საც ახასიათებს ერთგვარი S₂ და O₃ პრეფიქსების ექსპლოატაცია (მათი ზედმეტად გამოყენების თვალსაზრისით).

N = № 593 (ყოფ. საეკლესიო მუზ.):

ჩვეულებრივი რედაქციის ხელნაწერი, ფრიად წვრილი ხელით გადაწერილი. ტექსტს აკლია ორი ხანა – მე-130 და 131; შეცთომები მრავლად აქვს.

O = № 2694 (წ.-კით.).

მე-19 საუკუნის ხელნაწერი, ჩვეულებრივი რედაქციითა და შეცთომებით ტექსტი ნაკლულევანია: შიგადაშიგ აკლია შემდეგი ხანები: მე-69, 177, 209, ხოლო მოთხრობა წყდება მე-212 ხანით; უკანასკნელი ფურცლის მეორე გვერდზე სულ სხვა ნაწარმოები იწყება. ჩანს, გადამწერს (ელისაბედ თარხან-მოურავს) ხელთ ჰქონია ნაკლულევანი ტექსტი ¹⁾ – სულ აკლია 99 ხანა.

P = № 656 (ყოფ. საეკლესიო მუზ.):

კრებული გადაწერილია მე-19 საუკუნეში უხეირო მხედრული ხელით. ტექსტი ნაკლულევანია: აკლია მე-5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22: 23, 24. 25, 26, 27 და 28 ხანები (ე. ი. 24 ხანა); შემდეგ ბოლო დაუსრულებელია – წყდება ამბავი მე-226 ხანის მეორე სტრიქონით, ე. ი. აკლია 75 ხანა; მამასადამე სულ საერთოდ აკლია 94 ხანა. გადამწერს ხელთ ჰქონია დაზიანებული ნუსხა, რომელშიაც ამბავი დასრულებული არ ყოფილა, და ვინაიდან თვითონ არ იცოდა, თუ რამდენს შეიცავდა გაგრძელება, დაუტო-

ვებია ერთი ცალიერი ფურცელი.

ხელნაწერის თავისებურობანი: 1) ეგვიპტეს ნაცვლად წერს ან „მისირე-თი“-ს, ან „ყარიბი“-ს; საფიქრებელია, რომ ალაგ-ალაგ ყარიბი ქაიროს ნაცვლად არის ხმარებული; 2) აზიზს უწოდებს „აზიზ მირზა“-ს; ვ) არსად არ უხმარია ასო კ.

¹⁾ ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი შეცთომით უჩვენებს, რომ ტექსტი მთლიანად არის წარმოდგენილი. („Опис.“ გვ. 296.).

– 011 –

R = № 2775. (წ.-კითხვ. საზ.):

მე-18 საუკუნის ხელნაწერი, დაზიანებული, არეული ხელით ნაწერი (ხან ლამაზი, ხან გაუგებარი); დასაწყისში აკლია 10 ხანა. ¹⁾ შუაში კიდევ ამდენივე – მე-128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137; (ორივე შემთხვევაში ფურცლებია ამოვარდნილი) – სულ აკლია 20 ხანა.

რედაქცია ჩვეულებრივია. პოემა თავებად დაყოფილი არ არის,

S = № 1109 (წ.-კითხვის):

სამი რვეულისაგან შემდგარი დაზიანებული ხელნაწერი მე-19 საუკუნისა. სათაური პოემისა: „აქ ამბავი იოსებისა და ზილიხანისა ნათარგმნი მეფისა თეიმურაზისაგან და ლექსადვე მისგან თქმული“. ხელნაწერი დეფექტიანია – წარმოდგენილია სულ 67 ხანა. წინასიტყვაობიდან გადამწერს უსარგებლნია მხოლოდ პირველი 4 ხანით, დანარჩენი გამოუტოვებია და ისე გადასულა ძირითადი ტექსტის მე-29 ხანაზე; ბევრგან გამოტოვებული მე-33 ხანა აქ არის; მე-82 ხანიდან მხოლოდ პირველი ორი სტრიქონია დარჩენილი, შემდეგ ახალი რვეული იწყება მე-92 ხანით; ამ ხარვეზში გადამწერი არ არის დამნაშავე – ფურცლებია ამოვარდნილი.

თავდება ნაწარმოები ძირითადი ტექსტის მე-101 ხანით; ჩანს, რომ გადამწერს კიდევ გაუგებლებია, მაგრამ ფურცლები დაკარგულა და სხვა რვეული მიუკერებიათ: მე-101 ხანის შემდეგ გადამწერს წითურით დაუწყია ახალი კარი – ეს არის ფურცლის ბოლოში. საერთოდ გადაწერილია უვიცი პირის მიერ – მრავალი შეცთომები აქვს; სულ აკლია 234 ხანა. **ს ა მ უ შ ა ო დ ა რ ვ ა რ გ ა .**

T = № 1365. (წ.-კითხვ. საზ.):

მე-19 საუკუნის ხელნაწერი, აუკინძავი, ძალიან დაზიანებული თავში (6 ფურცელი); გარდა ამისა ის ნაკლულევანია: გადამწერს შეუწყვეტია მე-226 ხანაზე. გადაწერილია ცუდი ხელით უვიცი ადამიანის მიერ: სიტყვები ხშირად დამახინჯებულია, სტრიქონები არეული და სხვ.

მუშაობისათვის გამოუსადეგარია.

ამით ვამთავრებთ არსებული ხელნაწერების მოკლე მიმოხილვას.

დასასრულ მოვალედ ვთვლით ჩვენს თავს მაღლობა მოვახსენოთ ბ. ბ. ივ. ჯავახიშვილს, ა. შანიძეს, ვ. კეკელიძეს, ს. ყაუხჩიშვილს და ნ. კამენსკის მრავალი დახმარება და რჩევა-დარიგებებისათვის, ი. ცინცაძეს – უკანასკნელი კორექტურის გადასინჯვისათვის და, განსაკუთრებით, ბ-ნ დ. კარიჭაშვილს. რომელმაც კეთილ ინება და დამხმარე სამუშაო მასალად გადმოგვცა მათ მიერ ადრე გადაწერილი „იოსებ-ზილიხანი“-ს პირველი ვერსიის ტექსტი.

¹⁾ ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი შეცთომით აღნიშნავს, რომ 9 ხანა აკლიაო („Опис.“ II, გვ. 313)

[შ ე ს ა ვ ა ლ ი].

.....
.....
.....
.....
.....

1. აწ რუსთველო, გეთხოვები, რომე მამცე ნება თქმისა, არ გასწყრე და არ ამიკლო, თხოვნა მე მაქვს ამ ჰოქმისა, რომე გკადრე უკადრომა დაჯრა თქვენის ნასაქმისა, და თქვენცა იცით, სხვავე არგებს, დასნეულდეს რა აქმისა ¹.
2. მელექსენო, ნუ გგონიათ ² თავი რუსთველის დასადარი, რომე აღძრნეთ უმეცურად, თავსა ირქვათ მისი დარი, ლექსთა ბოლო შემოგაკლდესთ და შაიქნეთ სიტყვა მცდარი ³, და მას მეუფემ განგებითა წყალობისა დასცა დარი.
3. მოშაირე არა ჰქვიან, რომე თავსა ირქვას ხელი, კაცი მაშინ გამოჩნდების, გაარჩიოს ⁴ საქმე ძნელი, არ თუ გაწყდეს შუვაზედა, აღარ გასწყდეს თავს საბელი, და რა ადულდეს გარმ. დარჩეს ნელი.
4. მელექსეს მართებს ბო სიტყვისა ხშირობა, გონება და სიტყ. რობა,

სევდის არ ჩენა, გაძლება, მალვითა ჰქონდეს ტორობა,
და თუ ესე სრულად არა სჭირს, არ ეთქმის არცა ვირობა.

1) უნდა ყოფილიყო: რა აქიმსა. ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს ასე აქვს გადმოღებული: „თქვენ-
ცა იცით, სხვავე არგებს, დასნეულედს რა აქიმსა: ჩვენის აზრით ეს შეცთომია ორი საბუ-
თის მიხედვით: 1) რითმისთვის, რასაც ავტოი ზედმიწევნით მისდევს (იმდენად, რომ ხში-
რად სიტყვის ფორმას გაუგებრად ხდის), „იმსა“ არ გამოდგება – უნდა იყოს „ქ მ ი ს ა“;
2) ხელნაწერში ეს სიტყვა დაზიანებულია, მაგრამ ნაშთიდან ირკვევა ასეთი სურათი: არის „რა“,
მას თანვე ახლავს წელში ამოჭმული „ქ“, ამ ასოს შემდეგ მოჩანს რაღაც ასოს ნაკუწი (სულ
მცირე), – ხოლო სამი ასო „ისა“ ნათლად არის ნახული. ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ დაუშვით,
რომ ავტორს (ანუ გადამწერს) „რ ა ა ქ ი მ ი ს ა“-ში რედუქცია მოუხდენია და რითმის დასაცავად
უხმარია „რა აქმისა“. „აქმისა“-ს გენტივობა დამაბრკოლებელი არ არის, ვინაიდან კონტექსტი
შეგვიძლია ასევე გავიგოთ: ოდეს ექიმს (ვინმე) დასნეულდება, სხვა ჰკურნავს და სხვ.

2) ნუ გგონიათ. 3) ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს: მდარი, (Опис. ტ. II, გვ. 268). 4) გარჩიოს.

5) ირკვევა, რომ დედანს აკლია დასაწყისში სამი ფურცელი: ა, ბ, გ.

– 4 –

5. კვლა აშიყს მართებს, მაშიყის რომ ჰქონდეს დიდი კრძალვანი,
თვალად სიტურფე დიადი, ტანიცა ჰქონდეს ალვანი,
პატივთ არ ჩენა, გაძლება, შეეძლოს რამცა მალვანი ¹,
და შორით ბნედა და სურვილი მისის ცეცხლითა ხალვანი.
6. თვალად და ტანად ტურფასა კელ-ფერჯიც უნდა ასეთი,
ვით ვეფხი შამოწყრომილი, დარბოდეს, ვითამცა შეთი,
გულად ლომისა მზაგრავი, შამხედველთათვინც ასეთი,
და ცხენოსან-მშვილდოსნობითა ვერავინ სჯობდეს არსეთი.
7. მაშიყსა ² მართებს სინათლე, რომ მზისა ჰქონდეს ცილობა,
შვენოდეს თვალთა გარეშე რილო[ბა]
კოჭამდი სცემდეს. გრაგნილობა,
[და] ძვირ-ძვირად რას ი ცილობა.

1. აქა პირველი დაწყება ისუფ-ზილიხასი.

8. შენთა კელთ არის, რუსთველო, საბელი ყვევლთა ხელისა,
მომცენ ნებანი გამოვთქვა ამბავი ამა ტრელისა,
იოსებ შვენარიისა, ზილიხას სანატრელისა,
და რომე აქვს წვიმა ცრემლისა შეუშრობელად ცხელისა.
9. ეს ამბავი ადრინდელი ცოტა ვპოვე ³ დანარჩომი,
ქართულადა გარდავთარგმნე სპარსულადა მუნ ნათქომი ⁴.
აშიყთა და მაშიყთათვინ სასმენელად მოსანდომი,
და გაიგონეთ, ლექსთა მკითხნო, რას გარდიჯდის კაცთა ტომი.
10. აწლა ვახსენებ დღესა მას, თუცა დიადი ხანია,

ყმისა სახელი იოსებ, ქალისა ზილიხანია,
ერთმან-ერთისა მიჯნურნი არიან შესაგვანია,
და აწ მათი შეყრა ისმინეთ, თუ როგორ დიდნი რჯანია.

11. აღმოსავლეთის ჯელმწიფე, რომნევან, იყო ქებული,
მეფეთა ზედა მეფობა მას ჰქონდა დამკვიდრებული,
შემხედავთ შემაშობელი ⁵, კვლა მთვარე პირ-გავსებული,
და ლაღად ჯდა იგი უკადრი, იყო არვისგან ვნებული.

¹) შეძლოს.: რამაცა.: მალვანი.: ²) მაშიყას ³) ვჰპოვე. ⁴) მუნათქვამი. ⁵) ე. თ ა ყ ა ი -
შ ვ ი ლ ს შეცთომით წაუკითხავს: შემაშობელი.

– 5 –

12. შვიდთა ქიშვართა მამული მას ჰქონდა უბ-უმურველსა,
მოვლენილსა და მორჭმულსა, მეზრძოლთა გასაკვირველსა,
ცხენიდამ იშვად გარდაჯდის, სრულ ნადირობდის ტყე-ველსა,
და მისსა სახელსა სპარსულად უკმობდენ თეიმუს ¹ ქველსა.
13. არ გამოსულა მისთანა ჯელმწიფე სახელიანი.
შვიდნი მეფენი ხარაჯას აძლევდენ დია ყმიანი,
ალაფობდის და იზრძოდის, არვისგან სჭირდა ზიანი,
და მეზრძოლთა შემწრწუნებელი, ტახტსა ჯდა დოვლათიანი ².
14. ვაჟი არ ჰყვანდა მეფესა, დია ჰმუნვიდა ამაღო,
ქალი ჰყავს მეტად ლამაზი თვალად და კვლავე ტანადო,
მისის პირისა მსხიმილსა იტყოდენ მზისა დარადო,
და მაგრა სწუნობდა იგი მზეს, თავს ადარებდა არადო.
15. ქალი არ ჰკადრობს ამასა – თავი მზეს დაადაროსა,
ვისმცა ასმია მის მეტი, რომ ალვამ ტანი აროსა,
ნეტარ მას, ვინმე ეღირსოს, რომე მას შეეყაროსა,
და მისის ჰვრეტითა გაძღესა, მასთანა დაემყაროსა.
16. მის ქალისა პირის სხივსა ³ მზე ეჩაგრა ციმციმითა,
ვარდის ბალი დაეშვენა გიშრის ჩრდილი წამწამითა.,
თეთრი ყელი შეეშვენა ⁴ მუშკ-სურნელის შავის თმითა,
და მისნი მჰვრეტნი გაეკვირნა ნაქვითა და ანდამითა.
17. თუცა ხელქმნილი რუსთველი თინათინს აქებს არ ავსა,
ნესტან-დარეჯან ბროლ-ვარდსა გიშრის მანითა სარავსა,
იგინი ამას ვადაროთ, რა უთხრათ დაუფარავსა!
და ხუდბა ვინებო არ ძალმიც, ქებითა მოუგვარავსა.

2. აქა პირველად სიზმრად ზმანება იოსებისგან ზილიხასი.

18. მას ქალსა ტურფა მნათობსა სევდა რამ შამოეყარა,
ლალსა და ბროლსა ნათხეზოზე ქარვა, ამარტი შეყარა,
მთით მოსულს წვიმისა ღვარსა გიშრის მანები ეყარა,
და პატიჯსა რასმე ჩაჭრილსა უწყვეტლად ცრემლი ეღვარა.

1) თეიმუსა. 2) დავლათიანი. 3) მსხივსა. 4) შემვენა.

– 6 –

19. დღისით და ღამით ტიროდის, ქალს სევდა რამე დაერთო;
მთვარე ღრუბელად შევიდა, პირადვე იგი მოერთო,
ნარგისთა ქუხილისაგან აყიყსა ფერი წაერთო;
და მამამან ასრე რა ნახა, კელი აუპყრა: „შენ ერთო“,
20. „ვაჟი არ მამე, ამ სოფელს ვარ საწუთროსა თმენითა,
ესელა მყვანდა, მალხენდა სიტყვითა მრავალ ფერითა,
ვისცალა ჰყვანდა ამისებრ ტკბილ-მოუბარი ღხენითა,
და ამას ამ ყოფით უჭკრეტდე, მო, ჩემი ღხინი ვთქვა რითა?“
21. კელით ყელსა მოეხვივა, უბრძანა ¹, თუ: „ჩემო მეო,
რად არ მეტყვი, რაცა გიმძიმს, რად მაჭმუნვებ ანუ მეო?
ვითარ ჰზაგრავ ამა მზესა, რად იღრუბლი, ამო მზეო,
და აბა შენი სიტყვა მჭევრი საქციელი ანუ ზნეო!“
22. უბრძანა ²: „რა გჭირს, რა გიმძიმს, რად ზიხარ მცხრალად ჰილალი,
ანუ რად ასრე შესცვალე ლაჟვარდის ფერად, ჰე, ლალი!
უკუიყარენ სევდანი, ნუ ზიხარ აგრე ჰელალი,
და გაღიმდი, თვალთა ჭირიმე, სული ამამჯდა ჰალალი“,
23. ამისთვის მეფე ჭმუნვიდა, ხსენება ჰქონდა ახისა,
წამ-წამიარად შავიდის, ქალი მტირალი ნახისა,
მოშლოდეს იგი შვენება, რომ არვის არ ენახისა,
და ეს საქმე დია აჭმუნვებსთ, სწამლობენ, ვინცა ნახისა.

3. აქა მეფისაგან ქალის სენთა კითხვა და ჰაქიმთაგან მიჯნურობისა წამება.

24. მეფეს ხვეწნა მოეწყინა, ადგა კარად გამოვიდა,
ამას ბრძანებს ³: „აჰა, ღმერთო, ჩემსა თავსა რა მოვიდა,
შენგან ტკბილი ნაბოძვარი სულიმც ამ წამ ამოვიდა“.
და შიგან დაჯდა სავაზიროს, ვინცა ღირსა, შემოვიდა.
25. მეფემა იცმნა ვეზირნი და მკურნელები სრულია,

მისსა წამალსა ეძებენ, ვის აქვს ცრემლითა წყლულია,
ბრძანა ⁴, თუ: „ჩემი ასული ზის მუდამ ფერ-ნაკლულია,
და არა, არ ვიცი, რა უმძიმს, უბნობს, რომ «მკდების სულია.»

1) უბძანა. 2) უბძანა. 3) ბძანებს. 4) ბძანა.

26. მკურნალთა ჰკადრეს: „მეფეო, ჩვენ მაგას ვერ მივხვდებითა,
ესე სჯობს, რომე მას ჰკითხო, ეგებ იამბოს ენითა ¹,
უბრძანე: ² «რა გჭირს, რა გიმძიმს, რად ზიხარ ვაგლახ-ვებითა?»
და რა მისჭირდების, გაიმბობს, თქვენ მისთვის ნუ სჭმუნდებითა“.
27. დიმეშყი იყო უფროსი ვეზირი თავადებისა,
მან მოახსენა: „მეფეო ქალი ამისთვის ბნდებისა,
ან კარგი კარგად არა ჩანს ³, ამ სოფლისაგან დგებისა,
და ან მიჯნურია ვისიმე და ისი ეგონებისა *).
28.
„მთვარეს ღრუბელსა რად აფენ, რად არ ხარ მოვანებითა,
შენ იყო თუმცა მზის მდომი, ჩამოვა მოვა ნებითა,
და რაცა რამ გინდა, ყველასა შაგიტყობ, ვიცი, გრზნობითა.

4. აქა ქალისაგან პასუხად თავის ამბვის მზობა.

29. ქალმა დიდნი დაიძახა სისხლ რეულის ცრემლთა დენით:
«ჰე, გამზდელო, დასაძრახი როგორა ვთქვა ჩემი ენით?
აწ მესამე წელად მივა, რომ ვიწვები ამა სენით,
და მაგრა საქმე ვერ ვამჟღავნე, ვიყვი კრძალვით, არ დაჩენით».
30. უბრძანა: „ჩემო გამზდელო, ამის სამბობლად მცხვენიან,
უცხო რამ ვნახე სიზმარი, მე მისთვის მომიწყენიან,
მოყმე რამ ვნახე ასეთი, მისთანა არც ვის სმენიან,
და მითხრა, თუ: «შენთვინ მოსული თავი საყრმოდა გხლენიან».
31. „მითხრა: «შენ ფიცე, მაფიცე, შენ ჩემი იყო, მე შენი,
თუ დაიჯერო ეს სიტყვა, პატრონი ხარო შენ ჩვენი,
უცილოდ ღვთის ბრძანებითა გვერც მხლებელი ვარ მე თქვენნი».
და მეცა შეფიცვით მას ყმასა ძლიერი ღმერთი დავთქვენი“.
32. „არ ვიცი ზეციერია, ანუ კმელზედა მავალი,
მისთანა არა მინახავს არცა მზე ამამავალი,
ასრე დამჩაგრა შუქითა, ვითა მთვარემა მრავალი,
და მითხრა, თუ: «შენთვის მოსრულვარ, შორის გზით მე მამავალი».

1) ეგება: აბზოს: ენითა: 2) უბძანე. 3) სჩანს.

*) ამის შემდეგ დედანს აკლია ოთხი გვერდი, სადაც მოთავსებული უნდა ყოფილიყო და-ახლოებით 14 ხანა.

33. რა ეს მანგიმ გაიგონა, სანაწყენოდ ექცა ფერი,
მოახსენა თვალთა მზესა: „მართალია, თუ ნაფერი,
მაგას ვინმცა შეგიტყობდა, რომ სიზმრად აქვს ისი ფერი,
და იგ უთუვოდ დევი არი, გჩვენებია ანუ ფერი“.
34. ქალმა უთხრა: „ნუ ყოს ღმერთმა ეშმაკისა დასახული,
გრძნეულობით ვისმც ეჩვენოს კაცსა ისრე მოსახული,
იგი არის ჯორციელი, კაცი კაცად შასახული,
და ღმერთი ფიცოს ეშმაურმ – შენთვის ვარო მოსახული?“
35. კვლა მოახსენა გამდელმა: „ეგ სიტყვა რა ვარგულია,
შენ ცუდი რამე გინახავს, ეშმურვი დაკარგულია,
შენდა საცდურად მოსულა წყეული და ნაკრულია,
და მაგისტვის ასრე რად ზიხარ, შენ აგრე ჭკვა-ნაკლულია?“
36. რა ეს მანგიმ იდასტურა, ტირილითა გამოვიდა,
ლაწვ-ნაკვები, მკერდ-ნაგლეჯი დედოფალთან შემოვიდა,
მოახსენა: „შამიგნია, ჩვენსა თავსა რა მოვიდა,“
და რა ისმინა, აოხრებით ადგა, ქმართან წამოვიდა.
37. მეფესა ჰკადრა: „პატრონო, ასული ჭმუნავს ამაღო,
სიზმარი რამე უნახავს, ჩვენგან ეწამლვის არადო,
უცხო რამ მოყმე უნახავს, თვალად და კვლავე ტანადო,
და მას ჩვენგან რა ეშველების, მოჰჩვენებია ალაღო!“
38. რა ეს მეფემ გაიგონა, გაკვირვებით გაუცნობდა,
ადგა, ქალთან წამოვიდა, კვლავე ამას მოუბნობდა:
„არ ნახულსა, არ ნასმენსა, ნეტარ, ვინცა შეიტყობდა?“
და კბილთა თითნი დარჩომოდა, სხვასა არას არა ჰქმობდა.

5. აქა ქალისაგან მეორედ სიზმრად ნახვა მისვე ყმისა.

39. მუდამ იჯდის მოქრუშვილი, აყოლებდის რეტად თავსა,
რა დაღამდის არ დაიგის, თავი მიდვის მისვე მკლავსა,
ცოტა რამე დაეძინა მოსარულსა თვალსა შავსა,
და წამოიჭრა, დაიძახა: „იგივ ვნახე, ვინცა მკლავსა“.
40. მეტად დიდი დაიძახა, გამოიჭრა ფიცხლავ გარე,

გვერც მხლებელნი მოეხვივნეს, დაიჭირეს იგი მთვარე,
ყველა თავსა ევლებოდენ: „ჭირი შენი შემოგვყარე“.
და მამა ყელსა გარდაეჭდო, გარდუკოცნა არე-მარე.

– 9 –

41. გიშრისა ტბითა წყარო სდის, ვარდსა ასოვლებს წამითა,
ზაფრანის ფერად შეცვალა ¹ ღაწვი მეტისა ბანითა ²,
ეხვეწებოდენ: „ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა,
და ყიოდის: „ვისცა ღმერთი გწამს, მოდით და მე მამკალითა“ *).

42.
.....
.....
და „შენი ეშყი ინაზარე, გული ჩემი მეც მამეო“.

43. უთხრა: „თუ მკითხავ, ვინა ვარ, ვიქნები მისრეთს მეფეო,
უთიოდ იქ მოპოვები, სადაცა შენ გინეფეო,
თუ ჩემი შეყრა გწადიან, მისრეთსა წაისწრაფეო
და ჩვენ ერთმან-ერთსა იქ მივხვდეთ, ტურფათა შენ ჳელმწიფეო“.

44. მას ქალსა შავი ჯუბანი და თავსაც შავი ეხვივნეს,
გვერცა დაუჯდა იგი ყმა, ერთმანერთს გარდაეხვივნეს,
გაყარა ფერი ქარვისა, ლალი ბროლს გარდაეხვივნეს,
და შეშფოთვით ქალი აიჭრა, მას აღარავინ ეხვივნეს.

45. გათენდა, ქალმა გამდელსა უბრძანა ³: „მჭირს რა არა მე,
ჭირის მომცემმა ⁴ პატრონმა სევდანი უკუმყარა მე,
წამართვა მისი ნავლელი და ლხინი შამომყარა მე,
და მიამბო მისი ამბავი, ამითა გამახარა მე“.

46. „პატრონმა ჩემმა ⁵ მამამან სევდანი უკუიყაროს,
აწ აღარა ვარ მე შმაგად, ბორკილი გამომიყაროს,
მოზრძანდეს ჩემდა სახსნელად, ვარდზედა ია მაყაროს“,
და ისნივ სამოსნი ჩამაცვას და შავი ტანთა ამყაროს“.

47. რა ეს მანგიმ მოისმინა, ადგა, გარე გამოვარდა,
მეფე იჯდა სავარდოსა, მას წინაშე შემოვარდა:
„ქალმა თქვა, რომ «არა მჭირს რა, ჳკვიანად და ამო ვარ, და!»
და რა ეს მეფემ მოისმინა, ტახტიდამა გარმოვარდა.

1) შესცვალა. 2) ბანითა. 3) უბრძანა. 4) მომცემა. 5) ჩემა.

*) ამის შემდეგ დედანს აკლია ოთხი გვერდი ანუ დაახლოებით 14 ხანა.

48. „მეფე ვნახეთ გამოჭრილი“ – ყველაკაი მისკე რბოდა,
ქალაქშიგა ჯმა დავარდა, სადაცა ვინ დარბაზობდა,
ქვევითი და ცხენოსანი კარისაკე შემორბოდა,
და ერთმან-ერთსა ჰკითხევდიან: „ნეტარ მეფე სად მირბოდა?“

49. მეფე ქალთან შემოვიდა, გარდუკოცნა პირეული:
– „აჰა, მაღლი შემოქმედსა აღარა ხარ მირეული,
ღმერთმა გიხსნა შენ ტყვე-ქმნილი ეშმაკისგან მორეული,
და მასვე მაღლი! – გაგინათა პირი შენი მთვარეული“.

6. აქა ჯელმწიფეთაგან ქალის ჭკვად მოსვლის ტყოზა, თხოვნა.

50. რა ქალსა უკუ-ეყარნეს სევდანი ამას წინანი,
ჯმა დაუვარდა: შეშრაო მას მზესა ვარდთა ბანანი,
არვის უნახავს მისთანა, არცა მისნივე გვანანი,
და მოვიდეს ყველგნით მთხოვარნი, მისნივე შესაგვანანი.

51. ჯმა დაუვარდა მას მზესა ცის კიდეგნამდი გაითქვა:
„ქალი ჰყავს როშნევან მეფეს, მისი სიკეთე რა ვინ თქვა?“
ვინც მოსწვდის, თვითან მოვიდის, ვინც არა, მოციქულით თქვა,
და მათ რომ ფეშქაში გზავნიან, მისი ფასიმცა ვით ითქვა!

52. ინდოთ მეფესა ებრძანა: „თუ მამცემს მეფე ქალსაო,
სამის წლის გამოსავალსა მივსცემ მამულის ძალსაო,
ოცსა საპალნეს მძიმესა თვალ-მარგალიტსა, ლალსაო,
და მისგან ხარაჯას დავიდებ ასსა საპალნეს ლარსაო“.

53. ჩინეთის მეფეს ებრძანა: „თვით ვიქ ამისა წერასა:
შენსა ასულსა მიჯნურობს ჩემი ძე, იშლის მღერასა,
საით სად უმიზნებია, უყურეთ ბედის წერასა!
და საპატრონოსა დაგიდებ, ქალსა ჯელსა ჰყრი შე რასა?“

54. „სხვა ძე არა მყავს, მეფეო, მართ მარტო ოდენ ესია,
ჩვენ ერთმან-ერთსა დავმოყვრდეთ, ვითა სოფლისა წესია,
ქალი ვაჟს უნდა შეჰყაროთ, ეგ ძველი დანაწესია,
და გვიბოძე ჩვენდა სარძლეოდ ეგ მზის არ უარესია“.

55. სხვა წიგნი კიდევ მოართვეს, რა წაიკითხა იგი მან:
„მისი ასული გვიბოძოს როშნევან მეფეთ-მეფემან,
ასთ საჭურჭლეთა კლიტენი მე მოგცე მუთრიბ მეფემან“.
და – „ორმოცი მძიმე საპალნე ყირმიზი ამად მეფემან“.

56. რუმთა, შამთა და აბაშთა მოვიდეს მეფეთ ძენია, დიმეშყის მეფემ უბრძანა: „დააკაზმინე ¹ ცხენია, ლაშქრითა წინ მიეგებე, უძღვენ ურიცხვი ზღვენია, და ქალაქად შამოასხენით ² იგი სამნივე მზენია“.
57. სამთა მეფეთ ძეთ ლაშქარი სიბევრით ვერა დავთვალი, სამნივე აგრე ჰშვენოდეს – ვინცა შეადგას მათ თვალი, მარგალიტათავინ მოსულან იაგუნდი და ლალ-თვალი, და დიმეშყის ეუბნებოდენ: „ვის მოგვცემ, გვითხარ მართალი“.

7. აქა მეფისაგან ქალის ჯმობა და ბრძანება, ამათგან ვინ გინდაო.

58. მეფემა ბრძანა: „მომიჯმეთ იგი ვარდისა კონანი, ჰკადრეთ ³, თუ: «შენთვის მოსულან მეფე და მეფეთ მონანი, რომელიც გინდა, შეირთე შენივე მოსაწონანი, და რომელსაც მიხვდე, მას მართებს, მზეო, თავისა წონანი».
59. ადგა, მამასთან წავიდა იგი მზის ამგდებელია, მისის თვალ-წარბის ჰეშვანი ცეცხლისა მომდებელია ⁴, ბროლისა ყელსა ამშვენებს გრძლად გიშრის საგდებელია, და მისის შვენების მსმენელთთვის ⁵ ხარაჯი დამდებელია.
60. რა შამოვიდა მამასთან, პირს შუქი შამოაყენა, ველარ გამოჩნდა მასთან მზე, უკუნი გარდააყენა, მჭვრეტელთა სულის ამჯდელად ინდონი ტბაზე აყენა, და იგიცა ჩაგრა შვენებით, ვინ გაჭრით ვისი აყენა.
61. ბრძანებას მოისმინებდა, ყურსა უპყრობდა მამასა: „რომელიც გინდა შეირთე“ – კვლა ეუბნების ამასა, თავ-ჩამოგდებით ქეშად ჯდა, იგი იტყოდა არასა, და ელოდა ⁶, მისიც რა ეთქვა, მისგნით იქს ვარდი ნამასა.
62. რა მისნი ვერ ცნა ამბავი, ადგა უსახოს ქცევითა, თვალიდამ ცრემლი გარდუშვა შიგან სისხლისა რევითა, მამასა გამოეყარა, წავიდა ალვა რხევითა, და მისთა თვალ-წარბთა შვენება ⁷ ანუ პირისა ვთქვა ვითა?
63. ქვე ჩამოვიდა მტირალი დაღრეჯით მონაწყენია, საწოლს შევიდა მოქვრვიშით, არ თავის ამბვის მსმენია, იტყოდა: „ღმერთო, რა არის ⁸ ეგზომი წყრომა თქვენია, და მუნიდამ არვინ მოსულა, ვინ დრიკა ალვის ხენია“.

¹) დაკაზმინე. ²) შამოასხენით. ³) ჰკადრე. ⁴) მომდებარია. ⁵) მსმენელთვის. ⁶) ელოდ და. ⁷) შენება. ⁸) რარის.

64. იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე სხვათგან მეტი მე ეგზომი, ვის უნახავს ის სარჯელი, დანაბადი იყოს ტომი, ქვეყნის სევდა მამიძახე, იბრძვიან და აქვან ომი, და ერთსა სცემდეს რა ათასნი ¹, შეუწრწუნდეს დია გომი“.
65. „ნეტამც დედასა არ ვეშვი, თუ მქონდა ესე ბედია, ასრე მიხდილსა ცნობასა სიკვდილი მიჯობს მე დია, სადითა სად მამიკდუნვე ტალთათვინ აწ აბედია, და არვინ გამოჩნდა მუნიდამ, მისგნით ვარ დანაბნედია“.
66. „შავ გულმა სოფლის მინდობით ნეტარ რა მოისვენაო? მამძულვებია სიცოცხლე, ამად მაქვს ცრემლთა დენაო, პატრონის მამის საურჩოდ, როგორ ვიხმარო ენაო, და თვარემ ფეროვანი ქრმისანი მის მეტი როგორ ვთქვენია?“
67. კვლა მამას შამოეთვალა: „ნუ ხარ მათზედა მწყრომელნი, შენდა სათხოვრად მოსულან შამნი, ჰალაბნი, რუმელნი, ჩინელნი გინდა, თუ ინდო, ან მაჩინელნი, რომელნი, და სამარყანდნი ² და ბალხელნი, რუსნი არიან რომელნი“.
68. მამას ქალმა შეუთვალა საუბარნი არ ავნია:
– „ჩემდა საქრმოდ რად მოსულან ჩინელნი და მულთანია? თუ გაკლია საქონელი, ვალსა მიე ა, თავნია, და თვარე ქმარსა არ შავირთავ, ამ ამბვითა რამც გავნია“.
69. „ჯელმწიფის მამისა თავსა, რას აქნევ ჩემზე ქრთამსაო, მართალ ხარ, მეფე არა ხარ, ვერცა იშოვებ ლარსაო, ცუდად მაშვრალნი მოსულან, ვინც ელის ჩემსა თავსაო, და თუ მიმცემ მისრეთის მეფეს, თვარ არ შავირთავ ქმარსაო“.
70. რა მეფემა მოისმინა საუბარი ასულისა, გადიდა და ეგრე ბრძანა: „დია, ღმერთო, ვქნა ³ გულისა“. მოციქულნი აკმობინა, ამ ამბავსა შეუთვლისა: და ჩემი ქალი ნათხოვნია ჯელმწიფისა მისრულისა“.
71. სასტუმროდ მოაკაზმინა ბაღი, ბაღა და სახლები, ქვეშე მოჰფინეს მრავალი სტავრანი ახალ-ახლები, შეამკეს ყვევლის ფერთა გარშამოჰკიდეს ნახლები., და მოიკმეს ქალის მთხოვარნი და მათი თანანახლები.

¹) რათასნი. ²) სამარყანდი. ³) ვჰქნა.

72. ბრძანა ¹, თუ: „მოდით, მეწივეთ და ჩემიც ნახეთ ასული, აკამდის არვის უნახავს იგი მზე კარსა გასული“. მოვიდეს ჯარი ლაშქართა, მოდგიან დასთა დასული, და ნადიმზე რაცა მოიდეს თვალ მარგალიტით დასრული.
73. მოილეს მურასა ტახტი უანგარიშო თვალისა, მეფეთ ძეთ ცალკე დაუდგეს ერთობილია ლალისა, ცალ-კერძად ტახტი ღარიბი, ზედა საჯდომი ქალისა, და მამაცა გვერცა მჯდომია შუქ-მდგომი ბროლ-ფიქალისა.
74. მოილეს უანგარიშო ჯამ ჭიქა, ფარჩნი, თასები, ნადიმად მსხდომთა აივსეს თვითო და თვითო ქასები, წადგეს მეფეს წინ, დალივეს, ვინც იყო უფრო ხასები, და მუთრიბთა, მომღერალთაგან ჳმა არ ისმოდა ნასები.
75. თვით მეფეთ ძეთაც აივსნეს და მიდგეს მეფეს წინარე, ნახეს ტახტზედა მჯდომარე, თვალნი ² მღვიძარე-მძინარე, ქვეშ-ქვეშად რასმე იჭვრეტდა და პირი ამომცინარე, და ელვა გამოჰკრთის კბილთაგან, ველარ წამართეს წინარე.
76. რა მეფეთ ძეთა მეფეს წინ სავსე თასები დალივეს, ვით მზემა, მთვარე შუქითა, გასრულებული გალივეს, იმედოვნობდეს მუნადვე: „იგივე გვავესებს ვინ გვლივეს“. და კეისრის ტახტის პატრონი შეიდა ლექსად არივეს.
77. „მას მზესა ნეტარ რით უყოთ ალვისა მჩაგრი ყვანება, ანუ მისთანა ვინ არის, უსახოო რამე ზმანება, აღძრომა, გაღიმ-ღიმილი, ციმციმით პირთა ვანება, და მოდით და რჯულზე მოვიქცნეთ, მისი გვკამს ჳმელთ თაყვანება“.
78. „ამის მგზავსია მნახავთვინ, მზე არისო არ მისთანა ³ ლალი-ბროლი ფეროვნობით შუქ-მიყრილი ახლავს თანა, კაცს უკრავად დააწყლულებს ქამანდრობით ინდოსთანა, და მასაც სჩაგრავს შვენებითა, ვის იახლის ასმათ თანა“.
79. რა ქალი ნახეს მთხოვართა, შაიქნენ, ვითა ხელია, ციმციმით თვალნი ვერა დგეს, შეექნათ ⁴ ანაჭრელია, ვარდზედა შამოვლებოდენ ღობედ გიშრისა წნელია, და მშვენვაროს ყელთა ნაკადი ტახტქვეშ ეყარა გველია.

¹) ბძანა. ²) თვალნი. ³) დედანში ვკითხულობთ: ამის.. მგზავსია.. მანახავთვინ.. მაზე.. არისო.. არა.. მისთანა. ⁴) შექნათ.

80. მის ქალისა მაქებარი ენა უნდა ბევრ-ასები,
კმელნი აღძრენ – არვის ძალუც ზეციურთა დას-დასები,
დააყუჩნის მისნი მჭვრეტნი, დასცვივოდის კელთ თასები,
და კბილთა ჰქონდისთ მოწთა ჭირვა, თვალნი იყვის მონავსები.
81. როშნევან მეფის სიუხვეს ვერვინ გაუვა მკობითა,
მეფეთა ძეთა შეუძღვნა თვალ-მარგალიტი კოდითა,
ცხრა-ცხრა ტაიჭი ყველაი ოქროსა ნაკაზმობითა,
და სხვა მოციქულთაც ტაიჭნი ოქროსა საპალნობითა.
82. უბრძანა მამა-შვილობით: „გუნებად, ტყობად ნათელნო,
მდურვასა არ მემართლებით, ედემს ნაზარდო ერთელნო,
ზნე უკლებელნო, ჭკვიანნო ¹ ყვევლთა მებრძოლთა დამთელნო,
და თქვენთვის მუახლედეც არ მშურდა, უწინ გებრძანათ, აწ ხელნო“!
83. ინდოთ მოციქულს უბრძანა: „მე ქალი გამითხოვნია,
მისრეთის მეფეს თქვენც იცნობთ, იმისთვის მიმითხოვნია,
ჩემი მოყვრობა გინდოდა, რად არ აქამდი მთხოვნია,
და უთიოდ გაძრახ გებრძანა, თვარ ² იგი არ გითხოვნია“.
84. ჩინელთ მეფესთან შესთვალა: „ვისმინეთ, რაცა გვიბრძანე,
ჩემი მზე სარძლოდ გინდოდა, რად არ აქამდე მიბრძანე?
აწ იგი გამითხოვნია: აზიზი მისარს უბრძანე,
და თუ რა ჩვენგნითა გაიმოს, სხვა სამსახური გვიბრძანე“ ³.
85. კვლა მეფეთ ძეთა შეუძღვნა უანგარიშო, ულევით:
„ამისთვინ, დია, ნუ სჭმუნავთ, ნურცა ხართ გულ-ნაკლულევი,
თქვენ ცოლი არ დაგაკლდების, მთვარენო მთვარეულევი“,
და მოციქულები შაბრუნდენ ყველაი ფერ-ნაკლულევი.
86. მოციქულნი რა მივიდეს, მიიტანეს ⁴ ამბავია,
წინ მეფენი ეგებოდეს ჰკითხევდიან: „რამბავია“?
მოახსენესთ: „ჩემი ქალი აზიზს მივე აღრევია“.
და იდასტურეს არ მოცემა, გაახშირეს ⁵ ვაგლახ-ვია.

¹) ჭკვიანო. ²) თარ. ³) ამ ხანაში ყველგან: ბძანე. ⁴) მოტანეს. ⁵) გახშირეს.

8. აქა დიმეშყის გაგზავნა აზიზთან და ქალის მიცემის შეთვლა.

87. დიმიტყი გზავნა მისრეთსა, შესთვალა: „თქვენცა გსმენია, ქალი მყავს მეტად ლამაზი, ტან-სარო, პირად მშვენია, მისად სათხოვრად მოვიდენ მეფე და მეფეთ ძენია, და შენგამეტსა არვის ჰკადრობს, რომ მოხვდენ არსთა მზენია“.
88. „სიზმარი რამე უნახავს უცხო და საკურველია, არ ჰკადრობს სხვათა რძლობასა, შენთვინ შექნილა ხელია, მოგცა მეუფემ უწილოდ ყოველთა სანატრელია, და იტყვის: „სიცოცხლე უმისოდ მაქვანან დია ძნელია“.
89. „აწ მოგცემ ჩემსა ასულსა, მისრეთის შენ ჳელმწიფეო, მზე არის, მზისაც მჩაგრავი და შუქთა მოიეფეო, ბაღ-ბაღჩა დარიგებულსა მო, ვარდი მოუკრიფეო, და ცოცხალი ვინცა ეღირსოს სხვას ამისებრე, მეფეო?“
90. რა მოციქულნი წავიდეს, დალივეს გზანი შორნია, მისრეთსა კაცი გაგზევენეს, ახარეს სახარონია; დღისით და ღამით იარეს, ერთად ქნეს დღენი ორნია: და „როშნევან მეფის ელჩები თქვენს წინა მონარონია“.
91. მოციქულთ წინ მოეგებეს, შეიქნა შემოყრილობა, მეფესა წინა მივიდენ და ჰკადრეს მოციქულობა, აზიზსა დია იამა და შექნა ¹ მხიარულობა, და ქუდი ზეცათა ატყორცნით აქვს დია უკუყრილობა.
92. ბრძანა: „ცოცხალსა ამისებრ სხვას ვისმცა ესხნეს დღენია, მისსა ხვევნასა მოველი, ვინ ჩაგრა შვიდნი მზენია, ითხოვეს ყველგნით მეფეთა, უძღვენეს ურიცხვი ზღვენია, და რვინ იკადრა უკადრმა აწ ჩემთვინ მოუღხენია“.

9. აქა დიმიტყის შაბრუნება და აზიზისაგანც ფეშქაშ-მოციქული.

93. დაწერა: „დიდო ჳელმწიფევე, სვემცა თქვენია სვიანად, ჩვენი ადგილი ჩრდილიან გაჯადე ² დია მზიანად, რაც მოვისმინე წყალობა, თქვენგან ვარ იმედიანად, და ვითაც ვიხარე ეზომი მისგნით, რომ მართებს წვიანად“.

¹) შაქნა. ²) გაჰკადე.

94. „ჳე, მეფეო. მოვისმინეთ ¹ წყალბანი თქვენგან ჩვენა, გაღანამცა დაგმორჩილდი ², რაც გებრძანა, ეგრე ვქენა, მეცა ვიყავ წინას მდლომი, ვერ გკადრენ ³ და ვერცა ვთქვენა,

და რა ეს მესმა, მოსალხენო, ჭირნი ჩემნი აწ ვით ვთქვენა?“

95. გაუგზავნა კელმწიფესა ფეშქაშები არ ავნია,
თვალითა და მარგალიტით შემკობილი კარავნია,
საკიდვარი უსაზომო, საჭურჭლისა ქარავნია,
და ასი ქალი დარჩეული ბროლ-ვარდისა სარავნია.
96. მერმელა მისცა დიმეშყის უსაზომო საჩუქვარი:
ათი ცხენი შაკაზმული, სხვა ურიცხვი საბოძვარი,
ასი ჯორი დატვირთული ყველა თვალით ნაკიდვარი,
და დიმეშყიცა ესალამა, მადლი ჰკადრა: – „მონა ვარი“.
97. გამოემართნეს, მოვიდეს, დღისით და ღამით რებული,
მეფესა კაცი ამთხვივეს მართლის ამბვისა ცნებული,
ჰკადრეს: „დიმეშყი მოვიდა, მასთან ელჩია ხლებული,“
და მოვიდეს კელმწიფეს წინა შორის გზით მორონებული.
98. მისრული ელჩი მოვიდა, მეფესა კელსა ემთხვია,
უბრძანა: „რაცა ამბავი პატრონით იცი, შენ თქვია.“
მონამა ჰკადრა ყველაი, გაკდა ლხინისა შეთქვია:
და „რაცა გებრძანა, ეგრე ვქნათ ⁴ სხვა პასუხიმცა რა ვთქვია?“

10. აქა მეფისაგან ქალის ქორწილი და გაზითვით გაგზავნა.

99. მეფამა ბრძანა: „მომიწმეთ ლაშქარი ჩვენის ჯარისა,
ობოლ-ქვრივიცა მოასხით, ქალაქში რანიც არისა.“
მას დღეს რომ გასცა მეფემა, სიუხვით ჰგავსდა, თვარ ისა,
და მოედანშიგა დაყრილის ყველას აქვს ხვევნა ლარისა.
100. მერმელა ბრძანა: „პურობა მართებს ჩემისა ძალისა,
მოდით და ყველა მეწვიეთ, ქორწილი მაქვსო ქალისა.“
ნადიმზე რაცა მოიღეს, იყო ნაჭედი თვალისა,
და სურა და დოსტაქანები ერთობილია ლალისა.
101. გამხიარულდა კელმწიფე, შაიქნა ზათქი ზარისა:
„დღეს გვმართებს უკუყრილობა, რომ ვნახავთ მჩაგრსა მთვარისა“.
მოიღეს მურასა ტახტი, შემკობილია გვარისა,
და მაზედა დასვეს მნათობი, ვინ მზისა ქიშპი არისა.

¹⁾ მოვისმინე. ²⁾ დაგმორჩილდი. ³⁾ კადრებ. ⁴⁾ ვჰქნათ.

102. ტურფასა ტანსა ჰშვენოდეს ¹ მოჩინის-ფერო დიბანი,

შავსა თვალ წარბსა აბძოლებს პირისა მოვანებანი,
კმელეთად მყოფთა არ ძალგვიცს მისი ვთქვათ რამე ქებანი,
და მისთა მჭვრეტელთა შეჰქნოდათ ² დიადი გაჭირვებანი.

103. იგი ჯდა დია კრძალვითა, თავი კიდებით ეხარა,
გიშრის ქამანდსა ზიდვითა გორზანი გარდაეხარა,
ბროლისა ყელსა ნაკიდსა კალთაში წოლით ეხარა,
და ქვეყნად არ იყო მისთანა, ზეცით მოსული ვინ ხარა?
104. შვიდ დღემდი იყო პურობა და დიდი შემოყრილობა,
ნადიმად მსხდომთა ლაშქართგან დიადი მხიარულობა,
ზოგთ მისცეს საპალნით თეთრი, ზოგთა ადგილთა მირობა,
და მას დღისა საბოძვარისგან აქვს ყველას გაკვირვილობა.
105. მერმე ჯარჩი დაამახეს ³: „ვისცა ჰქონდეს საქმე ძნელი,
მოვიდენ და გაურიგო, სამართლისა ვიყო მქნელი,
იგინცა მომისხენით, არ ეშოვნოს საქონელი“.
და არვინ მისცა, არვინ დარჩა არ ყმაწვილი შარანდელი.
106. რა ნადიმი გარდაწყვიტეს ⁴, მეფე ცოლსა ეუბნების:
„ქალსა ასრე გავათხოვებ, რომ მისებრე არ იქნების,
საჭურჭლენი დაიარე, კაი ყველა იქ იქნების,
და უკეთესნი არ მოილო – ჩემიმც თავი მოგიკვდების.“
107. ქალის ზითევს ჯელი მიჰყვეს, სამ დღე კარში ძლივ გაზიდეს,
რა ყველაი გააკეთეს ⁵, მეედანში ⁶ კერძ-კერძ მიდეს,
ამას ჰგვანდა ⁷ სიბევრითა, რომე ჯევით ქვიშას ყრიდეს,
და მკიდებელნიც მოეკიდნეს, შვიდ დღემდისცა ძლივ აჰკიდეს.
108. ასი ხოჯა, ხადუმები, აბაშ, ზანგი, ჰინდებია,
სხვა ყულეები მისდენიცა ფეროვნობით ვარდებია,
ცხენსა დასხნეს ბედაურსა, ოქრო პირსა ნადებია,
და ას სამოც ჯერ ათასობდა აქლემისა ყათრებია.

¹) შვენოდეს. ²) შეჰქნოდა. ³) დამახეს. ⁴) გარდასწყვიტეს. ⁵) გაკეთეს. ⁶) მედანში. ⁷) გვანდა.

109. ასი იყო მის ქალისა და სამოცი მუახლეთა.
ახ, ნეტარძი მისთა მხლებთა, ვად, რა ქნანო უახლეთა!
მის ქალისა პირის მჭვრეტთა, ნეტარძი ჩვენ, თუ ვახლდეთა,
და სადაც წავალს, ნატრა გვმართებს, ფერჯთა მტვერთა თუ ვეხლეთა!
110. ას აქლემსა ქეჯავონი ყველა თვალით მონაჭედი,
შიგა ჩასხდეს მაშველები, მათგან იყო განაჭედი,

ერთმან-ერთსა ეხვეოდეს მამა ქალის მონაჭედი,
და სხვა ქეჯაო მის მზისათვინ ღარიბითა შენაჭედი.

111. ჭკვიანი და გონიარი გაატანა ¹ დიმეშყ თანა,
ას ოცობდა თავადები ცხენოსნები მასა თანა,
შვიდი მეფე მოხარაჯე, იგინიცა გაატანა ²,
და ველნი ლაშქარს ვერ იტევდეს, გაემართნეს ³ მისრისტანა.
112. რა გაიყარნეს. წავიდეს, მეფე ბრძანებდა ამასა:
„ვაჟ, შენის გაყრით, ასულო, ცეცხლი მოუდევ მამასა!“
დედოფალმა და მხლებელთა იტირეს დიდსა ხანასა:
და „მგონ ჩვენის მოშორებითა შენცა დაიწყებ ნანასა!“
113. სად მივიდიან ლაშქარნი, ულუფას მუაგებდიან,
უკვირდისთ მათი სიმრავლე, მურასას კუბოს სჭვრეტდიან,
„ნეტარ, რა არის ესეთი“ – ამასა იკვირვებდიან.
და არვის შეეძლო მათ ურჩი, დიმეშყის დია ჰყმობდიან.
114. სამნი მეფენი მარჯვენით და სამნი მარცხნივ დგებოდა,
არაშან მათგან უხუცე, იგი წინ მიუძღვებოდა,
დიმეშყი, დიდი ვეზირი, კუბოსა თანა ჰყვებოდა,
და სხვანი ლაშქარი წინ-უკან შორი-შორ შამოჰყვებოდა.
115. ახიშან იყო უფროსი მეფისა სპასალარისა,
იგი უკანა ჰყვებოდა, სად კუბო არის მთვარისა,
გრგვინვიდა ცა და ქვეყანაო – სიმძიმე უკვირს ჯარისა,
და ქეჯაოდამა გამოქვრით სული დის მუშკ-ამბარისა.
116. მრავალნი დღენი იარნეს, მისრეთის მზღვარსა მივიდეს,
მახარობელი გაგზავნეს, ათის დღის სავალს მოვიდეს.
მეფემ ცნა, ბრძანა: „ლაშქარი ქალაქის კარსა გავიდეს,
და ვინც იყოს უკეთ კაზმული, მისაგებულად წავიდეს“.

¹) გაატანა. ²) გაატანა. ³) გვმართეს.

117. დიმეშყის კაცი ემთხვივა, ლაშქრისა მოსვლა ახარა,
ოცი საპალნე ნაქსოვი მისცა, ატლასი, ქამბა რა
ლაშქარნი მოდგეს სალამად, ვეზირმა თავი დახარა,
და მათ ჰკითხა: „ჩემგნითა კაცი პატრონმა თქვენმა ნახ-არა?“
118. – „პატრონი ჩვენი, ვეზირო, აქამდი გამოდგებოდა,
თუმც დაგეშალა დღეს აყრა, იგიცა მოგესწრობოდა“.

მოშალა აყრა ამაზე, ბარგი აბრუნეს, დგებოდა,
და ერთს მკარს გარდაცდენ მისრელნი, ერთს მკარად იგი დგებოდა.

119. მისვე ადგილად მკდომელთა დაჩათვარინეს კარავნი,
მას მზესა ცალკერძ დაუდგეს სევენები ფერად არ ავნი,
გარს შამოავლეს ზინჯილი, მცველნი აყენეს არ ავნი,
და ერთ ფარსანგამდი გარდაცდეს ლაშქარნი ველთა მფარავნი.
120. კვლა ერთი კაცი ემთხვივა ვეზირსა მოხარენია:
„აიგერ მოვაო მეფეცა, თუცა არ მონაწყენია“.
მისრელთ და ქალის ლაშქართა დააკაზმინეს ¹ ცხენია,
და კელმწიფეს წინ მიეგება ჯარით დიმეშყი ბრძენია.
121. დიმეშყი ცხენით გარდაცდა, მეფეს ემთხვივა პირითა,
ორნი ლაშქარნი ერთმან-ერთს ეცნეს ნალარა, სტვირითა,
ზომილისა და ზათქისგან ჳმა არ ისმოდა ყურითა,
და მზეს შუქნი დაბნელებიან ცხენისა ფერკთა მტვერითა.
122. დიმეშყის მეფემ უბრძანა ²: „ვარ შენგან მადრიელია,
აწ თავმან ჩემმა, შენგნითა მამე დიადი ვალია,
რაც ჩემთვის დაგიცს შენ რჯანი, გარდაუცდელი ძალია“.
და მისცა მისივე მარქაფა სადგომით მუნა თვალია.
123. მან მეფესა თავ-დადებით ხუდება ³ რამე მოახსენა:
„მე რამცა ვქენ სამსახური, რომ მიბრძანე ⁴, მადლი თქვენა.
დია, გვმართებს თავყვანება პატრონსავით თქვენი ჩვენა,
და ჳამს ⁵ მონისგან მონავობა კელმწიფისა, თუმცა ვქენა“.
124. დაშალეს აყრა მას დღესა, ყველანივ ისრევ იდგესა,
თვით აზიზიცა გარდაცდა, ფერად-ფერადი უდგესა,
სალხინოდ დაჯდა კელმწიფე, ლაშქარი გარშეუდგესა,
და – „უცილოდ მეფე გარდაცდა“ – ქალმა და მხლებელთ იგნესა.

¹) დააკაზმინეს. ²) უბრძანა. ³) ხუტბა. ⁴) მიბრძანე. ⁵) ჳკამს.

11. აქა ზილიხასაგან აზიზის ნახვა და არ იოსებობა და დაბნედა.

125. ქალმა ცნა, მეფე გარდაცდა, მანგის უბრძანა ¹: „დედაო,
„აზიზი მისრი ლხინად ზის, ლაშქართ ხვევნასა ხედაო?
წადი, მალვითა დაზვერე, რასა იქს ჩემი ბნედაო,
და ეგება მეცა მიჩვენო, სანამდი ისხდენ, სმედაო“.

126. მოახსენა: „დია, ღმერთო, წავალ მისად საჭკრეტელად“.
რა მივიდა, ვერვინ ნახა კაცი მისად დამჭერელად,
სადგომს გარე შამოევლო, ჩადრი გაჭრა სანახველად,
და ნახა: უსხდენ მეჩანგენი ჭირთა მისთა უკუმყრელად.
127. შამობრუნდა, მოახსენა: „სანაცლომცა შენი მანგი!
მივე, ვნახე იგი მოყმე, ლალისებრი ჰქონდა რანგი,
თვალს გარეშე ეხვევიან შავნი, ვითამც აბაშ-ზანგი,
და მწყრალსა ლომსა დავასახე, ვისმცა ეძლოს მისი ჯანგი?“
128. რა ეს ესმა, შეეხვეწა ²: „წამიყვანე, დამანახე,
ნურვის ეტყვი წაგიყვანო, ხოშიადი შამინახე“.
მიიყვანა ³ მას ადგილსა: „წელან აქათ დავინახე“.
და შახედა, დაიძახა: „ეს არალი, მე რომ ვნახე!“
129. უშნი ქნა და გამობრუნდა, ქარვის ფერი გარდაეცა,
ფერჯთა დგომა ველარ გაძლო ⁴, წაიქცა და დაცაეცა,
სოფელს ამას უძრახვიდა: „ესე ბედი რა მამეცა?!“
და მანგის ზურგთა აეკიდა, წამოელო, არა ეცა.
130. ქალი ზურგთა ანაკიდი მოიტანა მანგიმ შინა,
ქალი დია სევდის ჰელით ცხელსა ცრემლსა აეჭმინა,
ქალი თვალთა სეტყვასა ჰყრის, ვარდთა ზედა დაეშინა,
და ქალი ნახეს დაბნედილი, გვერც მხლებელთა შეეშინა ⁵.
131. მას გარეშამო ეხვივნეს, ასხემდათ ვარდისა წყალსა,
თავსა წახურის რიდებით, ჰკოცდიან თვალთა წყალსა ⁶,
ეხვეწებოდენ: „ნუ სტირი, ნუ გაგვკდი ჩვენცა საწყალსა“.
და ამას არღარა ჩაესმის, თვალთა ღვრის სისხლსა, რა წყალსა.

1) უბძანა. 2) შეხვეწა. 3) მიყვანა. 4) გასძლო. 5) შეშინა. 6) ჰკოცდიან: თვალთა: თაწყალსა:.

132. ქალი მოსთქვემდა საბრალოდ, უჩივის ბედის წერასა:
„სოფელო, რას გარმეკიდე, მამლევე ქარვისა ფერასა,
გამყარე ლხინსა ყველასა, ჩანგ-ჩალანისა ჟღერასა,
და იქი იმ ყოფით მაქცივე, აქ მიმეც ვისთა მზერასა?“
133. „სოფელო, ჩემგან რა გინდა? სიკვდილიც დამიკვეთეო,
გამყარე ტკბილსა მშობელსა, მისრეთი შამიკვეთეო,
აწ აგრეც მამკალ, დამიხსენ, სამარე გამიკვეთეო,
და გული და ღვიძლი გამიპვე, შეიწვი, შეიკვეთეო!“

134. „გწადიან ჩემი სიკვდილი, რომ თავი მომაკვლევიო, ნეტამც დაგეხსნა, სოფელო, ეგრე რა მე მაქნევიო, ცოცხალი დავრჩე, რას ვაქნევ, სხვა ქმარი შამართვევიო, და რად არ მეხსნები, არ ვიცი, რა გინდა, რა მაქნევიო?“
135. „არ ვიცი, ნეტარ, რა ვნახე, სიზმრად მეჩვენა ისი მე, მისრეთის თემი მანიშნა, უცხო ქვეყანა ვისიმე, აწ ცეცხლი რამე მამიდგა მის უზეშთესი ვისი მე, და აწ შეყრის ნაცვლად პატიჯნი გულსა მითესა მისი მე“.
136. „სოფელო, შენ რა გაგაძღებს ჩემის სისხლისა ხვრეტითა, გული, გონება წამართვი, დამსვი ჭკვითაცა რეტითა, სხვათაგან მეტი რა მექნა, რომ დამწვი ცეცხლთა მეტითა? და შავგულო, რა შეგვყარე, ვერ ვნახე კარგი ჭვრეტითა!“
137. ტურფა მიწვა საგებელად, თუცა ძილი უნდა არა, გვერც მხლებელნი მიჭირულნი ყველა ძილად მიეყარა, ადგა, თოკი სვეტს მოაბა, მერმე ყელად გარდიყარა, და გასარჩობლად გეეზიდნა ¹, თავი უნდა გაემწარა .
138. უცხო მოვიდა ფრინველი სახით და ანაგებითა, უთხრა, თუ: „როგორ მოიკლა თავი შენისა ნებითა? არა სჯობს ეგე საქნელად, ნუ ხარ თავისა ვნებითა“. და მკარზე შეჯდომით უხსნიდა ნიკარტით არ თო ნებითა ².
139. ქალს ეუბნების ფრინველი თავით ფერჯამდი ჭრელია: „მან გამომგზავნა, ჰე, მზეო, ვინ ასრე შენი მკულეელია, ბრძანა, თუ: „მისრეთს მელოდე, თუ ჩემს შეყრასა ელია, და აზიზი მისრი შეირთე, არა კაცობის მქნელია“.

¹) გეზიდნა. ²) ნიკარტით:.. ართო:.. ნებითა:..

140. გლახ ქალმა უთხრა ფრინველსა სიტყვანი უამესია: „ორგულობა და სიმუხთლე თქვენია, თურმე, წესია. მე ვინ და აზიზი ვინა, ქმარად შევირთო ესია? და გწადიანთ ცეცხლი მამიდვათ ამისგანც უცხელესია!“
141. ფრინველო, აწ მომეშვი, ვივაგლახო და ვიტურო, მეც ვიცი, ამად მოსრულხარ, მამკლა და აღარ მატურო, აწ აგრეც ნუღარ მაცოცხლებ, ჩემის სევდითაც ნუ სტურო, და ამგვარსა უბედობასა ტირილი უნდა და ვტურო“.

142. „თავი მოვიკლა, დამეხსენ, ვისი ხარ, მისსა მზესაო,
სიცოცხლისაგან გამძღარვარ, უცილოდ დავლევ დღესაო,
უმისოდ თავსა რას ვაქნევ, რომ ვსჭვრიტო ამო მზესაო,
და წადი და ჰკადრე: მიეცა პატიჯსა უარესსაო ¹“.
143. რა ფრინველი არ მოეშვა, ქალმა დართო ასრე ნება:
„მე შევირთო მისრთა მეფე, რა შაიქნას გათენება,
მაგრა ჰკადრე ჩემსა მზესა: სხვათა რატომ დამანება?
და შენმცა მრისხვი, მე შენს მეტსა მთვარეს მივცე მოვანება“.
144. ფრინველმა ცნა, დამორჩილდა, მჯარი მჯარსა შეატკვეცა,
მასვე წამსა გამოფრინდა, რომე კარსა არა ეცა.
ქალს მისნივე შვენებანი მართ უფროსი მოცაეცა,
და რა გათენდა, მოეკაზმა, ელვის ფერი გარდაეცა.
145. დილას შესხდენ დაკაზმულნი, ქალაქისკე წაცავიდეს,
ყველა წინა ეგებოდეს, ქეჯაოსა თეთრს აყრიდეს,
ქვეშ ნაქსოვი გაუფინეს, სამს ფარსანგსა ასრე ვლიდეს,
და სოფელ-ქვეყნად ჰმა გავარდა: „ყველასაი მოცავიდეს“.
146. თვალ-შავმა, წამწამ-გიშელმა ზილიხამ, ტანად სარომა,
მისებრ შუქისა მფენელმა და ტურფამ საბაღნარომა,
მისის პირისა ციმციმით ვარდ-იამ დაუმჰკნარომა,
და მზის მჩაგრმა, მთვარის ამგდებმა, თავი მისრეცა არომა.
147. სრულნი მისრელნი მოგროვდენ კარზედა, თავნი შეყარეს,
ხონებით თეთრი ნაჭერი ქალსა ზე გარდააყარეს,
შაბაშ-შაბაში გამრავლდა, ვის ჭირი სჭირდა, გაყარეს,
და შევიდეს, დასხდენ ნადიმად, დარბაისელნი შეყარეს.

¹) უარესაო.

148. სამ დღემდი იყო ქორწილი და დიდი გარდასავალი,
გასცა მეფემა თავასი უანგარიშო, უვალი,
მას წელს გლახათა შეუნდო ყოველი გამოსავალი,
და უცილოდ მას დღეს დავიწყდა ანქირ-მანქირსა სავალი.
149. კვლავდა ბრძანა: „მოიღეთ სრულნი საჭურჭლეთ კლიტენი“.
მეფეთ სამ-სამი კლიტენი მისცა, ნაკაზმი ცხრა ცხენი,
მას გარე მოაღებვინა დიმეშყისათვინ სხვა ზღვენი,
და ხონებით თვალ-მარგალიტი, სხვა საჩუქარი რა ვთქვენი!

150. არაშანს მისცა საკიდვრით თვალ-მარგალიტი ცხრა ჯორი,
შავარდნები და გავაზი, ორმოცი კვლავე სხვა ქორი,
ახიშანს, სპათა სალარსა, ხონ-მარგალიტი ას ორი,
და შავარდნები და გავაზი, ქორები ყველას სასწორი.
151. ტახტზედა მჯდომსა ზილიხას ელფურებ შუქი ჰქრთებოდა,
აზიზის გვერცა ჯდომითა ამაყსა ქალსა სწრფებოდა,
ვარდისა ძირსა შაპარვით შავი რამ ზანგი დგებოდა,
და მისნი მჭვრეტელნი მისითა სურვილით იჯოცებოდა.
152. მჭვრეტელთა ამზრზინებელი წყნარად ჯდა დია კრძალვითა,
მოცრემლიანოს თვალეზსა ჰშვენის¹ გაჭრეტა მალვითა,
ლალის და ბროლის ადგილზე ჩრდილი დგას გიშრის სარვითა,
და სცვენ ყვევლგნით არე-მარესა, მჭვრეტელთა ჰკოცენ მალვითა.
153. მეორეს დღესა ქორწილში პირმზე არ დაჯდა ერშია,
დარბაისელთა ჯალაზნი შამოეხვივნეს გარშია,
მოახსენებდეს: „პატრონო, რად არა გახვალთ კარშია“?
და ვისცა ენახოს იმისებრ ადამ-ევასა გვარშია!
154. უბრძანა: „მე ვერ გამოვალ, წაბრძანდით თქვენვე იქია“,
ვარდი გააპის კბილთაგან, გამოაყენის შუქია,
მისთა მნახველთა ნახული სხვა ვედარავინ უქია,
და ყვევლთა ყვავილთა დამჭკნობი მისის წამწამთა ბუქია.
155. მას დღესა იყო პურობა, დიადი შემოყრილობა,
ნადიმად მსხდომთა თავადთა შექნეს ამისი ცილობა:
„მეფესა რა მოსწყენია, რადა სჭირს ფერ ნაკლულობა?
და უცილოდ იგი ეწყინა, ქალმა არ ნახა პურობა“.

¹) შვენის.

156. გარდაჯდა სმა და ნადიმი, ყველაი სახლად წავიდა,
თვით მეფეც ადგა ჭამიდამ, ქალისა სადგომს შევიდა,
მჭეველთა ჰკადრეს: „პატრონო, კელმწიფე კარად მოვიდა“.
და იგი წარბ-შერჭმით ქუეშად ჯდა, აზიზი ტახტზე ავიდა.
157. მას ღამე ერთად მწოლელსა არც ერთსა ჰქონდა ძილობა,
ყმამან ლალობა დაუწყო, მზისა ვის ჰქონდა ცილობა,
ვერ მოიჭმარა კაცობა, შეექნა¹ ფერ შეცვლილობა,
და გულს უნდის კელი ვერ ჰყარის, როგორ არ მართებს წბილობა?

158. აზიზ ქალსა სად ღირს იყო, სხვათა იყო ანაზარი,
მასთან მადად არ შეძალის კაცობისა დასადარი,
მასვე მართებს მისი შეყრა, რომისთანა არსად არი,
და ჭიქა რადგან ფეროვნობდეს, ვინ იტყვის, თუ თვალი არი?
159. ქალი მის ყმისა მგონები ზაფრანის ფერად ჯდებოდა,
სიცოცხლისაგან გამზღარსა სიკვდილი ენატრებოდა,
სევდის ჳელითა დამწვარი სევდასვე ემოყვრებოდა,
და ამოიხრის ასეთი, რომ სული აღმოჰყვებოდა.
160. საგონებლისა პატრონი იჯდის უშით და კვნესითა:
„არ დამაჯერე მას ცეცხლსა, აწ დამწვი უცხელესითა,
ანთებულშიგა ჩაჭრილი, თავს გაუვიდე მე სითა?“
და ამას უძრახავს სოფელსა: „სად მამიყვანე მე სითა?“
161. „რად არ გცხვენის, უგემურო, გემახიან ყველა მქისსა,
მამაშორე ჩემს სამყოფსა, ნატრი შემქენ დედ-მამისა,
აგრეც მამკალ, ნუ მაცოცხლებ – არ მაჩვენებ პირსა მისსა,
და ეს სარჯელი ვისც გენახოს, მამკალ შვილსა ადამისა“.
162. იჯდის მუდამ მოქრუშვილი, ნარგისთაგან ცრემლსა უშობს:
„ნეტარ რა ვქნა ², რა მექნების“ – კვლა ამისთვინ უფრო შიშობს,
„ვაჟ, თუ მოვკვდე ³, იგი წაჯდეს“ – ამას სულ-თქვამს, ამას უშობს,
და „ასრე სხვა-ღა უბედური დედისაგან ვინღა იშობს?“
163. თანამხლებელნი შებრუნდენ, ქალი იქს წიგნთა წერასა:
„თქვენის ნახვისა მონატრე, ისმინეთ, გიწერ მე რასა,
ჩემისა მოშორებითა ნუ მოეშლებით მღერასა,
და უარეს ჭირში ჩავარდი, – უყურეთ ბედის წერასა!“

¹) შექნა. ²) ვკქნა. ³) მოვკვდე.

164. „ფათერაკსა ვერ მორჩების – ათასია, თუნდა ერთი,
თქვენ მოგშორდი, აწ სოფელმა გამორისხა უფრო ღმერთი,
ნეტამც მანდავ მოგკდომოდი, მე აზიზსა არ შევერთი,
და აწ სევდასა წაუღივარ, სიცოცხლე მაქვს წამი ერთი“.

12. აქა იოსების ამბავის დაწყება და სიზმრის ნახვა.

165. ზილიხას მისცა უფალმა საქმენი სანატრელია:
იოსებ ნახა სიზმარი უცხო რამ, საკურველია,
მათი ერთგანა შეყრანი, ისმინეთ, რა სარჯელია,

და უცილოდ ღმერთი მოწყალე ყვევლის კაცისა მშველია.

166. იოსებ ნახა სიზმარი: ტახტი მოვიდა ზეცითა,
მთელისა იაგუნდისა, ნათალი აჩნდა არ სითა,
ანგელოზებსა მოჰქონდა ფრთე ფრთითა შენატკეცითა,
და მაზედა შესვეს იგი ყმა ბრძანებით ზესთა-ზესითა.
167. მოვიდეს მისად თავყანად: მთვარე, მზე, კვლა ვარსკვლევები,
მუშთარი, ზოალ, მარიხი, ასპიროზისა ¹ გვარები,
მიქელ-გაბრიელ მთავარნი და სრულნი ზეციერები,
და ისა, მოსე და აბრამცა და მათი თანადარები.
168. სრულად მკვენი შეიყარნეს და ფრინველი მოფარნავი,
მოდგეს მას წინ სათაყვანოდ, მიწაზედა დადვეს თავი,
ქვეყნის ზურგით შემნახავი და ზეცისა საზრუნავი,
და მუნიდამა ყოდიან: „შენ ხარ ჩვენი შემნახავი“.
169. შეკრთა ², ძილით წამოიჭრა ³: „სადა ვღირსვარ, მოწყალეო!“
თავდადებით მიწაზედა მოუთხრობდა: „მიწყალე-“ო,
„მე ცოდვილმა რა გამსახურე, თქვენ რომ ასრე მიბრალეო,
და ანუ ასრე შემცოდესა უსაზომო რად მწყალეო?“
170. გათენდა, მამას უამბო: „უცხო სიზმარი ვნახია,
მე არა ვღირსვარ ამასა, რაცა მე მოვინახია“
უბრძანა: „შვილო, ნუ იტყვი, გულშია შეინახია,
და წარმეტყველობა მოგხვდების და ჳელმწიფეთა სახია“.

¹) ასპიროზისა. ²) შეკრთა. ³) ჳამოიჭრა.

171. „ანამცა ვისმე ეს, შვილო, შეატყობინე სხვათაო,
ნურას სულდგმულთა ნუ ეტყვი, არვინა უთხრან ძმათაო“.
თურე მას ყველა ესმოდა, ერთსა ძმას ერქვა წართაო,
და მოვიდა, სხვათაც უამბო, ერთობელთ უკულმართაო.

13. აქა ძმათაგან დალატით იოსების ორმოში ჩაგდება.

172. რა წართამ უთხრა ნასმენი, დაასკვნეს ¹ ესე პირია:
„ან მოვკლათ ², ანუ დავკარგოთ ³, უგდოთ ერთი რამ ჳირია,
თუ მას ცოცხალსა გაუშვებთ, შეიქნას ჩვენზე მირია,
და პურსაცა არვის შეგვაჳმევს, ეტყობის ასრე ძვირია“.
173. ესე სიტყვა დაასრულეს წყეულთა და დანაკრულთა:

„იგი სადმე გარდაგებით, დაუკარგოთ ამა რჯულთა“.
ერთმან-ერთი შაუყენეს მოსაცდელად მათ გრძნეულთა:
და „უცილოდა იგი უყვარს მამასა და სპათა სრულთა“.

174. მას მოყმესა ეტყოდინან საუბარსა მეტად ტკბილსა:
„ბაღში მივდიოთ სათამაშოდ, ბევრსა ვნახავთ უცხოთ ხილსა,
მო, წამოგვეყვ, ისი გიჯობს, შევექცევით ცუდსა ძილსა,
და აწ ურიცხვსა, ბევრსა ვნახავთ მინდორს ყვავილს განაშლისა“.
175. მოატყუვეს იგი მოყმე და აცდინეს ⁴ ამაზია:
„მამა ჩემსა მადასტურეთ, გაიხლები, თქვენმა მზია“;
მერმე მიდგეს იაკობთან და დასთხოვეს იგი მზია:
და „სახსარს წავალთ შესაქცევად, აქა ცუდად რასა ვზია?“
176. ქანაანის სიახლოვეს სახსარ ერქვა დიდსა ველსა,
ყვევლსა ფერსა იქ იტყოდენ ყვავილსა და სხვა სურნელსა,
სანადიროს მას გარეშე და ქორისა სადევნელსა,
და „იქ წავალთ“-ო, მოახსენეს, „გაგვატანდეთ თუმც ნათელსა“.
177. იაკობ თქვა: „აჰა, შვილნო, ჩავარდები, ვიცი, ჭირსა,
სახსაროსა ბევრსა ნახავთ ლომსა, ვეფხსა, სხვას ნადირსა,
ანამც არა დაუმარცხდეს მანათობსა მზიურ პირსა,
და მეცა, ბერსა მამა თქვენსა, შემემატვის ჭირი ჭირსა“.

¹) დასკვნეს. ²) ან მოვკვლათ. ³) დავკარგოთ. ⁴) დაცდინეს.

178. მათ მოახსენეს: „მამაო, ეგ სიტყვა რა ვარგულია,
ჩვენ ათთავ ძმათა გვაქვანან ლომისა მჩაგრი გულია,
მკეცნი და სხვანი მებრძოლი ჩვენგნითა შენაკრულია,
და მაგას ნუ ბრძანებთ, ვინც იყოს ჩვენთანა სხვა ვარგულია?“
179. რა მამაცა დაიყოლეს, დაუჭერდენ ჳელით ჳელსა,
აიყვანეს იგი პირმზე, იყენებდენ პირს ნათელსა,
გაემართნეს სახსაროსა და არჩევდენ საქმე ძნელსა:
და „წმელთ ნათელი დაუკარგოთ, დავაგვანოთ დამე ბნელსა“.
180. მოატყუვეს, წაიყვანეს იგი ალვა, ნორჩი ზდილი,
მათსა გულსა დააპირეს მის ტურფისა მართ სიკვდილი,
სანობამდი მამა სჭვრეტდა, ეუბნიან სიტყვა ტკბილი,
და მერმე ჳელი გასამწარო მიჰყვეს, ჳქონდათ არ სირცხვილი.
181. სადამდი მამას ხედვიდენ, მას ყმასა კისრით არებდენ,

ამოსა ეუბნებოდენ და თავსა შეაყვარებდენ,
რა ქალაქს გარე გავიდენ, კელი ჰყვეს დაამწარებდენ ¹,
და თავსა სცემდიან ყველანი, აროდეს დააწყნარებდენ ².

182.*) ქვევითი წინა წაიგდეს, ამწარებდიან, სცემდია[ნ],
თავ-პირი არ უმთელოსა ვარდისა ბაღსა ბაღ
სისხლი ჩამოსდის მკერდამდი, ტან
და თორმეტს ფარსანგსა ასრე

183.***) ატირდის და მოეხვივის ხან ერთს
„რა შეგცოდე, რად მამკლავთო და.
ეტყოდინ: „აწ ეხვეწე საპატ.
და რატომ ახლა არ გიშველის შე

184.***) თვითოს და თვითოს შესტირის, სა.
„ჰე, ძმანო, უშაველი ვარ, ნუ მამკლავთ ცრემლთა დენითა,
ასრე უწყალოდ ნუღარ მრჯით, მამკალით, დამეხსენითა“;
და რომელსაც ძმასა შესტირის, სხვას უთხრის: „თავს დასცხენითა“.

185.****) მივიდეს უცხოს ადგილსა, გამოჩნდა რამე კლდენია.
ეხვეწებოდა: „ნუ მამკლავთ“ – იგი მზიებარ მშვენია,
არ გაიკითხეს უწყალთა, ნორჩით კრეს ალვის ხენია.
[და] ეს სარჯელი მელექსემ ვერა ვთქვენია.

¹) დამწარებდენ. ²) დაწყნარებდენ.

*) აქ კეკნაწერი დაზიანებულია. **) ხანა დაზიანებულია კელნაწერში. ***) პირველი სტრიქონი დაზიანებულია. ****) ბოლო ხანისა დაზიანებულია.

186.*) მეტისა გამწარებითა,
. რი დევთა გრძნობითა,
. ამ იძახდენ ვაყვავობითა,
[და] რც ზომდენ სიჯმებითა.

187. მე დია ავი,
. ენსავით ჩანან და შავი.
. უკრეს მაგრა მკლავი,
და ფერკებიცა გაუხლათეს, შიგა უკრეს მერმე თავი.

188. განაშიშვლი გზა ეჭირათ და ჩაუშვეს შიგა ჭაში,
ჩანაკიდი თოკი უკრეს, რა მივიდა შუვა გზაში.
ანგელოზთა დაიჭირეს, არ ჩაუშვეს შიგა წყალში,
და ტახტი უწყვეს ფრთებისაგან, მიეჯარა რა შუვაში.

189. მიქელ-გაბრიელ მოვიდეს ზეციერთ დას-დასებითა,
 ტახტი უკეთეს შუაზე ანგელოზების ფრთებითა,
 მაზედა დასვეს იგი ყმა მოწყალის ღვთის ბრძანებითა:
 და „ნუ გემის მტერთა ჯელითა, ღმერთი არა გყავს ვნებითა“.
190. უკულმართნი უკუბრუნდენ და წავიდენ მასვე გზასა,
 მკეცნი ნახეს, გამოუცდენ, ისარი ჰკრეს ერთსა თხასა,
 მისის სისხლში ამორივეს, რაცა სცმოდა მისსა ძმასა,
 და ტირილით და თავს ცემითა მოახსენეს ეს მამასა.
191. სისხლით გასვრილი პერანგი მოიღეს მამის წინარე:
 – „ჩვენ ხისა ძირსა საგრილოდ ვიყვენით ყველა მძინარე,
 ტირილი გვესმა, ავცვივდით, აღარსად იყო მზის არე,
 და შორ კალიბ მგელი მოჩანდა ¹, მას მიაბრუნდა მწყრომარე“.
192. „მართლად გეტყვით, მამა ჩემო, ამ საქმესა დია ძნელსა,
 გაუდევით შესაპყრობად, პირს ეჭირა რბოლალს მგელსა,
 რაზომაც არ ვეცადენით, ვერ ვასწარით შეუჭმელსა,
 და ეს პერანგი წამოვიღეთ ² ნიშნად, ვიდენტ ცრემლსა ცხელსა“.
193. რა ეს ისმინა იაკობ, დაღვარა ცრემლი ცხელია,
 ჯელი აუპყრა: „ჰე, ღმერთო, ვისმინე საქმე ძნელია,
 აწ, მეუფეო, შენგნითა ამის შველასა ველია:
 და მოვიდეს სრულნი პირუტყვნი, ლომი, ვეფხი და მგელია!“

*) ესა და მომდევნო (187) ხანა დაზიანებულია.

¹) მოსჩანდა. ²) წამოვიღე.

194. მოდგეს იაკობს წინაშე, მიწაზე დადვეს თავია,
 იგი მეტისა ცრემლითა ზღვას ცურავს, ვითა ნავია.
 „ჩვენ ვიყვენეთ შენი შემცოდე უსუფის მონაკლავია“.

195.

 „მართლად თქვენით, ვინ მოგცათო ეგე ჩვენგან დაკარგული,
 და თვარე, ღმერთმა მტერი ჩვენი ჯოცოს, ვითა გკადოთ სული“.
196. „ესე ყული ჩვენი არის გაგუპაროდა ამას წინა,
 აწ გვითხარით, სად იპოვეთ, ანუ მოგცათ ეგე ვინა?
 მოგიპარავთ, არა სტყლდებით, ეგე ვინცა შეგარჩინა?!“
 და მათ ვაჭართა მოახსენეს: „გაგვიკითხეთ, შეგვეშინა“.

197. ფარუხ იყო დიდ ვაჭარი ქარავანში, კარგა ზდილი,
 ჭკვიანი და გონიარი, მოუბარად სიტყვა ტკბილი,
 წადგა წინა, მოახსენათ: „არ გვემართლოთ ჩვენ სიკვდილი,
 და დაგვიწყნარდით, მოგახსენოთ, როგორ ვპოვეთ ¹ ალვა ზდილი“.
198. „იამანით გამომდგარნი მივდიოდით ² მისრის გზასა,
 დაგვიღამდა, ვერ გარდავლეთ, მოვადეგით რა ამ მთასა ³,
 მოვიარეთ წყლის სამებრად, წავადეგით დიდსა ჭასა,
 და წყლის საღები რა ჩაუშვით, ეს ამოჰყვა იქით მასა“.
199. „მუნიდამ ტოლჩას ამოჰყვა ჳმელზე ნაზარდი თევზია,
 უკუნი სრულად ენათა, უჭყარტიალობს პირზია,
 ჩვენ ვთქვით ⁴, თუ: „ანუ მთვარია, ანუ მნათობი, ვინ – «მზია»,
 და თქვენი არ ალის, რად გვართვამთ, რადა ხართ ანუ ძალზია?“
200. შეუძახნეს მათ ვაჭართა „როგორ? – გინდათ ჩვენზე ძალი?“
 მათ მიუგეს: „ნუ ყოს ღმერთმა, დაგვიცს თქვენზე დიდი ვალი“.
 – „ამას ვერსად იპოვებდით, რაზომ გევლოთ დღე მრავალი“.
 და – „აწ წყრომანი არა გმართებსთ, ჩვენ ვსტყუვით და თქვენ მართალი“.

*) შემდეგს გვერდზე სრულდება სულ სხვა ხანა: ეტყობა, რომ ამოვარდნილია ორი ფურ-
 ცელი, ე. ი. აკლია დაახლოებით 14 ხანა (დაწვრილებით იხილე აღწერილობაში).

¹) ვპოვეთ. ²) მივდიოდით. ³) რა ამ მთასა. ⁴) ვთქვი.

– 30 –

201. ვაჭართ მუნით ანაკიდითა გაემართნეს მისრისტანსა.
 გარდეგება, დააყენა ¹, წართა ერქვა რომე ძმასა:
 – „თუ მოგვემთო კარგსა ფასსა, ჩვენ მოგყიდით ამა ყმასა“.
 და ვაჭართ შორსა დაიჭირეს: – „რას ვაქნევთო ჩვენ მაგასა?“
202. „ჩვენ რომე ეგე ვიყიდოთ, შემოგვეცილოს სხვაცაო,
 ვინ დაგვიჯერებს სყიდვასა, მოწმადა გვევანდეს ვინცაო?
 ძალად წავგვართმენ, ვაჭართა ჯაბნობა იცით თქვენცაო,
 და ფასიცა ცუდად ჩავვივლის, ბრალი არა ვართ ჩვენცაო?“
203. „მაგის თავზე უბრალონი, რაცა გვსაჯეთ, ეგეც კმარა,
 თუ წიგნს მოგვემთო მაგისთანას, შეგვეცილოს არვინ არა,
 ფასსა ² მოგვემთო ჩვენ მაგისთვის, დაუტყუვდებით ³ თვარ აღარა“.
 და წიგნი მისცეს დაბეჭდილი, ძმაცა ყულად მათ აბარა.
204. მერმელა ჰკადრეს: „გვიბრძანეთ, რა არის მისი ფასია?“
 მათ უთხრეს: „ყვევლი სავაჭრო თქვენგნითა დანაფასია,
 მოგვართვით, რაცა ფასია, ჩვენგნითა რა საფასია!
 და, მისცეს ჩვიდმეტი თანგანი, თუცა არ მისი ფასია.

14. აქა ძმებთა განასყიდი და ვაჭართა წასყიდი იოსებ მისრს გაემართა ⁴.

205. სარჯელად არ ეყოფოდა, რაცა მათ უყვეს ძმასაო,
სასიკვდილოდა ჩააგდეს ⁵ უძიროს დიდსა ჭასაო,
იქიდამ იხსნა უფალმა და აპოვნინა ⁶ მგზავრსაო,
და არცა მაშინა დაეხსნენ, მიჰყიდეს ყულად სხვასაო.
206. გაემართნეს მარჯვე გზასა მსყიდველნი და ქარავნები,
მივიდოდეს მას ადგილსა, სად აზიზსა აქვს ხანები ⁷,
თანა ახლავსთ მზისა შუქი და მთვარისა მოვანები,
და, უხაროდათ: – „კარგა გავა მზისა შუქთა არა მნები“.
207. მელიქ-ფარუხ, დიდვაჭარი, უხუცესი ქარავნისა,
მისსა სიტყვას მორჩილობდენ. ურჩი ვერვინ ვერა ქნისა,
– „რა მივიდეთ ქალაქშიგა“ – ამა პირსა დაასკვნისა ⁸ –
და „გავყიდოთო იგი მოყმე, ვინ შვენებით მზეს ავნისა“.

¹) დაყენა. ²) ფასა. ³) დავტყუვდებით. ⁴) გემართა. ⁵) ჩაგდეს. ⁶) პოვანინა. ⁷) სანები
⁸) დასკვნისა.

208. ვაჭარნი გზაზე დარჯილნი, სადაცა გარდაჯდებოდენ,
მოდგიან მათად ¹ საჭვრეტლად, ქვეყანა მაზე კრთებოდენ ²,
ანუ ვინც გზაზე ნახვიდის, მას აღარ გაეყრებოდენ,
და ქალი, ყმა, ბერი, ბებერი მას ყმასა უკან ჰყვებოდენ.
209. ვინცა გზას შემოეყაროს, დაბრუნდიან და ჰყმობდიან,
მას აღარ გაეყრებოდენ, პატრონობითა ჰყმობდიან,
კმა დავარდნითა გაითქვა, ყველაი მისკე რბოდიან,
და კუბოსა ჩასვეს, დამალეს, მის ნახვას დაჰჯერბოდიან.
210. ზოგნი წინაწინ წავიდეს, ქალაქსა კმას აგდებდიან,
იტყოდენ მისსა სიტურფეს, მსმენელთა აკვირებდიან:
„იამანელსა ვაჭარსა, მელიქ-ფარუხსა“ – ჰყმობდიან,
და „ქანანელი ყული ჰყავს, ვინც ნახავს, ყველა ჰყმობდიან“.
211. დავიწყოთ მისნი ქებანი, ვის არა ჰყვანდა სწორია,
ვის ოთხი ჰქონდა სიტურფე, სრულად კმელეთსა ორია,
მისთანა არ გამოსულა, ანუ გამოვა – ჭორია.
და მისრეთის ქალაქს შევიდენ, დალივეს გზანი შორია.
212. რამცაღა ვჰკადროთ მას ქება, რომე მისთანა არ იყო,
ვერცა შეუველ საქებრად, ვერცა ვცან, რისა დარ იყო,

მისნი მჭვრეტელნი მისითა ჭვრეტითა ვერ დამძღარიყო,
და მას გასყიდვანი ვინ ჰკადრა, თუ ჰკვასა არ შემცდარ იყო!

213. ქარავან-ბაშის მოჰყვანდა იგი უებრო ყულია,
ბაზარში ჩამოატარა მუშკ-ამბარისა სულია,
ქულბაქი ყველამ აყარა, უკანა სდევენ სრულია,
და კვირობენ: „ნეტარ რასა იქს ჳმელზე ედემსა რგულია“?

**15. აქა ამასწინ გულშამოყრილი ზილიხა ბაღს წასული, დაბრუნებით
იოსების ნახული.**

214. ზილიხას ამას წინათა უძგერდის მუდამ გულია,
სისხლისა ³ ცრემლი ჩამოსდის, მისი რჯის სიყვირულია,
ვერცა ჯდის, ვერცა ფერცა დგის, სტკიოდეს ასრე, წყლულია,
და გულის გულამდი გაზარის, ანიშნებს: „მოვა სულია“.

¹) მადად. ²) ჰკრთებოდენ. ³) ცისხლისა.

215. სევდა სევდაზე დაერთო, უძახის სულს ამოსვლასა:
– „გომს ველარა სძლებ ყოფასა, რად არ იქ გარე გასვლასა?
სანამდი გყევარ სარჯელად იქ მოსვლასა და ჩასვლასა?
და თურე ზედია კაცისა, ახარებს მისსა მოსვლასა“.

216. ზილიხა სევდის ჳელითა ხშირად იძახდის ამანსა,
გაჰყრის წამწამის ისარსა, მოხრის გიშრისა ქამანსა,
მიწურვილიყო სევდასა, ეძებდენ მისთვინ დარმანსა,
და ქვეყნის სევდა და ნავლეი ეხვევის ვარდის ხარმანსა.

217. სისხლი და ცრემლი თვალთაგან სწორად სდის ¹ ტურფას სანამსა,
ვარდზე ნაკადი აელო უწყვეტლად ორთა ნანამსა,
ჭირ-მოცემასა წაელო, პატიჯს აძლევდის ამანსა,
და სამოთხის კარის მომლოდნე, ჩავარდნილიყო ჯანამსა.

218. გვერცა მხლებელნი ურჩევდენ მას ქალსა, ტანად საროსა,
სევდისა უკუსაყრელად, რომ თავი ბაღსა აროსა,
უწყვედლად ცრემლმა ნადენმა ინდონი დააწყნაროსა ²,
და ქალი ქმართანა წავიდა, ეთხოვა საბაღნაროსა.

219. მეფესა ჰკადრა: „მიბრძანებ, სერანსა წავალ ბაღშია“,
უბრძანა: „შეღამდეს – წადი, აწ ვერ გაივლი ჯარშია“.
შეღამდა, მოდგა ქეჯაო მართ დაუთვლელი კარშია,
და ვინც უნდა, მოაჳმობინა თანამხლებელი გარშია.

220. მოქრუშვით იყო სევდისგან, დაღრეჯით მონაწყენია,
ბრძანა: „მომიწმეთ ყველაი, გვერცა მხლებელი ჩვენია“.
სათანოდ გარდაარჩივა, ვინც უფრო თავ-ნაჩენია,
და აბუჰაიათ და მანგი, თორმეტი მუახლენია.
221. ასი ხოჯა წაიტანა, მეყორულჩე წინ მავალი,
დარბაისელთ ჯალაბთაგან ხათუნები არ მრავალი,
რა მივიდენ, კარზე მოდგენ ყვევლით ზღვენი შესავალი,
და მეორეს დღეს იქივ იყვენ მთვარე მცხრალი სხვა მრავალი.
222. რა იქიცა ვეღარ გაძლო ³, შემობრუნდა ფიცხლავ გარე,
ნახა ჰალვა მოხვეული, რომ არსითა ჩანდა არე;
– „მედანაში რას შეყრილან?“ – ხოჯას უთხრა: – „წა, იარე,
და მის ამბვისა მალე მცნობი, ჩემსავ წინა მოიარე“.

1) დის. 2) დაწყნაროსა. 3) გასძლო.

223. რა წავიდა, მონამ ნახა ჰალყად იდგეს ბევრი სული,
ერთსა ჰკითხა: „რა არისო ¹, რად შეყრილხართ ასრე სრული?“
მან თითითა დაანახა ²: „აიგერო ალვა რგული,
და დიდ-ვაჭარმა მოიყვანა ქანაანით ესე ყული“.
224. აწ გასყიდვასა უპირობს იგი უბედო, კრულია,
სულს უნდა გული გაჰყაროს, დაურქმევია ყულია,
მის უნახობას თუ გაძლებს, უთუვოდ ქვა აქვს ³ გულია,
და უცილოდ იგი წყეული არს ვინმე არა-რჯულია“.
225. რა შაიგნო, შემობრუნდა ქალთანავე მონა შავი,
მოახსენა: „აჰა, მზეო, ვნახე ტურფა სანახავი,
მე მისთანა არ მინახავს, თქვენის პირის ვარ მნახავი,
და მისთანა დასახული იყოს, მემც ვარ დასხულავი“.
226. რა მონისგან ესე ესმა, ქეჯაოსა აღმა ზიდა,
დაინახა იგი მოყმე – ალვა ნორჩსა ახლა ზდიდა,
დაიძახა მეტად დიდი, გვერც მხლებელთა გულსა გზნიდა,
და საყურებლად აღარ სცალდა, ქეჯაოდამ გარდიზიდა.
227. დაიძახნა მეტად დიდნი, მერმე დაბნდა იგი მთვარე,
მანგიმ აღარ დააყენა, შემობრუნდა ფიცხლავ გარე,
ხადუმებმა კუბოს მზიდსა შეუძახეს: „მალ იარე“!
და მანგი ყივის: „წაეშურეთ, თვარე ესე ვერ ვაწყნარე“.

228. რა სადგომსა მიიყვანეს, მიაწვინეს დაბნედილი,
რა ზომცავე მორწყევდიან, ვერ ახარეს ალვა ზდილი,
გულსა რამე ამოქნეშდა და მზად ადგა მას სიკვდილი,
და მას გარეშე დასტიროდენ მუახლენი კარგა ზდილი.

229. რა მობრუნდა, მანგიმ უთხრა: „რასა იქო, რას იქცევი?
ლალი, ბროლი, მარგალიტი ქარვად რატომ გარდიქცევი?
შენ მაგითა ვერას ირგებ, რაზომცავე ზღვად იქცევი,
და მაგას ვინცა არ დაგძრახავს, რომე დღესა შენ იქცევი?“

¹⁾ რარისო. ¹⁾ დანახა. ¹⁾ ქვაქვს.

– 34 –

230. ქალმა უთხრა: „რასა მეტყვი, არა მესმის მე ბეზარსა,
ვის გინახავს იმისთანა გასასყიდი სხვა ბაზარსა?
მისის ჴელით ვახშირებდი აქანამდი ამა ზარსა,
და იგი ბაზარს გაივაჭროს, რას ჴელსა ვჰყრი მე-ღა ზარსა?“

231. მუნადი ყივის ბაზარსა: „ვინცა იყიდის ამასა“?
ერთმა თქვა: „სავსეს მოგცემო თვალ მარგალიტით ხანასა“,
მეორემ: – „რაც მაბადია საქონლად არბაბანასა“,
და მესამემ: -- „შვიდსა ყირმიზსა მაგის სიმძიმის წონასა“.

232. მეოთხე იქით ყიოდა: „მუშკს მოგცემ წონას, ამზარსა“,
მეხუთე აქათ უძახის: „თეთრისას მოგცემ ამზარსა“,
მეექვსე იტყვის: „რაცა მაქვს, თვალ-მარგალიტი ბაზარსა“;
და ვისც რა ებადა, გაჰქონდა სავაჭროდ ყველასა კარსა.

233. მას გარეშემო ეხვივნეს, აძლევდენ ფასს უთვალავსა:
ერთი სამოსლის მბეჭელი ბებერი აძლევს ქალავსა:
– „მაგის მყიდველში მათვალეთ, იმ ღმერთსა დაუფარავსა“,
და მისკე მირბოდენ ყველანი, ფასსა აძლევდენ არ ავსა.

234. არვინ ნახა იგი მოყმე, არ მოუნდა სყიდვა მისი,
ერთმან-ერთსა ჰკითხვიდიან: „ტომიანო ადამისი?
ამას ვინცა თეთრზე შესცვლის, რჯული აქო, ნეტარ, ვისი“?
და მისნი მჭვრეტნი დააკვირნა ¹⁾, ვით რამინმა გმირი ვისი.

235. ზილიხამა ცნა: ჰყიდიან ბაზარშიგა ტურფას ყულსა.
– „ღმერთო, შენის შეწევნითა მე დავასწრა ყვევლსა სულსა“.
მოვაჭრეთა დაცრუვებით სული ნდომით მოვა გულსა,
და დგების, მეფეს მოახსენებს ნასმენსა და მონანულსა.

236. ქალი ქმართან შემოსული მოახსენებს სიტყვა ნაზსა:
– „ბაზარს სადმე ავაჭრებენ ყულსა რასმე, თვალ-ლამაზსა,
აწვე თქვენი ბრძანება ქენ, მომიყვანონ მე დარბაზსა 2“.
და მეფემ ბრძანა: „დია, ღმერთო, მქნელი ვართო“ – მას თანაზსა.

237. კვლავე ქალმა მოახსენა: „სიტყვას გკადრებ დანაყბედსა,
ღმერთი არის ჩვენზე წყრომით, ვერა ჰხედავ 3 ამა ბედსა?
თქვენ არ იცით, თუ არ ცეცხლი სხვა ანათობს 4 არ აბედსა?
და იყიდეთ და შვილად გიზდი და ვადიდებ შემოქმედსა“.

1) დაკვირნა. 2) მოიყვანონ მედარბაზსა. 3) ხედავ. 4) ანათობს.

– 35 –

238. მეფემა ბრძანა: „მიწმევით ვაჭართა უხუცესია,
მოვიდეს ჩვენსა წინაშე, მივსცეთ 1 უფროსი ფასია“.
კაცი წავიდა საფიცხოდ, მელიქსა უთხრა ესია:
და „ველმწიფე გივმობს, წამამყევ. ვით ბრძანებისა წესია“.

239. რა წამოვიდა ვაჭარი, უკან ჰყვებოდა რხევითა,
მეფესა წინა მოვიდა, შუქნი აყენა, მზე ვითა,
მთვარე, მზე ამად ნათობენ, მას რომ დასჭვრეტენ ქვევითა,
და მაგრა სცხვენნიან ამაზე, – მასა ადგანან ზევითა.

240. ვაჭარს უბრძანა: „აფასე, როგორ გაჰყიდი, მართალი?“
მან მოახსენა: „მამლივეს უანგარიშო ლარ-თვალი,
წონით მამცემდენ ყველასა, სიბევრით ვერა დავთვალი,
და აწ რადაც ღირდეს, მიბოძეთ, მიყავით მე სამართალი“.

241. თვალ-მარგალიტი მოიღეს, მეფესა წინა დაყარეს.
ზილიხას ზითვისეული გორის სიმაღლე შეყარეს,
სასწორში ჩასვეს იგი ყმა, ცალკე ღარიბი აყარეს,
და თორმეტი მისი სიმძიმე ვაჭარსა წინა დაყარეს.

242. ვაჭარსა მისცეს მას გარე ცხრა ჯორი ტვირთი ღარისა,
ზილიხამ მამისეულით იყიდა მჩაგრი მთვარისა,
ასრე, რომ მეფისეული მაშიგა არა არისა,
და რა გარდუწყვიდა ვაჭარსა: „მიჰგვარეთ 2, ვისიც არისა“.

243. რა კარშიგა შეიყვანეს, ქალი ნახვით გარდაიქცა,
ყმაცა დადგა გაკვირვებით და პირზედა ფერი ექცა,
მანგი გულსა წყალსა ასხამს, ქალი სულად შემოიქცა,
და „ნახვა გკლავს და უნახობა, ნეტამცა ვინ ბევრი ვინ გცა“?

244. იქით მანგი, აქათ აბუ ეტყოდიან: „რად იქ ავსა?,
შორს ყოფნა და ახლო შეყრა შენ იმისი სწორად გკლავსა,
სიხარული ან მოწყენა, ნეტარ, შენი რასა ჰგავსა ³“?
და მან მიუგო: „შორით მწველი არ ახლოთა უფრო სწავსა?“

245. „ვისცა გენახოს ამისებრ მჩაგრი ყვევლისა გვარისა,
შუქნი წაუხვამს მზისანი და მორჩილობენ მთვარისა,
ტანად ედემსა ნაზარდი ალვისა ნორჩი არისა,
და რამცალა ვჰკადრო ქებანი, მისთანა ან ვინ არისა?“

¹) მივცეთ. ²) მიგვარეთ. ³) გავსა.

– 36 –

246. ადგა, ჰელი ჰელს მოჰკიდა, შეიყარნეს მზე და მთვარე,
უთხრა: „თვალთა სინათლეო, ტახტსა ზედა გარდიარე,
შუქთა თვალნი ვერ შეუვლენ, ღრუბელს აგრეც მიაზარე,
და ციმციმი და შავთა ჯარი ნუ იბძვიან, დააწყნარე ¹“.

247. „ნეტარ ესე სიზმარია, ანუ ცხადად მჩვენებია,
ჩემსა სახლსა მზე მოსულა, ვარსკვლავები ჰმონებია ²,
ღმერთსა უნდა მადლი ვჰკადროთ, საქმე მამცა მე ნებია,
და ყვევლთათვინ ტკბილად მხედსა მოვახმაროთ ენებია“.

248. მადლი მართებს მოწყალესა, რომ შემყარა ჩემსა მზესა,
თვალთ უკუნი შენაყრილი უკუ ჰყარა, ვითა მზესა,
გულო, შენცა ნულარ ბნდები, დეეთხოვე ³ აწ ღამესა,
და შორ, სევდანო, თქვენც გამრიდეთ, ვისგან მახლდით, მისსა მზესა!

249. „თვალნო, უკუნი შეგქნოდათ აწ უნათლესი დღისაო,
გარ დაღვრა ვერას დაგაკლებს, შუქნი გაშრობენ მზისაო,
გულო, შენც სევდით იცალე, დრო არის უკუყრისაო,
და აწე ჩვენ გვმართებს მაზედა ქნა ყვევლთვინ ყამნაზისაო“.

250. „ღმერთსა მადლი, რომე მიხვდი, შავო გულო, საწადელსა,
ინდოთ ჯარნო, მოისვენეთ, ღრუბლით ნუ იქთ აწე ბნელსა,
ამისთანას ვინლა ჰნახავს ⁴ ბაზარშიგა სავაჭრელსა?
და თავო, ჰკადრე დიდი მადლი, ვინც შეგყარა საყვარელსა“.

251. „მამკალ, თუ ვინმე ჩემს უფრო მხიარულია დღესაო,
ქვისა და ჭიქის სანაცლოდ შევჰყრივარ, ჩემსა მზესაო,
თემ-ქვეყნად მეტსა ტურფასა და ჩემსა ჰელმწიფესაო,
და თუ ღმერთმა ამას შემყარა, რას ვაქნევ საჭურჭლესაო?“

16. აქა კითხვით იოსებისაგან თავის ჭირთ თქმა და ზილიხას გულთ-შე-
მოყრილობა გუნება შეტყობით და დღე ერთ გამოსვლა.

252. იოსებ გვერცა დაისვა, ჰკითხევდა მისსა ამბავსა,
უბრძანა: „ვისი შვილი ხარ, ანუ ვინ ჰყიდდა შენს თავსა?“
ქალსა ყველასა უამბობსმისის – მისის საცმილით დასწავსა.
და რა მოისმინა ზილიხამ, უბრძანა მისსა გამზდავსა.

1) დაწყნარე. 2) მონებია. 3) დეთხოვე. 4) ნახავს.

– 37 –

253. უბრძანა: „მაშინ მე რომე ხედვით სატანას წეველი,
სიტყვასა ველარ ვაგებდი, ყვევლითა ღონეს მოვედი,
ანგარიში ქენ: ეს ისი, თუ ამ საქმესა არ ველი?“
და დათვალა, ჰკადრა: „პატრონო, იმ დღესა, თურე, წაელი“.

254. რა იასობ მას უამბო საქმე თავსა გარდასული,
ის დღე იყო, გარდათვალეს, ზილიხას რომ ჰკლევდა წყლული,
ასრე უნდა, ზაალ ხელო ¹, ერთმან ერთის სიყვარული.
და სადიდამა სად ანიშნა, ნახე, როგორ დასწვა გული?

255. უყურეთ ღმერთის ბრძანებას და მათსა საყვარლობასა!
ქანაანს უსუფ ² გასაჯეს, მისრეც ზილიხას გრძნობასა,
იქ მისის განარჯილობით, აქ ქალის დანატყობასა,
და მასა რამცალა ეძრახვის, ასრე მიჭდილსა ცნობასა?

256. გაიგონეთ ეს ამბავი, სასმენელად საკურველი:
ოდეს უსუფს უღალატეს, საქმე უყვეს ძმებმა ძნელი,
აქ ზილიხა შეიცვალა და შეიქნა ხელთა ხელი,
და ვერცა დგის და ვერცა იჯდის, მოსდიოდა ცრემლი ცხელი.

257. სარჯლისა ბადე ირჯების, სისხლი სდის თვალთა დენითა.
ჰკითხევდენ: „რა გჭირს, რა გიმძიმს, რად ზიხარ ასრე წყენითა?“
ლაწვთა ნაკვესი ჩამოსდის, სიტყვას ვერ აგებს ენითა,
და შვიდ დღემდი იყო ამ ყოფით, მერმე ცოტა რამ ლხენითა.

258. ხან პირქვე დაწვის, ხან გვერდზე, ვერ აემართის ფერჯია,
ათროთლებდის და კენესოდის, ვერა ჯდის ერთსა ნირზია,
უკრავად, დაუბღნეჯელად სისხლი ჩამოსდის პირზია,
და ესე ვის დამართებია სხვას მიჯნურებსა ჯმელზია!

259. ზილიხამ ყმასა უამბო საქმენი დასაგვანანი.

რა მოისმინა, გაკვირდა ³ შეექნა ⁴ მაზე ნანანი.

– „მე ვიცი ამა ამბვითა შემრჩების ღაწვთა ბანანი,
და ვად, რას ჭირშიგა გავები, დამვიწყდა ამას წინანი!

260. კვლა ეუბნების ზილიხა სიტყვითა ესოდენითა,
თუ როგორ ჭირნი ენახნეს, თუ როგორ ცრემლთა დენითა.
თავჩამოგდებით ქეშად ჯდა, აღარას უბნობს ენითა,
და არცა შახედის პირზია მჩაგრმა მზის შუქთა მფენითა.

¹) ასარე: უნდა: ზალ: ხელო: 2) უსუყ. ³) გაკვირდა. ⁴) შექნა.

– 38 –

17. აქა ბაზიყა რქმული ქალი იოსების გაგონებით მიჯნური.

261. უყურეთ ეტლთა ბრუნვასა, რისა საქმისა მქნელია,
მიჯნურობისა ცეცხლშიგა ჩავარდნა როგორ მნელია!
ბაზიყას ვინმე უამბო გასარჯო საკვირველია:
და – „მისრეთსა ყული იყიდა ზილიხამ საკურველია“.

262. „არვის უნახავს მისთანა, ამბვადაც არა სმენია,
ტომობა ვისი ეკადვრის, სალოცვად ხატი სვენია,
ქებითა მოუგვარუა, ვერ იტყვის კაცთა ენია,
და მისის პირისა მნახავი ღმერთს უკვდვად გაუჩენია“.

263. რა ბაზიყამ მოისმინა ქება მისი ეგრეული,
ფერი ქარვად შეიცვალა, ბროლ-ბალახჩად ნარეული,
მიჯნურობამ ჳელი სტაცა, ვერვინ ატყოს ჳკვა-რეული,
და იმედოვნობს: – „მამყიდიან, ელჩი ვგზავნო გვარეული!“

264. მამა არ ჳყვანდა მას ქალსა, არცოდენ დედა, მმებია,
საწელმწიფოში იგი ჯდა, ზდიდა მისივე ბებია,
რა უთხრეს მისი ქებანი, შეიქნა ხელთა მხლებია:
და – „მისრეთსა კაცი გავგზავნოთ, შევთვალოთ საქმეებია“.

18. აქა ბაზიყასაგან მოციქული ზილიხასთან და იოსების თხოვნა.

265. „მიწაცა თქვენი, ბაზიყა, წიგნსა ვსწერ ზილიხასთანა,
თქვენ ¹ რომე მოყმე ივაჭრეთ, მსმენია არ მაგისტანა,
მე მამცენ იგი უებრო, ჳელმწიფედ დავსვა სხვასთანა,
და სევდის ჳელითა ნუ მამკლავ, შემამრევ ცრემლისა დენა“.

266. „მე მოგცე, როგორც გევაჭროს, უფროსი ორი ზომანი,
მამცენ, ნულარა მატირებ, დამიწყოს ცრემლმა შრობანი, ²

მას აქათ რომე მსმენია, თვალთა მდის ცრემლთა ფონანი,
და მიგვჭირდა მიჯნურობითა, გვისმინე გასაგონანი".

267. რა კაცნი მისრეთს მივიდეს, ზილიხას ჰკადრეს ესია,
ბრძანა, თუ: „რა მოუჩმახავს? მეც არ მისთვინა ვკვნესია?“³
ყოვლის კაცისა მავნები არის სოფლისა წესია,
და ესე სხვათამცა ვის მივსცე, ჩემი სიცოცხლე ესია!“

1) თვქვენ. 2) შრომანი. 3) ვკვნესია.

– 39 –

19. აქა ზილიხასაგან ბაზიყას პასუხი ისმინეთ.

268. ქალმა მას ქალსა შესთვალა სიტყვა სიმჭევრით ნასია:
„შენ ამისთვისა ნუ სჭმუნავ, ნურცა გაცვია ფლასია,
სხვა ძე არა ჰყავს მეფესა საჯელმწიფოდა ხასია,
და ჟამად ჩემიცა კელთ ჰქონდა, შავს სოფელს სისხლით თასია.“

269. „ცუდად ნუ სჭმუნავ, ხათუნო, ესე რა მოსანდომია,
უთიოდ შენის თავისა ცუდი გარჯანი გნდომია,
ამის იმედი იწყვიტე, ცუდია მოსანდომია,
და ვინცაღა გიქეხს ამასა, შენი სიკვდილი სნდომია“.

270. „აწ, დაო, ამას დაეშვი, გითვლი მართალსა პირასა,
ცუდად ნუ სჭმუნავ ამისთვინ, ნურცა ვარდები ჭირასა,
სევდის კელითა ნუ აჭკნობ, ვარდო, ვარდულსა პირასა,
და ესეც არ იყოს, შეირთავ შენსა საფერსა მირასა“.

271. დაწერა წიგნი და მისცა იქით მოსულსა მონასა,
უბრძანა: „წადი, მიართვი უშლელსა ვარდის კონასა,
მართ გარდაწყვეტით იცოდეს, ნუ ელის ამის შონასა“.
და მუნით წასულმა მიმართა თავის პატრონის ხონასა.

272. მისვლითა ჰკადრა ამბავი, დია, რომ საწყინარია.
რა ცნა, თუ ვერ უშოვნია, გაჯდა ვითამცა მკვდარია,
გაშმაგდა იგი უებრო, ცნობა შეექნა ჩქარია,
და ყველაი მოაღებინა, რაც ჰქონდა სადებარია.

273. ბრძანა: „ან თავსა მოვიკლავ, ანუ შევირთავ იმასა,
უმისოდ რომ ცოცხალვიყო, რას ვაქნევ ჩემსა რჩომასა?
ასრე გამჯადა სურვილმა, იქიდან მაჩნევს წყრომასა,
და გული, გონება წამართვა, აღარც სულს ვატყობ დგომასა“.

274. მოსთქვამს მწარესა გულითა, იძახდის დია მჭახესა:
– „შავ ბედო, შენ უნახველად, რამან გაგაბა მახესა?
დაიტყევ, მისთა მქებელთა ის არვის დაასახესა ¹,
და ვინ დგების ჩემსა ცოდვაში, არ მამლევს ალვისა ხესა?“

¹) დასახესა

20. აქა ბაზიყასაგან გამართვა მისრს თავის რჩომით ზილიხასთან.

275. ბრძანა: „რაცა მყავს, მამისხით აქლემი და ცხენ-ჯორია“.
საჭურჭლენი გამოზიდნეს, დადგეს ზედაზედ გორია,
მუნადები დააძახა ¹: „მისრეთს მივალ, არ ჭორია“.
და დიდებულნი იკითხევდენ: „ნეტარ ესე ნამორია?“
276. თან წაიყვანა მან ქალმა სამასი ცხენოსანია,
„მე ვარ, მე ვარ“-ის მხსენები და დიდროვანი ხანნია ²,
მისრეთის გზაზე წავიდეს, იარეს დიდი ხანია,
და ქალაქსა მოეჯრებოდენ, დალივეს შორნი გზანია.
277. ქალაქსა არა შევიდა, დადგა სამის დღის სავალსა,
იქიდამ კაცი გაგზავნა, მეფეს უგზავნის მრავალსა
იავუნდსა და ფეროზსა ³, ლალ-მარგალიტსა მრავალსა:
და – „თხოვნა მაქვს საკურველისა, შორის გზით მე მომავალსა“.
278. მეფესა ჰკადრეს: „მოსულა, ბაზიყა ჰქვიან ქალსაო,
ურიცხვსა გამლევს ოქროსა, თვალ-მარგალიტსა, ლალსაო,
თქვენ რომე ყული ივაჭრეთ, მისი სურვილი ჰკლავსაო“.
და ბრძანა: „მე რომე ვითხოვე, რად არ ირთავდა ქმარსაო?“
279. ბრძანა: „თუ თეთრი მდომოდა, ყულსა ვიყიდდი არადო,
სითაცა მობრძანებულა, იქივ წაბძანდეს წყნარადო,
უთიოდ ამად მოსულა, გვეჩვენოს დაუმჭკნარადო,
და ჩვენს ჯარში თუ ვინმე უნდა, არა მშურს მისად ქმარადო“.
280. ადგა და საწოლს შევიდა, ზილიხას ეუბნებოდა:
„მე რომ ბაზიყა მეთხოვნა, მას თურე გაჰკვირვებოდა,
«როგორა, მე უთხოვნივარ!» – ჩემზედა თურე წყრებოდა,
და აწე აწივე, შენც გნახოს, ისი რომ არა მყვებოდა“.
281. რა ცნა ზილიხამ, მოსულა ბაზიყა შორის გზითაო,
მიმგებებელნი გაგზავნა ურიცხვის საჭმელითაო,
აბუჰაიათ და მანგი თავადთა ცოლებითაო:

და – „ქალაქად შემოიყვანეთ იგი მზე ციმციმითაო“.

282. აბუ-ჰაიათ, სხვანიცა თავადთა ჯალაბებია
ბაზიყას წინ მიეგებნეს, ნახეს მზის მოვანებია,
მიუძღვეს იქი საჯდომლად სასტუმრო-სასახლებია,
და გარდაცდენ იქი სასვენოდ ქალი და მისი ბებია.

1) დამახა. 2) ხანია. 3) გზანი: შორია:.

– 41 –

283. ზილიხასთან შემობრუნდენ ქალის წინა-მიმგებელი,
მოახსენეს: „ბაღს გარდაცდა მზისა შუქთა ამგდებელი,
რამცა გკადროთ მისი ქება, ან სიხშირით საგდებელი,
და სევდითა და მიჯნურობით დია არის თავ-მდებელი“.

284. ქალმა უთხრა: „მანგი, წადი, ალვას ჰკადრე ტანი აროს,
უკაცრაოდ ნუ დავრჩებით, ჩვენსა სახლსა მოიაროს,
მზემა ფუქცია შესაყრელად ციმციმითა თავი აროს,
და ინდოთ ჯარი შესაბმელად მოჰყვეს, თუმცა არ აწყნაროს“.

285. რა მოისმინა ბაზიყამ, ზილიხას დაუძახნია,
თქვა, თუ: „მას ვნახავ უცილოდ, ვისთვი მაქვს მე ვაგლახნია,
უცილოდ მამცემს აწ მასა, ვინ მაზედ გამოვსახნია,
და იგიცა ვნახო, აზიხსა როგორი შეუნახნია?“

286. გამოემართა ბაზიყა, ზილიხას სახლსა ეწვივა,
იგი მზე ტახტსა ზედა ჯდა, ადგა და გარდაიწვივა,
დარბაისელთა ჯალაბნი, ვინც იყო, ზემორ იწვიმა,
და ნადიმი წინ გაიშალა, მემუთრიბენი აწვივა.

287. ტახტზედა მჯდომსა ზილიხას მდარი ვინ მისცა კმელზეა!
ბაზიყა მუკლთა ეხვევის: „მიჩვენე იგი პირმზია!“
ბრძანა, თუ: „შემოიყვანეთ, ვის შუქი ადგა პირზია“.
და რა შემოვიდა ბაზიყა, ვერა ჯდა ერთსა ნირზია.

288. მან მზემა თავი შემოყო, კელთა სურაჰი ეჭირა,
გაჩათრულს რასმე ქუდზედა შალი ზე გარდაეჭირა,
ორთა ქიშვართა მამული ბრძოლითა მას დაეჭირა,
და ასრე შეყრილთა ინდოთგან ვინ დარჩეს, არ დაეჭირა?

289. იგი ყმა თუცა ფერჯზე დგა, ზილიხასთანა ჯდებოდა,
შვიდთა ქიშვართა მამულის მეფენი იჯოცებოდა,
იოსებც მასა ჰმსახურებს ¹, არ მონავარი დგებოდა,

და პატრონსა ვინმელა ჰგვანდა ², თვარ ყმავე ედარებოდა!

290. მან ქალმა, შორით მოსულმა, რა ნახნა მის ყმის სახენი,
თქვა, თუ: „შენთანა მენახოს, შენ მრისხვი, რანიც ვნახენი,
ანუ სხვას ვისმე გიგვანდეს, ტურფაო, ალვისა ხენი,
და დია, მწამს ვინცა გიქებდა, თუ გედგა ესე სახენი!“

¹) მსახურებს. ²) გვანდა.

– 42 –

291. ზილიხას მუჯლთა ეხვევის: – „შენ ხარ ამჰყრობი ჯელისა,
შენად წყალობად ჰკიდია ამ თვალთა ცრემლთა მღვრელისა, ¹
ნუ მამკლავ სევდის ჯელითა, წამალი მამცენ ხელისა,
და საჭურჭლეს მოგცემ ულევსა, თხოვნა მაქვ საკვირველისა“.

292. „აწ მამცენ იგი უებრო, ვინ ტანად ალვა ნორჩია,
ნუ თუ არ მოვკვდე ², შენითა წყალობით მეცა მოვრჩია.
თქვენ გადიდებდე ნიადაგ, არა ვქნა თქვენი ურჩია,
და ან მამკალ, ან დამარჩინე, ერთი ქენ ამა ორჩია!“

293. ტურფათ ჯელმწიფემ მიუგო ტურფასა სიტყვა რასები:
„მაშ ცუდად მამის ჯელ[ითა] არ იტყვი: «რატომ, რას ები»?
თუმც შენ ქებითა მამცდარხარ, მე სიზმრად მქონდა, ვახ-ვები,
და სანამდი მეცა მემოსნეს სევდის ჯელითა ფლასები?“

294. „არ იცი, მიჯნურობითა, დაო, რას ჭირში ჩავარდი,
როშნევან მეფის ასული მისრეთსა რადა მოვარდი,
ანუ როგორა ვირჯები ბულბულისაგან მე ვარდი?
და პატრონო, ცუდად გარჯილხარ, შენ თუ ამისთვი მოვარდი!“

295. „მიმართე თქვენსა მამულსა, სითაც მოსულხარ, შეიქეც,
შენ თუ სამეფო დააგდე ³, დია ავ გვარად მოიქეც,
ქებითა რამე მოლორდი, ანუ ქარვადა რად იქეც?
და მართ გარდაწყვეტით იცოდე, წადი, ჰკვიანად შეიქეც“.

296. „შენც მრისხვიხარ, თუ გმართებდა თქვენ ამისი ჩემად თხოვა,
რად არ გიკვირს როშნევნისგან, ქალი აზიზს მიათხოვა?
შენგან ქმარად ნაწუნები, სახლსა შიგა ჩემი ტყოვა?
და მე მენახა სიზმარშიგა საწადლისა აქა პოვა“.

297. თქვენც გსმენოდეს, თუ რაზომი მეფე იყო ჩემი მდომი!
ჩემთვის სადით სად მოვიდენ ინდონი და აბაშ-რომი?
მე ამ თემსა რად მოვარდი მამისაგან განაწყრომი?

და ნეტამცა, ვინ გაგაგონა, სარჯელი ვქენ ⁴ თუ რაზომი?

298. „მაქებელს რად დაუჯერე კელმწიფე იყავ სვიანი?
შენ გარჯა არა გმართებდა, თუმც ყოფილიყავ ჭკვიანი,
ვის ამარს ⁵ აგდე საჯდომი, მეფობა განგებიანი?
და აწ, თავმა შენმა, შებრუნდი, არამცა გეცეს ზიანი“.

¹⁾ მღრელისა. ²⁾ მოვკვდე. ³⁾ დაგდე. ⁴⁾ ვკქენ. ⁵⁾ სამარს.

– 43 –

299. „ღმერთი მყავს მოწმად, მეწყალვი, მაგრა მეც მისთვის ვხელდები,
ვითა სანთელი ვიწვები, აროდეს არა ვნელდები,
აწ გარდასწყვიტე იმედი, ამისთვის ნულარ ბნელდები,
და ამას ვერ მოგცემ, ჩემო დავ, ამითა გაგიძვირდები“.
300. „შენი არავინ შეიტყოს, თუ ამ ცეცხლითა იდები,
სხვა კელმწიფეთა ესე ცნან, მოსულხარ ამად, მედები,
ესე არა სჯობს, ხათუნო, ანთებულს ცეცხლსა მედები?
და შებრუნდი, ჩვენ დავითვისნეთ: მდობიხარ, მეცა გედები!“
301. რა მოისმინა მან ქალმა, ადგა, გარიდა კარშია,
თვისსა სადგომსა მივიდა ათრთოლებს, ვერხს ვით ქარშია,
რაც რამ ებადა, გაზიდა ყველაი მან ბაზარშია,
და უკვირდა, ვინცა ნახვიდა: „გალება მინდორს რაშია?“

21. აქა ბაზიყასაგან გააბდლება, საბატონოს დაგდება, საქონლის გარდაგება.

302. მეედანშიგა ¹ ყიოდა: „ბაზიყა მქვიან ამ ქალსა,
იოსებს თავს შემოვავლებ ამ საქონელსა, ლარ-თვალსა,
ვისცა ღმერთი გწამს, აიღეთ, გეტყვი მართალსა ყოველსა,
და ამას ყველასა სხვას მისვცემ, თავსა დავირქვამ აბდალსა“.
303. მუნადი ყივის ბაზარში: „უყურეთ ნაბუქარსაო!“
მოედანშიგა ნაყარსა ყველა ხვეტდიან ლარსაო,
თავის მხლებელთა უბრძანა ²: „მიმართეთ თქვენსა გვარსაო,
და ჩემიც ყველასა უამბეთ დარბაისელთა ჯარსაო“.
304. „თუ ჩემსა რასმე იკითხვენ, თავი მოვიკალ ნებითა,
სამეფო მივეც ფეშანგსა, ყველაი მას ესევდითა,
მორჩსა უშურვოდ მისცემდეთ და ურჩსა მოცაჰკლევდითა,
და ობოლ-ქვრივს ბევრსა მისცემდეთ, ყველასა დაჰკაზმევდითა!“

305. ვერ გაძლებს ³ ვერა მიჯნური სევდისა არ დაჩენასა,
მოველი, ლექსთა მკითხველნო, თქვენგან ამისა სმენასა,
შეაშთობს, კიდევ შეარცხვენს, არ უზამს თუცა ლხენასა,
და რაზომ გაძლებას ეცადოს, გული არა იქს სმენასა“.

¹⁾ მედანშიგა ²⁾ უბძანა. ³⁾ გასძლებს.

– 44 –

306. რა ბაზიყას დაემართა ესე საქმე არ ნანახი,
თუ რამ ჰქონდა, გარდააგო პაპათ-მამათ შენანახი,
ვინცა ნახა, ამას ჰძრახავს ¹, საქმე ქნაო არ ნანახი,
და რაზე შეცდა ², რომ შემოსნა სტავრებითა მონა-გლახი?

307. „ვინ გაუკეთა“ – მოსთქვემდა – „მაგ პირსა შენაქნილობა?
ვინ მისცა ტბასა გარეშე ინდოთა შემოყრილობა?
ვინა ქნა მარგალიტთ წყობა ³, მაზედა ლალთა ცილობა?
[და] ვინ მისცა შაქარს მაგდენი პირშია. ნეტარ, ტკბილობა?“

308. რომელს მხატვარსა ⁴ უხატავს, თვალო, პირისა არენი?
რომელს მებადეს მოუცავს გიშრითა ჰავაზთ გარენი?
რომელს მარწყველსა მოურწყავს, ტურფაო, ალვის არენი?
[და] რომელს უჩაგრავს პირისა ციმციმით მზე და მთვარენი?“

309. „სად უსწავლია, ნეტარ მე, ასეთი რება საროსა?
სად განაზდილა ეგრე რა, მზემ ვარდი არ ამჰკნაროსა? ⁵
სად გაგონილა, ენამა შაქარი გაამწაროსა?
[და] სად გაველმწიფდა ასრე ტბა, რომ არვინ არ აწყნაროსა?“

310. „შენმცა მრისხვი, თუ მენახოს შენისთანა სხვა ნაბადი,
შენმცა მრისხვი, დავიდრახო შენთვის გაჭრა ანაბადი,
შენმცა მრისხვი, თავს სარჯელი, ტანს უშურო ა ნაბადი,
[და] შენმცა მრისხვი, არ ვეწყალო, ვინმცა მნახოს მე ნაბადი“.

311. „მამკალ, თუ ვისმე ენახოს ჩემებრი სხვა საწყალები,
მამკალ, თუ ვისმე სდენოდეს ჩემს უფრო თვალთა წყალები,
მამკალ, ცოცხალმა შევიშრო ვარდზედა სისხლ-რე წყალები,
[და] მამკალ, რა ვისდა გეწყალვი ღვთისაგან შეუწყალები!“

312. „მაჯნუნის მსგავსად დავიწყებ კარ და-კარ დაყუდებასა,
ტარიელს დავესახები, ველსა ვიქ ხშირად ბნედასა,
ავთანდილსავით ვარსკვლავთა უამბობ ჩემსა სევდასა,
და ტანსა ცხვრის ტყავსა დავიკრავ, თავსა დავირქვამ დედასა!“

313. „ჯიმშითის მგზავსად გავიჭვრი, ნადირთა შევენახები,
ხოსროსვით ხვეწნას დავიწყებ, შირინსა არ ვეწყალები,
თავსა ამაზე წავაგებ, არა ვჰთქვა: «მამას რას ვები»,
და სისხლსა წერაქვზე გარდვასხამ, ფარჰადსა დავესახები“.

1) ძრახავს. 2) შესცდა. 3) ვინ:. ქანა:. მარგალიტო:. წაყოზა:. 4) მახატვართა
5) აჰკნაროსა.

– 45 –

314. თავსა და ტანსა სამოსი ყველაი გარდეხვია ¹,
სტავრა-ნაქსოვის ალაგად ნაზადი შემოიხვია,
ზურგზედა ტყავი დაიკრა, თავს არაფერი იხვია,
და წელთა ქეშკული შეიბა, მაზედა თოკი იხვია.

315. „სევდა მწვავს, სევდა მაბრუნებს, სევდასა ასრე ჩავარდი,
აწ რაღას ვაქნევ სოფელსა, წაველ და ველად გავარდი,
ვამ, სამოთხისა მომლოდნე, აწ ჯოჯოხეთსა ჩავარდი,
და ლალი, ბროლი და აყიყი ქარვისა ფერად დავარდი!“

316. სოფელი ასრე მოსძულდა, საჭირო სახლი აიგო,
ნავლისა კარი შეაბა, ქვეშ ნაცარ-მტვერი დაიგო,
კელმწიფობისა სანაცლოდ, უყურეთ, თუ რა მოიგო!
და გული-გონება წართმული, ვაჰ, წაჰდა, სული წაიგო!

317. მას სახლსა მეტად ბნელესა კარიცა ამოუგლისა,
დაჯდა მაშიგა საბნელოდ, კარშიგაც არა ვლიდისა,
კაცსაცა აღარ უჩვენის, ჰქონდის ხალისი მალვისა,
და ტირილითა და ყვირილით ვინც მიდგის, შეეწყალისა ².

318. ზილიხამა გაუჩინა იოსების კელით ჯირა,
მიუტანის, და ანახვის ³ სარკმლიდამა ვარდის პირა,
მას საწყალსა მისის ნახვით მოემატოს უფრო ჭირა,
და გამოართვის, ვერა ჭამის, სევდას ასრე დაეჭირა.

319. მის ქალისა გვერც მხლებელსა ზილიხავე ინახვიდა,
ბებერასა ქალისასა წვევითაცა მრავლ ნახვიდა,
მანგის ხშირ-ხშირ ქალთან გზავნის და მოსვლასა შეუთვლვიდა,
და არც მოვიდის სანახავად, რა მივიდის, არც ნახვიდა.

320. მან ქალმა გამმაგებულმა დაყვნა ცოტანი ხანანი,
ზაფრანის ფერად შეცვალა ⁴ ვარდისა მგზავსნი გვანანი,
ველარ გაუძლო სევდასა, შეიქნა ჭირთა ნანანი,
და უყო არავის დამ-დობამ მისნივე შესაგვანანი!

22. აქა მუხთალის სოფლისაგან გაუხარებლის ბაზიყას სიკვდილი.

321. რა სარჯელს ვედარ გაუძლო მან მზისა მექიშპარემა,
ამარტის ფერსა დასჯერდა, პირს გარდაიკრა მთვარემა,
უყურეთ სოფლის წყენასა, ტკბილსა აჯობა მწარემა,
[და] გარდაცდა მისი სიცოცხლე, მიწასა მიაბარემა!
322. რა მეტის-მეტი მისჭირდა და სულიც ეთხოვებოდა,
ვედარ გაუძლო სევდასა, წავიდა, წაცაქდებოდა,
იოსებისა სანაცლოდ სამარე ემოყვრებოდა,
და წლამდი ამ ყოფით იცოცხლა და მერმე მოცაკვებოდა.
323. რა მოისმინა ზილიხამ, ბაზიყა შეიცვალაო,
მწარეს ცრემლითა ატირდა, ცოცხალივ შეიცვალაო:
– „ამ სოფელს კაი ვერ ნახა, იოსებს ენაცვალაო,
და მისი შემყრელი, ნეტარ მე, ვინ არა შეიცვალაო?“
324. ზილიხას თვალნი ნიადაგ ცხელის ცრემლისა მღვრელია.
თქვა, თუ: „მეც ვიცი, ბოლო ჟამს იოსებ ჩემიც მკვლელია,
ვამ, ახლოს ყოფავ ასეთო, შორს ყოფა ისრე მნელია,
და შავ გულო, სოფლის ჯელითა შენ უარესსა ელია“.
325. მანგი გაგზავნა ზილიხამ ბაზიყას დასამარხველად.
– „ნეტარძი, მისთა სიკვდილთა: უსუფ ჰყავს სისხლთა მაზღველად,
არ მიჯობს ამის ჭვრეტასა, რომე გავარდე მე ველად,
და ან მოვკვდე ¹, ან დავიკარგო, არ ვიყო ცრემლთა ფრქვეველად ²“
326. ჰაიათ, მანგი მივიდეს ბაზიყას ასაღებელად,
დარბაისელთა ჯალაზნი სატირლად, კუბოს მხლებელად,
ქალი მეფემა არ უშვა, თვით მოსულიყო მდებელად,
და მუაბა გამოუგზავნა ტურფისა ჩასადებელად.
327. ჯელოანები გაგზავნეს მას წამ გუმბაზის მგებელად.
– „საფლავზე კაცი აყენეთ შვიდ წლამდი გლახათ მმლეველად,
დულარდუხს გული დაუდვათ, ნუ არის ცრემლთა ფრქვეველად ³,
და სენაგიც იქიც აუგონ, სოფელს მე მივცემ მრჩენელად“.

¹) ან მოვკვდე. ²) ფარქველად. ³) ფარქელად.

328. ქალმა ქალის სულისათვის სრულ დამოსა უქონელი, ორმოცობდა საკიდვარი, მისთვის გაცა საკიდველი, მისთა მხლებთა საბრალოთა ტანსა იცვეს დია ბნელი, და დაიფანტნეს ხან გამოსვლით, ველარა ძლეს მათ სიძნელი.
329. დულარდუხ, მისი ბებია, მნახავთა ეწყალებოდა, პირზედა სისხლი ჩამოსდის, ცოცხალა, არცა კვდებოდა, ვით კელაპტარი ნანთები, წვისაგან ჩამოდნებოდა, და მდგომთ მის ქალისა საფლავზე ტირილი არ აკლდებოდა.
330. მისა საფლავზე შემდგარი დასჭიჭინებდის, ტიროდის, მოსდის უშრომნი წყარონი, ვარდის ბაღს ღვართ ავსებდის, ჩამოაქვს გიშრისა ჯარი, გაჰყრიდის, დაცაავსებდის, და მის ტურფის ქალის მგონები თავს ამ ყოფასა აძლევდის.
331. მოსთქვამს: „ვაჲ, წაჲდა ალვის ხე და მისნი რხევით რებანი, ლალშიგა გამოჰვირვითა მარგალიტისა წყებანი, თვალი და წარბი მშვეწვარო, პირისა მოვანებანი, და სიტურფე, სინაზუქენი, სიალვით მზისა ვნებანი!“
332. ჰეი-ჰაი, რადღ ანათობ, რად არ იქცევი ზეცაო, ანუ სადა ხარ სიკვდილო, რომე არ მამკლავ მეცაო?“ სისხლი ჩამოსდის მკერდამდი, ფერკს ვერ დგა, ფერი ექცაო, და ველარც მან გაძლო ¹ სოფლისგან, წაიქცა, დაცაეცაო.
333. მისნი მხლებელნი ვინც იყვნენ, დაიფანტნენ და წავიდნენ, ვისცა ვისთანა ² ერჩივნა, დარბაისელთან მივიდენ, ზოგნი ეკვდრადვე ³ დაადგენ, ამ სოფლისაგან გავიდენ, და გარდაწყდა ⁴ მათი ამბავი, ბოლო ჟამს ასრე წავიდენ.

23. აქა იოსებისგან შეუხედლობით ზილიხას რჯა ისმინეთ.

334. აწ ზილიხასი ისმინეთ, თუ როგორ ჩამოდნებოდა. ლალსა და ბროლსა ნათხეზზე ქარვა-ამარტი ჰყვებოდა, მიწურვილიყო სევდითა, ხშირ-ხშირად დაცაბნდებოდა, და ვარდისა ბაღსა სურნელად ყვავილი წაუხდებოდა.

¹) გაძლო. ²) ა ნ: ვისაც ვისთანა (დედანშია: ვისაცა ვისთანა). ³) ეკვდვადვე.

⁴) გარდასწყდა.

335. სხვა საქმე აღარა ჰქონდა, ჰკაზმევდის ნიადაგ გულსა, რაც უფრო კარგა მოუტდის, ჩააცვის ვისგან დაგულსა, მისის ჰვრეტით და სურვილით არ სცდების მას დანა გულსა,

და ეტყოდის თავსა: „მე ვხედავ შენთვისა აქ მოქარგულსა“.

336. დღეში ასჯერა გაჰყადის და ასჯერ ¹ ტანსა აცვისა,
ვით ხატსა კარგნი ბუდენი, ზედა-ზედ გარდააცვისა,
რა ნახის მან მოკაზმული, უფროვე ცეცხლმა დაწვისა,
და მან ყმამა არა შეხედის, სიტყვა უბრძანის არვისა.
337. რა მოყმე წვის, ქალს ეჭირის სასანთლები თვითო ჯელსა,
უჯდის თავით გაუწყვეტლად, რა ეძრახვის ასრე ხელსა?
მიეპარის, ვითა ქურდი, მოეხვივის ² ფერჯსა, ჯელსა,
და მერმე თავსა უძრახვიდა: „რად აღვიძებ საყვარელსა!“
338. რახანც ადგის, ჩააცვემდის ³ უკეთესთა საროს ტანსა,
ღიბეებსა ძვირფასისას, ჩინეთითა მონატანსა,
მოეხვივის ალვის ხესა სანაცლომცა მონა ტანსა,
და ეტყოდის, თუ: „რად გვიმალავ შუქსა, მზისგან წანატანსა“.
339. რა უთხრის, რა უსაყვარლის, რა სიტყვით ჰკადროს მკობანი!
ან სამსახური ვითა ვთქვა, ან სიამოვნით ყმობანი,
მაგრა ვერათა დაჰყარის მას საუბრისა თხრობანი,
და ამისთვის იჯდის მტირალი, წინ ედგის ცრემლთა გობანი.
340. გვერც უჯდის მისი გამზდელი, ეტყოდის: „სული დაიღე,
ანუ რად ავსებ მაგ ბაღსა, ნუ სტირი თავი აიღე,
ქარვა, ამარტი გაყარე, ლალ-ბროლი ისევ მოიღე,
და ასრე მოქრუშვით ნუ ზიხარ, მზისა სინათლე წაიღე“.
341. მან უთხრა: „ჩემო გამზდელი, არ იცი, როგორ ვიწვები,
იგი ყმა არა მამხედავს, როგორ არ ვსეტყო დაწვები ⁴?
თუ არ უნდოდი იმასა, სიზმრის ჯელითა რას ვები?
და მამატყვევა და დამკარგა, სიკვდილი მმართვეს ⁵, არ ვკვდები ⁶“.

1) დასჯერ. 2) მეხვივის. 3) ჩააცვემდის. 4) დაწვები. 5) მართვეს. 6) ვკვდები.

342. მანგიმ ჰკადრა: „რასა ბრძანებ, ეს სიტყვა რა ვარგულია!
მადლი გმართვეს მოწყალისა, ჯელთ მოგცა შენა მრგელია,
თქვენც იცით, არა იხარებს უნედლოდ ალვა რგულია,
და ან ურჯელად ვისმც ეშოვნოს, რაც კარგი, სავარგულია?“
343. – „არ იცი, მანგი, იმისთვის, თუ რას ჭირშიგა გავები,
ანუ რა რჯანი მიჩვენა, ანუ როგორა დავები?
დედის და მამის გაყრითა ან გარდვიკადე რა ვები,

და ამ სოფლის ლხინის სანაცვლოდ, ასე ნაველში ჩავები!“

344. მანგიმ ჰკადრა: – „მაშინ მართებს კაცსა ჰკვანი, რა მისჭირდეს, მაგრა შენ რომ არ შეგხედოს, ყმისგან როგორ არ მიკვირდეს?“
ქალმა უთხრა: – „ყმასა ჰკითხე, რად არ უნდი, რაცა მჭირდეს?
და თუ მნახვიდეს, ესე ითქმის, უნახავად რას გიკვირდეს?“

24. აქა მანგის შედგომა და იოსების ვერ ცდენა.

345. მანგიმ რა ცნა, ზილიხასი კუმთობას არ აქვს არ ცნება,
გამოვიდა იოსებთან, ამ ამბავსა ეუბნება:
– „შენცა იცი, პატრონისა ურჩი არა არ იქნება?
და აწ რაც გითხრას, მოისმინე, შენთვის ავი არ იქნება“.

346. „პატრონისა სამსახურსა ყმამცა ვითა დაერიდოს?
პატრონისა საწადელსა მონა ღირსა შეერიდოს ¹?
პატრონისა შეხედვასა ვინ ეღირსოს, რომ ერიდოს,
[და] პატრონისა საწყინარსა ვინ ცრუვია, არ ერიდოს!

347. „ზილიხასთანა პატრონი ჰყვანდეს, ნეტარმე, მონასა,
როგორა გაძლოს, არ სჭვრიტოს უშლელსა ვარდის კონასა?
მზისა და მთვარის ციმციმსა იქმოდეს არ მოწონასა,
და მას ვინცა არა ჩამოჰყვეს, ქვეყნის ტურფ[ათა] ² წონასა“!

348. „აწ მისმინე, მართლად გეტყვი ამ საქმესა, არა ჭორსა:
ნუ ამწარებ შენს პატრონსა, ნურც უდგები ასრე შორსა,
რახანც მიდგე სამსახურად, შეხედვიდე მზისა სწორსა,
და ან მოკალ და ან აცოცხლე, ერთი უყავ ამა ორსა“.

¹) ტექსტში მთელი სტრიქონი ასე იკითხება: პატრონისა:.. საწადელსა:.. მონდა:.. ღირსა:..
შერიდოს:.. ჩვენთვის ეს ადგილი გაუგებარია.

²) სიტყვის დაბოლოება ამოფხეკილია. ვინაიდან ამ ადგილას რაღაც დასხმულა, ნაშთი
ვამსზავსეთ „ათა“-ს.

349. „ზილიხა იყოს მზის მდომი, მგონ იგიც ჩამოიჭრების,
ზღვათ ნიანგს დართოს თუმც ნება, მუნიდამ გამოიჭრების,
ფრინველთ მოფრინავს უბრძანოს, გალიად შამოიჭრების,
და მისის ლახვრითა კელმწიფე შვიდნი ქიშვარნი იჭრების“.

350. „შენის სევდითა ზილიხას არ ახლა ცეცხლი სდებია,
თორმეტის წლისა ვერ იყო, მას აქეთ მასრე გზებია,
მამისა სახლსა ამაყსა სიზმრადა შენ გიგზნებია,
და სხვაც ბევრი შენის კელითა თავს საყვედური სდებია“.

351. „ვითა შემცოდე, სანამდი მამის კელითა ებისა,
დღისით და ღამით ტიროდა, არ სჭირდის თავის ნებისა,
რა შენ სიზმრადა უნახვი, მას აქათ ასე ბნდებისა,
და გებრძანა: «მისრეთს მამნახე, შეყრანი იქ იქნებისა».
352. „აწ ესე გკადრო, სხვა რა ქნა ქალმა, ამ შავმა, დაგულმა:
შვიდთა მეფეთა ითხოვეს, არ ალვა ნება დარგულმა,
სხვაც ბევრი ნახა სარჯელი, შენთვინ აქ გარმოკარგულმა,
და დედა და მამა იწყრომა, ვითა მხლებელმა ორგულმა“.
353. „უნდოდა თავი მოეკლა, უცხო მოვიდა ფრინველი,
მან უთხრა ესე ამბავი: «მისრეც მოვალო ¹, თუ მელი,
ნუ ჰკვდები სევდის კელითა ², შენი შენკევე მოველი»,
და აწ ასრე აქცევ, რაღა ქნას, დღის ლევის არის მთხოველი“.
354. რა იქნების, დაიჯერო სიტყვა მისი ნაუბარი,
შენცა ნახო იგი პირ-მზე, შენზე ტკბილად მოუბარი?
შენსა შენვე უპატრონე, ვარდი დაგხვდეს უფურმჭუნარი,
და შეიყარნეთ სასურველნი, ვაზრობ ცუდან ანაბარი“.
355. რა უსუფს ესმა მანგისგან სიტყვანი ამას წინანი,
თვალიდამ ცრემლი გარდუშვა, გარეცხა მითა მინანი,
უბრძანა: – „ღმერთი მემოწმის, მეც უმისობას ვინანი,
და მაგრა ჩემგნითა არა ჯამს ³ პატრონის ასე ვქენანი“.
356. „მე მისგან თეთრით ნასყიდმა, როგორ ვქნა ⁴ საქმე ესია,
ანუ ღმერთს როგორ უტყუვო, ქვეყნად ვქნა არ ნაწესია,
მეორედ მოსვლას ვერიო წარმეტყველებში მე სია ⁵,
და რაზომც იწვების, სხვასაც სწვავს, კიდევ ძლებს განა კვესია“?

¹) მოვალე. ²) ანუ: სევდისა კელით; დედანში: სევადის კელით. ³) ჰჯამს. ⁴) ვჰქნა.

⁵) მე ესია.

357. „აწ მე გავძლებ, სანობამდი შემიდლიან გაძლებანი,
უსიკვდილოდ არვის ძალუც, არმად დავრთო მე ნებანი,
შვილად დამზდის მისრთა მეფე, შემიდლიან მის ვნებანი?
და რად არა სწრთვნი, თავ მაგიერ, დაიჭიროს მან ცნებანი“?
358. „თუ ღმერთს უნდა ჩვენი შეყრა, ჩემთვის ქალის დანებება,
ბოლოდ მოგვეცემს საწადელსა, არად უნდა ამას გრძნება,
თვარე ასრე არშიკობით, ღმერთმან ნუ ყოს, დავრთო ნება,
და კაცი ლხინსა ვერ მოიძვის, არ ქნას თუმცა ჭირთა ძლება“.

359. რა ეს მანგიმ მოისმინა, ადბა, უთხრა ზილიხანსა
 იოსების ნაუბარი გაასინჯვა მზისა გვანსა;
 იგი ფიცხლა აუტირდა, ცხელი ცრემლი ვარდსა ჰბანსა ¹,
 და ლაწვი სრულად დაეგლიჯა წამწამს მუნით მონატანსა.
360. მანგიმ უთხრა: „ნუღარ სტირი, ადე, შენცა შეეხვეწე ²,
 თვარე ასრე ტირილითა რა გერგების, არ ეხვეწე,
 ზეციერნი დააფიცენ ³: «საბრალო ვარ, შემიხვეწე,
 და ანუ ესე დამიჯერე, ან ნუ დგებარ, გარდიხვეწე».
361. ქალმა დიდნი დაიძახა: „რა მექნების, ნეტარ, მია?
 ვამ, მამძულდა ეს სოფელი, სიცოხლესა ვიარმია,
 როგორ უთხრა მას მოყმესა სააუგო ⁴ ეს საქმია“?
 და მანგიმ დიდნი შეუძახნა: – „მაშ – მოძმედ [და] ეწამია“!
362. კვლავე გამდელსა შესტირა: – „ვერა ვიქ მაგის თხრობასა,
 მაჯერე ამავე ტირილსა და მუდამ ვაგლახობასა,
 არამცგულს რამე შევაკლო, მე ვიქ უფროვე ვნებასა“.
 და მანგიმ შესძახა: – „ნუ უბნობ, მოველი შებრალეზასა“.
363. რა გამდელი არ მოეშვა, ქალი ადგა, ეტყვის ყმასა:
 – „ნეტარ, ღმერთი რად არა გწამს, რომ გამყარე დედ-მამასა?
 რად მომიტყმე: «მისრეც მოდი», მიჯერებდი თვარ ამასა,
 და არ გინდოდი, რად ვედრებდი ფრინველს ჩემსა მორჩენასა“?
364. შენს გარდამკიდე შავ-გული აღარას ელის ლხენასა,
 ტირილითა და ყვირილით ძალი არ შემრჩა ენასა,
 დღისით და ღამით ვიწვები, არა ვეჭვ შენგან სმენასა,
 და აგრეცა მამცენ ეზომი წყალობა, მიმეც სენასა“.

¹) ბანსა. ²) შეხვეწე. ³) დაფიცენ. ⁴) საუგო.

365. „გული სავესე მაქვს სევდითა, გონებაც მაზე ჰკიდია,
 სული კბილითა მიჭირავს, ძალი არა მაქვს მე დია,
 თვალთა ცრემლსა ნადენსა ვეღარა უდგამს კიდია,
 და წაუხვამს, დაუქცევია, შუვა მორევში ჰყრიდია“.
366. „შენც ხედავ ჩემსა ყოფასა, თუ როგორა ვარ ცოცხალი,
 შიგან ცრემლისა მორევში გიშერი ყრია ¹ მაშვრალი,
 რაზომცა მიხდა არ ჩენა, გაძლების მამცა ვინ ძალი,
 და ვისცა სმენია მოყმისგან, ესაჯოს ასრე სხვა ქალი“?

367. რა ეს ესმა იოსებსა, ცხელი ცრემლი გარმოღვარა,
ზილიხაცა შეეხვეწა ², ვერათ ვერა დააწყენარა,
თავსა უთხრა: „მას რად აწყენ, წყენა შენი არა კმარა,
და ეს არ იცი, მისმა ცრემლმა შენვე უფრო აგაჩქარა“?
368. „სასწაულია შენგნითა, სისხლსა სწვავს რომე წყალები,
ნუ სტირი, მე უფრო დამწვი“ – მოსწმიდა საწლით თვალები,
უბრძანა: – „როგორ ნუ ვტირი ³, ობოლი არ გებრალევი,
და ამას თუ მეფე შაიტყოფს, მამკლავს და არ ვეწყალები“.
369. „ამად მაქვს ესე ტირილი და დიდი გასატკივარი,
შენგნითა ჩემზე ესეთი მიჯნურობანი ნუ არი,
ვერა ვიქ მაგა საქმესა, თუცა არ მართებს უარი,
და ჩვენ ერთმან-ერთსა მივხვდებით, რაც ბრძანე, ეგრე თუ არი“.
370. „როგორცა ძმებმა დამკარგეს მამისა სიყვარულითა,
ჩამაგდეს ჭასა სარჩობლად ცემითა დანაწყლულითა,
მერმე ვაჭართა მიმყიდეს, საქმე ქნეს არა რჯულითა,
და აწ ვიცი, უარეს მიზამ მაგ საქციელით ცრულითა“.
371. „მართლად იტყვი, მიჯნურობა გჭირან, არის თუცა ძნელი,
მაგრა ღმერთსა შენთვინ მოუც გასაძლებლად ცრემლი ცხელი,
აზიზც ამად შემოგყარა, შენზე არის თუცა ნელი,
და სანობამდი ღმერთმა მოგცეს, მოიჭირვე საწადელი“.
372. ქალმა უთხრა: „ – ჰე, მოყმეო, მართალია, რაცა სთქვენი,
შამოხედვით რა იქნების, პირი თქვენი ჩვენც გვიჩვენე?
სხვას არასა არ გენუკვი, ჩემზე იყავ სიტყვა ღრძენი,
და რად არ აღმა აიხედავ, მოგიხრია ალვის ხენი“?

1) ჰყრია. 2) შეხვეწა. 3) ნუ ვსტირი.

373. „აღარ გეტყვი, მიჯნური ვარ, ან მინახავს მე სიზმარი,
მაგრა შენის ბრძანებითა არ შევირთე მისრეთს ქმარი?
თვარე აწმცა გარდამწყდარვართ, მიწაშიგა ვძევარ მკვდარი,
და რადგან მაშინ მამარჩინე, აწე რატომ არ მაწყენარი“?
374. „აწ შემოგევლე მე თავსა, შენთვინა მოვკვდე ¹ აწა მე,
ცეცხლი მწვავს, წყალი ვერა მშრეტს, შენ ასე რითა მაწამე?
რად მამიძახენ ინდონი, რა მაქვან, რა შემაწამე?
და აწ გაგეცლები, გაგსაჯე და საუბრითა გაწამე“.

375. პასუხი მისცა იოსებ: – „ყმა ვარ, ყმობას დამაჯერე, თქვენვე მიხვდით, რაღა გკადრო, საუბრითა შამაჯერე, გაძლება სჯობს არ გაძლებას, ბრძენთა სიტყვა დაიჯერე“.
და ქალი ადგა, მანგის უთხრა: – „ვერათ ვერა შევიჯერე“.
376. ზილიხა უსუფის მგონე უფრო და უფრო ცხელდების, ვითა სანთელი, უწყვეტლად იწვის და არა ნელდების, ღამითა ძილი არ ძინავს, ელის, როს გაუთენდების.,
და სისხლი და ცრემლი ჩამოსდის, არ სწყდების, მითა ხელდების.
377. სადაც მარტო დაინახის, დაუჭერდის კელით ჯელსა, არ იცოდა, რას იქმოდა, მოეხვივის ხან-ხან ყელსა, იგი პირსა არიდებდა, შეიქმოდა უფრო ხელსა,
და – „სიტყვას ჯერვარ, შახედვასა რადღა მადენ ცრემლსა ცხელსა“?
378. რაცა დღენი გაუგია ღმერთსა, მოვლენ ერთსა წელსა, იგი სხვას და სხვას ჩაცვამს ² მას მოყმესა, მისსა მკვლელსა, ხვეწნითა და მუდართითა თავს აძულებს საყვარელსა,
და არ უწამლებს, არც შეხედავს, არც კმას გასცემს მისსა ხელსა.
379. მანგიმ ჰკადრა – „რად არ მეტყვი, რადღა სჭმუნავ, სიცოცხლეო? აჰა, მადლი კელთა მოგცა ღმერთმა, თვალთა სინათლეო, შენთა ტკბილთა ამოდ ყოფას სიმწარითა რად დალეო,
და სევდის კელით, თუ გწყურიან, თვალთა ცრემლსა რად დალეო“?
380. „გული რად გაქვს დანაჭმუნი, თვალი ზღვისა მონარევი, ანუ შავთა რად ამოსწყვეტ ³, იღრჩობიან ანარევი, შენი მკვლელი მოეყმედა გყავს ⁴, რად ხარ მისგან მონარევი?
და აწე რამე მოვიგონე, უთუო და ჭკვა-ნარევი“.

1) მოვჰკვდე. 2) ჩაცვამს. 3) ამოსწყვეტ. 4) ყავს.

25. აქა თათბირი მანგისა.

381. – „შენმა მზემა, არა გმართებს ამისათვირ ვაგლახ-ვება, თუ შენ დართო მზესა ნება, ვფიცავ, მართებს მოვანება, აგრე გვმართებს ამას იქით, რადგან თავი არ განება,
და უთიოდა თქვენგან სცხვენის, მკვევალთ უთხრათ დართონ ნება“.
382. ქალმა უთხრა: – „ეგ თათბირი, დია, კარგა მოიგონე, აწე რასაც გამოარჩევ, დია ღმერთო, გაგიგონე,

მკვევლთ უთხარ, დამორჩილდენ ¹, საჯერჯედა არ ვიგონე,
და სხვა რა უყო, ვინც მოაცდენს, თავი ჩემი მას ვამონე!“

383. უბრძანა: „წადით, მკვევლნო, კარგადა დაეკაზმენით,
დილის ნადიმსა ვაპირებ, ყველანი იქ ემზადენით,
რაცა მოგვინდეს სალხინოდ, ყველა-რამ დაამზადენით ²,
და მანგისა დაუჯერებდეთ, ურჩი არამცა ჰკადრენით“.
384. მას ქალსა, ჳმელთა მნათობსა, ჰქონდა ტურფა რამ ბაღნარი,
შიგა დგას ფერად-ფერადი ყვავილი, სულად ამზნარი,
ნარინჯ-თურინჯი და ბია, სხალ-ვაშლი არი ან ნარი,
და გვარ-გვარად შემოჰყვებოდა მას გარეშამო ხევნარი.
385. რა ვინ შევიდის მას ბაღსა, რუმ არა მოსწონებოდა,
სრა სარაჯითა მორთული, ფავარა მაღლა ხტებოდა,
მას გარეშამო ალვის ხე ყვევლგანა შამოჰყვებოდა,
და სირინო, თუთი, მეინა ბაღ-ბაღჩას ემოყვებოდა.
386. მოჯდომად სარკით მორთული და დანაშლილის კარგითა,
იითა, იასამნითა, ვარდითა, ფერად ვარგითა,
სუმბულითა და სოსნითა, სურნელთა დანანარგითა, –
და შემკობილია ყოველად სულითა არ უვარგითა.
387. მაღალმაღალი ჰანდარი, სარო-ტან შენახედვლითა,
ერთმან-ერთისა ხვევნითა ქვეშე ადგილი ჩრდილითა,
ლიმო ბაღისა ხლებითა, სხვას უთვალავის ხილითა,
და პატრონის ბაგის მბამავად ბროწეულია შლილითა.
388. მისვე ტანისა მგვანენი ურიცხვი ხურმის ხენია,
მისნივე მგზავსნი ასხია, სიტკბოთა ვისი ენია,
ზეციდამ მზეს არ უშვებენ, ქვეშ დგანან მაგრა მზენია,
და ფარვანას სანთლად მიაჩნდის, ბულბული მაზე მლხენია.

¹) დამორჩილდე. ²) დამზადენით.

389. კვლა ამისთანას ბაღნარსა ახლავს ტურფა რამ ჰავზები,
მას გარეშამო ეხვივნეს ალვანი ტანად ნაზები.
თავსა, ბოლოს და შუაზე სახლები მოდარბაზები,
და კარგთ მოჯმეს ფრინველებისგან მოდის ჳმა მართ ლამაზები.
390. ბაღს შუა ქალის საჯდომი ტახტი მურასად ნაგები,
თვალ-მარგალიტი ურიცხვი მაზედა გარდანაგები,

მაზედ ევინის ნიადაგ საჯდომი, ქვეშე საგები,
და ვით გითხრა ბალი ან ტახტი, ან პატრონისა სხვა ქები!

391. სახლს გარე შამონაჭედით ოქროს ყაფასით მოერთო,
ფრინველთა ღაღადისაგან მსმენელთვის ყური წაერთო,
სურნელს სულითა ჰავზები ვარდისა წყლითა შაერთო,
და ჳმელეთ მნათობთა თავადად ღმერიღს მისთვის ჳელი ჩაერთო.

392. ზირზემინი და ბადგირი უცხო და უცხო სხვა გვარი,
ჰგავს ¹, რომ შეხვიდე მაშიგა, არის სამოთხის სადარი,
მაზედა იყო ნაჭედი თვალ-მარგალიტი სხვაგვარი,
და მათსა სიკეთეს უკარგავს ზილიხა შუვა მჯდომარი.

26. აქა იოსების შამოყვანა და საცდენლად მუახლეთ შეყენება.

393. მთვარე კირჩხიბზე გავიდა, ვარსკვლავნი გარე დგებოდენ,
სხვანი გარეშე ეხვივნეს, მრავალნი მკვრელად სხდებოდენ,
მუშთარი მასთან გაგზავნეს, ვისის შუქითა ცხრებოდენ,
და რა გარუპირდეს მთვარეს მზე, იგიცა გარივსებოდენ.

394. რა შამოვიდა იგი ყმა, მჭვრეტელთა ამზრზენელია,
შემოჰყვა შავნი ლაშქარნი, მებრძოლთა სულის მჯდელია,
ესრის და ექამანდრების, ნადირთ სისხლს გააქვს ² ველია,
და არ ასცილდების ნასროლი, ამაღ მრავლდების ხელია.

395. შაქნეს სმა-ჰამა, ნადიმი, მხიარულება ძალისა,
რა გითხრა ყმისა სიკეთე, ანუ სიტურფე ქალისა,
ერთმან ერთზედა იზიდვენ ლაშქარი ორთავ თვალისა,
და გაღიმ-ღიმილსა უშვენებს ზე-ქვეშე ბაგე ლალისა!

¹) გავს. ²) ჰაქვს.

396. პირდაპირ იდგა იგი ყმა, თავ ¹ ჩამოგდებით იხედავს ²,
არცა ვის სიტყვას უბრძანებს, არცა ვის აღმა ახედავს ³,
გარდმოვლით ბრძანებს ზილიხა: – „რა დაუკარგავს, რას ხედავს ⁴?“
და მან თავსა არა შეიძვა, არც ოდენ მისკე მიხედავს ⁵.

397. ვით ვაქო მათნი ნადიმი, უნახავია თვალისა!
ან იოსების სიტურფე, როგორ მქნელია ძალისა!
ებოდა, გაუწყრებოდა მონად მსახური ქალისა,
და ვის მოგწონს ეზომ თავის ხრა, დაუხსნელობა ლალისა!

398. გამზდელი ივმო მან ქალმა, ყურსა მას ეუბნებოდა:
– „მკვეალთა უთხარ, ელიზღონ, ეგება ჩამოკვეებოდა“.
აბუსა ჯელი მოკვიდა: – „ადე“-ო, თვითცა დგებოდა,
და საწოლს შვეიდა, სარკმლითა უჭვრეტს, თუ რა მოჰხდებოდა.
399. რა გავიდა, მანგიმ უთხრა საუბარი მკვეელთ ესი.
არ ეწყინათ მათ მნათობთა, არც მართებდათ თუცა კვნესი,
გამრახ შორსა დაიჭირეს: – „როგორა ვქნათ არ ნაწესი?“
და მერმე თქვეს: – „თუ არ გვეხსნებით, ბრძანება ⁶ ვქნათ ⁷ ჩვენცა ესი“.
400. ტახტზედა დასვეს იგი ყმა, გამართეს ლხინი კარგია,
– „პატრონი შორს გაგვიცლია, ჯელთ დაგვრჩა იგი ვარგია“,
ყმას გარეშამო მოადგეს მკვეალნი არ უვარგია,
და იგი მზე კრძალვით იხედავს, ემატა პირსა რანგია.
401. ყმას გარეშამო ეხვივნეს ურიცხვი ტურფა ქალები,
ტან-სარო, პირ-მარგალიტი, ფეროვნობითა ლალები,
მათ ვარდთა ძირას ჰშვენოდის ⁸ ქურდულად მჯდომი ხალები,
და მას მზესა ანიშნებდიან – „მოტყუვდი, გიშლის თვალები“.
402. მოთამაშე და მკურელები მას წინა მოუსხდებოდენ,
სხვანი ტურფანი მას გარე ჯელ დაჭირვითა დგებოდენ,
მოყმესა ულიმღიმებდენ და ქვეშ ქვეშ ეცინებოდენ,
და ერთმან-ერთისა მალვითა დაყოლას ენიშნებოდენ.

1) თვ. 2) იხედვს. 3) ახედვს. 4) ხედვს. 5) მიხედვს. 6) ბძანება. 7) ვკვნათ. 8) შვენოდის.

403. ლომთა და გმირთა მჩაგვრელსა დაჰტრფიალობდენ, სჭვრეტდიან,
წარბისა წვერსა უხრიდენ, მელნის თვალთ გარდუშვებდიან,
თვითო და თვითო ყამზითა სხვა რიგად ანიშნებდიან,
და ქირიშმათა და ჰაშვითა მას ყმასა გულსა სწვიდიან.
404. ვარდი, ბულბული, ყვავილნი, ხენი იძახდენ ამასა:
„კარგს ბაღსა კარგნი შეყრილან, კარგსაცა იქმენ ჭამასა!“
ვეჭობ, არვინა ჯდომილა, თვარ პავლე ¹ ამისთანასა,
და არცა ესეთნი შეყრილა უედემოსა ხსონასა.
405. ფეიქარ ერქვა მათ ქალში – ქვემორ კალიზად დგებოდა,
მას თუმცა მზისთვინ ებრძანა ², მგონ იგიც ჩამოჰყვებოდა.
იოსებ მალვით გახედა, უცხო რამ სული ჰყვებოდა,
და რა ცნა, თუ შამამხედაო, ლაში უტრუკა, სწყრებოდა.

406. თვალით და წარბით იბძოდა, ისარსა ისრის მწარესა:
– „შენცა გინდა და მეცაო, ნეტარ ვინ გიშლის მთვარესა?
ჩემთანას ველარ იშოვებ ქვეყნადა შენ მოყვარესა,
და ესე სჯობს, რომე იახლო ამ ჩემსა არე-მარესა“.
407. ყმამ უთხრა: – „აჰა, ტურფანო სახით და ანაგებითა,
თქვენთანა არა მინახავს, მით გეუბნები ქებითა,
თქვენ თუ მთვარესა უბრძანოთ ³, დაგყვების მოვა ნებითა,
და პატრონის ჩემის მხლებელი მაგას ვერა ვიქ ნებითა“.
408. ყმამ პირი უკუ იბრუნა, უბრძანა ⁴ მზისა პირსაო:
– „ფეიქარ, შენსა ხვევნასა ცოცხალი არვინ ღირსაო,
შენ ჩემზე მოგილხენია, ეგე მე ვინ მაღირსაო?
და ჩემისა ავ-ნაქმარობით შენ ვერ ჩაგაგდებ ჭირსაო“.
409. იგი ყმა არვის ჩამოჰყვა, ადგა გავიდა კარშია,
ქალთან შევიდენ იგინიც, ჰკადრეს: „ – წავიდა ჯარშია,
არავის დართო მან ნება ამთენსა ტურფას ქალშია,
და ოღონ ეს უთხრა ფეიქარს: – «ერჩევი ამა გვარშია!»
410. ადგა, მას ქალს გარდუკოცნა, ყმას რომ ექო არე მარე,
– „თურე ბედი შენი მჯობსო,თვარე მეც ვარ შენი მდარე,
მოხვიდოდე, რა გათენდეს, ჯერომ ვიყო მე მძინარე,
და თვალთ ნათელსა მემატეების, რა შენ გნახო ყვევლთ წინარე“.

1) პავალე. 2) ებძანა. 3) უბძანოთ. 4) უბძანა.

411. მერმელა ჰკადრეს პატრონსა, იგი ყმა როგორ მჯდარიყო,
თვით მწვევალთაცა რა ექნა, რომ ისი არ მომცდარიყო,
ანუ ნადიმზე რა ეთქვა, ანუ როგორა მდგარიყო.
და ადგომის დროსა ეს ბრძანა ¹: „ფეიქარ რისთან არ იყო?“
412. ბრძანა თუ: „როგორ მექნების იმ უწყალოსა კელითა,
თუ იგი ასრე მომეპყრას, ჩემი დარჩომა ვთქვა რითა?
არცა მახარებს ჭვრეტითა და არცა საუბარითა.
და აწე არ ვიცი, რა მექმნის ამ სიცოცხლითა არმითა!“
413. ზილიხა სევდის კელითა ვარდისა ბაღსა აზრობდა,
რომე ენახა მას ყმასა, ამისთვინ ვერას აზრობდა,
მოდრიკა იგი ალვის ხე, აქამდი ტანად რა ზრობდა,
და იკმნა ჰაიათ და მანგი, მისსა საქმესა ბეზრობდა.

414. – „მო, საქმე რამე ვარჩიოთ, მან ყმამა მნახოს მე რითა, შემაშროს ცრემლთა დენანი, მალხინოს მისის მზერითა, თუ ამ საქმესა ვერა ვიქთ, მოვრჩე ჭირსა ვერთა, და თათბირად ამას მაჯერეთ, ჯერ ყმამა მნახოს მე რითა!“

27. აქა თათბირი ბბუ-ჰაიათისა.

415. აბუმ ჰკადრა: – „მოგახსენო მე თათბირი დანაყბედი: რომე მაშინ ფეიქარსა ყმამ უბრძანა სიტყვა რბედი, აწე მივსცეთ იგი პირ-მზე, თუცა არის მისი ბედი, და ერთადა მწოლელთ ² ბნელშია შავაპაროთ ცეცხლს აბედი“.

416. „ღვინო ვასვათ, ვაზარხოშოთ. რა შეიქნას ღამე ბნელი, ერთად მწოლთა ფეიქარმა დაუშრიტოს ყმას სანეთლი, მის ადგომა, თქვენი წოლა უკუნშიგა არ არს ძნელი, და რა გათენდეს, მასც იამოს, რა თქვენ გნახოს მზისთა მწველი“.

417. ქალმა უთხრა: – „აჰა, აბუ, თუც არ ბრძანებ ჩემთვის ძვირსა, დია, ღმერთო, დაგყვებოდი, დავასკვნიდი მაგა პირსა, მაგრა, ვიცი, მაგ საქმითა ჩავარდები უფრო ჭირსა, და ამისგანცა შევსძულდები, მომემატვის ტირი ტირსა“.

418. ამ თათბირსა არა სჭირდა, მაგრა ქალი არ რთავს ³ ნებას, ამაღ, რომე მისი მკვლელი სხვასა რატომ გარდაეხას? ისივ ძლება აძლებინებს, არ სულდგმულსა დართავს ნებას, და მიჯნურთა ესე სასმელი მოედების ცეცხლებრ დებას.

1) ბძანა. 2) ანუ: ერთად მწოლელთა; დედანში: ერთად:.. მწოლვლთ:.. 3) თავს.

28. აქა მანგის თათბირად ჯდომა ¹.

419. მანგიმ ჰკადრა: – „მოვიგონე დია რამე უკეთესი! აწ უთიოდ შენ მოგხვდების ² ამ საქმითა მოყმე ესი, დაგინელდა, ნუღარ სჭმუნავ, ეგე ცეცხლი არ ნაკვესი, და ამისაგან სხვა თათბირი, მამკალ, ვინც თქვას უკეთესი“.

420. „აწ ამას ვარჩევ, გაზდილო: სახლი ავაგოთ ასეთი, ჳელოვანები შეეჰყაროთ, მოვასხათ სრულნი მისრეთი, თუ ბრძანებ, მე ვახატვინებ თქვენსა და მისი სურეთი. და მაშიგა იჭმე, რა გნახოს, შეიქნას ვითამცა შეთი“.

421. „რა შამოვიდეს, იგი ყმა, ტანსარო, პირად მზიანი,

ვეჭვი, რა გნახოს, მოტყუვდეს, შენთანა მალრიბიანი,
თქვენ ცუდად ნულარ სჭმუნდები, ნურცა ხარ ფერ-ბაკმიანი,
და მნელის საქმისა მრჩეველი, პატრონო, გყევარ ჭკვიანი“.

422. „რა შემოვა იგი მოყმე, ქვეყნის ნათლად შენაქნილი,
გნახოს მისი შესაფერი ალვა ნორჩი განაზდილი,
არისტოტლად გარდაიქცეს, მოსცდეს, უნდა არა ცილი,
და თვით პილატონს არ ატყუვებს ვარდი შენებრ განაშლილი?“

423. „შენ პატრონი ხარ მნათობთა, შენგანა ნათობს არენი,
შენ დააყენე ³ ტბაზედა ინდოთა მეზაღნარენი,
შენ მარგალიტი წყობილი ლაღს მიეც, მიაბარენი,
[და] შენ ნათლად დღესა ეყოფი, არა ხარ მზისა დარენი!“

424. უბრძანა: – „ჩემო გამდელი, ეგე თათბირი მეკეთა,
უთიოდ მაგა საქმითა მე თვალთა ცრემლი მეკვეთა,
ადგილიც კარგი მოსაზრე სასახლედ, საცა უკეთა,
და აზიზსა ვეტყვი, მამისხას, ვინც გება იცის უკეთა“.

425. გარედამა შემოვიდა მეფე ქალთან საღამოსა,
ზილიხაცა მიეგება, სიტყვას ჰკადრებს საამოსა ⁴,
სხვას ხუმრობას გაურივა: – „სახლი მიგე საარმოსა“ ⁵.
და მან უბრძანა ⁶: – „შენ ჩვენგნითა, ნეტამც, რამე გიამოსა!“

426. რა მეფეცა დამორჩილდა, ადგა, უთხრა მისსა მზედელსა:
– „წაველ, ყველა მოვახსენე მას ჩვენგნითა უყვარელსა,
მიბრძანა, თუ: «არ დაგიშლი, რადგან გწადის, ამ საქნელსა» –
და ადე, კარგა გააკეთე ⁷, სარქრად ჰყევხარ მისრეულსა“.

¹) თათბირი:.. დაჯდომა:.. ²) მოგზავდები. ³) შენ დაყენე. ⁴) საამოსა. ⁵) სარმოსა. ⁶) მან უბრძანა. ⁷) გაკეთე.

427. მერმე თვით მანგი წავიდა, სრულნი მისრელნი შეყარა,
მისცა ყველასა ულვევი, მარმარის ქვანი მოყარა,
რაცა მოუნდა საშენო, მას წინა ფიცხლავ შეყარა,
და მხატვართა, მჯელოვანებსა თეთრი სიმძიმით უყარა.

428. აუგეს ტურფა რამ სახლი, უცხო რამ ანაგებითა,
სრულ ზედა თავი გარდუჭვდეს ბროლისა მოფიცრულითა,
ცალ-კერძ კედელი უხატეს, ცალ-კერძად მოჩვენებითა,
და ქვეშეც ეგრევე ¹ მომართეს ზედათა დამხედლობითა.

429. შვიდი სახლი ერთმან-ერთზე ყველა ასრე გარდუხატეს,

რა მეშვიდეს ჳელა მიჰყვეს, ყველგან ქალი გარდახატეს,
მერმე იგი, ვინცა ჰკლევდა, მასთანავე დაუხატეს,
და ხატი ხატთან დაასვენეს, გარ-შეკაზმით მოუხატეს.

430. ამას ჰგავსო ², რომე ნახო, სამოთხია ჳმელთა ზეო,
ანუ აქა შემოყრილან ვარსკვლავები, მთვარე, მზეო,
ყველა საყმოდ შემოსულა. სტრფიალობენ ტურფას ზეო,
და თუ სრულ ღმერთმა არ გაწირა, ქალსა ნახავს ამაზეო.
431. რა სახლები გაუთავდა, ქალმა მორთო დია კარგა,
ფარდაგები ჩამოჰკიდა, ოქსინონი, რაც უვარგა,
სურნელიცა მრავლად იყო, რაცა ოდენ სულად ვარგა,
და კარნიც თვითან გამობეჰდა, შინა არვინ არა დარგა.
432. ნეტარმი ბედსა ესეთსა და სილამაზით მკვეხესა,
რომ მოუსაზროს კაკაბმა, ქორი გააბას ³ მახესა,
ბადესა დასცდეს, არ ეცეს, აუხტეს მაღალსა ხესა,
და მწყაზარი არის, არ უნდა ბავლი, ამისთვინ ახესა!
433. რა სახლები გაუთავდა სილამაზის მონაბარსა,
სრულ სურნელით აავსებდა ⁴ და მოჰყრიდა ქვეშ ამბარსა,
მერმე კაცი გაუგზავნა საქმობელად დილამხარსა –
და იხვი უნდა გამოუტდეს დასაჰერად, ნახე, ბარსა!
434. თუცა მას ქალსა არ აკლდეს სიტურფე, შვენიარობა,
მაგრა აწ უფრო ემატა მზის ციმციმითა ჳმარობა,
აქამდის თუცა არ უნდის მოკაზმა, არცა ხარობა,
და მოირთო ყვეელთა ფერთა პირი და ტანთა სარობა.

¹) იგრევე. ²) გავსო. ³) გაბას. ⁴) ავასებდა.

435. ახალის მთვარის არ სადარს ¹ არე-მარე გარდუკაზმა.,
რაცა ღვართა მორჩომოდა, შავთა ჯარი დაარაზმა ²,
ადგა, მას სახლს გეემართა ³, შინა ხანი არა დაზმა.
და შავთა თმათა ჩანაკიდთა ქვეშე მიწა ქნიან კაზმა.
436. რაღა ვაქო, მოკაზმითა რომ არ იყო მისი დარი,
შავთა ჯარი შაშვენოდეს მთასა მდგომი მუნა მთვარი, *
.....
.....
437. ჳმა დაუვარდა მას ქალსა, სრულე მისრეთსა მივარდა:

«მისი ყმა შეჰყვარებია, თავს საყვედურად დავარდა,
სიკვდილი უჯობს ამ ყოფას, რამ სირცხვილშია ჩავარდა»,
და დიდსა, წვრილთან და მცირესთან ყვევლგან ეს სიტყვა გავარდა.

438. რა დაემართა ზილიხას საქმენი დასაზრახია,
იჯდის მუდამე ტირილით და გაეხშირის ახია;
ყველაი მას გააგებდენ ⁴, ვინცა მისრეთსა ნახია:
და «არა სცხვენთან, ნეტარმე, უყვარს მას მისი გლახია?»
439. დარბაისელთა ჯალაზნი ყველა მას გააგებდიან ⁵,
დიდი და წვრილი მისრელნი – «ბოზია» – უძრახევდიან,
„ვაჲ, რა უქნია მას შმაგსა“? – ამასა იკვირებდიან,
და სადაც ვინ ვისთან მივიდის, მისსა საქმესა ჰგმობდიან.
440. „დიდის ჯელმწიფის ცოლია, ბიჭი რამ შეჰყვარებია,
ასრე რომ, თუ ვერა ნახოს, აქვს სადმე ვაგლახ-ვებია,
პირის წყალი და ნამუსი, ყველაი გასცუდებია,
და მრავალსა ავსა სხვასა იქს აბუ-ჰაიათ მხლებია“.
441. „საკურველი დამართვია, ქალო, საქმე მასა ქალსა,
იგი მოყმე არ უყურებს, არც შეადგამს, თურე, თვალსა.
ესე სადმე არ ეხსნების, უზამს, თურე, დიდსა ძალსა,
და მხლები სადმე წიხლითა სცემს და მოუდეს ცეცხლთა აღსა“.
442. „არც, თურე, პირსა შეხედავს, არც არას ეტყვის სიტყვასა,
რა უყიდია, მას აქათ ასრე საკმლითა დასწვავსა ⁶,
რას ეტყვის, არ დაუჯერებს, ამა სარჯლითა ქალს ჰკლავსა,
და აწე რატომღა ცოცხალა, რად არ მოიკლავს ავს თავსა?“

¹) საღარასა. ²) დარაზმა. ³) გემართა. ⁴) გაგებდენ. ⁵) გაგებდიან. ⁶) დასწვავსა.

^{*}) ამის შემდეგ დედანს აკლია 16 გვერდი, ე. ი. დაახლოებით 56 ხანა.

443. „ერთი ესეც არ გვიკვირდეს, კაცს ისი რომ არ უნდესა,
მგონ, ზეცითა მზე ჩამოჰყვეს, თუ მას ტურფასა უნდესა,
მამაცმა იგი იშოვოს, ნეტარ, სხვა რაღა უნდესა?
და რატომ არ მოკლა მეფემა, არ გვიკვირს, რად შეუნდესა?“
444. „მისნი თვალნი და წამწამნი და მისნი რხევით წავლანი,
ედემიდამა მოსული, არ ჯმელზე მყოფი აღვანი,
სიტყვისა სიტკბოდ სიჭევრე, მოუბრობისა კრძალვანი,
და გაღიმ-ღიმი და არ ჩენა მაგრალიტთ მოწთა მალვანი“,
445. „საქციელი და სიწყნარე, სილმობიარით ჰკვიანი,

ლალთ გახსნა, მარგალიტთ ჩენა და საუბრიტა წყლიანი,
მისის ტანისა სინაქვთე და პირი ამო, მზიანი, –
და ვისმე არ უნდეს, ნეტარმე, კოჭამდი გიშრის თმიანი!“

29. აქა ქალისაგან ძრახვის სმენა და იოსების ჩვენებით თავის მართლობა.

446. ქალას ესმა ესე ამბავი, ნამძრახი სრულთა მისრისა,
აივსო ცხელის ცრემლითა, გარ-უშვებს თვალი გიშრისა,
გარმოდვარა და ატირდა, თან წამწამს ატანს ისრისა,
და არ გამთელდების ნაკრავი წყლული მისისა ისრისა.
447. ზილიხამ რა ცნა ესეთი ამბავი საწყინარია –
„ვმა დაგივარდა მისრეთსა, რომ ჰკლევდა მისი ქმარია,
დარბაისელთა ჯალაბთა ყვევლთ შენად გაუკმარია,
და ამად გიძრახვენ დედანი, რანიც მისრეთსა არია“, –
448. ბრძანა: – „ღმერთო, ესე მიკვირს, თქვენ რა ბედი მე მამია?
რომ შემასწარ ამ საქმესა, ამ სარჯლით ვინ აწამია?
არ მაჯერეთ სხვათ პატივსა, სიცოცხლეცა ვიარმია ¹,
და აწ მამკალ და სოფელს დამხსენ, ეს აგრეცა მამია!“
449. „არ დამაჯერე მას ერთსა, აწ უზეშთესსა ² ჩამაგდე,
მამას და დედას გამყარე, უცხოს თემს რასმე მამაგდე,
აქაცა ეს მამივლინე, ანთებულს ცეცხლში ჩამაგდე,
და აწ აგრეც მამკალ, სუფევით ამ სოფლისაგან გავაგდე!“
450. „მე ვინ და მიჯნურობა ვინ? შემყარე ესე სენია,
აწამცა ვზივარ მამასთან, ვლხინობ და მამილხენია,
მე რომე ჭირში ჩავარდი, არცა ვის ამბავად სმენია,
და სიზმრითა ავსა ყოფაში ჩავარდი, ამად მწყენია“.

¹) ეს აგრეცა მამია. ²) უზეშთესა.

451. „აწ ვერას ვარჩევ მე მასა, რაცა სიზმრადა მსმენია,
არც ვინ პირსა მგმობს, რომ უთხრა, აწ აგრე შემირცხვენია,
ასე ნამძრახსა სიცოცხლეს, თუ მოვკვდე ¹, მოსალხენია,
და თურე, ვინც ჭირსა ვარდების, სიკვდილის პოვნაც მნელია“.
452. ზღვას ერთვის თვალთა ნატირი, იმახდის: – „სული მცდეებისა“,
გვერც უჯდის მისი გამზდელი, სწვრთნის, თუ რა იქნებისა,
ადამის ტომთა თავზედა სხვაც ბევრი გარდაჰკვდებისა,

და მაგრა ვისაც ჭკვაცა აქვან, გასძლებს და არ მოკვდებიან.

30. აქა თათბირი მანგისა.

453. – „აწ ამას ვარჩევ, გაზდილო, ტირილსა ესე მჯობია.
ვაწიოთ სრულთა მისრელთა ერთობილთ ჯალაბებია,
მათ წინა თავი ვიმართლოთ, უჩვენოთ, ყვევლთა მჯობია,
და საქნელი საქმე ეს არი, ნუ გიდგა ცრემლთა გობია“.
454. – „მეკეთა ესე თათბირი და შენი ნავაზირევი,
თავსა რას ვარგებ მაგითა, ვიდინო რომა მორევი,
თვით მათაც ჩემი რა იცის, თვალთ რად მდის სისხლთა ნარევი,
და კაცი გავგზავნოთ, მოვივმოთ ეგე იქნების არ ევი“.
455. კაცი გავგზავნეს, აწვივეს, სადაც ვინ მათი ყმანია,
შესთვალეს: „ყვევლი მოვიდეს – დიდებული და ხანია,
ვინც დაგვაკლდების, უთიოდ შერჩების ცუდი ნანია,
და ჰელს აუმართვენ მამულზე, ისმინონ ჩვენი თქმანია!“
456. ცოლის-შვილით და თავითა გვეწივეთ, დიდებულებო,
თვარ ვინაც შემოგვაკლდებით, წაჯდენას თავს აბრალეხო,
სჯობს ბრძანებასა ² არ ასცდეთ, გვეწიოთ თქვენ, წეულებო,
და აწ გაგიჩნდების ყველასა ჩვენზედა თქვენ, ერთგულებო“.
457. რა ბრძანება ³ მოისმინეს, ყველა მას წამს შეიყარნეს,
მცირეთა და არ მცირეთა ჯალაბები კარზე არნეს,
ურჩი ვერვინ-ვერავინ ქნა, ვერცა ურჩი იუბნარნეს,
და ყველამ მათნი ჯალაბები ზილიხასა მიაბარნეს.
458. ზილიხასი შავნი თვალნი და წამწამიც ისარული,
ჩამოსდის და არ აწყნარებს ცხელი ცრემლი სისხლ-რეული,
ნახნა ერთად შენაყრილი სრულ ჯალაბი მისრეული,
და უყო ჭამა საკურველი, ბრძანება ქნა ესრეული:

¹) თუ მოვკვდე. ²) ბძანებისა. ³) ბძანება.

459. – „დარბაისელთა ჯალაბნო, ტურფანო, სახელიანნო,
სიტყვა მჭევრნო და ლამაზნო, ტანსარო, პირად მზიანნო,
თვალ-შავნო, წამწამ-გიშერნო, ბაღსა დაშლილნო იანო,
და თქვენ რომე ჩემთვის გიმრახავთ, სრულ-ერთობილნო, ჭკვიანნო!“
60. „გებრძანათ: – «მისრთ დედოფალი დღეს ასრე შერცხვენილია, –

არ სტყუვით, ყველა ასრე მჭირს, ამაღ ვარ ასრე წბილია,
წყარო მდის დაუწყვედელი, ღმერთიცა გამრისხველია,
და სევდასა რასმე ჩავჭრილვარ, სადა მაქვს მე სიკვდილია!“

461. ლექსთა მკითხველნო, ისმინეთ, თუ მას რა ჭირი დაერთო:
ლაღად ჯდა იგი უკადრი, მზისათვინ შუქი წაერთო,
მთვარეს და ვარსკულავზედა სიტურფით ბაჟი აერთო,
და აწ ასრე ცრემლთა მღვრელია, რომ ზღვაცა მასა შაერთო.
462. – „აწ მიბრძანებთ, მოვიყვანო იგი ალვა ნორჩი ზდილი,
მისთვინ გაეკე კადნიარად, მოვინდომე მე სიკვდილი,
ვისის ჴელით შევირცხვინე და შავიქენ ნთქვენთან წბილი,
და ვეჭვი, ნახოთ, გამამართლოთ, თუ რამ მექნას საქმე ცდილი!“
463. მათ მოახსენეს: – „ტურფაო, გიშერნიც აწამ-წამენით,
სხვა პასუხიმცა რა გკადროთ, ან რამცა შევიწამენით?
ჩვენ მთქმელნი არ ვართ მაგისი, თქვენ ცუდად დაცა-გვწამენით,
და თუ ვნახავთ, მწვევე მოვილხენთ, სხვა რამცა შევიწამენით?“
464. რა ქალმა ცნა, დამორჩილდენ, – „მოვიყვანო ამათ თანა“, –
ყველას წინა ხილი უწყო და დაუდვა თვითო დანა,
ბრძანა: – „რა ხანც შემოვიდეს იგი ალვის ნორჩის თანა,
და ჩვენი იყოს იგი მკვლეელი, ვინც არა ჭრას ხილი“ – ბრძანა ¹.
465. მერმე გაგზავნა გამზდელი მის ყმისა მოსაყვანებლად,
მივიდა, ჰკადრებს: – „გიბრძანა ² მათ წინა შესაყვანებლად“.
არ მოუსმინა ჴმობანი, არც ოდენ დაჰყვა თავნებლად,
და ბრძანა, თუ: – „ჩემგან რა უნდა, სად მიჴმობს მოსაყვანებლად“?
466. იგი პირ-მზე არ შამამოჰყვა, მოუსმინა სიტყვა არა,
ბრძანა: – „მისგნით რაც მინახავს, ჩემთვის ჭირად ისიც კმარა,
თუ ჩემს ელის იქ შეყვანას, ცუდად რასმე მოცამდარა,
და ღმერთმა ნუ ყოს დღესა იქით, მოუსმინო იმას მარა“.

¹) ბძანა. ²) გიბძანა.

467. „წა ასრე ჰკადრე შენს პატრონს, ჩემს შესვლას ნულარ ელია,
ნურც მეუბნებით დღეს იქით, არ თქვენ ხართ ჩემი მკვლეელია,
თუ ამ გვარადა იქცევი, ბევრს უარესსა ველია,
და დამეშვით, ღვთის მაც, ნუ გინდათ ჩემზედა მუდამ ბნელია!“
468. შამობრუნდა, მანგიმ ჰკადრა: – „სიტყვაც არა მოისმინა,

ბრძანა: «მე სადმე უყვარვარ, მე ვინ ვარ და იგი ვინა,
მახსონს დღენი მას წინაცა, რაზომ ცრემლი დამადინა».
და ქალმა ცნა, თუ არ მოვიდა, თვით წავიდა მასა წინა.

469. ადგა და თვითან წავიდა მის უებროსა ტანითა,
მისის პირისა ციმციმი იყო არვისა გვანითა,
მივიდა, ჰკადრა პასუხი მას უსახოსა ენითა:
და – „რად არ მოხველი, თვალთა მზეს, პასუხი რამცა სთქვენითა“?

470. რა სიტყვითა არ ჩამოჰყვა, მოუყარა მუკლი წინა,
ცრემლმა ცხელმა გარმოდვრილმა ბროლ-ბალახჩი გაუმიწა:
– „შენ ასეთი უწყლოდ მქცევი, ღმერთსა რითა შაუეშინა,
და ანამც მოსვლა არ იჯეროს, ამად დია შეეშინა ¹“.

471. ბევრ ფერად საქციელითა ტკბილ ენანი მოუყარა,
უშნი ქნა და აუტირდა, ცხელი ცრემლი გარმოდვარა,
ვერათ ვერა წაიყვანა, ქალსა ხვეწნა შეეზარა ²,
და მთით მოსულსა წვიმის ღვარსა სრულ გიშერი გაეყარა.

472. კვლავ საბრალოდ აუტირდა, თვალთათ ცრემლი ვარდზე ყარა,
მელნის ტბათა დუდილისგან გიშრის ჯარი გაეყარა,
ფერჯთა ზედა მოეხვივა, პირით მტვერსა შეეყარა ³,
და ლალი, ბროლი, მარგალიტი მიწაზედა დაეყარა.

473. – „მომისმინე, ჰე, მოყმეო, ამას გეტყვი მე მართალსა:
ყვეელი სული მე მიძრახავს დღეს მისრეთის დედოფალსა,
აწ წამომყევ, ნუ მატირებ, რომელს ესავ მას უფალსა“.
და რა ეს უთხრა, დაჰმორჩილდა ⁴, საკელს ავლებს ტურფას თვალსა.

474. იგი მოყმე დაჰმორჩილდა ⁵, – „წამოვალ“-ო – დაჰრთო ნება,
კელით კელსა მოეკიდა, დაუჭირა ნებით ნება,
მთვარე, მზენი შეიყარნეს, ორთავი აქს შუქთ ვანება.
და საჭურჭლეთა კარი გახსნა, შინ ქნა მისი შეყვანება.

¹) შეშინა. ²) შეზარა. ³) შეყარა. ⁴) დამორჩილდა. ⁵) დამორჩილდა.

475. მას ყმასა ტანსა შემოსა ატლასი შავი მჯობილი,
თვალთ და მარგალიტითა სრულე გარეშე მკობილი,
მაზედა ტურფა სარტყელი, – რა ვაქო მათი წყობილი!,
და ნეტარ, მისთანა ყოფილა შვენებით ვინცა შობილი?

476. წელთა ნარინჯი შეარტყეს, მაზედა შალი აბანი,

თავსაცა მწვანე დოღბანდი, ოქროქსოვილი ზიბანი,
ტაშტი, წუმწუმა კელთ მისცა ტურფათა კელთა საბანი,
და რაც მას დღეს ყმასა ჩააცვეს ¹, რითა ვთქვა ² მათი მკობანი!

477. თავსაც მურასა ჯიღანი, წელთაც ნაჭერი ხანჯარი,
რაცა რამ ყმასა შეკმოსეს ³, სრულ-ერთობილი ზარდარი,
– „შენ ხარ ტურფათა კელმწიფე, მანათობელთა არ დარი,
და თვალად და ტანად ასეთი კელ-ფერჯადა ჰყავ სადარი“.
478. მან ქალმა თვითცა ჩეიცვა სოსანი რამე ჯუბანი,
მაზედა ოქრო-ქსოვილი მოკლე ტყავ-კაბა-დიბანი,
სხვა არა ქნა რა მოკაზმა, თვალთ უყო სურმა სობანი,
და კელთა ჯოხი რამ ეჭირა, მოდიან ტურფა რებანი.
479. ქალი ვაჟსა წინ მიუძღვის, მოყმესა და დია მკნესა,
სამოთხისა ბაღს ნაზარდსა, იქიურსვე სინათლესა,
რად არ სრცხვენინან, ამოვა, სადაც ის არი მომზესა?
და არ ჯერხართ, ისიც ანათობს, არ ამოვიდეს რა დღესა.
480. იგი კარზე დააყენა ⁴, თვით შევიდა ზილიხანი,
ჯოხსა ზედა დაეყუდა მათსა წინა მზისა გვანი,
ბრძანა: – „მეტყვიტ, შემოვიყვან, აქ არიო არვისთანნი“,
და შეუძახნა: – „შემოდი“-ო, – „დაგვანახვე ალვის ტანი!“
481. თავი შამოყო მან ძმამა კარზე შუქისა ფენითა,
ზილიხა კელსა იქნევდა: – „ხილი დაჭერით, ქენითა“.
ყველაი დარჩა აბლექით, ვერასა ჰგმობენ ენითა,
და ქალი უყვივით: – „რასა იქთ, თქვენც სიტყვა რამე თქვენითა!“.
482. ყველას თვალნი მაზედ დარჩა, თვისი კელნი დაცაიჭრეს,
ხილი კელთად დასცვივოდათ, ზოგთა თითი ძირად იჭრეს,
ვითა შმაგნი შეიცვალნენ, ძრახვით ამ სენს ჩაცაიჭრეს,
და ზილიხამაც კარი დახშო ⁵, შმაგი გარე არვინ იჭრეს!

¹) ჩაცვეს. ²) ვკთქვა. ³) შემოსეს. ⁴) დაყენა. ⁵) დახჭო.

483. მას დღე იქი არვინ ჩანდა დიაცებში მოუბარე,
ქალი დია მხიარულობს, პირი ჰქონდა შემცინარე.
მეორესა დღემდი იყვნენ, ვითა მკვდარი, მოსამარე,
და რა მიბრუნდეს, იქ ვერ ნახეს იგი პირ-მზე, არა მთვარე.
484. რა ცოტად ჰკვასა მოვიდენ, ერთმან-ერთი ნახეს ჭრილი,

ზოგთა თითი ბეჭდიანი ძირითავე გარდაჭრილი,
ზოგთა შეცვლით თავნი თვისნი ჰამზად წყალში ჩანაჭრილი,
და ზილიხასა ჰკადრებდიან: „რად მოგვეცო დანა ჭრილი?“

485. დედოფალსა მოახსენეს: – „რა გიქნიათ ჩვენი მკვლელი,
ჩვენსა სისხლსა ვინ იძებნის, ან ვიშოთ ¹ მაზე მშველი?
ვინც არ მოკვდეს ამ სენითა, რას აქნევს, რომ დარჩეს ხელი?
და ახლა მეტობს მიჯნურობა, ზღაპარია თურე ძველი“.
486. შეხვეწნენ ²: – „ბრძანება ქენ, მოსვლით ჭირი უკუგვეყაროს,
ანუ გვიხსნას ამ სენითა, ანუ უფრო შემოგვეყაროს,
ქმრები ჩვენი სასაძულო მისის ნახვით ჩვენ გაგვეყაროს,
და ვინც ამაზე შენ გამტყუვნოს ³, ღვთის რისხვასა შეეყაროს ⁴“.
487. ქალმა უთხრა: – „მანგი, ადე, მზესა ჰკადრე, თავი აროს,
წყულულ ნაქმარი დაამთელე ⁵, ვინცა სადმე დაგემყაროს“.
ბრძანებაცა ⁶ მოისმინა, პატრონისკე მოიაროს,
და შამოსვლითა დაანახა ⁷ – მზისა შუქთ არ მშვენიაროს.
488. ზილიხა ადგა, მოჰკვდიდა მას ყმასა თავსა ნახვევსა,
ხევდის და ყველას ჯელეზზე ზედა დაჭრილსა ახვევსა,
არ დარჩა მას დღეს თვის მეტი, რომ დაჭრილს არ დაახვევსა ⁸,
და მას ყმასა ქული დახურა, ზედა შალს გარდაახვევსა.
489. ქალს ჰკადრეს: – „ამის მიჯნურსა გაჭრა ჯამს, ველად გაგარდეს,
ან თავი კლდესა გარდიგდოს, ანუ ზღვაშიგა ჩავარდეს,
ლეშნი ქვესკნელსა დაყაროს, სულითა ზეცას ავარდეს,
და ჯელი შესწევდეს, მივიდეს, სადაც ეს იყოს, მივარდეს“.
490. მერმე ყმას უთხრეს: – „ვინ ღირსა, ცოცხალმა შენ გიშოვნოსა?
ვინცა შენზედა ირჯების, თავს ცუდად არა ავნოსა,
ვინც გნახავს, ქმარსა რას აქნევს, ქვეყნად ჰყვეს ცოლს უშენოსა,
და შენსა ხვევნასა ვინ ღირსა, თავს რა გინდ არა ავნოსა!“

¹) ვიშოთ. ²) შეხვეწნენ. ³) ან: ვინც მაზე შენ გაგამტყუვნოს. ⁴) შეეყაროს. ⁵) დამთელე.
⁶) ბძანებაცა. ⁷) დანახა. ⁸) დახვევსა.

491. კვლავე-და ჰკადრეს ზილიხას: – „შენმც გვრისხიხარ, აჰა, მზეო,
თუ ესია ჯორციელი შენაქნილი კაცთ ჯმელზეო,
ზეციდამა ჩამოსულა ქვეყნის ნათლად, არის მზეო,
და ჩვენ გვიკვირს, ამას მიჯნურობ, რადლა ხარ ცნება-ნირზეო?“

492. ზილიხამ ჰკადრა: – „მნათობნო, უშლელნო ვარდის კონანო,

მაშე მე რატომ მძრახვიდით, ტურფანო, მზისა გვანანო?
მის ერთის წამის ნახვითა ასეთნო, ამისთანანო,
და რად არ გცხვენიანთ, საბყარნო, დაჭრილნო მათა თანანო?“

493. „აწ ჩემიც ყველამ ისმინეთ, თუ როგორ ჭირი მინახავს,
ანუ როგორა გარჯილვარ, ან ესე როგორ მინახავს,
სიზმრად მითხრა, თუ: «მისრეთსა მიპოვნო», – მე მამინახავს,
და მოტყუებითა შევირთე, თვარ პატრონს თქვენსა ვინ ნახავს?“

494. მისიც ყველაი უამბო საქმენი ამასწინანი,
თუ როგორ ჭირნი ენახნეს, თუ როგორ ცრემლთა დენანი,
ანუ მამასა რა ექნა, ან როგორ სცლოდეს ზნენანი, –
და – „რაცა მე მისგნით მინახავს, ვერ იტყვის კაცთა ენანი“.

495. კვლავე ქალმა სიტყვა დაძრა, ტკბილ-ქართულად მოუბარი:
– „რაც ჩემთვინა დაგემრახათ, ანუ გეთქვათ საუბარი,
აწე გმართებსთ დაინანოთ თქვენ თქვენივე ნაუბარი,
და მის ერთისა ნახვისაგან სიტყვა ვერვის გაუბარი“.

496. მერმე ისრევ გაახშირეს ¹ სმა-ჰამა და ნადიმები,
ყველას მისცა უსაზომო თეთრი, ოქრო, სხვა სტავრები,
მესამესა დღემდი იყვნენ ქალთან მისრთა ჯალაბები,
და მერმე ზოგნი დაიფანტნეს, ზოგნი დარჩენ ხათუნები.

31. აქა მისრთ ცოლთა თათბირი იოსების შეყრად ზილიხასი.

497. მოახსენეს: „დედოფალო, უმართლე ხარ, რაცა ჰქენი,
რაზომც ბრუნავს ეს სოფელი, არ ნახულა დანაყენი,
ამისებრე არ უნახავს კმელზე ტურფა და ნაშენი,
და თათბირი რამ მოვიგონოთ, რაცა სჯობდეს მარგე თქვენი“.

498. თათბირი რამე ჩვენ გკადროთ, პატრონო, პირად მზიანო.
აწ ასრე ჯდომას ესე სჯობს, მისებრე კარგო ყმიანო,
რად არ ეცდები მის საქმეს, ტანად ალვისა ხიანო?
და ჩვენ ესე გამოვარჩივით, თქვენ რასა ბრძანებთ ², ჰკვიანო?“

¹) გახშირეს. ²) ბძანებთ.

499. „ცოტას ხანსა მეციხოვნეთ გაუგზავნეთ ის ზინდანა,
რა სარჯელსა ვერა გასძლებს, თავსა რამცა მოუგვანა,
მოციქულით შეუდეგით და უბრძანეთ ¹ ამოყვანა,
და შენმა მზემა, სხვა თათბირი არ იქნების ამისთანა“.

500. „მაშ უთიოდ ჩამოგყვების, არად უნდა ამას ცილი, მეტის მეტი მისჭირდების შეიქნების ვითა ცვილი, შენ დაგვირდი ცოტას ხანსა, რომე გყვანდეს დასაკნელი, და თავის ჭკვითა თავს რას უზამს, ნახეთ კაცი საქმე ქნილი!“
501. კვლავე უთხრეს: – „დაგვიჯერე, მართლად გკადრებთ ² ჩვენ ამასა: რა იქნების, რომ დასტუქსო და გაგზავნო ზინდანასა? რა სარჯელი მოსჭირდების, თვით დაიწყებს შენანასა, და ცოტას ხანსა უმისობა გაძელ, აგდე საკანასა“.
502. „მერმე მანგი შეუყენეთ, მისის პირით ეუბნარე: «თუ დამყვები, ეს არიო, თვარე უფრო გაგამწარე», სარჯელითა მინაჭირი, ჩამოგყვების იგი მთვარე, და მერმე იხსენ ციხისაგან, შენვე დაგრჩეს ³ შენი მდარე“.
503. ქალმა გახსნა ბადახჩანი მარგალიტა გამოჩენით, უბრძანა ⁴, თუ: – „[ხათუნებო] ⁵, მამეწონა, რაცა სთქვენით, მე სიტყვანი უმეცურნი როგორ უთხრა აზიზს ენით, და როგორ გავძლო ⁶ უმისობა, უფრო დამწვავს ცრემლი დენით!“
504. „ვეღარ გაძლოს ⁷ მან ტყვეობა და დაიცეს გულსა დანა, მე აქ ცუდად რაღას მარგებს ცრემლის კელით ლაწვთა ბანა? თქვენ რა გავგა, რა გაკლდების, მე რომ შემრჩეს ასრე ნანა? და ისი სჯობს ⁸, თუ რაიმე თქვას, კაცი იყოს შესაგვანა“.
505. მათ შეყრილთა როსკიპებთა საქმე უყვეს ზილიხანსა, ადგეს, კელი სალოცავსა ზედ დაადგეს ⁹ მათსა გვანსა: – „ესემც ღმერთი გვიგმია“-ო – შეჰფიცვედენ ტურფის თანსა – და „თუ ამ საქმით შენ უთუვოდ არ იწყვეტდე ბაღთა ბანსა“.
506. რა ქალიცა დაიყოლეს, ადგეს, უთხრეს იოსებსა: – „ზილიხასა ასრე რად სწვავ, რად არ ასხამ დასავსებსა? არ გეწყალვის, ნეტარ, ისი, თვალთ ნიადაგ რომ ავსებსა? და გარდაუშვებს, ვარდსა დასეტყვს და გიშელთა დაავსებსა ¹⁰“.

1) უბძანეთ. 2) კადრებთ. 3) დაქრჩეს. 4) უბძანა. 5) ტექსტი დაზიანებულია: აღდგენილია ჩვენ მიერ ვარაუდით. 6) როგორ: გავძლო. 7) ვეღარ: გაძლო. 8) ისი ჯობს. 9) დადგეს.

10) დავსებსა.

507. „ზილიხას შენის სევდითა სავსე აქვს გიშლის ტყიანი, მოშლია მისი სინათლე, მოციმციმული, მზიანი, არა აქვს თავის თავ კელთა, შეცვლილა ასრე ჭკვიანი,

და არც არას ჩვენდა გვიბრძანებს, რად მოგიშლია წყლიანი?“

508. „ზილიხას თვითო წამწამი ხარაჯი არის მისრისა,
რად არ გეწყალების, უწყალო, დღეში ას-ასსა ისრისა?
არ გამთელდების წამლითა, შენი ჰკლავს ნაკრი ისრისა,
და ჩამოსდის სისხლი ცრემლისა, მოაქვს ლაშქარი გიშრისა“.
509. „აწ ისმინე ჩვენი სიტყვა, თუ არ გინდა შენთვის ჭირი,
კაცსა კაცად შენაქნილსა არა მართებს ჩვენზე ძვირი,
ქვეყნის ტურფათ დამჩაგრავი ზეციერმა შექნა პირი.
და რად არ გინდა შესაყრელად, რამან შეგქნა ასე ვირი?“
510. „ვირმა რა იცის, სიტკბილე როგორი არის შაქრისა?
ბზე უნდა, ქუნჯი, რუბათი, არზუ არა აქვს ჩათრისა,
ანუ სხვა რამცა გაუწყოს, საპალნე უნდა სარქრისა,
და მახთითა ჩხვლეტა ხშირ-ხშირად, არა ცხენსავით დაჭრისა“.
511. „ნეტარმე, ვისცა ეღირსოს ზილიხასთანას ხვევნანი,
უმმაგო ვინცა მოშორდეს, არა ქნას მისი დევნანი,
შენისა ასრე ქცევითა, ვიცით, გექნების ვავ-ნანი,
და რად არ გცხვენთან ქალისგან ყმასა ეზომი წვევნანი?“
512. „თუ მას ეტყვი: «პატრონი ხარ, არ ეგების ჩვენგან ეგე»,
რად სიზმარში ასწავლიდი: «წადი, მისრეთს გარდაეგე?»
ანუ უყავ სამართალი, ან წააგე, ან წაეგე,
და რადგან იგი არა გინდა, ჩვენგანით ვინცა გინდა, ეგე!“
513. „ჩვენთანა ტურფა, ლამაზი ერთად უნახავს არვისა,
შენთვის შეყრილვართ ყველანი, შექმნია ფერი ქარვისა,
ზოგთა გვაქვს ჯელი დაჭრილი, ზოგთა ნაფრეწი სარვისა,
და ქმარ-შვილი ყველას მოგვძულდა, შენგან გვაქვს ნატრა სარვისა“.
514. „მოფ, სიტყვანი მოგვისმინე, შენ მორჩი და ჩვენ გვაწყნარე,
ვარსკვლევებიც ნათლად არი, იმალოდეს რადგან მთვარე,
ეზომ ტურფა შენაყრილში რომელიცა ¹ გინდა, არე,
და სხვას ყვავილთა ჯელი ჰყარე, რადგან ვარდი დაამჰკნარე ²“.

¹) რომენიცა. ²) დამჰკნარე.

515. რაზომცა სიტყვა მიუგეს მჭევრი და ლამაზმანები,
არავის მისცა პასუხი და არცა ვისა ¹ მანები,
ატირდა მწარეს ცრემლითა და შეატანა მანები,

და გაბრუნდა, კარსა გავიდა მზეებარ ² შუქთა ვანები.

516. რა გავლო კარი მან ყმამა, ღმერთსა შესტირდა ამასა:
– „ეგრე რამე მამივლინე, რომ დამხსნა ამათ ხანასა,
თვარ ასრე გძნეულობითა გამაბმენ დიდსა ნანასა,
და მე მიჯობს ამათთან ყოფას, ჩამაგდონ რომ ზინდანასა“.
517. მასვე წამსვე აუსრულდა, რაცა სთხოვა მან უფალსა,
შამობრუნდეს ხათუნები, მოახსენეს დედოფალსა:
– „იგი მოყმე ვაზინდანოთ, ესე გიჯობს ყვევლსა ფალსა,
და ცუდად ვნახედვ შავთა ჯარსა ცხელსა ცრემლში განაფალსა!“
518. „აწე გიჯობს მოგვისმინო, რაცა გკადრეთ ³ თქვენცა აგრე,
ცოტა ხანსა იგი მოყმე ციხეშიგა დაამაგრე ⁴,
თვარე ასრე ვერას ირგებ, რაზომც უფრო დაიდაგრე,
და მოისმინე კაცთა სიტყვა, რაც არ გიჯობს, ნუ იქ აგრე“.
519. აწ ნახეთ, ქალმა რა უყო მოცდენით მზისა თანასა,
დაჰყვა მათ გრძნეულთ როსკიპთა: – „გავგზავნი მას ზინდანასა“,
თვალითა ცრემლსა აგუბებს, იქს ვარდთა გარდაბანასა,
და თქვა, თუ: – „მეფესა ვასმინო, რახანც მოვიდეს ხანასა“,
520. მათი სიტყვა მოისმინა წყლიანმა და სიტყვა-კრძალმა,
დამორჩილდა, – „აგრე ვიქ“-ო, თავს რა უყო, ნახეთ, ქალმა!
– „მას საკანში ჩავაგდებო, ვინ გიშელი ჩაგრა თვალმა“!
და გაუბედა, რაც უძნელე მის მოყმისთვის საქმე ძნელმა.
521. მეფე საწოლს შამოვიდა, გვერცს დაუჯდა ქალსა თანა,
იგი დახვდა მოქრუშვილი, ცრემლთა ექნა ვარდთა ბანა,
კარგთა თვალთა გაეყარა უშავესი გიშლის მანა,
და სრულად ლალი ბადახშნელმა ფერი ქარვას დაადარნა ⁵.
522. ხუმბრობითა ლოყას უწკეპს: – „რად ხარ ასრე მონაწყენი?
რა გჭირს, ანუ რა გაკლია, რად იქრუშვი ესე თქვენი?
შენი ასრე სიჭმუნვარე ჩემი არი დია სენი,
და აწ მიაძბე ეს ამბავი, რად გაქვანან ცრემლთა დენი?“

¹) და არც ვისა. ²) მაზებარ. ³) კადრეთ. ⁴) დამაგრე. ⁵) დადარნა.

523. მან საბრალოდ შემოსტირა, ცხელმა ცრემლმა ვარდი ნამა,
მისმა ასრე დაღრეჯამა აზიზს ყოფა გაუწამა:
– „მიტხარ, რა გჭირს, რა გემძიმვის, შავმა ყარა რად წამწამა,

და ლალსა ბროლმა მიკდილობით ქარვაობა რად დასწამა?“

524. კვლა მოახსენა: – „მეფეო, თქვენც იცით ესე საქმენი, უგვაროს მე იმ ყმისაგან ჩემი ლხინიცა ავთქვენი ¹, გაიგებს ² ჩემსა საქმესა სრულ საველმწიფო აწ თქვენი, და მინდა აწ იგი გაგზავნო საპატიმრუა სა ჩვენი“.
525. მან უთხრა: – „ამას წინათაც მაგისი ვიყავ მდომელი“; უბრძანა კაცსა: „მიკმევით, ციხის თავია რომელი“.
მოვიდა, მისცეს იგი ყმა, ქალი რომელს ³ ჰყავს მწყრომელი, და უბრძანა ⁴: „წადით, ჩააგდეთ ⁵, სად კულა არის რომელი ⁶“.
526. „ჯერ ბაზარში დაატარეთ ⁷, დაიძახეთ ეს ამბავი:
«ვინ პატრონსა არშიკობდეს, იგიაო მოსაკლავი, აწე მიგვყავს ციხეშიგა, ტყვეობითა იკლას თავი, და სანობამდი ცოცხალია, ვედარ ნახოს თავზე ზავი!»
527. რა ჯელთ მისცეს მეციხოვნეს ჩასაგდებლად კულის ძირსა, ჯელ-შაკრულსა მიათრევედენ, ამ სარჯლითა მართ ვით ტირსა, ქალაქშიგა ატარებდენ, ჯელ-შაკრული უჯდათ ვირსა, და სრულად მისრნი შეყრილიყვნენ, უჭვრეტდიან მისსა პირსა.
528. ვინცა ნახევდის, ფიცევდის: „არ აღის ესე მქნელია, ამისგან არა გამოვა საქმენი ასრე ძნელია, ანგელოზია, არა იქს, რაც ცრუვთა კაცთა ჯელია, და ამა პირისა პატრონსა უძს გული უნათელია“.
529. შუვა ბაზარში აყენეს, მუნადი ყივის ამასა:
– „ვინც უორგულეებს პატრონსა, ბოლოდ დაიწყებს ნანასა, ამ სარჯელით და პატიჯით მოგვცემენ ჩვენ ზინდანასა, და სანამდი სულსა დალევდეს, იჯდების მისდენს ხანასა!“
530. რა ზილიხამ ვედარ ნახა იგი ალვა ნორჩი ზდილი, ცრემლის ცხელით აუტირდა, ღმერთსა სთხოვა მან სიკვდილი, იოსების ვერ ჭვრეტითა უფროვე სწავს მას საჯმილი, და ჯელმწიფეთამც მკვლელი არი, ვინცა ვინ ქნას დიაცთ თქმილი!

¹) ავპთქვენი. ²) გაგებას. ³) რომენს. ⁴) უბძანა. ⁵) ჩაგდეთ. ⁶) ბრომელი. ⁷) სანახევროდ წაშლილია. ⁷) დატარეთ.

531. – მოვლორდი დიაცთ ჯელითა, აწე მდის თვალთა წყალები,
– მოდით, გამზდელნო, მაქვავეთ, რად ვისდა შეგეწყალები,
რადგან იოსებს მე უყავ საქმენი შეუწყალები,

და თავის გამოღმა უღმრთო ვარ, თქვენ რადღა შეგეწყალები?“

532. ზილიხასა თვალთა ცრემლსა ინდოთ ჯარი გეყარა ¹,
ჩამოჰქონდა ღვარისაგან, ვარდთა ზედა დაეყარა,
იოსების მოშორვებით სევდას უფრო შეეყარა ²,
და გული სულსა აღარ ახლავს, ცნობა ჰკვანი გაეყარა.
533. ზილიხას ჰქონდა უმისოდ სულის წვით გულსა დაღები,
ზილიხას თვალთა ნადენი ცრემლი სისხლითა ნადები,
ზილიხას ჰკვა და გონება სევდას აქვ თან წანაღები,
[და] ზილიხას ასრე მიკდილსა, ვად, სულიც აქვან ნადები.
534. რა იოსებ ველარ ნახა, ქალი ჯერა აწ ამბავსა,
ვერც ადგის და ვერცა იჯდის, სარჯელიცა ასრე სწავსა,
რაზომ უნდის, ვერ მალევედის, გარდიძახის: – „იგი მკლავსა!
და შეყრა მკლავს და უმისობა, მე რას ვაქნევ ამა თავსა?“
535. არცა პირი დაიბანის, არც ჩახედოს მიჭრიტანსა,
არცა მართავს, პირქვე ეგდოს, მას უებროს, საროს-ტანსა,
არცა თვალთა მოაწყურებს, ზღვასა ღვრის და ჯარს ატანსა,
[და] არცა აძლევს გონებასა, წაუღია სულ სატანსა.
536. რა ზილიხა დამაბუნდა, თავსა ეტყვის: – „რას იქ, გულო?
რად არ კვდები, რადღა დგებარ, შენ სევდისგან მორეულო?
ერთის შენის ნასყიდისგან ასრე გაჰქვე, ამო სულო,
და ჰელთა გყვანდა, რად დაჰკარგე, მოშორვებით დადაგულო?“
537. „მოგშორდი, ვად, საყვარელო, ჰკვიითა ამისთანითა,
უმენობა და შორს ყოფა, რით გაიძლების ხანითა?
ვად, კარგი თავი დაგკარგე ³, ვად, კარგი ალვა ტანითა,
და ნახვასა არა ჯერვიყავ მე დასაკლავი დანითა!“
538. „უმმაგო ვინცა მომენდოს, მოყვარე მოგკალ ნებითა,
დაგატყოვე და დაგკარგე დიაცთა დაჯერებითა,
მე აქა ვზივარ ცოცხალი, შენ საკანს, ჩემგან გდებითა,
და დღეში ასჯერა ვნახევდი, აქ იყოს მოვანებითა!“

¹) გეყარა. ²) შეყარა. ³) დაგკარდე.

539. მას ქალსა თვალთათ ცრემლი სდის, სისხლითა ზღვასა ერევის,
ნილოს-წყალი და ჯეონი არ იგიც მასა ერევის,
ინდონი ნავსა ახლიან, ჯერ ხანად ვერ მოერევის,

და ზოგნი ლაშქარნი გაყრილი იხვრჩების, რაც გაერევის.

540. პირს იხოკს ვარდთა გლეჯითა, მუჭლზედა იცემს ნებითა:
– „სული და ჯორცი გავყარე ¹ დიაცებისა გრძნებითა,
ვამ, რა ვქენ ² ესე საქმენი, ვისმც ექნას კაცთა შვებითა,
და თვალთა სინათლე გავჰყარე და დავჯე მტერთა ნებითა!“
541. „ვინც გაიგონოს დიაცთა თუნდაცა სიტყვა ხასები,
ნუმც ასცილდების ამ დღესა, მე რომ მაქვს ლაწვთა ხავსები ³,
წამართვეს ჳელთათ შარბათი, მომცეს სხნაკვითა თასები,
და სტავრა-ნაქსოვი გამჰადეს დი მამანდომეს ფლასები!“
542. „მოვშორდი ტკბილსა მშობელსა, საწამლოდ აქა მოვარდი,
რა საშველელი ვიშოვე, დავრჩი და აღარ გავარდი,
ჩემსა ბრძანებას ⁴ ისმენდა, სამსახური ვდვი, მოვარდი,
და იმას საკანში ვიგონებ. მე აქ ცოცხალი დავარდი!“
543. ზე დასტიროდის, წინ ედვის მისგან ნაგლეჯი პერანგი:
– „მოვშორდი შენსა პატრონსა, ვის შენვე გიგავს, ჰე, რანგი,
ვამ, უმისობას ვერ გავძლებ ⁵, მოდით, ჩამქოლეთ მე, მანგი!
და გაყრილი რადლა ცოცხალვარ, სად გარე-მოსცვენ ზე ზანგი?“
544. ქალმა მზდელსა შამოსტირა: – „შენ ყოფილხარ ყვევლთვინ ღონე,
ადე, მიცან მის ყმისა რამ, ამისგანცა ნუ მალონე,
თვარე აწვე მოგიკვდები, სხვამცა რალა მოვიღონე,
და მო, გაბედე მის ამბვისა საცნობელად წეეღონე ⁶.
545. „შენ ყვევლისა მიბრძანებდი ⁷ სასწაულით ცაცა ვიცი,
დაჭირვებით ჩვენი მხსნელი შენ ყოფილხარ, მეც არ ვიცი?
აწე ახლა გაგიჩნდების ჩვენი მადლი, შენცა იცი,
და ამისგანცა დაჭირვებით მოგვეხმარე, რაცა იცი!“
546. მოახსენა: – „აჰა, მზეო, ვინ აღვის ხენი იტანე ⁸,
დია, ღმერთო, ამას ღამე მე ამბავი მოგიტანე,
წავალ, ვეტყვი მეციხოვნეს, «ყმისთვის ნუზლი მოვიტანე,
და მე იგი ვარ, ვინ სასყიდლად ბაზრად კიფი მოვიტანე».

¹) გავჰყარე. ²) ვჰქენ. ³) ხავსები. ⁴) ბძანებას. ⁵) გავსძლებ. ⁶) წეღონე. ⁷) მობძანებდი.

⁸) ვინ: აღვისა: ხენ: იტანე:.

547. მან მიუგო: – „ასრე ხელსა რასა მკითხავ, ჰე, გამზდელო,
შეარჩივე, რაც მიჯობდეს, მიყავ, ჩემო დამრჩენელო!“
მოახსენა: – „გავარჩივე წასვლა, ჩემო სასურველო,

და საქმე კარგი მოვიგონე, ეგებ შენცა განახველო.“

548. „აწე წიგნი დამიწერე, მეციხოვნეთ მივსცე ჳელსა,
რომე ესე დედოფალმა მომცა: «ნუ ზის მოყმე ბნელსა,
ნურცა ბეჭდავთ, მოუფონეთ, სახლსა დასვით განათელსა,
[და] ნუ მაგასა სხვაში გაჰრევ ¹, ნურც სარჯელსა უზამთ ძნელსა».

549. ესე წიგნი დაუწერა, ქმრის ბეჭედი დასვა მასა ²,
მის მხლებელთა არ გაენდო, არცაოდენ უთხრა სხვასა:
– „მეციხოვნე ნუ დაუჭერს ამ ბებერსა ყმის ნახვასა“.
და რაცა ჳჳამდა, დაავედრა ³, გაემართა მანგი გზასა.

550. ქალმა დაწერა საბრალო უსტარი ყმასა წინარე:
„შენივ ბრალია, ჳე, ლომო, კარზედა მალე იარე,
ჳელი მოჳკიდე აზიხსა და შინავ შამოიარე,
და მეგონა, გითქვამს, ჳელმწიფე მოვა ჩემზედა მწყრომარე“.

551. „შევზინდი, ორთავ დაგვჳოცსო, ვითა დიაცთა წესია,
ანამცა შენა მოეკალ, ჳკვავა ვარჩივე ესია,
თუ მე რამ დამიმარცხდების, მისთვინა უარესია,
და ქალს მოჳკვლენ, ყმას არ უშვებენ, შენც იცი, დანაწესია“.

552. „შენ არ შეგეძლო მორჩენა, მოვეკალ თუმცა მეფესა,
ესევი გირჩივე სიკვდილსა, მზეო, შუქ-მოიფესა,
თვარე მოგკლავდენ, ჳე, ლომო, სისხლსა გადენდენ მჩქეფესა,
და თქვენ რომე მორჩი წამებას, სცან, ჩემზე რა იყეფესა!“

553. ყმაო, შენც იცი, მისრეთსა შენგნით ვარ შერცხვენილია,
თვალთაგან ზღვასა ნადენსა სისხლად ერევის ნილია,
შენ უფრო ბევრი აშავე, შობელი მყარე ტჳბილია,
და თვარე, ვინც შენზე იტყუვებს, სანიადაგოდ წბილია“.

554. ესე წიგნი დაუბეჭდა, მანგის თანა გაატანა ⁴,
რაც სანუზლო შეჭფერვიდა, ბებერს გამოცაატანა,
ერთი ვირი დაუტვირთა, ჳელთა მისცა, წაზინდანა,
და ზედა შეჯდა, გაემართა, მარტო მივა, არვისთანა.

1) გარევ. 2) მას. 3) დავედრა. 4) გატანა.

555. რა მივიდა ციხისთავთან, წიგნი მაღლა დაიჭირა,
ბრძანა: „მიდით, მოიჳმევით, ვის უჭირავ იგი ვირა“;
უსტარიცა გამოართვეს, ახლოს მიდგა, ნახა მირა,

და ბებერს ჰკითხა, მოახსენა, წიგნს ემთხვია, დასდვა პირა.

556. წიგნის სიტყვას დამორჩილდენ, წაიყვანეს ყმასა თანა,
როგორცა დიაცმა თქვა, მოუფინეს ერთი ხანა,
მაში დასვეს უბეჭდული, გვერცს მოუსვეს იგი ნანა,
და მოეხვია მანგი ფერკთა, ტირს და აქვან ლაწვთა ბანა.
557. დიდხან იყო მოჭდობილი, მერმე ადგა, აემართა,
ჰკითხა: – „ჩემის მოშორვებით შენსა ზდილსა რა ემართა?
რად არ ჰკადრებოთ, მოიჭიროს, გაიგონოს თქვენი წვართა?
და კაცი ერთხელ თუ მოკვდების გააცოცხლებს ¹ ვინღა მკვდართა?“
558. მერმე მანგიმ ამოიღო წიგ[ნ]ი მისგან მოგზავნილი,
გამოართვა, წაიკითხა, აღძრა მაზე სიტყვა ტკბილი,
ატირდა და ასრე ბრძანა: – „ჩემგნითა სჭირს ეს სირცხვილი,
და ვამძე, ღმერთო, სანობამდი ვიყო მასთან ასრე წბილი?“
559. მანგიმ ჰკადრა: – „მესწრაფების, რა გაქვს, ლომო, დასაბარი,
შევბრუნდები, მინდა ვნახო ცოცხალია, არე მკვდართ,
ასრე არის უშენობით, ვით უსულო, სასამარი,
და იგი კლევს და იგი ავსებს, აქვს შენს ტანსა ნამოსარი.“
560. – „აწ საყვარელო, მოგიწერ, სანატრელი ხარ ნახვითა,
ოდეს მეღირსოს ცოცხალსა შეგყროდე ღვთისა სახვითა,
ვილხენდე შენის ჰვრეტითა, აქამდი მე უნახვითა,
და გავძლოთ ორთავე სარჯელი, რას გვარგებს ჰაი ახვითა?“
561. „შენ კელმწიფე ხარ ტურფათა, შენი ლაშქარი შავნია,
მუნიდამ მესრი ისარსა, არ ამცილდების, მავნია,
ინდოთა მებძვის ლაშქარი, ტბანიცა ჩემთვინ ავნია,
და სჯობს არ ჩენა და გაძლება, მოთმენისათვინ მკლავნია“.
562. თუცა არ ვიჩენ, ჰე, მზეო, მეცა შენთვინა ვხელდები,
სანთელს-ვით ვიწვი, დავდნები, აროდეს არა ვნელდები,
მაგრამ არ აღის ბრძანება ღვთისა, ამისთვის ვძნელდები,
და უგანგებლოდა ვერას ვიქ, რაზომ ცრემლითა ბნელდები“.

¹) გაცოცხლებს.

563. ეს უსტარი გაათავა ¹, მანგის მისცა: – „ჰკადრე მზესა,
სევდას თავსა ნუ ანებებს, თუ უყვარვარ ² ჩემსა მზესა,
ერთმან ერთსა უფრო ვჰკარგავთ, რომელიცა დავლევთ დღესა,

და არამც წასცდეს, მოახსენოს ჩემი რამე ჳელმწიფესა“.

564. მანგი ყმასა გაეყარა, გაემართა მისვე გზასა,
რა მივიდა, ამოიღო წიგნი მისცა ზილიხასა.
თვალთ დაიდვა, გარდასუსტდა: თვით უწერავ იმა ყმასა!
და რა მოზრუნდა, დაუწყნარდა, აწ ამზავსა ჳკითხავს სხვასა:
565. – „ვინ გაჳდის, ან ვინ ჩააცვამს ³ ალვისა მჩაგრსა ტანასა,
ვინ უზის თავით ძილამდი, ეტყოდეს მას აფსანასა,
ვინ შემოუტანს წუმწუმას, ელოდდეს პირის ბანასა,
[და] ⁴ ვინ გაძლებს ⁵ მისი მნახავი, ვერ სჳვრიტოს ვარდთ უბანასა?“.
566. „ამ წიგნსა, მისგნით ნაწერსა, ვინ მისცა ეზომ ტკბილობა?
ჩემთვინა ასრე წყალობა სწრთნა უქნია და ცილობა,
გაძლება სჯობსო არ ძლებას, ნუ დრიკე ალვის ზდილობა,
და უდმრთოთა არ ჳამს ჩვენზედა ერთმან-ერთისა ჳრილობა!“
567. „ვაჲ, ახლოს ყოფა ვერ გავძელ ⁶, აწ სიშორესა ვინანი,
თუმცა ვნახვიდე სიზმრადაც, ჳირნი ვივიწყო წინანი,
თვარე რას მარგებს ტირილი, რაზომცა ვრეცხნე მინანი,
და მო, მანგი, ასრე რა მიყავ, მიჩვენო იგი რკინანი“.
568. „მან ღმერთმა დაუფარავმა შენ გაჩინა-და და მეცა,
თუ არ მიჩვენებ, მოუკვდები ⁷, გულს ასრე სევდა მომეცა,
ზეციდამ მეხი მოვიდა, ვერ დავერიდე, დამეცა,
და უცილოდ შენცა დაიწვი, არ დამშრეტ ასრე რა მეცა“.
569. დაღონდა მისი გამზდელი, ვერასა ჳკმობდა ენითა,
იგი საწყალი ასრე ტირს, ზღვა არის თუმცა დენითა,
გაუწყრა მანგი ტუქსვითა: – „რად გვარცხვნი ასრე ქენითა?
და ადე, არა მშურს, თუ წაჳკდე ავ-საქციელით შენითა“.
570. მის ბებრისა დასახული ქალად ჳკმობდა მზისა პირსა,
მეუფესა ადიდებდენ: «არ ჩავსცვივდეთ ამით ჳირსა»,
მოიყვანეს და დატვირთეს, წინა-უკან შესხდეს ვირსა,
და მას შმაგობა ვით ეძრახვის, რადგან ვინმე ასრე ტირსა!

1) გათავა. 2) თუყვარვარ. 3) ჩააცვამს. 4) ეს „და“ სხვა ხელით არის შემდეგ მინაწერი.

5) ვინ გასძლებს. 6) გავსძელ. 7) მოვჳკვდები.

571. თვალთაგან ცრემლსა ნადენსა ვერ უდგამს გიშრის მანები,
მიდის, ვარდზედა ესობის, სისხლსა ღვრის ვითა დანები,
ვინც ასრე გაცდეს, რამცა ქნას მან საქმე თავისა ნები,

და მოშლოდა ყვეელი სურნელი ბალ-ბაღჩას ლამაზმანები.

572. რა მოვიდეს სიახლოვეს, მეციხოვნეთ ნახეს ვირი,
დაუძახეს: – „წინ წამოდეგ, გიბრძანებსო ჩვენი მირი“;
ვირი ქალსა ჴელთა მისცა, თვითან მიდგა, ვითა გმირი,
და მათ უხუმრეს: – „ჩვენთვინ მოგყავს ქალი, ვიცით, არ ხარ ძვირი!“
573. – „მის დაგდებას შეუზარდი, ვერ ვიგონე ამის მეტი,
ღმერთმა არა მამივლინა მოყმე ჩემად ქალის მეტი,
მარტო სადგომს ვერ დავაგდე, ეშმაურმა არ ქნას რეტი,
და ამაღ მამყვა აქა, თვარე სირცხვილი აქს მეტის-მეტი“.
574. თვითცა ადგა ციხისთავი, ჴელი მისცა ბებერს ჴელთა,
ორნივ ერთად გაემართნეს და შავიდენ სატურფელთა,
ნახეს იგი ნატირები, სისხლს იტანს და უშვებს ცრემლთა,
და მანგი ყივის: – „ქალო, ვირი მოიყვანე სასურველთა!“.
575. მოჰკადა და მოუტანა, თუ რამ იყო მისი ტვირთვი,
ბებერმა თქვა: – „პატრონისა ნახვით შენცა სული ირთვი,
მის მუახლედ მოგიყვანე, ფერჯთა მტვერი სურმად ირთვი,
და ადე, თავსა შემოევლე, სანაცლომც ხარ მაგის ჴირთვი“.
576. ადგა, ყველა დაუჯერა, მერმე მიჯდა მისვ ადგილსა,
ქალი ღმერთსა ეხვეწების და თავისას სთხოვს სიკვდილსა,
ბებერს უთხრეს: – „შამოიხსნას ჩადრი, იწვის რად სირცხვილსა?
და მოახსენა: – „როგორ იხსნას, პატრონი ხარ, თქვენგან სწბილსა!“
577. გაღიმდეს და კვლავე ჴვითხეს: – „მაშ მოგყვანდა, ნეტარ, რისთვი“?
მოახსენა: – „წელანც გკადრე, არა მყვანდა მოყმე¹ მისთვი,
მარტოს შინა ვერ ვაგდებდი, მოვიტანე აწ ამისთ[ვი],
და შვილია და უკანა მდევს, შინ დამეგდო არა ვის[თვი]“.
- 578*. ადგეს, ისინი წავიდეს, ქალნი დარჩეს და ყმა.
იტყოდენ: „ასრე ტანადი, ნეტარ, გინახავთ
საქციელშიგა ეტყობის, შვენება აქვ
და ბრალი არ ალის, ამას ჴყავს ს

¹) მოჴმე.

*) დედანში ტექსტი დაზიანებულია (ფურცლის ნაწილი მოხეულია).

579. მერმე ვიჯდენ იოსებთან
გაღიმდა და მოახსენა: – „ნახეთ.
შენზე აღძრენ სათამამო

და მან მიუგო: – „თქვენ არ იცით, ჩვენ სხვაზედ ვართ არ უბარი“.

580. მთვარე მზესა შეეყრების ¹, ვარსკვლავები განქარდების,
მაგრამ ივა რა ადგილსა ², ცხრომა მათგან არ ეგმების,
თვითც იციან, ვინ დააცხრობს ³, იგივია, მით ივსების,
და რაზომ იწვის, მად არ ნავლობს, არ მისგნითვე დაივსების.
581. [ნ]ეტამცა სხვათა მიჯნურთა ჰქონდეს მისდენი წყალობა,
..... ბის ნიადაგ, ვისგნითა მას აქვ ლალობა,
..... გავსებს, აქვს ამდენართი ბრალობა,
..... ვრად მაქვსო მცხრალობა".
582. სთქვი სიტყვა ბძენთაგან საქები,
..... შენგნითა დავები,
..... ლზე თქვენთანა სახები,
..... ური გიდგა სახლები.
583. ასცილდების ახ-ვასა,
ღვთის ბრძანებაზე ⁴ ჰკილია საბრუნავითა ნახავს[ა],
შეყრა არ ძალუცს ამგვარად, გალევს და სავსედ სახვასა,
და სხვა აღარ უნდა მას ჯერა, თუ ისრე შეინახავსა.
584. კვლავე ჰკადრა: – „როგორ მოხველ, მესწრაფების, ბრძანეთ ⁵ თქვენი".
მოახსენა: – „სანადიროს წასულიყო მეფე ჩვენი,
ბრძანა: «ნუზლი წამოიღონ, იქა დავყო ⁶ სამი დღენი»,
და ჩვენ აქათა ⁷ გამოვსდევით, რა ითხოვა მეფემ ცხენი“.
585. უბრძანა, თუ: – „ნულარ სდგეხართ, ადგე, წადით, ღვთისა ძალსა“!
ერთმან-ერთსა მოეხვივნეს, ქალი ყმასა, ყმაცა ქალსა,
მის გაყრასა ვერ ითმენდა, მზდელი ზიდავს, „ადე“-ბრალსა,
და მანგის ჰვედრებს ⁸: – „აღარ მოგყვეს, მოიტანდე რა საგძალსა“.
586. ვირსა შესხდენ, გაემართნენ, ქალი იდენს თვალით ზღვასა,
წაიქცა და აღარ ადგა ის უგვარო შუა გზასა.
ჩამოვარდა, ჯელი იღძო, ჩაუვარდა მანგი ჭასა,
და იქიდანამა ამოზახის: – „წადი, უბნობ სხვასლა რასა?“

*) დაზიანებული ტექსტია აქ და 581, 582 და 583 ხანებში.

¹) შეყრების. ²) რადგილსა. ³) დაცხრობს. ⁴) ბძანებაზე. ⁵) ბძანეთ. ⁶) დავჰყო. ⁷) აქათ.

⁸) ვედრებს.

587. – „რა მექნების, ჯელს ვერ ვიტან, ეს უგვაროც არა დგების,
შუალამე გარდასულა, მეშინიან, გათენდების,

მას მოჰკვლენ და მე მარჩობენ, ჭირნახული წაგვიხდების,
და შამოსძახა: «ნუღარ სდგებარ, ვნახოთ ღვთისაგან რა მოჰკვდების!»

588. შეწუხებული ზილიხა მივა გზას მარტოს თავითა,
თვალცრემლიანი, მტირალი, შეუშრობელი შავითა,
ერთს ფარსანგს ძლივ მიაწივა ამ ყოფით დამაშვრავითა,
და ასრე არ რჯილა დარეჯან, მარტო რომ იყვის ნავითა.
589. საწოლს შევიდა მამვრალი, სასთულსა ზედ აწვებოდა,
მისნი მხლებელნი მოსცვივდენ, გარე შემოადგებოდა,
თავს ხვითქი გარდასცემოდა, უშს იქმოდა და ბნდებოდა,
და უკვირდათ მისთა გვერც მხლებთა, მანგი რომ არა ჰყვებოდა.
590. ვინცა ჰკითხევდა ამბავსა, რადგან თვით არა ბრძანოსა ¹,
ბრძანა, თუ: – „აბუ მიტმევით, თუ წასვლა მოაბანოსო“.
შავიდა იგი მასთანა, ვინ ალვა რწყევითა ბანოსა,
და ჰაიათ ჰკითხავს: – „რა იქნა მანგი ტურფათა ბანოსა?“
591. გალიმდა და ასე ბრძანა ²: – „საქმეს გეტყვი საკურველსა:
ვირმა ორნივ გარმოგვყარა, მანგი ვარდა დიდსა ჯვრელსა,
იქიდამე ამომზახის: «რას იქ, მამგვრი თუ მეშველსა,
და ეგებ სადგომს მიაწიო, საქმესა იქს თუცა ძნელსა».
592. „ველი და ფერტი ნატკივნი, მეც ვეგდე ჭასა ზევითა,
რახანცა ავდეგ შიშითა, ვთრთოდი ³, ვით ალვა რხევითა,
აღარცა ადგა უგვარო, ჯელნი მეტკივნეს წევითა ⁴,
და ასე მიკდილი ქვევითი, არ გიკვირს, მოველ მე ვითა?“.
593. „საღამოს მინდა წავიდე, ვინ წავიტანო მხლებელი?
უსუსური ხარ და მძიმე შენი არ ალი საქნელი“.
გამოარჩივა სამი სხვა, ჯელთ მისცა თვითო საბელი,
და წავიდეს მისად საშველად, შეიქნა რა ღამე ბნელი.
594. მოვიდეს, ნახეს, ჭაზედა მანგი დაუხვდათ ცოცხალი,
თოკი ჩაუშვეს ზედადამ, მაზე მოება საწყალი,
ერთსაც ზედათა მოაბეს, მას მოეჭიდნენ სამ ქალი,
და ამოიყვანეს იქიდამ, ველარ იძროდა საბრალი.

¹) ბძანოსა. ²) ბძანა. ³) ვკვთრთოდი. ⁴) ზევითა.

595. ერთმან-ერთი მოიკითხეს, წამოვიდეს მერმე შინა,
მანგი, ნახა, თვით ვერ მოვა, ზილიხასა შეემინა ¹,

მკვევლთ ცვლითა ზურგთ იკიდეს, ძლივ აწვივეს სარჯლით შინა,
და მიიყვანეს ² ქალის სადგომს, ზედან ტახტსა დააწვინა ³.

32. აქა კელმწიფის სიზმრის ნახვა და სხვათაგან ვერ ახსნა იოსების მეტისაგან ღვთის ბრძანებით. ⁴

596. რა მეფე სხვაგან წავიდის, გზა გავლის ქალმა მალვისა,
თვარ იჯდის ქედამ წყენილი, ლალმა დაიტყვის ქარვისა,
აწ უარესი სხვა იქნა სახრელი მისვე ალვისა,
და მეფემა ნახა სიზმარი, ნახული კაცთა არვისა.

597. ჰოჲ, მსმენელნო, გაიგონეთ ღვთის წყალობა კაცსა ზე რა,
ზილიხანის სიყვარულმა ჭირის მეტი უყო ვერა,
მისგან არის ავი, კარგი, ჭკვიანიმცა კაცი ჯერა,
და ქვეყნიერზე საქმე ეგდო, საპატიმროს დაებერა.

598. იოსების მწყალობელმა აზიზს სიზმრად აჩვენა რა,
ამად, რომე მისი ამხსნე იმის მეტი ჰყვანდა არა,
ამ საქმითა ამოუშვა, აზიზობას დააჯერა ⁵,
და მწედ იცნობდეს ყვევლი მჩინე, დაემართოს ავი არა.

599. შვიდნი ძროხანი მსუქანი, სიდიდით ვითა დევები,
მინდორი ამწვანებული, ტყეები ⁶
მათ ესე სრულად დაჭამეს, შვიდი მოვიდა მჭლეები,
და იგინი ამათ დაყლაბეს, არ ჰქონდათ დიდი მაშვრლები.

600. გათენდა, მეფემა ბრძანა: „უცხო სიზმარი ვნახია,
მოიკმო მუნაჯიმები, მათ უყო კანანახია:
– „ამას შეიტყობს უთქმელად, ვინ მერამლეთა სახია!“
და მათ მოახსენეს: – „შვიდ დღემდი გვაცალე, წიგნსა ვნახია“.

601. მოიკმო მეშვიდეს დღესა იგი წამყრელი მოლეები,
ჰკითხა: – „რა ჰქენით, შეიტყვე ჩვენგნითა მონახულები?“
მათ მოახსენეს: – „მეფეო, ვართ ამაზედა კრულები,
და არა, არ ვიცით რა ნახეთ, ყოფილა ან რა რჯულები“.

602. ეს ამბავი შეყრილობით მეფემ ჰკითხა თავადებსა,
ციხისთავმა გაიგონა, მოახსენა ვეზირებსა:
– „ის მოყმე რომ მაზარია, კარგა ახსნის სიზმარებსა,
და წავალ, ვჰკითხავ აწ იმასა, თუ კელმწიფე მიბრძანებსა ⁸.

1) შეშინა. 2) მიყვანეს. 3) დაწვინა. 4) ბძანებით. 5) დაჯერა. 6) ტყეები.
7) ნაქვხევები: (ტექსტი წარყვნილია). 8) მიბძანებსა.

603. მოახსენეს კელმწიფესა ციხისთვისა ნაუზარი:
– „მას მოყმესა დია აქებს, თქვენგნით რომ ა პატიმარი,
ორნი კაცნი გითხოვნიათ დიდსა ხანსა იქ ნაზარი,
და მათ უკითხავს, მართლად უთქვამს, სხვა არა გყავ მისი მდარი“.
604. „ერთს უთხრა: «კელმწიფე მოგკლავს», მეორეს – დიდი წყალობა,
მოუყვანიათ თქვენს წინა, შექნილა ისე მწყრალობა“.
ბრძანა, თუ: – „ჰაჲ-ჰაჲ, მეც ვიცნობ, სჭირს ჩვენგან დიდი ძალობა,
და წავიდეს, ჰკითხოს, თუ იგნებს, მიქნია შენაწყალობა“.
605. ციხისთავი გამოგზავნეს, წამოვიდა მასვე წამსა,
„აქ ამბავი მოგვიტანე“ – დაავედრე ¹ს – ამავე წამსა“!
რა მოვიდა, ახარებდა კელმწიფისგან ამ ამბავსა:
და მოგარჩინე მეფესთანა, რაცა გკითხო, თუ სცნობ მასა.
606. მოახსენა: – „თუ რამ ვიცი, დია, ღმერთო, გკადრო ენით“.
უთხრა: – „მეფეს რამ უნახავს სიზმრად, არის ცრემლთა დენით,
ბრძანა: «ვინცა მას შემიტყობს, მე არა ვთქვა ² სიტყვა ჩენით»,
და რაზომ კარზე აცადუნეს, ვერ-ვინა თქვა ეს სიბრძენით“.
607. „მე მოვახსენე თავადთა ყოველი შენი საქმენი,
ან სიზმარს როგორ ახსნიდი, ან სასწაული რა ჰქენი,
მერმე მათ ჰკადრეს მეფესა, ამბავი რაცაღა ვსთქენი.
და მიბრძანა ³: «წადი, მიკითხე, აწ ასე ჩემი არ თქმენი».
608. მოახსენა: – „ამ ღამ მაცლი, გათენებას გკადრებ ⁴ ენით“.
უბრძანა, თუ: – „დია, ღმერთო, როგორც გინდა, ეგრე ვქენით ⁵“.
წავიდა და მალვით შესტირს მეუფესა ცრემლთა დენით:
და – „მამცენ ტყობა და შევიტყო მე სიზმარი ესე ჩენით“.
609. რა ცხელის ცრემლით შესტირა, მეუფემ მისცა ნებანი,
ციხისთავთან მივიდა, შეიქნა რა თენებანი,
მან მახსენა: – „უტყობთა უქნია დია კრებანი“,
და უამბო, რაც იქნებოდა ხარება, ანუ ვნებანი.
610. რა ისმინა, ცხენსა შეჯდა, გაემართა მეფეს თანა,
ჩამოჯდა და შინ შევიდა, სად კელმწიფის ხალვათ ხანა,
რა აზიზმა დაინახა წინ მოიჭმო, მეზინდანა,
და დაჩოქებით მოახსენა: „ყმამან თქვაო, ეს ეზმანა“.

¹) დავედრეს. ²) ვჰთქვა. ³) მიბძანა. ⁴) კადრებ. ⁵) ვჰქენით.

611. „შვიდ ძროხისა სიმსუქნობა – შვიდ წლამდია მოსავალი,
მწვანის ნახვა კარგი იყოს, რაცა სთესო, შასავალი,
მჭლევებისგან მათი ყლაპვა, იყოს ისრევ წასავალი,
და ხის წაქცევა ტყეთა შიგა – მტერთ ჳელმწიფეთ ლიონ სალი“.
612. რა მეფემა მოუსმინა საუბარი ციხის მირსა,
იამა და მის ყმისაგან შეტყობასა დია ჳკვირსა,
ბრძანა: – „ყველას დაუკარით ქოს-ნაღარა, ტაბლაკ-სტვირსა,
და ლამქრითა და დიდებითა წადი, ახსენ იგი ჳირსა“.
613. „ჩვენ ვიყვენით მაზე უწყლად, თვარ წინ იყო პატივ-ჩენა,
ღმერთმა მისად სასამართლოდ სამს თვის ყმაწვილს მისცა ენა,
არ ვიჯერეთ ჩვენ ურჯულთა, ქვეყნად გვიყო გარდაშენა,
და რა ვაყვედროთ პატივ-ცემა, ღმერთმა მაზე მოიღმრთენა“.
614. გაუგზავნა ცხენ-აბჯარი, გვირგვინი და ჳმალი მისი,
მიეგებნენ დიდებულნი, ვეზირი ჳყავს, ანუ თვისი.
– „წადით, აქა მოიყვანეთ ¹, ვინ სწორია არავისი“.
და წამოვიდეს, აღამართეს მოდრეკილი ალვა ისი.
615. მოვიდეს, ამოიყვანეს იგი მზე მანათობელი,
აბანოშიგა აბანეს ის მარგალიტთა მწყობელი,
გამოიყვანეს, მოკაზმეს შვენებით თემის მკობელი,
და ვის მისცემს ასრე შვენებას სხვას ყოვლად წმიდის მშობელი?!
616. თავსა გვირგვინი დახურეს, წელთა ჳელმწიფის ჳრმალია,
ზედ შესვეს მერანს-ტაიჳსა სადგმითა მუნა თვალია,
გამოემართა, დალივეს ადვილად გზა სავალია,
და ქოს-ტაბლაკ-ნაღარის ცემით ქალაქად მონავალია.
617. გამრავლდა ქოსი, ტაბლაკთა ცემა ვინც დააწყნაროსა ²!
თვით შეჯდა დიდი ჳელმწიფე, წინ მიეგება საროსა,
რა ნახა, ცხენით გარდიჳრა ფეჳს მოჳედით ალვა ხაროსა,
და აზიდა, მეფემ არ უშვა, რომ მიწას დაემყაროსა.
618. ჳელი მოჳკიდა, საწოლსა წავიდენ ორნივ ქვევითა,
საყვარლობდენ და ლალობდენ, არებდენ ალვას რხევითა,
შევიდა, გარდაიწვივა, ტახტზედა დასვა ჳევითა,
და რაც ჳკითხა, მან მოახსენა სიტყვა-უებარ ³ ქვევითა.

¹) მოყვანეთ. ²) დაწყნაროსა. ³) უბარ.

919. უბრძანა: „ – რა ვცან ¹ შენგნითა ჩემის სიზმრისა ახსნანი, შევიტყვე, რომე სდომია სოფელსა ჩემი დახსნანი, თურე უნდოდა მეუფეს შენი არ ბეჭვდა, ახსნანი, და აწ მითხარ, რა მოეგვრების? ექნების ან რით დახსნანი?“
920. მან მოახსენა: – „მეფეო ჩვენ გვმართებს ასრე ვქენები: ამ შვიდსა წელსა იქნების აქა დიადი შენები , თვითოს და თვითოს სოფლისა შევყაროთ ², თუ თქვენ ბრძანები ³, და სათქვენოდ მოვაკნევინოთ, ვის მიწა ჰქონდეს მკნენები“.
621. „ქალაქის, სოფლის რუსთავი მოვიკმთო თქვენსა წინარე, რა მოუნდების გლახაკთა წელ-და-წელ თვითოს შინარე, მივსცეთ მიწა და პირუტყვი, რაც ერგებოდებს წილარე, და რაც მოვუვიდეს, აბარონ, ვინ ჰყავს უფროსი მჩინარე.
622. „მან შეუნახოს წლის-წლამდი, მისცეს იმისი სარჩომი, ნუ აძლევს მისგან უფსოსსა, კვლავე სდომია რაც ზომი, გაყიდოს ან ვინ იყიდოს, თავი მოჰკვეთე ნაშრომი, და ყველაი კარგად დარჩების, არ ამოწყდების ⁴ კაცთ ტომი“.
623. „თვარ, ჯელმწიფეო, ასეთი იქნების შიმშილობანი, მამამ შვილს აღარ უყუროს, აღარც ძმათა ქნან ძმობანი. თემი, ქვეყანა აოჯრდეს, გარდაწყდეს ⁵ პატრონ-ყმობანი, და ერთმანერთს ჭამა დაუწყონ, გათავდეს პირი-ტყობანი“.
624. ჯელმწიფემ უთხრა: – „შენა ხარ ჩემის სახლისა ხუცესი, საპატრონო და მამული, როგორცა სჯობდეს, აწესი, ერთგულს არჩენდე, ორგულსა მოჰკლევდე, რიგორცა წესი, და დიდებულნო და თავადნო, ჩემ შვილად გამოვსახ ესი“.
625. ჯელი მოჰკიდა, ტახტზედა დასვა თავისა ჯელითა, თვით თაყვანი სცა, მერმე თქვა: – „ლაშქარნო, ვისდა ელითა?“ ემთხვივეს, ჰკადრეს: – „მეფეო, ბრძნადამც ხარ დღითა გმელითა, და ამ შვენიარის პირისგან კრულია, ვინც ავს ელითა“.
626. „იცოდეთ, ვინც პირად ვარგა, გულადცა უკეთესია, კარგსა არ შესცვლის ავადა, ეს მეუფისა წესია, არ სწორად დასწვავს აბედსა დიდი და ცოტა კვესია? და რაზომ შესცვალოს სოფელმა, ის მოვა, რაცა სთესია“.

¹) რა ვსცან. ²) შევყაროთ. ³) ბძანები. ⁴) ამოსწყდების. ⁵) გარდასწყდეს.

627. რა აზიზმა უსუფ შვილად დალოცა და ტახტსა დასვა,
სოფლისაგან ჭირი ერთო, ემატების ყვევლს დღე მას სვა
უფრო ძნელ და ზილიხაცა იკმო, თავის თავით დასვა,
და ჯელ-შეწყობით მოეკიდნენ, ზამბა-წურვით წყალი ასვა.
628. შვილი მისი, უსუფ, იკმო და ანდერძსა უბრძანებსა ¹:
– „საპატრონო შენ დაგიგდეთ, შენცა იყავ ჩვენს ნებასა,
ჩემთა მხლებთა კიდევ გცოდონ, არამც იყო მათ ვნებასა,
და ზილიხასი რა გაბარო, პირველ იყო დანებასა!“
629. „საპატრონოს ეკელმწიფე, ძალსა ნურვის დამართვია.
ჩემი სული არვინ წყიოს – «უსამართლო შენ დასვია!»
უსუფ ჰკადრა: – „რატომ ბრძანებ, ჩვენ ლახვარი გულსა გვსვია,
და ღმერთმა.ა ნუ ყოს თქვენს უკანა ცოცხალი რჩეს, ვინღ მავია ²“.
630. ამ საუბარსა შიგ იყვნენ, კვილი ისმა დედათცა,
ლაშქართა იგზნეს უცილოდ – აზიზი შეიცვალაცა,
მოსცვიდენ მას წამს ტირილით: – „თავს დაგვცემია ზედა ცა!“
და საყელო გირდაიხივეს, ერდგული სულად დაეცა.
631. ზილიხა მოსთქვამს საბრალოდ, თმა გაშლით მოუხვევია,
უსუფცა ჭირის-უფლად ზის, თავ-ცემით იტყვის: – „ვად, ვია!
ვის გვიგდე ჩვენ ობოლ-ქვრივი, პატრონი ჩვენი ან ვია?“
და ეკვდავი უწყვეს ასეთი, ცოცხალთვინც არარ ავია.
632. საკაცე კარგა მორთული ჯელმწიფეთ საკადრისია,
ზედა სტავრები აფინეს, რაც უფრო ძვირ-ნაფასია,
ქვეშ დიდებულნი შეუსხდენ, ვინ პატრონია, ვისია,
და ზილიხა თმანი გაშლილი და მუახლენი მისია.
633. თანა ჰყვებოდენ ყველანი თავ-ცემა გარდაცემითა
უსუფსა ჯელსა სტაცებდენ: – „თქვენ თავი ნუ ირჯენითა“.
იგი მიწასა აბარეს, წესი ქნეს ღვთის ბრძანებითა ³,
და იოსებ ჯელმწიფედ დაჯდა ჯელმწიფის დავედრებითა.
634. ჭირი ლხინად შეიცვალა იოსების პატრონობით,
ეს სოფელი ასრე მქნია: საქმეს ახვდენს ნობა-ნობით,
არას არის თავის მდები, რაზომცა ვართ მაზე გმობით,
და უყურეთ, თუ ზილიხასა რა ეჩხუბა მისის ნდობით!

1) უბძანებსა. 2) ვინღა მავია. 3) ბძანებითა.

635. აწ გაიგონეთ, ზილიხას სიცოცხლე როგორ ძნელია,
აზიზიც სოფლად წავიდა, დალივა დღენი გძელია,
ყმას დაუმკვიდრდა მეფობა, გათავდა ერთი წელია,
და შავ-ქალი სოფლის კელითა აწ უფრო ხელთა ხელია.
636. შავმა სოფელმა მისდღეჩი არ მოასვენა არც ისი:
არ ეხსნების და არ უშვებს, წაჰკიდებია ქალს ისი,
თვალითაც აღარ უჩვენა, სიყვარული აქვს მას ვისი,
და გაამბოთ, რაცა გარდაჰკდა, თუ მოისმინოთ აწ მისი.
637. დღისით და ღამით მოთქვემდის ¹, სისხლი სდის ცრემლთა დენია.
– „ვამ, ჭირნო ჩემნო ეზომნო, ნეტარ ვინ გიტყვის ენითა!
მამპულვებია სიცოცხლე, გული აღარ არს ლხენითა,
და რა მიყავ, როგორ გამსაჯე და დამსვი ვისთა თმენითა?“
638. „ვამ, სოფლის კელით შავ-გულო, სატანით ვარდი სატანსა“!
ჩამოსდის სისხლი და ცრემლი, გიშლისა ჯარსა ატინსა,
მიწურვილიყო სიკვდილსა და ხრიდა ალვისა ტანსა,
და იოსებ მოციქულები გზავნა და ამბავს ატანსა.

33. აქა იოსების მოციქული ზილიხასთან და წყეულთაგან შეცვლა.

639. შესთვალა „აჰა, მანათობო, მანათობელო მზევეითა,
ტანად ალვისა მჩაგვრელო, არც სადარებო რხევეითა,
შენ ჩემთვინ მოგსურვებია, არ იცი ჩემით – მე ვითა,
და გიჯობს, რომ რჯულზე მოიქცე, ნუ ზიხარ მიკდილ ცნევეითა!“
640. „შენ კერპებსა თუ დაამტვრევ, შამოგიყრი ლომი მზეესა,
თვარე ასრე მიკდილობით ცუდად დავლევთ ორივ დღესა,
სასწაული მას ვინ მისცა, კაცთ შექნილი მკვდარსვით ძესა.
და მოიქეც და ღმერთს ეხვეწე, ჩემი შეყრა თუ გინდესა“.
641. ეს ამბავი დააბარა ², შეუგზავნა ხათუნები ³.
რა ქალთანა შემოვიდენ ის როსკიპი დიაცები,
მათს სალოცავს კელი დასდვეს, დაიფიცეს ძლიარები:
და „იგ უთიოდ არ შეგირთავს, მოვისმინეთ აგრე ლები“.
642. „ბრძანა: «ეგრე რა შავსთვალოთ, რჯულზედ მოიქცეს ისია,
რა გამოვართვა კერპები. მერმე შევკთვალო ესია:
კელმწიფე მოკვდა, მამული მე დამრჩა, ჩემი წესია»;
და სადედუფლოსა უძახის, რაცა სად უკეთესია“.

¹) მოსთქვემდის. ²) დაბარა. ³) ხათუნები.

643. „არ გამოგართვას, რას აქნევ მამულიც უკეთესები, თუ არ შაგიყრის, რას აქნევ, რომ ჰქონდეს უზეშთესები? თქვა: «მე რამ მისგან მახსონდეს ციხეში ჯდომა, კვნესები, და ჯერ რჯული დავაგდებინო, მერმე სხვა უარესები».
644. უბრძანა ¹ – „გამომირჩივეთ რა შეუთვალო მე მასა, თქვენ ხართ მოციქულები, თქვენ დახდომიხართ სმენასა“. მათ მოახსენეს შეტირვით: – „შენსა ვიქთ ჩვენ შეწევნასა: და შენცა პასუხი შესთვალე, რაც ჰკამდეს ცრემლთა დენასა“.
645. შეუთვალა: „აჰა, ლომო, გმირთა მჯობო ფალავანო, ცხენოსნად და მშვილდოსნობით, არც მობურთლად ვისმე გვანო, შვენიარად სანახაო, მთვარის მჩაგრო, მონავანო, და რაც გებრძანა, დაგმორჩილდი, შენ უსწორო გულოვანო“.
646. „რაცა გებრძანათ, დაგყევით, ვინ ჯელმწიფე ხარ მისრისა. რადგან ჩამოგყევ, უბრძანე, ნულარ გვიმწარებს გიშრისა, ტბასაცა ესმის, აყენებს ჩვენად არ კრავად ისრისა, და არ გამთელდების წამლითა ნაკარი მათის ისრისა“.
647. უყურეთ, თუ რას იქმონენ ქვით გამომძვრალი გველები! ახლა მეფესთან მივიდენ, სხვა მიიტანეს ² ენები, ჯელმწიფეს ჰკადრეს ამბავი, დია რამ საკურველები, და წინ მიჩოქებითა ჰკადვრენ ესე მისგნითა თქმულები:
648. „ბრძანა, თუ: «რა მოუჩმახავს ჩემგან დასმულსა მირასა, ჯელმწიფობასა ჰპატრონობს, მპატიჯობს რჯულთა წირასა? რომელიც ³ მინდა, შევირთავ ამთენსა კარგსა გმირასა, და აწყა სრულ გარდავასხოვებ, უზეშთეს უზამ ჰირასა».
649. «აქამდი იმას არ უნდი, არცა მე მინდა აწ ისი, საჯდომი ტახტი ჩემია, ცუდად ჰპატრონობს რას ისი? არ დასდებს თავის ნებითა, საქმენი უყო არვისი, და კარგი მყავს მამა პატრონი, თქვენც იცით, როგორა ზისი».
650. იოსებ ბრძანა: „არ ჰკამდა მას ქალსა ასრე ქადება წყრომას რას მემართლებოდა, არ დამართო თუმცა მე ნება, არა ქნა ღვთისა ბრძანება, აწ მიხვდეს უფრო წამება“. და შესთვალა: „ჩემსა საზღვარში ნუ დგეხარ, არ ქენ ⁴ ბრძანება“.

¹) უბრძანა. ²) მიიტანეს. ³) რომენიც. ⁴) ჰქენ.

651. მათ როსკიპთ კიდევ უამბებს ზილიხას ეს ამბნარია:
„ჩვენ წინა პირველვე გკადრეთ , ეს ახლა დანაბარია,
რჯულით უნდოდა ეცდინე, ეშმათვინ მიეზარია.
და შენზედა კარგა შეიგზნო კელმწიფის დანაბარია“.
652. ზილიხამა მოისმინა ყმისაგანა, თუ – მიწყრება – ,
ატირდა და ასრე ბრძანა ²: – „ბოლოდ ჭირსვე დამანება,
ჭირნახული დამივიწყა, რაცა მექნა მისი ნება,
და უგვაროსა კაცთ წესია: კარგთა ვიწყვა, ავთ ხსონება“.
653. „ჩემგან რა ახსოვს მას ავი, თვარ აძე დიდი ვალია?
სალარო ჩემი არ ასწვდა, სყიდვაში ვიღე ვალია,
პატრონობაცა ჩემგან აქვს, მე მითხოვს: წადი, გვალაია!
და ჩვენ ყვევლის ავთა ვიწყევართ, აწ ეს ვთქვი ³ – ენა მძვალაია!“
654. რა ერთხელ ჳმა დაუვარდა ალვასა – ტანად კარგია,
ვინ ჯერხართ, რაზომ ვიფიცო, სხვათაგან არ უვარგია,
აწ რადგან სევდას ქალის გულს დაუცს პირველად ბარგია,
და მას ველარარა აოვრებს, რაზომ ზღვამ რეცხოს, რა რგია.
655. კელმწიფე მოკვდა, საფლავზე წლამდი ქალს ჰქონდა წამება,
რაზომ იოსებ შესთვალის, არა ქნის კერპთა ვანება,
მეფეცა გაწყრა, რა ქალმა არ მოისმინა ბრძანება,
და შესთვალა: :ნუ გვეჩვენების, არ უნდა ღვთისა რა ნება“.
656. ლექსთა მგონო, გაიგონეთ აწ ამბავი მის მთვარისა,
რა მესობა არ გაუშვა უსულოსი, ვით მკვდარისა,
ღმერთმა ასრე დაავიწყა ⁴, ყმამ არ იცის თუ არისა,
და რომ აღარა მოაგონა მანათობი მზე დარისა.
657. აწ ვამბო ქალის ამბავი, რაც ძალი მქონდეს ენასა,
ან, ლექსთა მკითხნო, თქვენგნითა ვეჭოდე მისსა სმენასა:
რა გარდუვარდა იმედი, აღარ ელოდა ლხენასა,
და გავარდა კარსა საწყალი, ცრემლს მისცა ძალი დენასა.
658. სხვა დავიწყო აწ ამბავი ქალისაგან ნასაქმისა,
მყეფობაზე თავს გამოვსცდი, თვარე ძალი არ მაქვს თქმისა,
რით შევიძლო, როგორა ვქნა ⁵ საქმე მისი, რაცა ქნისა,
და ვარდთა ძვირით, შავთა დენით არა ოდეს არ იხსნისა.

1) კადრეთ. 2) ბძანა. 3) ვაჰსთქვი. 4) დავიწყა. 5) ვაჰქანა.

659. შავმა შავ-ბედმა ჩაიცვა სურმის ხის ქერქი ნაყარი,
თხისურსვით მოაქსოვინა მიზგნითა ტანსა საყარი,
ძვირფასად ტანთა სარჯელი ალვიდამ ყველა გაყარი,
და იხვჩების, ვინღა უშველის, ტბათ ჯარი გამონაყარი.
660. მოთქვემდის ¹ მწარეს ცრემლითა დაუწყვეტელად ენითა:
„ვად, საყვარელო, მოგშორდი, სევდავ, მაბრუნებს შენითა,
დაგვიწყდა ჩემზე წყალობა, ფიცითა რაცა ვთქვენითა ²,
და სოფელსა რაღას ჯელსა ვჰყრი, შენ ხარ ჩვენზედ არ სმენითა!“
661. „ვად, სოფელო, ვინ გამოვლენს შენის ჯელით მოჩივარსა,
ინდოთ ჯარი გაგვეყარა, აღარა დგა მის სამზღვარსა,
მოი, შენვე მოისმინე, რა უქნია ცრემლთა ღვარსა!
და არეზშიგა ჩანაჭრილვარ, ზღვას ვერევი, ვირევ მტკვარსა“.
662. სოფელო, ნეტამც მე და შენ გვიყოს ვინ სამართალია?
არ მამასვენე ჩემს დღეჩი, მიყავ უზომო ძალია,
ვინც მნახავს, შევეწყალები, ასრე მდის თვალთა წყალია,
და ღმერთიმცა გრისხავს, არა სთქვა, ნახე ჩემს უფრო ბრალია?“
663. რაცა ჯელთ მოხვდის, თავს იკრის შავმა სოფლისა დაგულმა,
დედის და მამის გაყრილმა და ასრე ³ გარმოკარგულმა,
იოსებისა სანაცლოდ სულ გაწირულმა, დაგულმა,
და ყვევლის სურნელთა მჩაგრავი სული დაკარგა ⁴ რასულმა.
664. ქალმა მზისა უნათლესა გაიქარვა პირი ლალი,
წამწამიცა შავის თვალთ ცრემლმა შექნეს გარმოლალი.
ნარგისიცა მოიშალა, აღარ შერჩა რა ჯალალი,
და ვად, რა მთვარე მოეშალა, გავსილი დარჩა ჰილალი.
665. აწ ქალის საქმე ვითა ვთქვა, რასა იქს შამოწყრომილი,
თვალთაგან წყაროს ნადენსა მოურთავ ვარდზედა მილი,
დღისით დარბოდა შეცვლილი, ღამით არ ჰქონდა მას ძილი,
და იჭერდენ, არსით უშვებდენ მკვევლნი, მისთვი დაჭრილი.
666. ერთგნით მანგის, ერთგნით აბუს დეეჭირის ⁵ იგი მთვარე,
არ უშობდენ პირ საბღნეჯად, დარბოდინ მასთან გარე.
ტირილით და თავს ცემითა დაიარის კარ-და-კარე,
და იძახოდის: – „ვის ღმერთი გწამს, სიკვდილითა შემიწყნარე“.

¹) მოსთქვემდის. ²) ვსთქვენითა. ³) დასრე. ⁴) დაჰკარგა. ⁵) დეჭიროს.

667. რა დაღამდის, არ შავიდის, დაწვის იქივ შუა გზასა,
მანგი, შავი ჰაიათი გვერცს უსხდიან, სწვრთნიდენ მასა,
იგი ასრე მიჯდილია, მათი სიტყვა ესმის რასა!
და – „ნეტარ, იმით რა ერგების, ჩვენ გვევცოლ და თავს იკლავსა?“
668. გვერცს ესხდიან მჭევვლები, არ ეძინისთ ნობათითა,
იგი ყოლე არ მილულდის, იმახდის, თუ: „მამკალითა“!
გვერცს მხლებელნი დასტიროდეს: დავაწყნაროთ, ღმერთო, რითა?
და მოი, ჩვენცა ამოგწყვიდენ, დაგვხსნა ეგებ, ამას მითა!“
669. უძილობამ მოუშალა პირი მზისა არას გვანი,
აღარ სწნევდის, გაეშალის კოჭამდისი მცემი თმანი.
ღმერთი მოწმობს, არ ვიგონო, მიწას ხვეტდის ზულფის გვანი,
და მოხრილ იყო ალვის მჩაგრი, ვამ, წაჭდაო საროს ტანი!
670. ვინც ახარის: – „ახლა ვნახეთ, მეფემ აქათ გაიარა“ –
მისცის თეთრი, ანუ ოქრო, ან ნაქსოვი, ანუ ხარა,
თვითცა თავსა შამოველოს, ეს ამბავი ვინც ახარა,
და რაცა ჰქონდა, ასრე გასცა, პირი იჭკნო, ტანი ხარა.
671. ვინ მიხდებოდა ამასა, ზილიხამ ტანი ხაროსა,
ბოსტანი სრულად გაახმოს ¹ და ვარდი დაამჭკნაროსა ²,
ქვეყნის ტურფათა ხარაჯა აწ ვისლა მიაბაროსა,
და რომელსა მისცენ მნათობთა ბაჟი შენთანას საროსა?
672. გზაზე იჯდის და ეჭირის ტურფა მჭევველთა ჯელითა,
ხის ქერქის ტანის სამასით, კოჭამდი შლილის გველითა.
გარდაყვიროდის: „ჰა-ჰაჲ-ჰა“ – მ საქციელის ხელითა,
და დღისით და ღამით უწყალოს სისხლი სდის ცრემლთა ცხელითა.
673. მის ქალისა თან-მხლებელთა შავი ეცვის ყველას ტანსა,
სადაც უნდის, ვერ ირბენდის, ჯელთ იჭერდენ მზისა გვანსა,
ეს სარჯელი მათ მჭევველთა ვედარ გაძლეს ცოტას ხანსა,
და ზოგი მოკვდა, ზოგთ უშვებდა, აზატობის წიგნს ატანსა.
674. დარჩა მანგი და ჰაიათ, ქალი ცრემლ-შეუშრომელი,
ფეიქარც შერჩა მჭევველთგან, ყმასა მოსწონდის რომელი,
სხვანი ყველანი გაუშვა ტკბობით, არ იყო მწყრომელი,
და გაჭდა ამ გვარად საწყალი, ვარდთა შეიქნა ძრომელი.

¹) გახმოს. ²) დამჭკნაროსა.

675. ვინცა რამ უთხრის ამბავი მის ყმისა, საროს ტანისა, ოქრო, თეთრი და სხვა თვალი მისცის და გაატანისა ¹, ატირდის მწარეს ცრემლითა, გიშელნი ღვარს ატანისა, და ყმაწვილი, ყმა და ქალ-ბერი მას ამბავს მოუტანისა.
676. ვით ზარნოშოზე ფრინველნი მაზედა შეიყრებოდენ, დარბოდის იგი შეთსავით, მას გარე შამოჰყვებოდენ, კელთ ეჭირისთ და იზიდავს, ვინც ახლდის, იგიც წყრებოდენ, და რა დილა იქნის, მოდგიან, სოფელი მაზე კრფებოდენ.
677. სწრთვნიდის ² მანგი და ჰაიათ: – „ნეტარ, რას ირგებ მაგითა? რა გეშველების, არ ვიცით, მუდამ წვითა და დაგვითა, სჯობს ერთი სახლი აიგო გზაზე, ლერწმითა ნაგითა, და ასრე გაჭრითა არ იყო, შიგ იჯდე მუდამ დაგითა“.
678. „დიდის ჯელმწიფის ქალი ხარ, მისრეთის დედოფალია, ცისკიდეგნამდი განთქმულა შენის შვენების ძალია, რაზომც ქიშვართა გითხოვეს, არ კადვრით შენი ბრალია, და შენ ამ ყოფაში ჩავარდი, მათცა მოუდევ ალია“.
679. „ყველგან გაითქვა აწ შენი, რომ იგი ასრე გავარდა, მტერთ ახარებ და მოყვარეთ რჯი, აგრე ჯმანი დავარდა: «ერთის ნასყიდის ყულისა ჯელით ამ ყოფას ჩავარდა, და დააჰკნო ³ საბაღნარონი, რა ნარგისი და რა ვარდა».
680. „ორნივე ⁴ ასრე დაჰკარგე გული, გონება და სული, რაც გქონდა ⁵, ყველა გარდაგე საჭურჭლენი და სხვა სრული, ჯამი, ჭიქა და სურაჰი, თვალ-მარგალიტით დასრული, და გზაზედა სახლი აიგე, დაჯე და დათმე სრა სრული“.
681. „ასრე გავარდნას ის გიჯობს, რომ იჯდე ყვევლთვინ მასაო, მისსა ამბავსა ჰკითხევდე ამაველ-ჩამავალსაო, ან სადმე ისიც მოივლის, დახვდები შენცა გზასაო, და იჯდები დღისით გზაზედა და ღამით შეხვალ სახლსაო“.
682. მან უთხრა: „ – რას მეუბნებით, რა მესმის ასრე ხელასა! მისგანცა უფრო ჩავიჭრი საქმესა დია ძნელასა, ამაზედ მწვრთნითო – ნუ გასცემ მისად სანაცლოდ ყველასა, და რას ვაქნევ თავსა ცოცხალსა, თუ ვიშოვნიდი მკვლელასა!“

¹) გაატანისა. ²) სწრთვნიდი. ³) დაჰკნო. ⁴) ორნივე. ⁵) ქონდა.

683. „ვაჟ, რას მეტყვით, რას მეუბნებით, დამეხსენით მე ასეთსა, იცით, რომე შემიძლიან გაგონება თქვენი, შეთსა? რა ჩემესმის, რას მაწვრთნიან, ნეტარ, მკვდარსა ვით სურეთსა“, და ასრე გაჯდენ მისის ძლევით, გლახა თხოვლობს არ მისრეთსა.
684. ასრე მართებს მოკმარება პატრონისა, ნახეთ, ყმასა: რა წვრთნაცა ვერ ასმინა შავმან მანგიმ ზილიხასა, ესე ღონე მოუგონა, სახლსა უგებს შუვა გზასა, და რომე დაჯდეს იმაშიგა, არ შეთობდეს ასრე სხვასა.
685. მანგი წავიდა საგებლად, ქალი ჰაიათს აბარა, მოასხა ვინ უკეთ იცის, კელოვანები შეყარა, თეთრი და თვალ-მარგალიტი, ნაქსოვი მათ წინ დაყარა, და მათ ჰკითხეს: – „გვითხარ, ხათუნო, როგორი გინდა, რა გვარა?“
686. უთხრას: – „ლერწამი მორთევით, იძახდეს, ვითა სტვირია, ბრუნევდეს საბრუნავითა, არ დააყენოს ¹ პირია, მაშიგა დაჯდეს საწყალი, შააწყოს ² მანცა ტირია, და ეს ასრე მინდა მომირთოთ, თუცა საქნელად ჭირია“.
687. კელი მიჰყვეს კელოვანთა, აწ ვითა ვთქვა ³ მისი გება. ყარღოვებსა თავ-ბოლო სჭრეს და დაუწყვეს მერმე წყობა, ვით ბორბალი, ასრე მორთვეს, რომე ჰქონდა სრულ ბრუნება, და ვერც ითქმის და ვერც იქების, ვერც მიხვდების კაცთ გონება.
688. კლარცვი ჩათხარეს ორმოსვით, მაზედა იგი აყენეს, ლოლურსვით მორთვეს სენაკი, საბრუნავითა აყენეს, ქვევითა კარი შეთხარეს, სამრომსვით გამოაყენეს, და შავ-ბედი ქალი სადგომზე დაყენებულსვით აყენეს.
689. ვით ვაქო უსთაქარები, რადგან ფრანგები არისა, რა გითხრა მათი ამბავი, ან გრძნეულობით რარისა, სახლი ააგეს ისეთი, უხდომი კაცთა გვარისა, და ბრუნევდის, გარდაყვიროდის, ჳმა მოდის მუდამ ზარისა.
690. მისცა მანგიმ თავის წონა ოქრო ყველას კელოვანსა, უსთაქარები ადიდებდენ ბომეებითა გულოვანსა, მერმე ქალსა მოახსენეს, აწ ნაყოფად მზისა გვანსა, და წამოვიდა, იქი დაჯდა, აწ უყურეთ მონავანსა!

¹) დაყენოს. ²) შაწყოს. ³) ვაჰთქვა.

691. ყვევლს პარასკევსა ქალაქნი სანახვად იქ მოვიდიან,
შამოხვეობით სახლს ნახვენ, გებასა იკვირვებდიან,
სახლი ზარს იტყვის, ქალი ტირს, მჭვრეტელნი მისთვინ ვებდიან,
და ბორბლის ბრუნვას, წყალის ჩქეფას წისქვილსა უმგზავსებდიან.
692. ლერწამი წყალს ღვრის, ქალი ტირს, ცრემლი ცრემლშიგა ერევის,
ჩქეფს და გარმოღვრის ზედადამ, ზღვის ღელვას ამად ერევის,
რომელიც ¹ დაღვრის, ზარს იტყვის, სხვა აივსების, ერევის.
და სოფელსა დასახებია მზე სავსე, მთვარე ილევის.
693. თუ რამ ჰქონდა, გარდააგო გლახაზედა ტურფამ ქალმა,
ქარვის ფერსა დაასახა, უბანლობით პირი ლალმა,
იგი ყველამ შეიძულვა, მაგრა თვალი არა წყალმა,
და ამბავიცა არვინ უთხრა, თავი ღივა რა საგმალმა.

34. აქა მანგისა და აბუჰაიათის სიკვდილით ქალის გაყრა.

694. ეს სარჯელი არ ეყო და დაემართა, ნახეთ, ქალსა,
მათ უჩვევთ ყოფა ველარ ძლეს, ჩაცვივდეს დია ძალასა,
ჰაიათ და მანგი მოკვდა, რომ ერჩინის ორსავ თვალსა,
და რა იგინი დაუჯოცნეს, რალა არჩენს ამ საწყალსა!
695. ან ვინდა არ მოეშვების, რომ თავი არ იმწაროსა,
ამისი მისი მკედელი, ნეტარ, რამ დააწყნაროსა ²?
უპატრონოდ და უმცველად ვინ მოსცავს საბადნაროსა,
და ვაი, ვინდა ეტყვის: „ნუ სტირი, ნუ მოსდრეკ აღვა საროსა?“
696. მან ქალმა გაშმაგებულმა რა ნახა საქმე ეს ძნელი,
მისგნით ნაქმარი სარჯელი, რაზომ ვთქვა ³ უფროცა ძნელი,
ეს ყოფაც მისთვინ შეშურდა, სოფელმა სხვა ჰყო სარჯელი,
და მასცა შეაცდენს ეს სევდა, რომ იყოს არისტოტელი ⁴.
697. ეს სარჯელი ⁵ გარდევადოს, კაცთა ტომი სხვა ვინ არი?
როშნევანის მეფის ქალი იყოს ასრე შეუწყნარი,
საფლავის მთხრელი ვერ უშოვნოს, რომ დამარხოს მისი მკვდარი,
და ვის ღმერთი გწამს, შეიბრალებთ ამ საქმისა გარდამკდარი!
698. სამ დღემდინა ასრე ეგდო, ეერ იშოვნა მესამარე,
ფეიქარსა ქალმა უთხრა: – „წა, გლახანი დაიარე,
უთხარ: «ჩვენხო ამხანაგხო, გვეჭირების, მოგვეკმარე,
და შეხვეწებით მკვდარსა ვმარხავთ» – ვინც წამოგყვეს, მალ იარე!“

699. ქალი მოთქემდა ¹ საბრალოდ: – „ვამ, რა ვქნა ² სოფლის მზერითა, ვერ გარდვიკადე, რაცა ქნა აბუმა ჩემზე, ვერითა, ქმარი და შვილი გაუშვა, სხვა რა ქნა, ვთქვამცა ³ მე რითა, და ისიც მომიკვდა, მე დავრჩი სიცოცხლით ამ ოკერითა“.
700. „არ მამასვენა სოფელმა ტირილით, ცრემლთა დენითა, მანგი-ლა მყვანდა, მალხენდა ტკბილ-მოუბარის ენითა, აწ იგიც ასრე წამართვი, მე დავრჩი რისა ლხენითა, და ვამ, კარგი ყოფა დავკარგე ⁴, ვამ, ვარდი ვისთა თმენითა!“
701. მერმე ფეიქარ მოვიდა გლახითა ოდენ სამითა, მათ შეეხვეწა ⁵ ზილიხა ტირილით, ცრემლთა ბანითა, ესენი დაამარხვინა ⁶, მას სახლში გება შავითა, და მათ შუა იჯდის, ტიროდის დღისით და კვლავე ღამითა.
702. შავთა თვალთა ველარ გაძლეს გაუწყვედლად ცრემლთა დენა, შამოაკლდა მათ ნათელი, წაუვიდა ყურთა სმენა, აწე უფრო დაემართა მას ტურფასა ლხინთა თმენა, და რომე ალვა მოედრიკა და დაიწყო მანცა ჩენა.
703. სისხლთა და ცრემლთა დენისგან ღაწვი სულ დახავსებოდა, ასრე მიკდილსა სიცოცხლეს სიკვდილიც ენატრებოდა, სული კბილამდი მოვიდის, უმახდის, არა ჰკლებოდა, და სხვათა ყველათა გაყარეს, სევდაი არ ეყრებოდა.
704. წავიდის და მოუტანის ფეიქარმა მას საჭმელი, შეეხვეწის ⁷, გარმოღვარის მას წინაშე ცრემლი ცხელი: – „რადგან ჩემზე მოუგდია ღმერთსა, შენი რაც საქნელი, და დამიჯერე, იამე რა, ნუ ხარ ასრე ხელთა ხელი“.
705. მან უთხრა, თუ: – „აჰა, დაო, დისაგანცა უფრო დესო, მე მოვკვდე ⁸ და შენცა გიხსნა, მეღირსების ეს ოდესო? სოფელს დამხსენ“ – ეხვეწოდეს – „რომელსაცა ესევდესო, და არ მშურსა და არ ამოვა, რაზომ ვყვირი ⁹, სული კვდესო“.
706. იჯდის გზაზედ, გაუწყვეტლად იმახოდის მიწყვი ვასა, ვინც გაივლის, აუტირდის და ჰკითხვდის მასვე ყმასა, თავზე ადგის – არ გალაჯონ ცხენის ტერფით – ქალი მასა, და რა დაღამდის, აიკიდოს, წაიყვანის, სადაც დგასა.

1) მოსთაქვემდა. 2) რავჰქნა. 3) ვაჰთქვამცა. 4) დავჰკარგე. 5) შეხვეწა. 6) დამარხვინა.
7) შეხვეწის. 8) მოვჰკვდე. 9) ვაჰყვირი.

– 95 –

707. ახლა ქალი ეუბნების მისსა მხლებსა შემაწყალსა:
– „შენცა ხედავ, არა მესმის, ავახილებ ვერცა თვალსა,
ნახე, ვინცა გაივლიდეს, მიკითხევდეს ¹ მე საბრაღსა,
და ავლილსა და ჩამოვლილსა შევჰტირებდე მას უწყალსა“.
708. სითაც მეფე გაივლიდის, და გადიან მას ადგილსა,
ყმაწვილებმა დაინახეს, მოეხვივნეს მას გარჯილსა,
ჩაჰყვიროდენ: – „გამოივლის უსუფ აქათ, მისგნით ხრილსა“,
და მჰვევლს წინა კვერცხი ედვის, უთხრის: – „მიეც მაგ ყმაწვილსა.“
709. რა ყმაწვილთა გარ ნახიან, თავ სიცილით არ უშვებდენ,
– „უსუფ აქათ გამოივლის“ – ამ სიტყვითა ატყუებდენ,
შატყუებით მივიდიან, კვერცხებსაცა დასტაცებდენ,
და საწყალს ბერ-ბრმას ამ საქმითა ყვევლსა დღესა აღონებდენ.
710. მეფემც ხანდიხან იქით ვლის, ყმაწვილთა სიტყვა უჯდების,
მშვენვარე ქალი არ უნდის, აწ ბებრად გზაზე უხდების,
ფეიქარს ეტყვის: – „რა მოვა?“, ვეზირნიც ცხენსა უჯდების,
და – „მგონივარ, სიტყვა რამ ვჰკადრო, გასაკითხვად მოედების“.
711. მჰვევლს უთხრის: – „ჯელით შემძარ, მოეჯაროს რა მეფეო“.
მან შეძრის და შამოსმახის: – „ჰე, ახალო ჯელმწიფეო,
უძლურსა და ქონელზე, აბა, შენი სიეფეო!“
და მან პასუხი არა გასცის, არც უთხრის, თუ: – „ვინ ჰყეფე“-ო?
712. რა გავლიდის, კიდევ ყვირის ვერა ცნის, თუ გაიარა,
მისმან მხლებმა ჯელით შეძრის: – „აღარ ალი აწ აქ, არა,
ამეკიდე, იარე“-ო, ატირდა და ცრემლი ღვარა;
და – „რად არ მამკლავ, მეუფეო, რაცა მსაჯე, არა კმარა?“
713. იჯდის, ტიროდის, რაც ძალი აქვს, ჯმას აწვდენდის ლერწამსა:
– „სოფელო, რა თავი ვიცან,, არ მამასვენე ერთ წამსა,
სითაცა წვერი აულის ისრად გიშლისა წამწამსა,
და მოვიდის, გულსა დამეცის, არ მამასვენა არ წამსა“.
714. „აწე აგრეც მამარჩინე, მამასვენე სიკვდილითა,
რადგან ასრე გამიჯადე საქმე, მიხსენ სიცოცხლითა,
ამდენს რჯასა ისევ მიჯობს, სული მჯადო სურვილითა“.
და ამაზედა შამოცვივდენ ყმაწვილები სირბილითა.

715. „აიგერო მეფე მოვა, ადე მალე, გარ იარე“, *
.....
.....
.....
.....
716.
„თვალთა სინათლე უბოძე, ვძლე იოსების მზერითა,
ან მამკალ, დამხსენ სოფელსა, ამ უბედოსა წერითა,
და ვიწრო სამარე რადა გშურს, არ მამცემ – მე ვარ ჯერითა“.
717. ქალ-ყოფილი ღმერთსა შესტირს: – „რა ბედი მაქვს ასრე კრული?
თუმც აქამდი კერპს ვესევდი, არც თქვენ იყავ ჩემზე მშველი,
ან მამკალ და ან მაცოცხლე, ან მიჩვენე საყვარელი,
და რაც წამართვი, ისრევ მამეც სილამაზე ან სათელი“.
718. „მე სიცოცხლე აღარ მიხდა, თუმც სიკვდილსა ვიშოვნიდე,
ნეტამც სოფელს ჩამომეხსნა, ბაზიყასვით მეც წავიდე,
ასრე რჯასა ის არ მიჯობს, რომე ერთხელ მოცამკვლიდე?
და პატიჯითა თუ კაცი კვდეს, მე რატომე არ მავნიდე?“
719. „რას მაქნევინებს, ნეტარმე, სოფელი უფრო თმენასა?
თვალთა ნათელი წამართვა, მაშრო, ვიქმოდი დენასა,
ორმოცის წლისა ვთავდები, აწ რაღას ველი ლხენასა?
და სხვა რაცა მქონდა, წამართვა, დავრჩი სევდასა¹ დენასა“.
720. „სხვათ ყველას მჩაგრი, სოფელო, დამაჩაგვრინე არ შენა?
არ ჩემსა ტანსა ნატრიდენ, სარო, ჭანდარი რხევენა?
შაქარს სად ჰქონდის ეზომი სიტკბილე, დავქრი რა ენა,
და უიოსებოდ ვინ თმინა, რომ მაქნევინე, მე თმენა?“
721. „აწ ვიხვეწები: ან მამკალ, ანუ მიჩვენო ისი მე,
ვის ასრე გამწარებულსა სევდა მბრუნებს მისი მე,
ამ ყოფით გაძლოს, გინახავს, ასე გამხდარი ვისი მე!
და ასრე მიკდილვარ, არ ვკვდები², ტომი ვარ ადამისი მე!“
722. ამას მოთქვემდა³, ტიროდა დღივ და ღამ გზაზე მთოველი:
– „ჰე, მეუფეო მოწყალევე, ყოფილხარ მუდამ ცხოველი,
ან მამკლა, ანუ მიშველო, ამ წყალობასა მოველი,

და რაცა ჩემს სარჯელს ჰფერობდეს ⁴, მადად წყალობად მოველი“.

*) ტექსტი დაზიანებულია; აკლია ორი ფურცელი: რ კ ა და რ კ ბ ე. ი. დაახლოებით 14 ხანა.

1) სევდას. 2) ვჰკვდები. 3) მოსთქვემდა. 4) ფერობდეს.

– 97 –

723. ამაზედა შემოვიდა მის წინაშე მხარებელი:

– „აიგერ მოვა მისრთ მეფე, შენი ასრე მწამებელი,

გამოვიდა, გზაზე დადგა კერპებისა მწვალელები“!

და ატირდა და შემოსძახა: – „კელმწიფე ხარ საქებელი“!

724. ქალმა, გზაზე დანაგდებმა, ძალი მისცა მიწყვი ვასა,

ღმერთმა უყო რა წყალობა, მოისმენდეთ ამ ამბავსა,

იგი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, მოემატა უფრო წვასა.

და – „რად არ მოწყვეტს ერთის განსა, ნეტარძი მე, ვინცა მკლავსა?“

35. აქა უცნობლოდ იოსებისაგან გასაკითხავად ზილიხას ჯმობა.

725. რა მეფემ გამოიარა, ყურ ესმა საწყლად მბობანი,

ბრძანა: ¹ – „ამ დროთა მოყრილვარ, ამ ხვეწნის არ მაქვ ტყობანი,

არცა მსმენია, ღმერთს წინა, ასრე ვის ჰქონდეს ჯმობანი“!

და კაცი გაგზავნა: – „ის ვინ ტირს, მისი ქენ მოყვანებანი“.

726. რა მეფესთან მოიყვანეს, ცხენის ყელსა მოეკიდა,

კელმწიფემაც აღარ წინ ვლო, მასვე წამსა თავს აზიდა,

უთხრა: – „სადგომს მოიყვანე, ჯილაბდარი რომ უძღვიდა,

და ვნახოთ, ამას ვინ რა სცოდა, ასრე რომე იჩივლიდა“.

727. მათსა ჟამსა ასრე იყვის: საჩივარი ჰქონდის ვისა,

უნდა ცხენსა კელი ადვან, რომე იყოს კელმწიფისა,

მიიყვანონ ² მას წინაშე, იყოს მქნელი სამართლისა.

და ახლა ამად გაუკვირდა: – „ეს ბებერი რას ჩივისა“?

728. კელმწიფე შინ არ მივიდა, გარდაჰდა საბაღნაროსა,

ჯილაბდარი დგას შორ კალიბ, რომ სთხოვონ, რაც ებაროსა,

რა დაინახა ბებერი, ბრძანა, თუ: – „ჩემს წინ აროსა,

და ვნახოთ, მას ძალი ვინ უყო ასრე მიჯდილსა, მჰკნაროსა“?

729. რა მეფეს წინ მოიყვანეს, დასვეს, ფერვზე ვერ დგებოდა,

წელ-ამოსულო თავ-დრეკით კელმწიფეს წინა ჯდებოდა,

ბრძანა ³ – „მას ვინ რა შესცოდა, დღეს არის – ხვალე კვდებოდა!

და გვიამბე, ვის გაურჯიხარ, ან ვისგნით რამე გვნებოდა?“

730.
.....
.....
და ანუ ასრე რ. ტ.

¹⁾ ბძანა. ²⁾ მიყვანონ. ³⁾ ბძბნა.

*) ტექსტი დაზიანებულია.

731. * კვლავ აღიმდა, მოახსენა მან ბებერ
– „მე ისი ვარ, ვინ შენთვინა რჩომა მივე
ეს სოფელი მოიძულა, თქვენ გაუწ
და ასრე გავვე არ გეწყალვი, ველარ მიც

732. რა იოსებ მოისმინა, ზილიხა[სა] ¹ აუტირდა,
მისი ასრე მიწდილობა და წაჯდომა გაუკვირდა,
ყმამ სახელი შეუძახა, ცაიქცა და აცატირდა,
და დაბნდა, ველარ მოაქცივეს, საქმე ასრე გაუჭირდა.

733. წამოხტა დიდი ჯელმწიფე, წყალს ასხამს ქალსა ბნედილსა,
მეორეს დღემდი უსულო ეგდო, მოურჩა სიკვდილსა,
.....
.....

734.
..... ისა.
..... ჭაზე მცემი საგდებლისა,
..... ობანი ან და მისა.

735. [რა-უყავ]და მთვარის არე-მარენი,
[რა უყავ] ანუ მხლებელნი არენი,
რა უყავ ტანი ალვისა, დამჩაგრი არ თუ მდ[არ]ენი,
[და] რა უყავ ენა შაქრისა, რად შეჰქენ ასრე მწარენი“?

735. „ნეტარ, სად არის ის პირი, რომ მზესა ატყვის კლებანი?
ნეტარ, რა იქნა ინდონი, აღარ აქვ ტბაზე კრებანი?
ნეტარ, რად შალა ალვამა მისნი რხევითა რებანი?
[და] ნეტარ, ხარაჯა ვის მისცეს, ვის დართვეს ტურფათ ნებანი?

**
.....
.....
.....
.....

1) ზილიხა.

*) ტექსტი დაზიანებულია. **) ამის შემდეგ დედანი ნაკლულევანია.

II

1. მიჯნურთ ამბავი იოსებისა და ზილიხანისა. [შესავალი] ¹.

1. არსებით ვიტყვი ცნობილად, სამებით ერთ-უფლებულად, ბუნებით განუყოფელად, ღვთაებით შეერთებულად, განვსწვალავ გვამოგნებასა, არ ვიტყვი მიახლებულად, და იგი გვზრდის, გვფარავს ყოველთა მის მიერ ქმნილთა კრებულად.
2. პირველ მას ვაქებ, რომელმან თვით ჩვენ შეგვიმოსა სრულებით ², ნათელმან უსხეულომან ჯორცნი ივასხნა ბუნებით, თავის უფლად გვყენა მონანი, მისითა შთამოსულებით, და, ჯამს, თუ ზე გვაქვენდეს გონება სარწმუნოებით სრულებით.
3. უნდა მცირედი მცირედთა ³ სიტყვა წარმოვთქვა თხრობილი, ვით ⁴ ვეტრფიალე სიბრძნესა, ამაღ არვისგან ჯმობილი, მოწ-მარგალიტი, გიშერი აწ ნახეთ ჩემგან მკობილი ⁵, და ბოლოდ სცნათ ყოვლთა ⁶ – არა ვარ მოშაირეთა ძმობილი.
4. მე თვით ვწერ, ვიტყვი, რომელსა მეფედ მივმოხენ ⁷ მონები, სიტყვა შევმზადო ⁸ შაირთა, მართ ვითა ვარდის კონები, ბრძენთაგან შესაწყნარები, ცნობილთა მოსაწონები, და მაგრა ექმნების მიჯნურთა ლახვარი გასაწონები.

1) პოემა დაყოფილია კარებად, მაგრამ სათვალავი არ უზის: კარი პირველი, მეორე და სხვ. ამ შესავალს კი აქა-იქ აწერია: კარი პირველი. ვინაიდან ეს ნაწილი არსებითად შესავალია და არა თვით ამბავი, ჩვენ მას „შესავალი“ უწოდეთ, შემდეგი ამბებს კი დაუსვით უბრალოდ სათვალავი: 1, 2, 3.....

2) A-ში: ჩვენ შეგვიმოსა სრულებით; E – : რომელმან ჩვენ შეგვიმოსა სრულებით.

3) B-ში: უნდა მცირედი მცირედსა ამაღ არვისგან თხრობილი; C-ში: უნდოთ მცირედთა მცირედი; F-ში: უნოდ მცირედთა მცირედი; H-ში: უნდო მცირედა მცირედი; A-ში: უნდა მცირედთა მცირედი.

4) A, C, D, E, F, და H-ში ასეა გადმოცემული – : თვით ვეტრფიალე სიბრძნესა..., ჩვენ ვარჩიეთ B რედაქცია, ვინაიდან ის განისაზღვრება ტაეპის დასაწყისით – „უნდა.“

5) C-ში იკითხება – : ჩემგან თხრობილი; D და F-ში – : ჩემგან ჯმობილი; ჩვენი რედაქცია

შენახული აქვს A, B, E და H ხელნაწერებს.

6) ასეა შენახული B, E, F და H-ში, ხოლო A, C და D-ში არეულად – : ბოლოდ ყოვლთა არა ვარ (C), ან – : ბოლოდ სცნად ყოვლთა არავარ (A), ან – : ბოლოთ ყოველთა არა ვარ (D).

7) B – : მიცნობენ.

8) ასეა ყველგან. გარდა B-ს, სადაც ვკითხულობთ – : შევამკო.

– 102 –

5. მრავალთა ჯელჰყვეს სიბრძნესა, მოგვესმა ამას წინასა ¹.
ვითენი წერდეს ზენასა, სულისა მოსასმენასა,
ზოგთა თქვეს, აქეს, შეაწყეს ბროლ-ვარდ-გიშერი მინასა.
და ჩემთა სიტყვათა ყვავილნი მათმან წერილმან მინასა.
6. გუბი ზე-მთისა ² წყაროსა, უშმაგომ ვითა აროსა ³,
მაგრა მივბამო აჩრდილად, არა ვიდუმნო აროსა ⁴?
სულთა ბახჩასა სურვილსა ვზრდიდე, მართ ვითა საროსა,
და ვინ ჯელჰყოს ძნელსა საქმესა, ჯამს თავი გაიმწაროსა.
7. ჯამდა მეჰმივნა სიტყვანი. უხრწნელად დანამყარები,
სწავლა სამლთოთა წერილთა, სულისა გამამყარები.
მათ სულიერთა კრებულთა არ დარჩათ დანამცდარები,
და მოერიდე, ვეღარ ვიპოვე ცუდ-მაშვრალთანა მარები ⁵.
8. მუნ ვერა ვპოვე სათქმელი – აწ მომიძულა ზენამა ⁶,
გული მიუძღვენ კეკლუცთა, ვინებე ⁷ ვარდი მენამა,
ფერი შემატეს ბაგეთა ჩემთა სისხლთაგან სმენამა ⁸,
და აწ ყურნი უნდა აწვივნეს ტკბილ-მოუბარმან ენამა.
9. ვიწყო პირველთა მიჯნურთა ამბავი მოსასმენისად ⁹,
ან ვით შეერთეს მხეცთანა, ან ვისთვის რბოდეს ხელისად,
ზოგნი ქვე დაშვრეს ჯორცთათვის ¹⁰, ზოგთა სრბა იწყეს ზენისად,
და ზოგთა სდიოდეს თვალთაგან ცრემლნი რუდ მონადენისად.

¹) აქა-იქ – : ამად წინასა (A, E).

²) A – : გუბი ზეთისა წყაროსა; H – : გუბიზე მთისა წყაროსა.

³) ასეა C და D-ში; A, E, H – : ვითმე აროსა; B – : ვინმე აროსა; F – : უშმაგომ ვით მეაროსა.

⁴) A, E, H – : არ (ა) ვდუმნე აროსა; B-ში კი მთელი სტრიქონი თავისებურია – : მაგრამ მას ვბაძი ჩქარულად, ამად არვისგან აროსა.

⁵) ამ ხანას B ასე კითხულობს – :

„ჯამდა მესმინა სიტყვები უხრწნელად დანამყარები,
სწავლა სამლთოთა წერილთა, სულისა დამამყარები,
მათ სურიელთა კრებულთა არ დასცდა და ნამყარები,
და მივარდი, მე ვეღარ ვპოვე ცუდ-მაშვრალთანა მარები.“

⁶) E – : მუნა ვერ ვპოვე სათქმელად, აწ მოიძულოს ქვენამა; დაახლოებით ასევე იკითხება სხვაგანაც.

⁷) A, C, D, F – : მინდა, რომ.

⁸) ასეა ყველგან, გარდა B-სა, სადაც სწერია – : ფერი შემატაცეს ბაგეთა ჩემთა სისხლთაგან დენ(ა)მა. ჩვენი რედაქცია ჩვენ ასე გვესმის: ჩემი სისხლის სმისგან კეკლუცთა ბაგეებს ფერი შეემატათ.

⁹) B, F – : მონასმენისად.

¹⁰) B – : ზოგნი ქვე დაშვრეს მხეცთათვის; C – : ზოგნი დაშვრეს.

10. ტარიელს იცნობთ ყოველნი, სარიდანის ძეს მხნესა და, მას უებროსა მოყმესა, ტანად ალვისა ხესა-და, ვით ეტრფიალა ინდოეთს ნესტან-დარეჯანს მზისა-და, და დაკარგა გულსა საჯმილი კვლავ უფრო დაეკვესა-და!
11. ძებნა, ვერ პოვა, გაიჭრა-ხელი ნადირთა ერევა, ვეფხსა ემსგავსოს სიტურფე, დაზნდის და ცნობა ერევა, ქვაბნი მისტაცნა სამყოფლად, დევნი მოსწყვიდნა ¹, ერევა, და ათ წელ მუნ იყო ხელ-ქმნილი, გულსა ლახვარი ერევა.
12. ავთანდილ, პირ-მზე არაბი, მასთანვე თანა ქებულა, მეფისა როსტევეანისგან გაზრდილი, ძედ წოდებულა, თინათინისთვის ხელ-ქმნილა, ვისგან ² მზე დაწუნებულა, და წყლული მოქენე წამლისა, სხვათა კურნებად რებულა ³.
13. დღე ერთ ჯდა მოყმე საწოლსა, მონა შემოდგა ლაღისა:
– „გიწმოო მზემან მზეთამან, ხლებასა თვისსა გაღირსა ⁴:
ნახა, უბრძანა: – „შენგან მწადს ძებნა მის გლახ სადაღისა ⁵,
და ჰპოვო, მოხვიდე, მე მოგცე ფლობა სამოთხის ბაღისა“.
14. რა ესმა მისგან ავთანდილს სიტყვანი იმედებული, ღმერთსა შესწირა მადლობა – მზემან თქვა გულსა დებული!
წავიდა ფიცხლავ საძებრად, ქვაბს პოვა ასმათ დებული,
და მან ⁶ უთხრა წვრილად, რაც სჭირდა ტარიას ცეცხლი დებული.
15. წავა ავთანდილ საძებრად მუნ, სადა პირ-მზე ტყვე სითა.
ფატმან უამბო: – „ქაჯეთს ზის იგი მზე სულთა კვენესითა,
მთვარე მოსტაცეს ვეშაჰსა მკლავითა მით უმხნესითა“.
და მზე არ ამკედრდა ეტლზედა ⁷, ვირემ არ მიხვდა წესითა.

1) A, F, E – : მოსწყვიტნა.

2) E – : მისგან.

3) B, E და F ხელნაწერები მთელ ხანას „ებული“-რითმით აწარმოებს.

4) ეს ადგილი არეულია ხელნაწერებში: A – : გიწმო მზეთამან უმზეემ, შუქთა ხლებასა გაღირსა; B – : მოგიწმო მზემან მთვარე, თვის შუქთა ხლებად ლამისა; C და D – : გიწმო მზეთა და შუქთამან, ხლებასა თვისსა გაღრსა, და სხვ.

5) ასეა A, C და F ხელნაწერებში; E კითხულობს – მის გულსა დაღისა; H – : მის გულსა ლაღისა.

6) გარდა B და E ხელნაწერებისა ყველგან ვკითხულობთ – : მუნ; ეს აშკარა შეცდომაა გადამწერებისა: რადგანაც გამოქვაბულზე იყო ლაპარაკი, გადაუწყვეტიათ, რომ ასმათი მუნ (იქ) უამბობდა ყოველივეს. რომ ეს ასე იყოს, არ იქნებოდა თხრობის სუბიექტი. ამიტომ უკანასკნელი სტრიქონი ჩვენ ასე უნდა გავიგოთ: მან (ასმათმა) უამბო ავთანდილს ტარიელის გასაჭირი.

7) მხოლოდ E ხელნაწერში ვკითხულობთ: მზე არ ამკედრდა ლომზედან.

16. ძებნა, უპოვა მზე ლომსა, თვით მიხვდა ვეფხი მთვარესა ¹, ვარდნი ნამთევნი გაიფრჩქვენეს, რა დაენერგეს ბარესა ², ბოლოდვე გავლეს საწუთრო, სოფლის საქმენი არესა,

და იგ უსახონი ქალ-ყმანი მიწასა მიიბარესა.

17. ესენი შოთამ რუსთველმან ³ შეამკო არსთა მკობითა, თვით მინდობილმან სიბრძნისა, მერე თამარის ჯმობითა. იტყვის: – „ვპოვეო ამბავი პირველ სპარსთაგან მზობითა“ ⁴. და შეათხზნა ბროლსა გიშერი, ძოწსა სადაფი წყობითა. ⁵
18. გამოაცხადებს ნათქვამი მის, რუსთველისა, ქებასა, დასაბამითგან შაირთა მთქმელნი თვით სად ვინ ებასა! რად ჯამს დუმბილი ⁶ მუსიკთა ენა რიტორად ებასა, და თუმცა ხელობდა ⁷ მის გამოჯ კელყოფდა მათსა ქებასა!
19. სწვევდა ⁸ საჯმილი უშრეტი პირ-მზისა თამარ მეფისა ⁹, ვითა ფოლადი ¹⁰, მალნიტსა ¹¹, თვალნი საჭვრეტლად ეფისა, მაგრამ მან ¹² მზემან ნათელი მიჯნურთ ¹³ არ უიეფისა ¹⁴, და არად შესწონდა ¹⁵ ზახილი ვარდსა ¹⁶ ბუბლულთა ყეფისა.
20. მეფეს ენება ¹⁷ სპარსული თქმად ქართულისა ენითა ¹⁸, – „ლექსად თქმა მწადს“-ო ებრძანა ლაღმან ბრძნად შუქთა ფენითა, ნიჭი აღუთქვა უზომო, მოაჯე ვარ მოქენითა, და მიჯნური მიჯნურთ საქებრად ¹⁹ დაჯდა გლახ ცრემლთა დენითა.

1) ასეა A, B, E ხელნაწერებში; დანარჩენებში კი არეულად და შემცთარად: C, D, F და G-ში – ვით მიხვდა ვეფხი მახესა; H – ვით მიხვდა ვეფხი მთვარესა; და სხვ. ცხადია, რომ C, D, F და G ხელნაწერების გადამწერთ დავიწყნიათ, რომ თინათინი მთვარეა და ავთანდილი კი ვეფხი, და ურჩევიათ ტრაფარეტული გაგება: ვეფხი გაება მახეშო...

2) B-ში: ვარდი ნამითა გაფურჩნეს.

3) ყველა ხელნაწერი ამ რედაქციას იცავს, გადრა B-სა. სადაც ვკითხულობთ – : ესენი თვითან რუსთველმან.

4) აქაც B განზე დგას – სპარსთაგან ცნობითა.

5) B – შეთხზვა ბროლ-გიშერ-ლალ-მინა ზოწსა სადაფი წყობითა.

6) მხოლოდ E-ში ვკითხულობთ – რად ჯამს დუმბილი მუსიკთა..., რაც კონტექსტისათვის სრულიად მიზანშეუწონელია, (თუ აქ გადმოცემულია სპარსული დუმბულაკ-ნაღარა).

7) C – : თუმცა ხლებოდა.

8) C – : წვევდა.

9) C – : მეფასა.

10) A, D, F, G – ვითა ფოლადნი.

11) G – : მალნიტსა.

12) A – : მაგრამ შენ.

13) A, C, D, F – : მიჯნურთა.

14) A, D, F, H – : არ უფერისა.

15) A – : რად შესწყენოდა; F – : რად შესწონდა; H – : რად შესწონოდა.

16) B, E – : ვარდზე; C – ვარდლა.

17) „ენება“-ს ვკითხულობთ მარტო ორ ხელნაწერში – B და E – სხვაგან – : ებრძანა.

18) შეუსაბამოა B-ში დაცული რედაქცია – : მეფეს ენება ქართული თქმა სპარსული ისა ენითა.) D, E – : საქებლად; C – : საქებლათ.

21. სურვილისაგან ტყვექმნილი შეიპყრა ¹ ვისმა რამინა, დაშრტის ² საჯმილი ორთავე, რა ვარდმა ნახის ³ რა მინა, მე თუ ძალმედვას, მათ მზეთა ⁴ თვით ქების მეტი რა მინა? და ცრემლი მდის მათთვის სისხლისა, ფერად მართ ვითა რა მინა.

22. მარავს ჯდა შაჰი მოაზად სიდიდით ⁵ შეუდარები,
ვისის დედ-მამა ამანს ⁶ იყენეს ჯიმშედის გვარები,
მიუჟდა ⁷, მამა მოუკლა, ქნა საქმე შეუგვარები,
და ტყვედ წაიყვანეს უნებლივ ⁸, მზეს არ ჰშვენოდა დარები.
23. კუბოსა ჩასვეს ⁹, დაჰვარეს ¹⁰, ვით ღრუბლით მზისა დარია ¹¹,
კუბოსა თავი მოხადა – განგებით ადგა ქარია,
შაჰი ¹² მოაზადს ძმა ჰყვანდა, მას ვერა სჯობდა ტარია,
და ანაზდად ¹³ ნახა ნათელი, დაზნდა, სურვილმა დარია.
24. აწ გითხრა ცუდი ჯელობა შაჰან-შაჰ ¹⁴ მოაზადისა,
არა ესმინა ნათქვამი მეეტლეთ ¹⁵ მოაზადისა,
ძალად შეიპყრა, მოჰყვანდა, ვით თევზი, მოაზადისა ¹⁶,
და ვისმან ¹⁷ სანაცვლოდ შეიპყროს სურვილი მოაზადისა.
25. მთვარე შეიპყრა ვეშაჰმა – ეგონა ¹⁸ მომხვდა ¹⁹ შვებაო,
ვისამ ²⁰ დაუსწრა სანაცვლოდ, შეკრა – ძიძა ჰყმა გრძნებაო,
ვერ ჰჰამა მისგან ნაყოფი, ბედმან სხვას ²¹ მიანებაო,
და იგი უებრო რამინს ჰხვდა ²², შაჰან-შაჰს ²³ – ცეცხლთა დებაო.

1) E – : შეიპყროს.

2) M – : დაჰშრტის.

3) ასეა C, D, E, F, G, H, და L-ხელნაწერებში, ხოლო B, M და O-ში – : მახა.

4) B, M და O-ში – : მათ ზედა.

5) E – : სიმდიდრით.

6) E – : ვისის დედამან ჰამინას; D – ვისი დედ-მამას ამინას; C – ვისი დედ-მამა ამინას.

7) M და O – მოუხდა.

8) C, D, E, F, G, L, H – : უნებლად.

9) M – : ჩაჰსვეს.

10) C, D, E, F, G, O – დაფარეს.

11) C – : ვით ღრუბლის მზისა დარია; D, F, G – ვით ღრუბლის მზისა დარია.

12) B – : შაი მოჰზადს განგებით ძმა ჰყავს. მას ვერ სჯობს ტარია; C, D, L – შაჰი.

B, F, G, H – შაი.

13) C – : ანასდათ; D – : ანაზრდად.

14) B – : შანშ; G, F, J – : შანშა; H – : შანშა.

15) B – : მეტადრე; L – : მეეტლედ.

16) C, D – : მოვა ბადისა.

17) D – : მისმან; M – : ვისა; G, C, F – : მისმა; O – : ვის; L – : ვისდა.

18) A, C, D, F, L, G, H – : მგონია.

19) A, E, M, O, H – : მამხვდა.

20) ასეა G და F-ში; C, D – : ვირემ; K – : ვისმან; M, O, L და H – : ვისმა.

21) M – : სხვა.

22) ასეა მხოლოდ B და M-ში, სხვაგან კი – : ხვდა.

23) B – : შანშეს (!)

* სტრიქონთა ასეთი დალაგება მხოლოდ B-შია; სხვაგან: 1, 3, 2 და 4. ჩვენ ვარჩინთ B-ს დალაგება, რადგან უფრო დაცულია ლოდიკური თანდათანობა და გადასვლა.

26. მოვლო ყოველი ქვეყანა ამა ამბავმან ¹ მზისამან,
ბრძანა აბუსარ ² ვეზირმან ³, ხალიფამ ბაღდადისამან,
იტყვის: – „დამივსო საწმილი ამბავმან ⁴ ვის-რამისამან ⁵,

და აწ განმიმარტოს ⁶ ენამან ფაფხურ ბრძნად ბოუბრისამან ⁷.

27. ფაფხურ გამოჩნდა ⁸ ბასრელი მაქებრად რამინ-ვისისად ⁹,
ამბვად ¹⁰ აღწერა ¹¹ შეწყობით ¹², ტკბილად, ართურე ¹³ მქისისად,
ყურნი დავალდენ ¹⁴ მსმენელთა, გულნი განათლდეს დღისისად,
და ბაღდადს ნათქვამი ამბავი ¹⁵, ნახეთ, გასმიათ ვისისად ¹⁶!
28. ხალიფას შესძღვნა ¹⁷ ვეზირმან ¹⁸ თვით არმადანად სეფენი,
მასმცა შეუწმდა ¹⁹ სიტყანი ჯმა-ტკბილად დანამყეფენი,
ყოვლგნით შემოკრბეს მიჯნურნი ცრემლთა ²⁰ სისხლისა მჩქეფენი,
და უქეს ყოველთა ²¹ უკლებლად სიტყვათა სიიფენი ²².

1. ამბავი იოსებისა და ზილიხანისა ²³.

29. მიჯნურთ ამბავი ²⁴ შემოკრბა ამ წიგნსა ჩემგან თქმულებსა ²⁵,
უსუფ-ზილიხანც ვახსენოთ, ნურცა მათ ვატკენთ გულებსა ²⁶,
შეუთხზნათ ლექსთა ყვავილი, ვერ ვნახავთ ²⁷ დანასულებსა,
და ქართულად ვიტყვი ყოველსა ²⁸ ამბავსა მე სპარსულებსა ²⁹.

1) L, M – : ჰამბავმან; C – : ამბავმა; A – : ამბისა.

2) E – : აბუნასრ.

3) E, L, H – : ვაზირმან.

4) L, M – : ჰამბავმან.

5) C, D, G – : მისრა მისამან; B – : მისრეთისამან (!)

6) ასეა A, C, D, E, F G ხელნაწერებში; H, L – : განმიმარტოს; B, M, O – : განმიმრავლოს.

7) G, C, D, F – : მოუბარისმან.

8) C – : გამოსჩნდა; O – : გაგამოსჩნდა.

9) B-ში ასე იკითხება – : ფაფხურ გამოჩნდა მაქებრად ბასრელ რამინი ვისისად.

10) A – : ანბვათ; B, C, D, E, G, H, F, L – : ამბად; O – : ამბავად.

11) M – : ეწერა.

12) A, C, D, F, G, H, L – : შეტყობით.

13) A, F, H, L – : არა თუ; C – : არა; D, C – : თუ არა; B, M, O – : არ თურმე.

14) ასეა მხოლოდ E-ში, B, M – : დავარდეს; სხვაგან კი – : დადედლდეს. – ჩვენ ვარჩიეთ რუსთველური რედაქცია.

15) M, B, O – : სიტყვანი.

16) A, C, D, E, F, G, H, L – : მისისად.

17) აქა-იქ – : შეძღვნა.

18) D, E, F, G, H, L – : ვაზირმან.

19) A – : შეეზნდა; C, E, D, F, G, H – : შეუძნდა; L – : შეუსძნდა.

20) M – : ცრემლით.

21) A, C, D, F, G, H, L – : ყოველთა აქეს.

22) მთელი სტრიქონი B-ში ახირებულად იკითხება – : ცისკარსა ჰგვანდა შვენებით გიშრის წარბ-წამწამ მჩქეფენი.

23) A – : ანბავი უსუფ-ზილიხანისა; C, D, G, H – : ამბავი უსუფ-ზილიხანისა; L – : ჰამბავი უსუფ-ზილიხანისა; F – : ამბავი უსუფ-ზილიხანისა; M – : ჰამბავი იოსებ-ზილიხანისა.

24) A – : ანბავი; L, M – : ჰამბავი.

25) A – : შემოკრბა წიგნსა ჩემგან თქმულებსა; B – : ამ წიგნის ჩემგან თქმულებსა.

26) D – : ნურც მათ ვატკენთ გულებსა; E – : ნურც მათ დავაკლებთ გულებსა; G, F – : ნურც მათ ვატკინებთ გულებსა; C, L – : ნურც მას ვატკინებთ გულებსა; B, M – : ნურც იმათ ვატკენთ გულებსა.

27) A – : ვერ ნახავთ; B, C, D, F, H, M – : ვერ მნახავ(თ).

28) M – : ყოველთა.

29) A – : ანბავსა; F – : ჰანბავსა; M – : ჰამბავსა

30. მამათ მთავარსა იაკობს ძე ჰყვანდა ათორმეტები,
ორნი ცოლნი ჰყვეს ¹ უფროსსა, თვალნი აქვს მრუდად-მჭვრეტები,
უმცროსსა ² ერქვა რაქაელ, შვენებით მეტის-მეტები,
და მოსე მოგვითხრობს, რომელსა უძლოდა ნათლის სვეტები.
31. რაქაელ უშვა ორი ძე ³: იოსებ, ბენიამენი;
იოსებს ვიტყვი, თუ ვაქო ყველამ დამეცით ამენი ⁴;
რა საკვირველი ⁵ ძე ნახა, მამას ჰხვდა გულს სიამენი ⁶,
და ცისკარსა ჰგვანდა, შვენოდა გიშრისა წარბ-წამწამენი ⁷.
32. რა ღმერთმან შექმნა სოფელი, ადამს ჯელითა ბადებდა,
მაშინ წყალობით იაკობს ⁸ იოსებს ძედ უქადებდა,
ადამის ⁹ მსგავსი ¹⁰ ძე მისცა, იმას მინათად ¹¹ ადებდა
და კაცთა მტერობით ემმაკი ბოროტად ¹² შურსა მზადებდა.
- 33.* რა მოიზარდა ყმა ¹³ იგი, ბროლ-ლალსა მინა რეოდა ¹⁴,
ევას მუცლითა ნაშობსა სიტურფით იგ მორეოდა,
ამისთვის სჯობდა ¹⁵ ყოველთა – ბრძანება ღვთისა რეოდა,
და მისის შურით და მტერობით ძმათ ჭკუა გარდარეოდა.
34. რაღას ვაგრძელებ ¹⁶ – კაცთა ძე მისებრ ნახულა აროდეს,
ძმანი შეითქვენეს, არჩევდეს, მისთვის სამტეროდ ჩქაროდეს ¹⁷.
– „იგ ურჩევნიათ მშობელთა ¹⁸, ჩვენთვის ეს ჭირად კმაროდეს!“
და რა იცის ბერმან მამამან, თუ ღვინი გაემწაროდეს!

1) B, O, M – : ორნი ცოლი ჰყუა; E – : ორი ცოლი ჰყავს; – : ორი ცოლი ჰყვეს.

2) M, O – : უფროსსა.

3) A, E, H – : ორნი ძე; B, D, F – : ორნი ძენი.

4) B, M, O – : იოსებს იცნობთ ყოველნი; E – : იოსებს იცნობთ, თუ ვაქო.

5) ასეა მხოლოდ E-ში; სხვაგან – : რა საყვარელი.

6) A, H – : გულ სიამენი; M – : გულსა ამენი.

7) ეს სტრიქონი სულ სხვანაირად არის B-ში № : აქვს ყოველთა უკლებლად სიტყვისა სიი-
ფენი; A, H, G, L, F – : ცისკარსა (ჰ)გვანდეს, (ჰ)შვენოდეს.

8) B, O M – : მაშინ წყალობის თვალითა.

9) D, G – : ამისი მსგავსი.

10) A, E – : ადამის მგზავსი; B – : ადამის მზგავსი; M – : ადამის მჰსგავსი. დანარჩენ ხელ-
ნაწერებში (C, F, L, O) შენახულია ჩვენი რედაქცია.

11) H – : ამას ინადად.

12) M, O – : ბოროტსა.

13) L – : იგი ყმა; M – : ყმა იგი.

14) B – : ბროლს ვარდი შიგან რეოდა; E – : ბროლ-ვარდსა მინა რეოდა.

15) M – : სჯობდა.

16) B – : ვაგრძელებთ.

17) A, D, E, G – : ჩქარობდეს.

18) B, C, D, G, F, H – : იგ ურჩევნია მშობელთა; E – : თქვეს, ურჩევნია მშობელთა; L – : იგ
ურჩევნია მამასა.

*) ეს ხანა სრულიად არ არის C ხელნაწერში.

35. – „ყოველ დღე წავალთ¹ მხეცთა სვრად² – ძენი ეტყოდეს³ მამასა, –

აწ თუ გვიბრძანებ, იოსებს ჩვენთან წავიტანთ ⁴ ამასა,
ველად შექცევა დია ⁵ სჯობს ⁶ ცუდსა ძილსა და ჭამასა".
და მათ ნება დართო – არ იცის, თუ ჩავარდების ⁷ ნანასა.

36. თან წაიტანეს ⁸ სალხინოდ, მიდიან მინადირობდეს;
გლახ რა იცოდა იოსებ, თუ ძმანი რას უპირობდეს?
მთიებს უგვანდა ყელ-ყური, ღაწვნი ბადახშნად ძვირობდეს ⁹,
და მათ გაურისხდა უფალი, რა კარგ საქმეზედ გმირობდეს ¹⁰!
37. მათ ველი მიჰყვეს, შეიპყრეს, ალვამან თავი დახარა,
ეგზომ უებრო ყმაწვილი ძმით შეებრალათ ¹¹ გლახ არა!
– „რად უფრო უყვარ მამასა, შენ ჩვენზე მეტი რა ხარა?“
და იოსებ მათთან მგზავრობა ¹² იტირა, ივაგლახარა!
38. ეტყოდა: – „ვის რა შეგცოდე, რისთვის მამკალით ძმანო და?
– რად არ გეწყალვით უბრალო, გულ-ულმობელნო ¹³, ქვანო და?
მართ მაშინ მათგან ¹⁴ ნაქმარი ბოროტად საქმედ კმაროდა,
და აწ ბერის მამის ტირილნო, დედისა ვაჟ მოთქმანო და ¹⁵!
39. მათ გააშიშვლეს საკვდავად ¹⁶, ყელის გამოჭრას ¹⁷ ლამოდეს,
განგება იყო მალლისა – უწყალოდ შეეწყალოდეს.
ორმო იპოვეს, ჭას ჰგვანდა ¹⁸ შიგ დგომილ იყო წყალ ოდეს,
და მაშიგ ¹⁹ ჩააგდეს მნათობი, შუქი ქვე ²⁰ დაემალოდეს.

1) A, B – : ჩვენ ყოველთ დღე წავალთ; C, D – : ჩვენ ყოველ დღე წავალთ; E – : ჩვენ ყოველ დღეთ წავალთ; F, H – : ჩვენ ყოველ დღეთ წავალთ; G – : ჩვენ ყოველ დღე წავალთ.

2) A – : მჯეცთა სვრათ; B, M, O – : მჯეცთანა.

3) A – : ეტყოდნენ; B – : ეტყოდა.

4) B – : წავიყვანთ.

5) D – : დიახ.

6) M – : ჰსჯობს.

7) B – : ჩავარდება.

8) B, O – : თან წაიტანა; C – : თან წაიტანეს; H – : თან წაიყვანეს; M – : თან წაატანა.

9) A – : ღაწვი ბაღშნად; B, M – : ღაწვნი ბადახშანს (ს)ჭვირობდეს; C, D, G – : ღაწვ ბადახ-
შანი ძვირობდეს; F – : ღაწვი ბადახშანს; O – : ღაწვნი ბადახშანს წვირობდეს.

10) E ხელნაწერში მთელი ეს ხანა „ირობდენ“-რითმაზეა აწყობილი.

11) A – : შეებრალად; C, G – : შეებრალა; D, F – : შეებრალა; E – : ძმა შეებრალეს; L – : ძმას შე-
ებრალა, მათ არა.

12) A, F, G – : იოსებ მათთან მგზავრობდა; D, O – : იოსებს; E – : იოსებ მათის მგზავრობით.

13) D – : გულ-ულმომენო; L – : გულ-ულმობელო, თქვე ქვანო; M, O – : თქვენ გულ-ულმობნო.

14) C – : მათ მაშინდელი; D, G – : მათ მაშინ მათგანი; L – : საქმე მათი მაშინდელი
ბოროტ ნაქმარად კმაროდა.

15) C, D – : ვაის მოთქმანო და; E – : ვა მოთქმანო და; F – : ვა მოთქმანო და; G – : ვაი
მოთქმანო და; L – : დედისა ვაით მოთქმანო; M – : დედისა ვაჟ თქმანო და; O – : დედისა ვაჟ
თმანო და. ეს ხანა L ხელნაწერში „ანო“ რითმით არის აწყობილი.

16) O, C, M – : საკვდავად.

17) ასეა მხოლოდ M და O ხელნაწერებში, სხვაგან ვკითხულობთ – ყელ გამოჭრასა ლა-
მოდეს.

18) „ჰ“ დაცულია A, H, M ხელნაწერებში.

19) D – : მას შიგან; F, G – : მას შიგ; E – : შიგან; L – : მაშიდ.

20) აქა-იქ – : ძმისა.

- 40.* უფროსმან ძმამან მის ყმისა ¹ პერანგი სისხლით შესვარა, იგ მუნ დაადგეს. ეგ მიკვირს: ძმამან ძმის სისხლი შესვა რა ²! მათ მისი ცხენი მიჰყვანდათ, ნეტარ მისთანა შესვა რა ³! და სხვა მსგავსი ⁴ იოსებისა, ვეჭობ, დედამან შვეს არა ⁵.
41. მათ მწუხარება იჩემეს ⁶, ტირილით მივლენ, ზარითა, მამასა თავსა წაადგენენ ამბითა შესაზარითა, პერანგი წინა დაუდგეს, ჰკადრეს სიტყვითა მწარითა. და იტყოდა: – „სიბერის ჟამსა ⁷ გულსა ლახვარი მკარითა“!
42. – „რა უყავთ ⁸ ჩემი იოსებ?“ – ეს ოდენ უთხრა ⁹ ენითა. მათ მოახსენეს: – „წატანა ჩვენ მისი ავად ვქენითა, ლომი აგვიჩნდა ¹⁰ უსახო, ჩვენ გავეჟეცით ¹¹ რბენითა ¹². და მას ¹³ მოეწია, შეიპყრა, დაგლიჯა კბილთა კბენითა.“ ¹⁴
- 43.** „იგ შეჭამა და წავიდა, პერანგი დაგვრჩა ხეული, ეს ნიშნად წამოვიტანეთ ¹⁵ სრულად ¹⁶ სისხლშიგან რეული.“ ტირან ¹⁷ საწყალნი მშობელნი სისხლისა ცრემლ დათხეული ¹⁸, და ტირილით თვალნი დაუდგეს, ღაწვნი შეექმნეს ხეული ¹⁹.
44. აწ რაც გადახდა იოსებს, ვარ მის ამბისა მთხრობელი: ღრმასა ორმოში ჩაადგეს ²⁰, არ უნდა ბარ-სათხრობელი, ყაფილა მოდის ურიცხვი ²¹, ჰგავს, თუ მისვლია მთხრობელი, და აწ ნახეთ მაზედ წყალობა ღვთისაგან მიუთხრობელი ²²!

1) აქა-იქ – : ძმისა.

2) B – : იგი მუნ დადგეს. ეს მიკვირს: ძმამ ძმა სისხლით შესვარა.

3) C, D – : შესვანრა.

4) A, E – : მგზავსი.

5) B – : ვეჭვობ დედამან შესვარა.

6) O – : იჩვენეს.

7) ზოგ ხელნაწერებში –: სიბერისა დროს; სიბერის დროსა და სხვ.

8) აქა-იქ – : უყავი, უყავ.

9) B – : უთხარ.

10) M – : აღვიჩნდა.

11) D – : გავიჟეცით.

12) M – : ჰრბენითა.

13) B – : მათ.

14) C – : კრეჭითა; D, F, G – : კრჭენითა.

15) B, M, O – : წამოვიღვეით.

16) A, B, F, G – : სულა; F, H – : სრულა.

17) A, C, D, O – : ტირიან.

18) A, D – : სისხლისა ცრემლი დათხეული; B – : სისხლისა ცრემლთა თხეულად (ხანა „ეულად“ რითმით არის ნაწარმოები); M, O – : სისხლის ცრემლითა რეული.

19) A – : შეექნეს; B – : შეცაქმნეს; E – : შეექნათ; F – : შექნეს; O – : ღაწვი შექნეს.

20) M, O – : ღრმაში ჩაადგეს ორმოში; ალაგ-ალაგ – : ღრმაში ჩაადგეს ორმოსა.

21) A, C, D, G, H – : ყაფილა მოდის სადგომად; B – : ყაფალა მოდის ურიცხვი; E – : ყაფლა მოვიდა სადგომლად; F – : ყაფილა მოდის სადგომად; M, O – : ყაფლა მოდისო ურიცხვი.

22) A, E, F – : აწ ნახეთ მაზედ ღვთისაგან ბრძანება მიუთხრობელი; C, D – : ღვთისგან მის ზედა ბრძანება.

*) L ხელნაწერში ამოვარდნილია ერთი ფურცელი, სადაც უნდა ყოფილიყო მე-40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48 და 49 ხანები.

***) O ხელნაწერში სტრიქონები არეულია; იქ არის 1, 3, 2, 4.

– 110 –

45. ორმოს პირს დადგეს კარავნი ¹, წყალსა ეძებდეს მდომელი ²,
ჭა ნახეს, შიგან ჩახედეს, შუქნი ³ აქვს შემომდგომელი ⁴;
ქარავან-ბაშა აცნობეს: – „თქვენც ნახეთ ჭაში მჯდომელი“.
და წავიდა ნახა ⁵, გაჰკვირდა ⁶ – პირი ელვათა მკრთომელი.

2.* აქა განსყიდვა იოსებისა ვაჭართაგან. **

46. კაცი ჩაუშვეს, საბელი წელთ ება, ჰელთაც ეჭირა ⁷,
ამოიყვანეს იოსებ, ძლივ სული კბილით ეჭირა,
ჰკითხეს: – „ვინა ხარ?“ – ყოველთა თვალი მაზედა ეჭირა ⁸,
და მან უთხრა ⁹: – „ძმათ მიღალატეს, ლხინი ამისთვის მეჭირა“ ¹⁰.
47. გარ-მოკრბეს დიდნი ვაჭარნი ¹¹, მისი ნახვა მათ უღირდათ.
მას უჭვრეტდეს ¹² გაკვირვებით, შუქი მისი გულსა სჭირდათ ¹³,
უსასყიდლო მარგალიტი მოინდომეს გასასყიდათ,
და მისრ-ეგვიპტეს წაიყვანეს მათთვის მორჭმად, გასამდიდრათ. ¹⁴
- 48.*** მის ქალაქისა მეფესა აზიზი-მისრი ¹⁵ ჰრქმეოდა ¹⁶,
მდიდარი, უხვი, მოწყალე, ერთობ მოსამართლეო-და ¹⁷,
მას ცოლი ჰყვანდა – სიტურფით მნათობთ არ მოეთნეოდა ¹⁸,
და სახელად ერქვა ზილიხან, მთვარესა სჯობდა ¹⁹, მზეო-და ²⁰!

1) A, B, F, H, M, O – : დადგეს კარვები; C, D – : დაადგეს.

2) A – : წყალსა ეძებდნენ მდომელი; B – : ეძებენ წყალი დგომილი; (ეს ხანა „ომილი“ რით-
მაზეა აწყობილი); E – : ეძებენ წყლისა მდომელი; M – : ეძებენ წყლისა მდომენი; O – : ეძებენ წყლისა
მდომელნი.

3) A, B, C, F, G, H, M, O – : შუქი; D – : შუქა.

4) C, D, G – : შემოდგომილი; M, O – : შემამდგომელი.

5) A, C, D, F, G, H – : ადგა, რა ნახა; B – : მოვიდა, ნახა; L, M, O, N – : ადგა, წავიდა.

6) C, F, O – : გაკვირდა; D, G – : განჰკვირდა.

7) M, O – : საბლები, წვერები ჰელთა ეჭირა; ბევრგან „საბელის“ მაგივრად „საბლები“-ა.

8) B, E, G – : მას ზედა; D – : მას ზედ; E, H – : მაზედან.

9) A, C, F, G, H – : მან თქვა, თუ; B – : მან უთხრა; D – : მან თქვა.

10) C, D, F, G, H – : ლხინი ამისთვის ეჭირა.

11) A, C, G – : გარ-მოაკრფდეს დიდ-ვაჭარნი; B – : გარე-მოკრფა დიდ-ვაჭარნი; D – : გარ-
მოაკრფდეს დიდ-ვაჭარნი; E – : გარ-მოაკრბეს დიდ-ვაჭარნი; F – : გარ-მოკრფდეს დიდნი-ვაჭარნი;
H – : გარ-მოაკრფეს დიდ-ვაჭარნი.

12) B – : მას უჭვრეტდა, (ხანა „და“ რითმაზეა); E, F, M, O – : მას უჭვრეტდენ.

13) B – : სჭირდა; M – : ჰსჭირდათ.

14) A – : მართთვის; B – : მათთვის მოჭმად; E – : მათად მორჭმა; C – : გასასყიდათ.

15) A – : აზიზი-მირზა; B – : აზიზ-მისირი; D – : აზიზი-მისირი.

16) A, C, D, H, E – : რქმეოდა.

17) B – : მათ თანვე სიმართლეოდა; M, O – : მასთანვე სამართლებოდა.

18) C – : ნათელი მოეფინოდა.

19) M – : ჰსჯობდა.

20) E – : მზეობდა.

*) ეს კარი ამ ხანიდან იწყება A, C, D, F, G და H ხელნაწერებში; ერთი ხანის შემდგომ
იწყება B, M და O ხელნაწერებში, ხოლო მე-47-ის შემდგომ იწყება მხოლოდ E ხელნაწერში.

**) ამ კარის სათაურიც სხვადასხვა ნაირად არის შენახული; ჩვენ მოვიყვანთ ზოფიერთს

მათგან: A – : იოსებისა ვაჭრისაგან ორმოდგან ამოყვანა და მისრეთს გაყიდვა; B – : გაყიდვა ვაჭართაგან იოსებისა. აწ ნახეთ სიკეთე მისი; C, D, F, H თითქმის ერთნაირად გადმოგვცემენ ჩვენი რედაქციის მსგავსად; M, O – : გასყიდვა იოსებისა დიდ-ვაჭართაგან, ნახეთ მისი სიკეთე.

***) F და G ხელნაწერებში არ არის შემდეგი ხანები: მე-48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, და 63. ამ ადგილებში ხელნაწერები დაზიანებული არ არის: მე-47 ხანას უშუალოდ მოსდევს მე-64-ე.

– 111 –

49. მე ვით ვაქო ¹ სიტყვა მცირმან ², სპარსთ უქიათ ენა-მრავლად, ვინ ყოფილა მისი მსგავსი, ან ვის ახსოვს დანასწავლად ³? მან ციერნი ⁴ დააბნელა ⁵, თვით გავიდა ⁶ ცაში მავლად ⁷, და მან მოუდვის მისთა მჭვრეტთა ⁸ ცეცხლი ცხელი გულსა ალვად ⁹.
50. წარბნი გიშრისა ქამანდსა ¹⁰, თვალნი მეღნისა მორევდა, ნარგიზნი შავსა ლახვარსა მიჯნურთა გულსა მორევდა ¹¹, თმა-ტევრი შავსა სუმბულსა, ტანი ალვასა მორევდა ¹², და ბრწყინვალეებითა ცისკარსა „მე ვჯობ“-ო ¹³ დაუმორევდა ¹⁴.
51. მის მნათობისა საქებრად ენა ჯამს შესხმად მალეები, არღვენის ¹⁵ ფერსა ღაწვზედა ¹⁶ ჯარად დგას გიშრის სარები, მარგალიტს ჰფარვენ ¹⁷ ორნივე იაგუნდს ქვეშე ლალები, და მისთა შუქთაგან მთვარესა პირსა აჩნია ნალები.

3. * სიზმარი ზილიხანისა. **

52. ტახტზედა იწვა იგი მზე საძილოდ მოსვენებითა, იოსებ ნახა: თავს ადგა სიზმარში მოჩვენებითა, ნარინჯი ჯელთა ეჭირა, ჰგავს ნაწმობია ნებითა ¹⁸, და ვით ცხადივ, ¹⁹ ეუბნებოდა თამამად, არა თნებითა ²⁰.

1) C, D – : მე ვით ვთქვა.

2) A – : სიტყვა მცირემ; F, M – : სიტყვა მცდარმან; C, D – : სიტყვა მცირმა; O – : სიტყვა მცთარმან.

3) B – : დასასწავლად; D – : დანასწავლად; M – : ენა მცდარად; O – : ენა მცთარად.

4) C, M – : მან ციერი; O – : მან მციერი.

5) C – : დაბნელა.

6) M, O – : თვით გავიდის.

7) B – : მრავლად.

8) B, M, O – : მისსა მჭვრეტსა.

9) A, D, H, M, O – : გულსა ალად; B – : ცეცხლი მწველი მუდამ ალვად; C – : მჭვრეტთა გულთა ცეცხლი დასაწველად; F – : გულსა ალვად.

10) C – : ქამანდის; E – : ქამანდი.

11) M, O – : მიჯნურთა დაემორევდა.

12) A, C, E – : ალვისა მორევდა; B, M, O – : ალვის ხედ მორევდა.

13) B, O – : მე ვჯობო; M – : მე ვჰსჯობო.

14) D ხელნაწერში ეს ხანა „რევიდა“-რითმით თავდება.

15) A – : ალვანის.

16) C, D, E, H, L – : ღაწვზედან.

17) B, M, O – : ჰფარავს.

18) M, O – : ენითა.

19) A, D – : ვით ცხადათ; E – : ვით ცხადი; C, H, L – : ვით ცხადად.

20) ასეა M და O-ში; სხვაგან – : თნევითა.

*) ეს კარი A, C, D, H და L ხელნაწერებში რაღაც გაუგებრობით მე-51 ხანიდან იწყება.

**) სათაური ჩვენ შემოკლებულად მოვიტანეთ; თითქმის ყველა ხელნაწერში ასე იწყება და ერთვის სხვა რამე, მაგ.: 1) და იოსების ნახვა (A, L), 2) და იოსების ჩვენებაში ნახვა უცხოდ და საოცრად (E) და სხვ.

– 112 –

53. „ვინ ხარ, სით მოხვალ, რა გინდა?“ – ქალი ეტყოდა მძინარე,
„ვით ¹ შემოგიშვეს სარანგთა, ან ჩემთვის შუქი ვინარე?
ვერ გამიცნინხარ ² სხივთაგან, გნახო, წამოდგე ³ წინარე,
და ვიცი, მამედვა დღეს იქით საჭმილი მოუთმინარე!
54. – „თუ ჩემი ცნობა გწადიან, ხვალ მოდი, მნახე, მზეო-და!
ტყვედ მომიყვანეს, ტყვესაგან ⁴ შენ გული დაგეტყვეოდა,
ისწრაფე ჩემსა დახსნასა, ტანად ალვისა ხეო-და,
და მიყიდე შენდა ⁵ სამონოდ, გამსახურო, გესათნეოდა ⁶.
55. ნარინჯი მისცა, წავიდა, ჰელთ შერჩა ეგრე მწოლესა,
მოშორებისა ლახვარი მისთვის საკვდავად მოლესა.
ქალი შეერთა და აიჭრა, გული ⁷ ძგერს ⁸ მისსა მგონესა.
და არ ვეჭობ, ⁹ მათმან მნახავმან ¹⁰ სხვა ვინმე მოიწონესა!
56. იძახდა: – „მოვკვდი ¹¹, მიშველეთ!“ – ვარდი ზაფრანად ჰფეროდა ¹²,
მხლებელნი ¹³ უწვენეს გარშემო, ვის როგორ შეეფეროდა ¹⁴,
გამდელი ტირს და ეხვევის ¹⁵, გულ-ტკბილად მოეფეროდა ¹⁶,
და – „რა გჭირს, რა მოხდა, მიბრძანე, ჩემო ჰური და ფერო-და ¹⁷?“
57. ჰკადრეს ¹⁸: – „მზეო, რამ შეგაკრთო, მოგეჩვენა სადაღავნი?
ეგრე ფიცხლად ¹⁹ ვით დაგაჩნდა გულსა ცეცხლი სადაღავნი?
გეხვეწებით: ²⁰ ჩვენ გვამყოფე თქვენთა ჭირთა სადაღავნი,
და შუქთა სხივნი დაგემალნეს, აწ მნათობთა სადაღავნი?

1) A, C, H, L – : სით შემოგიშვეს; D – : შიდ შემოგიშვეს.

2) M – : ვერ გამიცნინხარ; O – : ვერ გამიცნინხარ.

3) A – : წამოდგე; L, B, C – : წამოდგე; E – : წარმოსდგე.

4) გარდა E ხელნაწერისა, ყველგან ვკითხულობთ – : ტყვისაგან.

5) B, M, O – : შენთვის.

6) M, O – : გესათნოვოდა.

7) E – : გულსა სძგერს.

8) M – : ჰსძგერს.

9) A, B – : არ ვეჭობ; C – : არ ვგონებ.

10) B, M, O – : მისმან მნახველმან.

11) C, O – : მოვკვდე; E, H – : მოვჰკვდე; L, M – : მოვკვდე.

12) A – : ფერობდა; E – : ვარდი ზაფრანის ფეროდა.

13) A – : მწვეალნი; C, D – : მხლებელი უწვენს; H – : მხლებელნი უწვენს; L – : მხლებელი უწვენს.

14) C, D – : შეფეროდა; E – : ვის უფრო შაეფეროდა; O – : ვის როგორ შეფეროდა.

15) C, E – : ტირს და ეხვევა; M, O – : ტირის, ეხვევის.

16) მეორე და მესამე სტრიქონი B ხელნაწერში არეულია – ჯერ არის მესამე და შემდგომ მას მოსდევს მეორე.

17) A – : ჩემო ური და ფეროდა; B – : ჩემთვის ურიდლად ფეროდა; C – : ჩემო გულო და ფერო და; D, L – : სიტყვა არ დამიფასო და; E – : ჩემო ჰურიდა ფეროდა.

18) B, M, O – : ჰკადრეს; C, L – : კადრეს; D – : კადრებს.

19) D, M, O – : ეგრე ფიცხლავ; L – : ეგრე ფიცხლათ.

20) A, C, D, E, H – : გეხვეწები.

– 113 –

58. დაგლიჯა ბაღი ვარდისა, ზამბახი, იასამანი,
სუმბულის ¹ ტევრი გაყარა, არ მისცა იასამანი,
გამოენასკვა შეფრუშვით ² შავნი გიშრისა ქამანი,
და მელნისა ტბათა ³ სდიოდა ⁴ ვარდზედან ⁵ ცრემლთა წამანი.
59. იტყოდა: – „ვნახე ⁶ სიზმარი, ჩემთვის საკვდავად ჩვენება:
ყმა ⁷ ვნახე პირ-მზე, ტან-სარო, მე მისი შეყრა მენება,
მიჯობდა ძილი ღვიძილსა ⁸, თუ ბნელად გამეთენება,
და უცილოდ გავლი ⁹ სოფელსა, თუ კიდევ არ მეჩვენება“.
60. არ დაუჯერეს მხლებელთა, სთქვეს: – სჭირსო ეშმაკურება ¹⁰.
მეფე შორს იყო, შესთვალეს ამბისა ¹¹ მედასტურება,
წიგნი მისწერეს: – „ეს გვიკვირს ¹², მზის ნახვა არ გესურება!
და ავად გყავს, მოდი, თვით ნახე ვარდზედა ცრემლთა სხურება ¹³“.
61. მეფე მოვიდა, გაკვირდა ¹⁴, მზე ნახა ფერ-მიწდილებით ¹⁵,
საყელო გარდახეული, პერანგი აღარ ღილებით,
ეტყოდა ¹⁶ ქალსა: – „რა გტკივის, ცრემლი რად მოგდის მილებით“?
და მან უთხრა: – „ძილში შევშინდი, ამაღ ვარ ჭკვა-შეშლილებით. ¹⁷“
62. მეფემან იცმნა აქიმნი ¹⁸, შესჩივლა საქმე მთვარისა,
იმათ იცნობდეს ¹⁹ ყოველნი ბოდრატის შესადარისა!
ხადუმთ უფროსსა უბრძანა ²⁰ გაღება არმის ²¹ კარისა:
და – „თქვენგან ამისი კურნება ჩემთვის სალხინოდ ²² კმარისა“.

1) A – :სუნბულის.

2) C – : შეფშევრით გამოენასკვა; D – : შეფშევრით გამოენასკვა; E – : გამოენასკვა შე-
ფრუშვით.

3) M – : მელნისა ტბანი; O – : მელნისა ტბაში; L – : მელნით ტბადა.

4) A – : ზდიოდა; M – : ჰსდიოდა.

5) B, M, O – : ბროლზედა.

6) E – : ვნახენ.

7) B, D, L – : ყრმა.

8) A, D, H, L, E – : ძილი მიჯობდა; C – : ძილი არ ჯობდა...

9) M, O – : გავალ.

10) M, O – : და(ჰ)წამეს ეშმაკურობა; N – : ჰსთქვეს: ჰსჭირსო ეშმაკურება.

11) A – : ამბავი გვედასტურება; B, M, O, N, P – : ამბავი მედასტურება; L – : ჰამბვის მედა-
სტურობა (ხანა „ობა“ რითმაზეა).

12) E – : ეს მიკვირს.

13) E – : ბკურება.

14) C და D-ში – : გაკვირდა...; L-ში – : განკვირდა; სხვაგან კი – : გაჰკვირდა.

15) ასეა მხოლოდ E ხელნაწერში. სხვაგან მთელი ხანა „ობით“ რითმითაა შედგენილი.

16) მხოლოდ N-ში ვკითხულობთ – : ეტყოდეს.

17) A, B, C, D, L, N, P – : ჭკუა შლილობით; E – : ჭკვა შეცვლილებით.

18) აქა-იქ – : ექიმნი.

19) A, C, D, H, L, N – : იმათ იცნობდეს; M, O – : იმას იცნობენ.

20) აქა-იქ – : უბრძანეს.

21) P – : ამიერ კარისა.

63. ნახეს და გამოიკითხეს, მისი ვერ იცნეს სენები,
ფიცხლავ შეატყვეს სურვილი ¹, სათქმელად შეკრეს ენები,
თქვეს ², თუ: „ეში სჭირს ³, არ არის მეფისა მოსახსენები,
და განქარდეს საფროთხე ⁴ ეშმაკთა, ღმერთსა ვევედრნეთ ⁵ მქენები.“
64. ერთმან მაჯა დაუჭირა, მას ⁶ საცდელად სინჯავს ⁷ წყნარად,
იგ მეორე არაკს ამბობს ⁸ საქმისათვის მოსაგვარად,
მიჯნურობა ჩამოაგდეს – ქალს ⁹ დაემრა მაჯა ჩქარად,
და გაეცინეს, პირსა კელი მათ მიისწრეს მოსაფარად.
65. ქალმანც შეიტყო: – „შემატყვეს, მე რაცა მჭირდა ჭირები, ¹⁰
შეშინდა: – „ვა, თუ გავმჟღავნდე ¹¹, საქმე მაქვს ¹² გასაჭირები“.
ბრძანა: – „გავმთელდი ¹³, მეფონა ¹⁴ გულს სენი მოსაჭირები“;
და აქიმთ მრავალი უბოძა – მისთვის დაგუბონ პირები ¹⁵“.
66. ადგა და ტანსა ჩაიცვა, მან გაიმაგრა გულიო,
პირსაც აჩნია და შიგნით გული აქვს დადაგულიო.
ქალაქსა იდგა საკერპო, შიგ კერპი ამართულიო ¹⁶,
და თქვა ¹⁷: – „წავალ, მსხვერპლსა შევსწირავ ¹⁸ – ძლივ მომიბრუნდა სულიო“.
67. წასასვლელად დაემზადნეს ¹⁹, ხადუმთ რაზმი მოდგა კარად,
კუბო მოაქვთ შემკობილი ²⁰, მჯევალნიცა იდგნენ ²¹ ჯარად,
ზანგთა ²² რაზმი ისარს ისვრის, აღმასი ჯამს გულსა ფარად,
და მთვარე მცხრალი გასავსებლად ²³ მივა მზისა შესაყარად ²⁴.

1) მხოლოდ E-ში ვკითხულობთ – : ფიცხლავ შეატყვეს ეში სჭირს; C, D, N, P, H – : ფიცხლად.

2) ალაგ-ალაგ – : სთქვეს; ჰსთქვეს.

3) E – : ეს საქმე.

4) C, L – : საბრხე; N – : საქმე; D – : საბრნე.

5) B, E – : ღმერთსა ვეაჯნეთ; M, O – : ღმერთს ვევედრებით; L – : ღმერთსა ვევედროთ.

6) აქა-იქ – : იგ.

7) A, C – : შინჯავს.

8) P – : მოჰყვა.

9) B – : მას.

10) M, O – : სენები.

11) C, M, O P – : გამჟღავნდეს.

12) E – : მიც.

13) E – : გავმართლდი.

14) M, O – : მეფეო.

15) ასე იკითხება მხოლოდ E-ში; B, M, O – : მათ საბომძვარი უბოძა, არ ზოგვით დასაჭირები; C, G, H, N – : მათ აღუსრულდათ გულები; A, D, E, L, P – : მათ აღუსრულა გულები.

16) M, O – : ქალაქსა შიგან საკერპო დგას კერპი აღმართულიო.

17) L – : ჰთქვა; M, N – : ჰსთქვა.

18) M, N – : შევჰსწირავ; O – : შევსწირამ.

19) B, M, O – : დაემზადა.

20) E, M, O – : შეკაზმული.

21) ასეა მხოლოდ E ხელნაწერში; M, O – : ადგა; სხვაგან – : იდგა.

22) N, P – : ზოგთა.

23) A, C, D, F, G, H, L, N, P – : გავსებული.

24) N, G – : შესაყრელად.

– 115 –

68. რა მივიდა, გარდამოჰდა მოარული ნორჩი ალვა,
ლოცვა ჰქონდა სამიზეზოდ ¹, მით პატიჟთა ² უნდა მალვა,
გლახაკთ მისცა უსაზომო, კერპთ ჰმსახურა ³, გაეკრძალვა,
და იოსებცა მოიყვანეს ⁴, მით ⁵ ელხინა სევდათ მალვა.

69*. მეფემან იჰმნა ვაჭარნი: – „აქ მამისხენით, წა მარე ⁶“!
ფიცხლავე მონა წავიდა, იოსებ ნახა მჯდომარე,
მონა განცვიფრდა, გაშტერდა: ცით ჩამოსული რამ არე!
და დიდ ვაჭართ ჰკადრა ბრძანება: – „აქ მოდით ჩემსა წინარე ⁷“!

4. იოსების მიყვანა მისრეთს დიდ-ვაჭართაგან და მეფისაგან სყიდვა **.

70. მოვიდეს იგი ვაჭარნი ⁸, არ დაიყოვნეს ხანები,
მათთვის ⁹ დაცალეს ყოველგან ქარვასლები ¹⁰ და ხანები,
ნახეს გაჰკვირდენ ¹¹ – იოსებ მთვარულად მონავანები,
და მისი გაისმა ¹² ყოველგან გასყიდვად მონაყვანები ¹³.

71. მეფეს აცნობეს: – „ვაჭარნი მოვინმოვიდეს რებული,
ყაფილა ახლავს ¹⁴ ურიცხვი, ლართა გამდიდრებული ¹⁵,
ყმა ახლავს, ყულსა უმახის, მთვარეა პირგავსებული ¹⁶,
და გაჰკვირდენ, ზედა მოაკრფდეს ¹⁷ მოქალაქეთა კრებული“.

1) B, H, F, L, M, O – : სამიზეზოდ.

2) E – : პატიჟთა.

3) E – : პატივსცა.

4) A, C, D, H, G, N – : მიიყვანენ.

5) B, M, O, N, P – : მათ.

6) A – : მალე.

7) H ხელნაწერში ეს ხანა (მისი მეორე ნახევარი) არეულია: მეორე სტრიქონის შემდეგ ვკითხულობთ მეოთხეს, ჩვენი მესამე სულ არ არის, ხოლო მეოთხეში ვკითხულობთ – : იგი მომ-ყიდეთ, მიიღეთ მის ყმისა ოქრო წონარე.

8) B, M, O – : მოვიდა იგი ვაჭარი.

9) აქა-იქ – : მისთვის.

10) E – : ქარვასლანი.

11) A, B – : გაჰკვირდეს; C – : განკვირდეს; D – : განჰკვირდენ; M – : განჰკვირდეს; O – : გაკვირდეს.

12) B – : მისი გაითქვა; M – : მისი განისმა.

13) B-ში სტრიქონების ასეთი რიგია: 1, 2, 4, 3.

14) აქა-იქ – : ყაფლა ახლავსო.

15) E – : აკიდებული.

16) M, O – : პირად გავსილნი (ორივე ხელნაწერში რითმა „ლნი“-ა).

17) B – : მოადგა; C – : მოაკრფეს; D – : მიაკრფდეს; H – : მიჰკრფდეს; M, O – : მიაკრბეს.

*) ეს ხანა არ არის B, M, O და E ხელნაწერებში.

**) მეოთხე კარის სათაურიც ოდნავი ცვლილებებით არის წარმოდგენილი. მაგ.: 1) A ხელნაწერი ჩვენს სათაურს უმატებს – : და შვილად აყვანა; 2) M – : იოსების მიყვანა ვაჭრი-საგან და ძვირფასად მეფისაგან ჰსყიდვა; 3) O – : აქა იოსების მიყვანა და ვაჭართაგან ძვირ-ფასით სყიდვა.

72. ბრძანა: – „ვინ არის მომგვარეთ აწ ფიცხლავ ჩემსა წინარე“. მოვიდეს, ძღვენი მოართვეს, ტურფა, არ დასაწუნარე. უბრძანა: – „ვინ ხართ, სით მოხვალთ, ანუ ტყვე იგი ვინ არე? და მომგვარეთ, ვნახო შვენებით მნათობთა მოუთმინარე“¹.
73. მათ მოახსენეს: – „მეფეო², ვიკადრებთ მიწა³, მტვერები: ჩვენ შამით⁴ მოვდოთ, გზაშია არვინ დაგვიხვდა მტერები, წყალსა ვეძებდით, ჭა დაგვიხვდა, თავს არვინ ადგა მცველები, და ჩავხედეთ – შუქი პირს გვეცა, უცხო რამ ვნახეთ ფერები“.
74. „ამოვიყვანეთ – ყმა დაგვიხვდა ღარიბი, ტურფა სახითა, ვკვითხეთ: – «ვისგან გჭირს, ვინა⁵ ხარ, ტან-სარო ალვისა ხითა?» – «ძე ვარო⁶ იაკობისა, ძმათ მომკლეს ამა სახითა». და მოვიყვანთ, ვეჭობ, გაჰკვირდეთ მის უებროსა⁷ ნახვითა“.
75. გამობრუნდა იგ ვიჭარი, სადგომს მივა – ფიცხლად ვლიდა, ყმას უთხრა: – „მეფე გიწმობს“⁸. მოკაზმა⁹ და ცხენსა სმიდა, იგ ატირდა, ვარდის ბაღსა გიშრის ღარით¹⁰ მორერწყვიდა. და მჭვრეტთა თვალნი გაურეტდეს, ვინცა ნახა, გაუკვირდა.
76. მეფემ ბრძანა¹¹: „არ ნახულა ამისებრი¹² კაცთა ძენი, იაგუნდი, ბროლ-ლალ-მინა¹³ ვნახე ერთად¹⁴ შენათხზენი, თოვლსა ზედან¹⁵ ყორნის ბოლო, ტანად სარო ალვის ხენი, და ვეჭვ, გამმაგდეს მისი მჭვრეტი, რაზომც იყოს დია ბრძენი¹⁶“.

1) E – : მეფემან ბრძანა : – „ვაჭარნი მომგვარეთ ჩემსა წინარე, იგი ყმა ვნახო შვენებით, მნათობთა მოუთმინარე“. მოვიდეს, ძღვენი მოართვეს, ტურფა, არ დასაწუნარე, და უბრძანა: – „ვინ ხართ, სით მოხვალთ, ანუ ტყვე იგი ვინ არე?“

2) A, C, D, F, H, G, N, P – : ტურფაო.

3) აქა-იქ – : მონა.

4) B – : შიშით.

5) აქა-იქ – : ვისი ხარ.

6) A, N, P – : თქვა – «ძე ვარ».

7) M – : მით უებროთა ნახითა; O – : მით უბრალოთა ნახითა.

8) A, C, F, H, G – : მეფე გითხოვს.

9) A – : მოეკაზმე; C, D, F, H, G, M, O – : მოეკაზმე; E – : შეუკაზმა.

10) M, O – : ღარით.

11) M – : მეფემ ბრძანა; A – : მეფემა ბრძანა; E – : მეფემან ბრძანა.

12) E – : არ მინახავს ამისებრი.

13) E – : ბროლ-ვარდ-მინა.

14) A, C, D, E, G, H, L, N – : ერთგან.

15) A, C, D, F, H, G, L, N – : თვალთა ზედა.

16) A, C, D, G, L – : რაზომც იყოს მეტად ბრძენი; B, F, H, N – : რაზომ იყოს მეტად ბრძენი; E – : რაზომ იყოს კაცი ბრძენი.

77. ვაჭარი იტყვის: – „გავჰყიდო ფასზედა დაუფასები, ყულად რას მარგებს სატყვეოდ¹ პირად მზე, ალვა ნაზები?“ შემოკრბა სრულად ქალაქი², მოაქვთ ოქრო და თასები:

და ყოველს კაცს უნდოდა ³ სასყიდლად, შუღლობდენ ბევრ-ათასები.

78. ბებერიც ვინმე მორბოდა, ჯელთ ჰქონდა ბანბის შუღები,
– „მეც ვიყიდო იოსებს, მას ვანაცვალო სუღები“!
ეტყოდეს: – „ჰგეხარ ზილიხანს ⁴, მალ მისთვის მიეშურები,
და რასთვის ხელობა? წაგსვლია სიემისა ქალიშვილები“ ⁵.

79. „შვილი არა მყავს, ვიყიდი“ – მეფემან ბრძანა – „შვილებად“.
გარე გაყარნა ⁶ ვაჭარნი, ბრძანა ⁷: – „დასცხერით ცილებად,
ღმერთან მე მომცა უებრო, არა მყო გარდავლინებად,
და წადით, გახსენით საჭურჭლე, მოიღეთ ⁸ ოქრო მილებად!“

80. მის გოვარისა ⁹ სასყიდლად მოჰქონდათ ოქრო შუშებით ¹⁰.
ზილიხანს ესმა, გზავნიდა საამზოდ კაცს ჯაშუშებით.
ბრძანა: – „უცილოდ იგია, ვისგან ვარ სულთქმა უშებით,
და მოლხენა მომხვდეს ¹¹, ეგება ¹², მე ვიყო წყლულ-დამუშებით“.

81. ვაჭრობა შექნეს, მოიღეს მიზანი ¹³ ასაწონელი,
მის უფასოსა ფასისა ¹⁴ მნელ იყო შესაწონელი:
ცალ-კერძ შეუდევს დრაჰკანი, ცალ-კერძ იგ მოსაწონელი.
და აწ გულსა მიხვდა ზილიხანს ლახვარი გასაწონელი.

82. ოქრო მოიწყო ვაჭარმან უსასყიდლოსა ფასისად.
მეფე ადგა და იოსებ მუნ მიჰყავს სრა-დარბაზისად ¹⁵,
სადა ჯდა მთვარე, გვერდს ახლდა ¹⁶ ჯარი ვარსკვლავთა დასისად,
და აბაშთა, ზანგთა ლაშქარი ¹⁷ ტევრად დგას ბევრ-ათასისად.

1) E – : სამონოდ.

2) E – : შემოვრბენ სრულად ქალაქნი.

3) A – : ყოველს კაცს უნდა; C – : ყოველს კაცს უნდათ; D – : ყოველთა კაცს უნდოდა;
E, F – : ყოველს კაცსა უნდა.

4) აქა-იქ – : გავხარ, ჰგავხარ, გეგხარ, ზილიხანს.

5) A – : რაღასა ხელობ – წაგსვლია; C – : რასთვის ხელობ, არ გახლავს; D, F – : რასათვის
ხელობ; E – : რასთვის წაგსვლია ხელობა, სიემისა ქალიშვილები; F, G, L – : რასთვის ხელობ,
წაგსვლია; N – : რასთვის ხელობ და წაგსვლია.

6) E – : გარე გაახსნა.

7) აქა-იქ – : უთხრა.

8) M – : მიიღეთ.

9) ასეა მხოლოდ M და O-ში; სხვაგან – : მის გვარისა.

10) E – : მოაქვთ ოქროდა შუშებით.

11) აქა-იქ – : მამხვდეს.

12) M, O – : ეგების.

13) A, B, C, D, G, L, N – : ნიზანი; F – : ნიზამი; P – : ნიზანნი.

14) E – : მის უებროსა ფასებად.

15) A – : მეფე ადგა, იოსებ მიჰყავს და მუნ სარა დარბაზისად; P – : მეფე ადგა და იოსები
მუნ მიჰყავს დარბაზისად; M, O – : და იოსებ მუნ მიჰყავს სადარბაზისად.

16) B, M, O – : ახლავს.

17) ამ სახით არც ერთ ხელნაწერში არ არის; უმეტესობაში ვკითხულობთ – აბაშთა ზანგი
ლაშქართა.

83. მეფე ბრძანებდა: – „ღვთისაგან ეს მომენიჭა ძეობად“.

ზილიხანს უთხრა: – „ეს კმარა ჩვენთვის სალხინოდ, ძეობად ¹,
თვით ამისთანა სულ-დგმული არსით არ მოიძეობად,
და არ თუ ნათობდეს ² ქვეყანად ზეცადაც ³ კმარის მზეობად ⁴“.

84*. ზილიხან სიხარულითა, ვითა უცნობო ⁵, რეტობდა,
სიზმარში მისგან ნახულსა არც აკლდა, არცა მეტობდა,
სულსა და გულსა ცნობითურთ მისთვის უხვობით ⁶ მეტობდა,
და იოსებ სირცხვილისაგან, ვით ია, თავსა მდრეკობდა.

85. მეფე იოსებს ზილიხანს გაუდედებდა, უდებდა,
მაგრამ მას მზესა მის ყმისა სურვილი ცეცხლსა უდებდა,
ნახვისა ⁷ სიხარულითა თავსა იმედსა უდებდა,
და გული ლახვრითა ⁸ დაჭრასა შავთა წამწამთა უდებდა.

86. მე ვით ვთქვა ⁹ სულთქმა, პატიჟი ¹⁰ მის პირ-მზე, ალვა რგულისა!
იტყოდა: – „რა ვქნა, რა ვირგო მისთვის გაწირვად სულისა ¹¹?
ჩემმა უნებლად ¹² გასვლამა თუ მეფე გააგულისა“?
და გულსა ემდურვის: – „რად შექმენ ჯელმწიფე ¹³ ყულად ყულისა“?

5**. ზილიხანისაგან გამდლის გაგზავნა იოსებთან***.

87. პირველ ვახსენეთ ¹⁴ გამდელი: ჭკვა ჰქონდა, მისგან ზრდილობა,
ბრძენი, ტურფა და უკლები ¹⁵, მას აჩნდა ¹⁶ გვარიშვილობა,
ღონე ვერ ჰპოვა მის მეტი, მისი ქმნა განდობილობა:
და „ – ეგების მიხსნას სიკვდილსა, შემაშროს თვალთა მილობა“!

1) B, M, O – : ზილიხა ეტყვის; E – : ჩვენთვის კმა იგი სალხინოდ და ძეობად.

2) B – : არ თუ ნათობდა.

3) B, O – : ზეცასაც; E, F, L – : ზეცადცა; M – : ზე ცასაც.

4) M და O ხელნაწერებში ეს ხანა „ობად“ რითმაზეა აგებული.

5) M, O – : უცნობოთ.

6) M, O – : საკვდავად.

7) B, M, O – : ნახვითა.

8) M, O – : ლახვართა.

9) M, N – : ვჰსთქვა; აქა-იქ კიდევ – : ვსთქვა.

10) M, O – : პატიჟთა.

11) ასეა მხოლოდ E-ში; სხვაგან : რა მერგო მისთვის ჰაწირვა სულისა; არის კიდევ – :
არ მერგო მისთვის გაწირვა სულისა (A, C, D).

12) M, O – : ჩემად უნებლად.

13) M, O – : ჯელმწიფედ; D – : გულსა ემდურის – რად შექმენ მე ეს ჯელმწიფის ყულისა?

14) აქა-იქ – : პირველც ვახსენეთ; პირველ ვახსენეთ.

15) M, O – : უებრო.

16) B, M, O – : ჰქონდა.

*) ეს ხანა B ხელნაწერში გამოტოვებულია. მე-83-ს უშუალოდ მოსდევს მე-85.

**) აქედან მოყოლებული B ხელნაწერი პოემას უკვე აღარ ჰყოფს თავებად.

***) კარის სათაური ერთ-ერთი ტიპიურთაგანია; წარმოვადგენთ აქვე ორ სხვა ვარიანტს:

ზილიხანსაგან იოსების მიჯნურობა და გამდლის გაგზავნა (E); ზილიხანსაგან იოსებთან გამდლის
გაგზავნა და პასუხის შეთვლა (M, O).

88. მარტო იჯმო საამბობლად ¹, ტირის, ცრემლთა ² იგუბესა,
ეკონებოდა ძუძუსა, პირი ჩაუდვა უბესა,

ვით მარგალიტი ობოლი, შიგან სადაფთა ბუდესა ³,
და ეტყოდა: – „რად ⁴ არ გეწყვალვი – სურვილთა გამაცუდესა“!

89. დიაცი გაკრთა, რა ნახა ეგრე საბრალოდ მქენელი,
ეტყოდა: – „მზეო, რა მოხდა აწ შენი მოსაწყენელი?
ჩემი სული და სიცოცხლე შენ ხარ, გულისა მლხენელი,
და თავი არა მშურს საკვდავად, მიბრძანე – ვიყო მსმენელი ⁵“.
90. ქალი ეტყოდა გამზრდელსა ⁶: – „უტკბო ხარ ჩემთვის დედისა,
დავკარგე ჭკუა, გონება, ენა მით დამეყბედისა.
ვის უთხრა ⁷ ჭირი უშენოს, სხვა ვინმცა მეიმედისა?
და რადგან მშვეს, რასთვის გამზარდეს ⁸ მე უბედოსა ბედისა“?
91. „გახსოვს ⁹: სიზმარში ნარინჯი მამცა ¹⁰ ვარდისა კონამა ¹¹?
მუნით ვტირ ¹², ბალი ვარდისა ცრემლისა ღვარმა მონამა,
აქ მოიყვანა ვაჭარმან, ოქროზე მოგვიწონამა,
და გული წამართვა უფასოდ ჩემგან ნასყიდმან მონამა“.
92. „მისმან სურვილმან საკმილი მომიდვა, რა ვქნა ¹³ დებულმან?
ვაა თუ გაგაწყროს ¹⁴ სიტყვამან, ჩემგან ცუდ მიდ-მოდეებულმან!
ტყვემან უშვებლად გამოხსნად, აწ შენგან იმედებულმან ¹⁵,
და სხვად ¹⁶ უღონომან საქმისა, მის კალთას მოკიდებულმან“.
93. „შენ გაგიზრდივარ, არ ვიცი არ დედა, არცა მშობელი,
აწ გამომტაცე სიკვდილსა მე სიცოცხლისა მთმობელი,
ნახე ¹⁷ იგი ყმა, შენ იყავ ჩემთა პატიჟთა მცნობელი ¹⁸,
და ვარდსა დაზრულსა მოასწარ ¹⁹ მზის შუქი დასათბობელი“.

1) ასეა მხოლოდ M და O-ში; A, B, D, F, G, H, N – : მიიჯმო სამზობლად; C – : მოიჯ-
მობს, უანზობს; E, L – : მიიჯმო საბრალოდ; N – : სანზობლად.

2) ასე არ არის არც ერთ ხელნაწერში, მაგრამ ჩვენ ასე ვარჩიეთ, რომ დაგვეცვა მომ-
დევნო სტრიქონის რითმა; ხელნაწერებში ვკითხულობთ – : ცრემლსა იგუბებსა.

3) M და O-ში – : ბუდებსა.

4) აქა-იქ – : რათ.

5) L და P ხელნაწერებში ეს ხანა აწყობილია „ები“-რითმაზე.

6) აქა-იქ – : გამდელსა.

7) E – : უთხრნე.

8) M, O – : გამზარდე.

9) E – : გახსონს; B, O, P – : გახსომს.

10) აქა-იქ – : მამცა.

11) A, B, P, L – : კონამან (მთელი ხანა „ამან“ რითმაზე).

12) აქა-იქ – : ვსტირ; M – : ვჰსტირ.

13) M, O – : ამადა.

14) C – : გაგარისხოს; A – : გაგასწროს; P – : გაგწესოს.

15) M, O – : ამადა.

16) აქა-იქ – : სხვა.

17) E – : ნახენ.

18) B – : მზობელი; M, O – : მშობელი.

19) M, O – : მოასწრობს.

94. რა ესმა მისგან გამზრდელსა, ეცა წყენისა ამაღე,

შეატყო, არას არგებდა მას შეგონების წამალე,
უთხრა: – „არა სჯობს დაჩენა ¹, აწ მიჯნურობა წამალე,
და ფიცხლადვე ² მალე შეგყარნე ორნი მნათობნი ³, ა, მალე“.

95. „აქანამდის შენი მჭვრეტი იხარებდა, არ ახევდა,
რა ვიცოდი შენსა გულსა, თუ სურვილის დანა ხევდა ⁴?
რა გაგზარდე, მას უკანით ედემს ალვა არ ახევდა“!
და ფიცხლავ ადგა სასაუბროდ, აწ იოსებს დანახევდა.

96. გამოვიდა მარტო დაჯდა, ხადუმს გზავნის ფიცხლად, მალე,
– „აწ მომგვარე მე იოსებ, სხვათა კაცთა დაუმალე“.
მივა, ეტყვის: – „შინ ⁵ გიწმობენ, მათად ნახვად გაეკრძალე“.
და მან თქვა ⁶ – : „მათდა ⁷ სამსახურად თავი რამცა შევიწყალე ⁸“!

97. გვერდს ⁹ დაისვა, მოეხვია ვითა ტკბილი დედა შვილსა,
გულსა შიგან მიაგზავსა ¹⁰ მათ მნათობთა სხვათა ¹¹ შვილსა,
გაეკვირვა იგ დიაცი მთვარის პირზედ შავსა მშვიდსა
და ტკბილად რასმე ეუბნების მას სიტყვასა დასამშვიდსა.

98. ეტყოდა ¹²: – „შვილო იოსებ, სიტყვა მაქვს შენთან ¹³ მბობისა,
მან გამომგზავნა, რომელმან ¹⁴ ვერ მზეა მისადნობისა,
ცეცხლი სწავს მუდამ შენისა შევნება, ასაკობისა,
და რამცაღა სხვა უკეთესი აწ შენთვის მისგან ჳმობისა ¹⁵“?

99. მან ნარინჯი ჳელთა მისცა მისგან სიზმრად მინაცემი.
– „მოაშორვე სიშორესა დანა გულსა მინაცემი,
ძე არა ჳყავს მას მნათობსა მეფესთანა მინაცემი,
და წყლულსა შენგან სამთელეზლად ფილთა მართებს მინაცემი“ ¹⁶.

¹) E – : შეტყობა.

²) A, F, G, H – : ფიცხლადო; N, P – : ფისხლად და მალე; B, M, O – : ვეცადო ადრე შეგყარო.

³) ყველგან ასეა გარდა E-სი, სადაც ვკითხულობთ – : მიჯნურნი.

⁴) M და O-ში ეს სტრიქონი მესამედ არის მოთავსებული. M – : რა იცოდი, შენსა გულსა თუ სურვილით დანა ხევდა.

⁵) აქა-იქ – : შენ.

⁶) M – : ჳსთქვა.

⁷) აქა-იქ – : მათად.

⁸) B – : იოსებ თქვა: სამსახურად თავი რადმცა შევიწყალე.

⁹) E – : გვერთ.

¹⁰) A – : მიაგზავსა.

¹¹) E – : დასსა.

¹²) M – : იტყოდა.

¹³) აქა-იქ – : შენთვის.

¹⁴) M, O – : რომელი.

¹⁵) E – : რამცაღა გითხრა უმჯობე სხვა შენთვის მე სათნობისა.

¹⁶) B – : შენგან წყლულსა საკურნებლად წამალ გმართებს მისაცემი; C – : წყლულსა შენგან სამთელეზლად სხვა რამ მართებს მინაცემი; E – : წყლულთა შენგან საკურნებლად ფილთა გმართებს; M, O – : შენგან წყლულსა სამთელეზლად ფილთა გმართებს P – : ვითა მართებს მინაცემი.

100. „ვფიცავ: ღმერთსა შეუქმნიხარ შენ მისთვის ¹ და იგი შენდა,

ვხედავთ ², რომე უმკვიდროთ ჩანს, მისი თესლი გარდაშენდა, გიშრის ტევრი, ბროლ-ლალ ³-მინა თურე შენთვის მოუშენდა, და ოდეს განახა, მით აქამდის ცრემლთა წვიმა მოუფენდა“.

101. იოსებს ესმა ⁴, მოედვა ცეცხლი⁵, სირცხვილთა ალები, თავი დადრიკა ⁶ საჭერეტლად ზე ვეღარ ახვნა ⁷ თვალეზი, უთხრა, თუ ⁸: – „მაგას სად ვღირსვარ მე უცხოდ მონაყვანეზი? და ვით უყო მასგან ნასყიდმან, ძედ ვჰყევარ შენაწყნარეზი!“

6. იოსებისგან ზილიხანის დაურჩება და ღვთის სიყვარული იოსებისა. *

102. შეუთვალა: – „შენმან შუქმან სხივნი მზისა დააბუნდა ⁹, ბაგემ მოწი, ღაწვმან ვარდი, იაგუნდი გააცუდა, სამოთხე და უკვდავება უშმაგოსა ვისმც ¹⁰ არ უნდა, და მაგრამ რა ვქნა ¹¹ – ზეცას ღმერთი, ქვეყნად მეფე ვით ¹² მომდურდა ¹³!“
103. „ტყვე ¹⁴ მიყიდა კელმწიფემან, სხვაგან არსად გამაბარა, გახსოვს ¹⁵, მზეო, თავი ჩემი, როგორ შვილად მოგაბარა? მე მომკვლენ და ყოვლი სული შენ დაგემობს და დაგაბარა, და სჯულიც ¹⁶ სხვა გაქვს, იგ არა გწამს, ვინცა შექმნა მთა და ბარა ¹⁷“.
104. „სხვა მიბრძანე სამსახური – ყული ვარ და ერთი მონა, ვერ უარ-ვყოფ, მას ¹⁸ რა უთხრა, ვინც ოქოოზედ მომიწონა? აწ დამალეთ ესე სიტყვა, სხვამან ნურვინ ¹⁹ გაიგონა“.
- და მას ეწყინა შეთვლილობა, გამზრდელს არად მოეწონა ²⁰.

1) E – : მისდა.

2) აქა-იქ – : ხედავ.

3) E – : ვარდ.

4) A – : იოსებს რა ესმა; (სტრიქონში ზედმეტი მარცვალა).

5) D, G – : ცეცხლის.

6) A, D, G, H, N, P – : დადრიკა; F – : დასდრიკა; M, O – : დაჰკიდა.

7) B, M, O – : ზე ვეღარ ახვნა; P – : ვერ ახედნა.

8) B, M, O – : უთხრა: მე მაგას.

9) O – : დააბინდა; P – : დააბნელა.

10) B, M, O – : ვის.

11) C – : რა ვყო.

12) C, D – : მეფეთ ვინ; M, O – : მეფე თვით.

13) B ხელნაწერში პირველი სტრიქონი „და“-ზე დაბოლოებული, სხვა სტრიქონები კი – „ეს“-ზე.

14) M, O – : ტყვედ.

15) B, O, P – : გახსომს; E – : გახსოვნს.

16) C, D, F, G, N – : სული; E – : რჯული.

17) E – : რჯულიც სხვა გვაქვს, იგი არა გწამს.

18) A, B, C, D, F, G, H, L, M, N, P – : ღმერთს, მოტანილი რედაქცია დაცულია მხოლოდ E-ში.

19) აქა-იქ – : ნუმცა, ნუცა.

20) M, O – : უწყინა და შეთვლილობა.

*) ასე უმეტეს შემთხვევაში; A, N – : იოსებისაგან ზილიხას დაურჩება და პასუხის შეთვლა (N) და ნახეთ ღვთის სიყვარული იოსებისა (A).

105. გამზრდელმან ¹ უთხრა: – „არ ვიცი მე, ყმაო, ცუდი ფერობა, კარზედ მოგადგა – გააგდე ბედი და ბედნიერება. რად არ მოკრიფე სურნელი ², ყვავილთა მრავალ-ფერობა, და ვეჭვ, დაინანო შენ ჩემთა სიტყვათა დაუჯერობა“.
106. „სად ღირს-იყავ – მზემან შუქი ეგრე მუქთად ³ მოგაყენა? ვერ შეიტყვე ბედმან შენმან თუ რა საქმეს წაგაყენა, თუ არ შმაგი – ვარდის ბალსა შესვლად ⁴ რამან დაგაყენა?“ და ეს უთხრა და წამოვიდა, ჯავრმან ფიცხლავ ააყენა ⁵.
107. მივიდა და დაღრეჯილი ⁶ ნახა იგი პირ-მზე ქალი, რა უამბო შეთვლილობა, იგ ატირდა ბროლ-ფიქალი, გარდმოსთოვა გულ-მდუღარეთ – ნახეთ ⁷ ვარდი ფერ-გამქრალი! და გამზრდელმან თქვა: – „შენსა მჭვრეტსა დამწვავს ცევხლთა მე აქ ალი“.
- 108*. რა გამზრდელმან ⁸ იგი ნახა ეგრე საწყლად ანატირი, უთხრა: – „მზეო, შენმან ბრალმან გამიმრავლა გულსა ჭირი, ან შეგყარნე ორნივ ერთად, ან ლახვრითა გავიგმირი ⁹, და ყულია და ჩვენს კელთ არის, რა საქმეა ¹⁰ გასაჭირი?“

7. მისრ-ეგვიპტის მეცნიერთა მეკერპობა **.

109. აწ ამბავი სხვა დავიწყოთ¹¹, ენამ რამცა მოისვენა, კელით ქმნილნი ეგვიპტისა სამლთომ წიგნმან მოგვახსენა: მისრეთს ღმერთი არ იცოდენ, ყველას კერპი დაესვენა, და ეშმაკთ ზორვა მას ქალაქსა სასიკვდინედ დაესენა.
- 110.*** ეშმაკი ჰყავთ მათ თვის ღმერთად ¹², შემოქმედი დაეტევა, ერთს ალაგსა ესე ცოდვა, მიკვირს, როგორ დაეტევა? სულ-გრძელეზდა იგ მოწყალე ცოდვა ზედ ¹³ არ მიეტევა, და მოელოდა მოქცევასა, უნდა თუმცა მიეტევა.

1) აქა-იქ – : გამზრდელმა, გამდელმან, გამდელმა.

2) აქა-იქ – : სუნნელი, სულნელი.

3) M, O – : მუვთად.

4) აქა-იქ – : შსვლა.

5) აქა-იქ – : ფიცხლად (A, D), ფიცხლა (F).

6) E – : რა მივიდა, დაღრეჯილი.

7) ზოგ ხელნაწერებში ვკითხულობთ – : ვნახეთ. ვნახენ...

8) B, M, O – : რა გაზრდილი.

9) ასეა მხოლოდ E-ში; სხვაგან – : ლახვარი გავიგმირო; ან – : გავაგმირი.

10) E – : საქმე გვიც.

11) აქა-იქ – : დავიწყო.

12) A – : ეშმაკი მათთვის ღვთად არის.

13) M, O – : რისხვა მაზედ.

*) A, C, D, F, G, H, L, N, P ხელნაწერებში ეს ხანა მოთავსებულია შემდეგი კარის და-საწყისში.

**) A – : ანბავი მის ეგვიპტისა; მეცნიერნი იყვეს და კერპობა იგონეს და ზვარაკთა ხოცვა; E – : ამბავი მისრ-ეგვიპტისა; მეცნიერნი იყვნენ და მეკერპობა მოიგონეს; M, O – : ჰამბავი ეგვიპტისა; მეცნიერნი იყვნენ, მაგრამ მეკერპეობა ავი ჰქმნეს და სხვ.

***) B ხელნაწერის გადამწერს გამოჰპარვია ,ე-110, 111, 112, 113, 114, 115, 116 და 117-ე ხანები.

111. ერთ დღე ჰქონდათ სასწაულად ¹ პასეჟი თუ ან კარვობა ², დიდად ეპყრათ, ვითა სპარსთა, ბაირამი, ნავროზობა, პირველ ზორვა ბომონშიგან., მერმე ლხინი, დარბაზობა, და მათთა ³ სულთა დასაწვავად მათგან ⁴ ცეცხლთა დანაგზობა.
112. ეშმაკთ ეთქვა მათთვის ის დღე, ოდეს ⁵ ღმერთმან გარდმოყარა, ამ სიტყვითა ⁶ სულნი მათნი ჯოჯობხეთში ჩაეყარა ⁷, ქვეყანისა ჩვენგან პყრობა ⁸ მას დღეს უკან დაემყარა, და არ იყვნენ კარგსა ჰკუაზედ – თავს ვაგლახი დაეყარა ⁹.
113. რა გათენდა იგი დილა, სრულ ქალაქი საოცრობდეს, იძახოდეს მუნ ეტიკნი, ყოვლი სული გამორბოდეს, მათ დროშები გაუშალეს ¹⁰, ქოსსა სცემდეს, ბუკი ჰქმობდეს ¹¹, და ჯელთა ჰყვანდათ ¹² ზვარაკები, ზოგნი შვილსა დაუკვლიდეს.
114. ზილიხანცა მიუვიდოდა, სჯობდა ალვა მოარულსა ¹³, არას ჰგვანდა მიწიერსა, ჰგვანდა ზეცით ჩამოსულსა ¹⁴, ნახვის ფასად ¹⁵ დაუფენდეს ფეანდაზად ¹⁶ მათსა სულსა, და დაავიწყდათ სალოცავი, ბუთსა სჰვრეტდეს მოკაზმულსა ¹⁷.
115. შეიბლანეს ნაგებთაგან ¹⁸, საკმეველი გუნდრუკობდა ¹⁹, აღუსრულეს მსხვერპლი ბილწი, მღუდელი ყველა ²⁰ ცუნდრუკობდა ²¹, მეფე დაჯდა სანადიროდ, სერი უცხოდ სანუკვრობდა. და ბულბული და იადონი ვარდსა ზედა მუტრიბობდა.

¹) E – : სასწავლო.

²) M, O – : პასეჟი ვჰსთქვა ან კარობა.

³) E – : თვისთა.15

⁴) M, O – : მართებს.

⁵) აქა-იქ – : ოდეს.

⁶) E – : ამ საქმითა.

⁷) M და O ხელნაწერებში ეს სტრიქონი მესამედაა მოქცეული.

⁸) M, O – : ჩვენგანით პყრობა.

⁹) ეს სტრიქონი მეტად არეულია ხელნაწერებში, მაგ.: A – : რა კარგს ჰკვავე იყვნენ, თავს ვაგლახიმც დაეყარა; C – : რა კარგს ჰკუას იგი იყვნენ, თავზედ ვაი...; E – : რა კარგს ჰკვავე დამდგარიყვნენ...; M, O – : კარგსა ჰკვასა იგი იყვნეს... და სხვ.

¹⁰) აქა-იქ – : დაუშალეს; გაეშალა.

¹¹) M, O – : ბუკს ყვიროდეს.

¹²) M, O-შია მხოლოდ ასე; სხვაგან – : ჰქონდათ.

¹³) M, O – : ჰგვანდა ზეცით ჩამოსულსა.

¹⁴) M, O – : ჰგვანდა ალვა მოარულსა; G – : შთამოსულსა.

¹⁵) C, D – : ნახეს ფერჯთა; A, F, G, L, N – : ნახეს, ფასად; P – : ნახეს, ფიცხლად.

¹⁶) აქა-იქ – : ფეანდაზად, ფიანდაზად, ფეინდაზად.

¹⁷) M, O – : შეკაზმულსა.

¹⁸) A, F, L, P – : ნაგებთაგან; M – : ნაგვემთაგან; O – : ნაგემთაგან.

¹⁹) E – : ბუნდრუკობდა.

²⁰) M, O – : კერპთა.

²¹) E-ში ხანა იწყება ასე – : აღუსრულეს...; მას მოსდევს – : შეიბლანეს...

116. ძღვენი უძღვენეს, ეგზომ ტურფა არ მისვლისა კეისარსა
ზილიხანცა უკმობრუნდა, მისი მჭვრეტი ¹ მოისარსა,
მოჰყვებოდა ჯარი ტურფა, მნათობთ შუა მზე ის არსა ²,
და ვით დაუდგამს მჭვრეტთა გული წარბ წამწამთა მოისარსა!

8. მეჯლისი და ლხინი მისრეთის კელმწიფისა.

- 117 *. მის ლხინისა მაქებარი ენა დაშვრა, დავარდების,
მგოსანთა და მოშაითთა ³ მღერით ჳმანი ჩავარდების,
მოედანსა თამაშობდეს, ბურთი ცაში ⁴ ავარდების,
და ბალსა შიგან ⁵ ბანოვანნი ვარდსა თანა გავარდების ⁶.
118. ჩადრ-კარავთა მორთულობა ან მეჯლისი ⁷ ვით იმბობის!
ვჰფიცავ, რომე სამოთხისა უტურფესად შეიმკობის,
ჩანგ-სეთაი, უდ-ქამანჩა ⁸, მულნი ⁹ ყანუმს ¹⁰ შეეკმობის
და ვეჭობ ¹¹, რომე იგ არ მოკვდეს, ვისც ამ ლხინსა შეესწრების!
119. დიდებულნი მუნ სრულ იყვეს, გარ არ უნდა მოძებანი,
ვინ აღრაცხოს მათი ძღვენი ¹², ან მეფისა ბოძებანი,
ვინ ბრძენმა ქმნას ჯამ-ჭურჭელთა, მეძნელების, ფასებანი ¹³!
და ზურმუხტისა დოსტაქანსა ჰშვენის წითლად ავსებანი!
120. ერთს კვირამდის არ გათავდა იგი უცხო მაემნობა ¹⁴,
ტაბაკ-სუფრა აუღებლად, კარგ უსულად გარეგნობა,
ბედაურთა ცხენთა დგენა, დილას გასვლა, მოედნობა.
და აწ მრქვა შინათ არმის ლხინი, გავათავე გარეგნობა.

¹) M, O – : მყოფი.

²) A – : მნათობთ შუაზე ის არსა.

^{*}) ეს ხანა მიკუთვნილია წინა კარისათვის შემდეგ ხელნაწერებში: A, C, D, F, G, H, L, N, P.

³) A, M, O – : მოშაირთა; C, G, H, L, N – : მუშაითთა; D – : მუშაირთა; F – : მუშთაით;

P – : მოშიშთა. (sicl).

⁴) E – : ცამდი.

⁵) აქა-იქ – : შინა.

⁶) M – : დავარდების; O – : და ვარდების; აქა-იქ – : გავარდების.

⁷) B, E, F, N, O, P – : მეჯლიში; C, D, G, L – : მაჯლიში; H – : მაჯლისი.

⁸) A, P – : ჩანგ, საათი, უდ, ქამანჩა. B – : უნდ; C – : ჩანგ-სათი მრავალგვარი; D – : სე-
თაი, უდ-ქამანჩა; F – : ჩანგ-სათი, უდ-ქამანჩა; H – : ჩან-სათაი, უდ-ქამანჩა; L – : ჩანგ-სათი და
უდ-ქამანჩა; M, O – : ჩანგ-სათაი, უდგ ქამანჩა.

⁹) L – : ბულნი.

¹⁰) A, B, L – : ყანუნს; E – : ყანოს; P – : ფანვეს.

¹¹) M, O – : დავიფიცავ.

¹²) E – : ლხინი.

¹³) E – : ვინ ბრძენმან ქნას მათ ტურფათა ჯამ-ჭურჭელთა შეფასება.

¹⁴) აქა-იქ – : მეემნობა.

121. ვერ დააკლდის ზილიხანსა მას დღე ჯარი ბანოვანთა,
მიართვიან ძღვენი ტურფა, ვით ვთქვა რიცხვი საჩუქართა!
მთვარე არის ¹ მასპინძელი, მათ მნათობთა არ უართა.
და ვერ შევიდეს გარე-კაცნი, თქვეს ² ხადუმთა: – „გარ უართა“.

122. ბაღსა შიგან ლხინად მსხდომთა სუფრა წინა გაეშალა,
რა მიადგა შუქი მზისა, ვარდი სრულად გაეშალა,
ყელსა ბროლსა ყორნის ბოლო მრავალ კეცად გაეშალა,
და მე ვით სრულვეყო ³ ქება მათი – ბრძენთა ჭკა აეშალა!
123. მათ მნათობთა სიტურფემან დააშვენა ბალი, ბაღა ⁴,
უჯობდა, თუ მათ ყვავილთა მათი ფერი გარდენაღა ⁵,
მათხედ შეკრბა სრულ ბულბულნი, ვარდს მიჯნური აღარ შერჩა,
და ვინცა იგი ეგრე შექმნა, ოსტატსამცა კელი შერჩა!
124. მან ხათუნნი ⁶ წაიტანა ⁶ გეშტ ⁸ სასერნოდ წაეყარა,
ნახა ძეწნად ⁹ გარდაიქცა, ალვა მოდრკა, წაეყარა,
სადაც გავლო, გასურნელდა, მუშკ-ამზარი წაეყარა,
და მუტრიბთა და მომღერალთა ლხინზედ კელი წაეყარა.
125. სახლი იდგა ბაღსა შუა ¹⁰, ტურფად რამე ანაგები,
ოქროს მელნით დაწერილი, ქვეშე სტავრა დანაგები,
სანოვაგე მრავალფერი, ლალის თეფშზედ დანაგები,
და მისთა მჭვრეტთა გული გახდეს ¹¹ ლახვარზედა დანაგები.
126. იგ ლხინი და მის მზის ქება დაკლებით ვთქვა – ნუ გიკვირდეს,
დიონოს ¹² და სოკრატ ¹³, პლატონ ნახონ, სამნივ, ვეჭვ, განცვიფრდეს ¹⁴!
ძოწთა შუა მარგალიტი ტურფად რადმე ¹⁵ გამოსჭვირდეს,
და გაურეტდეს მჭვრეტთა თვალნი, სხივთა ნახვა გაუჭირდეს ¹⁶.

1) A, C, D, E, G, H, N, P – : მთვარე იტყვის; F – : იყოს; L – : იყვის.

2) E – : თვარ.

3) M – : ვჰსთქვა; O – : ულთქმა.

4) აქა-იქ – : ბახჩა.

5) აქა-იქ – : ვარდენახჩა; L – : გადელნაჩა.

6) არის – : ხადუმნი, ხათუმნი.

7) აქა-იქ – : აიტანა.

8) E – : გესტ.

9) M, O – : ძოწად; B – : ძეწად; A – : ძოწნად.

10) ეს ნახა E ხელნაწერის გადამწერს გამორჩენია.

11) აქა-იქ – : შინა.

12) M – : გასდის; P – : გარდა.

13) A, H – : დივანოს; P – : დიონოზ.

14) უმეტეს შემთხვევაში – : სოგრატ.

15) E – : პლატონ ვნახო სამნივ განაცვიფრდეს; O, M – : გაკვირდეს; B – : ვეჭვობ, განცა-
კვირდეს.

16) აქა-იქ – : რამე.

17) M, O – : სხივთა ნაცვლად გაუკვირდეს; B – : სხივთა განცდა გაუჭირდეს.

127. მას ჰშვენოდეს სამკაული ¹, თვალ-გოვარი ² დალალურად ³,
ვეცხლს ⁴ უგვანდა ყურის ძირნი ⁵, ზედ გიშრის თმა ⁶ დალალურად,
ვინც იახლნეს, ყველა ტურფა, მაგრამ მასთან დალალურად,
და ქალნი ჰკვრენ და მღერით ჟღერენ, იგ არ უტყვად დალალურად.

128. დახალვათდეს დარჩეულნი, სხვანი კარში გამოყარენ,

მათ სიცილი უხდებოდათ – ჰგავს თუ, ვარდი გარდმოყარეს.
ზოგნი ჰკვრენ და ზოგნი შუშპრობს, თავს შაბაში გარდაყარეს,
და თუ ნახვიდეს ⁷ მათთვის ხელნი, თავნი კლდესმცა გარდაყარეს.

129. ერთმან ვინმე სამიჯნურო ლექსი ჩანგზედ დაამღერა,
მას შეხედა ⁸ მზეთა-მზემან, თვალნი მაზედ შეამზერა,
იგ ატირდა, მელნის ტბითა ცრემლს გაუხდა ვარდზე ჩქერა,
და მოეგონა მისი ჭირი, გულსა დანა დაეძგერა.
- 130 *. სრულ იცოდეს: მას მთვარესა ⁹ მიჯნურობა სჭირდა სენად,
უმძიმდათ და ვისმცა ექმნა მეფისათვის მოსახსენად?
უყვარდათ და მისი ჰკრეტა ყველას სწადდა მოსალხენად ¹⁰,
და იგი ნასკვი ეშმაკისა მათ ეწადათ გასახსნელად.
131. მოახსენეს: – „რად სტირ, მზეო, ვით ხარ მწარედ დანაკვესად?
ვხედავთ, რომე ცეცხლი რამე ¹¹ მოგდებია დანაკვესად,
ჩვენ გვასმია – სურვილი გჭირს გულსა შიგან დანათესად.
და აწ გვაქვს სიტყვა თქვენს წინაშე ¹², ჩვენს ჰკუაში უკეთესად“.
132. „ჩვენიმც სული ¹³, მზეო, თქვენსა ფერტთა მტვერსა ენაცვალოს,
გვეშინიან, რომ ვთქვათ, შენი სიტკბო რისხვად შეგვეცვალოს,
თუ სურვილსა დაუჭირო, ვა თუ შენთვის არ გეცალოს!
და ბრალია, რომ შენ გძრახვიდენ, კარგ სახელი გაგეცალოს. ¹⁴“

¹) აქა-იქ – : სამკლავენი.

²) A, B, H – : თვალ-გუარი; C, D – : თვალნი გვარნი; E – : თვალთ-გოარი; F – : თვალი ლალი;
G – : თვალნი გუარი; L – : თვალ-იაგუნდი; N – : თვალი გუარი; P – : თვალი გვარი.

³) B – : დაღალულად; C, D – : დაღალურად; L – : დაღარულად; M, O – : დაღარულად.

⁴) ზოგან – : ვეცხლის, ვერცხლსა, ვეცხლსა.

⁵) M, O – : ყელის ძირი.

⁶) E – : ზედ გიშერი.

⁷) M, O – : ვინც ნახვიდა.

⁸) ზოგან – : მას შეხედნა.

⁹) M, O – : მნათობსა.

¹⁰) M, O – : მოსახსენად.

¹¹) E – : ცხელი.

¹²) E – : წინაშენ; ბევრგან – : თქვენსა წინა.

¹³) აქა-იქ – : ჩვენნი სულნი.

¹⁴) M, O – : რა ბრალია კარგ-სახენი შენ გძრახვიდეს, გაგეცალოს; B – : რა ბრალია კარგ-
სახელი შენ გარგევედენ, გაგეცალოს.

*) N-ში არ არის მე-130 და 131 ხანები.

133. „შენ შვილი ხარ ჴელმწიფეთა ¹, მერმე მისრეთს ტახტსა მჯდომი,
მეფეს სულსა ურჩევნიხარ, დიდება გჭირს თუ რა ზომი!
რამცა იყოს აწ ნასყიდი მონა შენგან მონანდომი ²?“
და შეაწუხეს იგი მთვარე, დიაცთ უყვეს სიტყვით ომი.
- 134*. – „შენთა შუქთა ³ შესადარი, არ ვეჭვ, მზეს რომ მოეფინოს,
რა ბრალია საზრახავად შენი საქმე გაეფონოს?
არ ცოცხალ ვართ ⁴ მას უკანით, რა ეს სიტყვა მოგვესმინოს,

და შენთვის გკადრებთ, თავმან შენმან, გვჭირსო, რომე არ გეწყინოს“.

135. ქალმან სულთქნა: – „ცრემლი ვნახე სისხლთა რევით, ვითა წყალი“, მათ პასუხი შეუბრუნა ტკბილი რამა, არ გამწყრალი, თქვა: – „ნახულა სხვა მიჯნური, მაგრამ ჩემებრ არ საწყალი, და იგ რა ნახოთ ⁵, – «მისთვის ხელ-ქმნა» – თქვათ: «არ არის დასაბრალო».
136. „კარგი გინდათ ⁶, თქვენ ხართ ჩემთვის დედის ალაგს, ზოგნი დები, ბედმან კრულმან საქმე მიყო საყვედურად დასადები, მაგრამ რა ვქნა უბედურმან, მამეკიდა ცეცხლთა დები, და უგულოსა სიბრძნით ქცევა უხამსია მოსადები ⁷“.
137. „მოვიყვანო იგი მოყმე ჩემსა წინა სამსახურად, თქვენცა ნახეთ, ვინ შემიქნა გული ჭირთა ⁸ დასადგმურად, ბაგე წითლად ვით ⁹ შეჰქმნია, ჩემთა სისხლთა არის სმურად ¹⁰, და ლამის მომკლას, გამიყვანოს სოფლისაგან მე უჟმურად“.
138. ბრძანა: – „უჭმეთ, დაპატიჟეთ, წადით, უთხართ მალვით ყურსა, მას მნათობთა ჯელმწიფესა ¹¹, მაგრამ ახლა მონა-ყულსა, მოვიდეს და მოუღბინოს გულსა მისგან მონაყულსა ¹², და აწ მსახუროს ხელსა, მისგან დაჭირულს და დასპყრულსა“ ¹³.

1) M, O – : ჯელმწიფისა.

2) მრავალგან – : მოსანდომი.

*) E ხელნაწერში გადამწერს გამორჩენია მე-134, 135, 136 და 137 ხანები.

3) ალაგ-ალაგ – : შენი შუქთა; შენსა შუქთა.

4) უმეტესობაში – : არ ვცოცხალვართ.

5) M, O – : იგ არ ნახოთ.

6) M, O – : გითხრა.

7) A – : გულსა სიბრძნით ქცევა უნდა, უხამსია მოსადები; B – : უხმარია მოსადები; C – : უგვანია მოსადები.

8) M, O – : წყლულთა.

9) აქა-იქ – : მათ; ვის.

10) A – : მსურად; ბევრგან : მსმურად.

11) M, O – : მას მნათობსა ჯელმწიფესა.

12) L – : ტრფობით ხელსა.

13) A – : დაჭირული, დანაყულსა; M, O – : დაჭირულსა; აქა-იქ – : დაჭირულად დანაყულსა.

139. ჯელთ ეჭირა ტაშტ-წუმწუმა ¹, იოსებცა შემოვიდა, იგ რა ნახეს მუნა მყოფთა ², ყველას ერთობ გაუკვირდა, გარ-მორტყმოდა მინა, ვარდი, არღავანსა მოზღლუდვიდა, და სრულ გაშმაგდეს ხათუნები ³, მათ ნამუსი წაუვიდა.
140. მორცხვად იდგა თავ-მოდრეკით, წარბი ქუფრად ⁴ შეეყარა, ღმერთსა სიბრძნე, ჯელოვნება მისად შექმნად შეეყარა, ჰგავს, თუ ყოვლი შვენებანი ჯელით ვისმე შეეყარა, და მისსა ეშყსა ⁵ იგ დიაცნი დაბნედილი მიეყარა ⁶.
- 141.* აიშალა ნადიმობა ⁷, ველარ ჭამდეს, ვერცა ჰსმიდეს,

ავზისაგან ვარდის წყალსა ერთმან-ერთსა გულს ასხმიდეს ⁸,
დანით ჯელნი დაუკოდნეს ⁹ – ეგონათ ¹⁰, ხილსა სჭრიდეს,
და მისთა მწველთა საქციელსა ¹¹ ზილიხანსაც გაუკვირდეს.

142. ფიცხლად ადგა ტახტისაგან, ბანოვანნი მოიკითხა,
უხაროდა, ნიშნს ¹² უგებდა, მათთვის სიტყვა გაუფიცხდა,
იგ რა ნახეს მოცინარი ¹³, მოწ-სადაფი მოიკითხა ¹⁴,
და უთხრა: – „ვეჭობ, ველარ დამგმობ“ ¹⁵, – ააყენა, გვერდს დაისხა ¹⁶.

143.** მათ შერცხვენდათ, საპასუხო ¹⁷ სიტყვა რამცა მოეგონა.
თქვეს: – „ასეთი ჯორციელი იქმნებისო, ვის ეგონა?“
თვით ქმნილ იყვნეს საექიმოდ, მისთვის რადამც მოეგონა?
და წამოვიდეს, მათ აჩუქეს ¹⁸ საბოძვარი ¹⁹, – ვინც აწონა!

1) აქა-იქ – წურწუმა.

2) E – ბანოვანთა.

3) აქა-იქ – ხადუმები.

4) M, O – ქუშად.

5) E – ეშხსა.

6) B – დაეყარა; M, O – შეეყარა.

7) B, M – აეშალა; O – აეშალა ნადირობა.

8) A – შეასხმიდეს.

9) B – ჯელით დაიკოდნეს; M, O – დანით ყელსა დაიკოდდეს.

10) E – ეგონეს; N – მათ ეგონათ.

11) აქა-იქ – მწველსა; B – მისი წვრთნა და საქციელი; M, O – მისთა წვრთათა
საქციელთა...

12) A, E, L, N – იშს; C, D, F, G, M, O – იშნს.

13) M, O – მოცინარნი.

14) M, O – მოიკითხა.

15) A – დაგთმობ; აქა-იქ – დამგმობ.

16) A – დაისვი.

17) აქა-იქ – საპასუხოდ; საპასუხე.

18) M, O – წამოვიდა, მათ აჩუქა.

19) ასეა B, E, N და P-ში; M, O – საქონელი; A, C, D, F, G, H, L – სამძიმარი.

*) ეს ხანა D-ში არ არის.

**) ყველა ხელნაწერებში – E, M, O-ს გარდა – ეს ხანა მოთავსებულია მეცხრე კარის
დასაწყისში.

9. ამბავი ბაზიყასი, მისი ხელობა და მისრეთს მისვლა.

144. არ დავაგდო ¹ მათი საქმე, რაც გულს მქონდეს წოდებული,
ვარიტორო ², რაც ძალ მედვას, ენა ბრგვნილად ³ კიდებული:
იამანთა ქვეყანასა იყო კაცი დიდებული,
და მორჭმული და მოვლენილი ⁴, ამირ აბდულ ⁵ წოდებული.

145. სიმდიდრით, ჭკუით და სიბრძნით განთქმული იყო მეტია,
თვალ-გოვარი ⁶, ოქრო-მყარი უამრავი ⁷ მას უყრია,
სოფლები და აგარაკი მისი ვისმცა დაუთვლია?
და ძე არ უვის ⁸, ასული ჰყავს, გულსა სევდა შემოჰყრია.

146. ტურფა იყო იგი ქალი, ვითა მთვარე, ალვა ტანად,

მისთა მჭვრეტთა სული მისცის ⁹ მასა თანა-წარსატანად,
ფერჯთ იდგმიდა გიშრის თმათა, სხვა არ უნდა ჩასატანად,
და უნდა მისდა საქებარად ¹⁰ ბრძენთა გული მისატანად.

147. ქალს უმახდეს ბაზიყასა, მას სახელად იგი სძეს-და,
მამა სჯერა, რამცა ექმნა, არ მისცემდა ღმერთი ძეს-და,
მას ზრდიდიან ¹¹ თაბარუქად ¹², მნათობთაგან უტურფესდა ¹³,
და უნდათ მისი შესაფერი, ეძებდიან ზედ-სიძეს-და ¹⁴!

148. ვერ ეშოვნათ მისი ბაბი, რომ ქორწილი მათ გაეგდო,
დაესახლა აგი პირ-მზე, მათი მორჭმა ჳელთ ჩაეგდო,
იგ უებრო ბროლ-ფიქალი ¹⁵ აგრე ცუდად ვერ გაეგდო,
და მათ სოფელი უპირობდა მისებრივი ხრიკი ეგდო.

1) აქა-იქ – : არ დავაგდოთ.

2) ყველგან, გარდა E-სა – : ვარ რიტორი.

3) A – : ბრგნულად.

4) M, O – : განგებული.

5) B – : ამირებულ; C – : ამირ აბულ.

6) აქა-იქ – : გოარი, გუარი, გვარი.

7) A – : უმარავა; B, M, O, P – : უმრავლესი; C, D, F, G, N – : უმარავი; L – : უძრავები.

8) ასეა მხოლოდ E-ში; სხვაგან – : ჳყავს.

9) ასეა მხოლოდ E-ში; B, M, O – : მისსა მჭვრეტთა სული სთხოვის...; სხვაგან – : მისთა მჭვრეტთა საყელონი სთხოვის თანა წარსატანად.

¹⁰) F – : მაქებარად.

¹¹) M – : მასა ჳზრდიან; O – : მასა სდიან.

¹²) A – : თათბირუქად; D, M – : თაბარუქად; L – : თამარუქად; P – : თამაბურად.

¹³) B – : მნათობთაგან უფრო ჳესდა; M, O – : უფროს ძესდა.

¹⁴) M, O – : ჳეცას ძესდა.

¹⁵) B, M, O – : ბროლ-ბალახში.

– 130 –

149. ვერ დაასწრეს; საწუთრომან ¹ გაგებული მოუშალა,
გარდიცვალნეს, ნივთებისა ² მოძრაობა მოიშალა,
ქალი ტირს და პირსა იხოვს ³, თმა გიშრისა აეშალა,
და ობლად დარჩა მარგალიტი, სადაფს პირი გაეშალა.

150*. იგი ქალი პირველადვე ბეზიასა ჳყვანდა ჳელთა,
არვინ დარჩა მისგან მეტი, ახლა უფრო მოიწელთა,
ვით ვთქვა მათი მწუხარება, ან მოდება ცეცხლთა ცხელთა,
და მათ დამარხეს საყვარელი, სისხლის ცრემლით უბე სველთა ⁴.

151. ბევრმან ვინმე მოინდომა იგ მნათობი შესართავად,
დაიწუნა ამად, რომე არ ჳფერობდა გვარად, თავად,
ბედი, გული, ტან-საცმელი ⁵ მას შეჳქმნოდა სამივ შავად,
და უჳულმართის ეტლისაგან მოლამოდა საქმე ავად.

152. იოსების საქმე ამბვად ⁶ იამანსაც მისრულიყო,
მისი ეგრე ⁷ უებრობა, თუ სიტურფით ვით სრულ იყო ⁸,
ვაჳრისაგან მიყვანილი ეგვიპტესაც მისრულიყო,
და შორიდალმე ⁹ ბაზიყაცა მისთვის ხელად მისრულიყო.

153. ბაზიყასა არ ასმოდა ზილიხანის მიჯნურობა,
იოსების დაურჩება, იგ უწყალოდ გულ-მაგრობა,
შავარდნისა ვით მართვემან მოინდომოს ¹⁰ ნავარდობა,
და ბუდიდალმე ¹¹ გაფრენილსა ბადეს მიჯვდეს ¹² ჩავარდნობა.

10. ბაზიყასაგან მისრეთს წასვლა.

154. თქვა: – „წავიდე მისრ-ეგვიპტეს, წავიტანო განძი ძველი,
ბებიაცა წამომყვების, ჩემი გამზრდელ-გამძიძველი.
გავაკვირნე ¹³, ოდეს მნახონ მათად მორჭმად მე მიმსვლელი,
და ფასი მივსცე სიცოცხლისა, ვიყო სულთა მომსყიდველი“.

1) M, O – : საწუთროსა.

2) M, O – : ნივთიებანი.

3) ბევრგან – : იგლეჯს.

4) ასე მხოლოდ E-ში; სხვაგან – : უბე, კალთა.

5) E – : სვე, ბედი და ტანსაცმელი.

6) არის – : ამაღ, ამზად და სხვა.

7) B, M, O – : ეგზომ.

8) B, M და O-ში სტრიქონები არეულია – ამ სტრიქონს იქ მესამე ადგილი უკავია, მის ადგილას კი ამოტანილია ნამდვილი მესამე; E – : თვით სრულ იყო.

9) A, C, D, G – : შორიდამა; B – : შორიდალმენ; P, L, H, N – : შორიდალმა.

10) E – : მოინდომა.

11) E – : ბუდიდალე; D – : ბუდიდალამე.

12) E – : მიკვდა.

13) B, M, O – : გავაკვირვო.

*) მეათე თავი A, C, D, F, G, H, L, N და P ხელნაწერებში ამ ხანით იწყება; E-ში მე-152-თი, ხოლო M და O-ში – მე-154-ეთი. ჩვენის აზრით უფრო მართებულად ეს ორი უკანასკნელი იქცევა, ვინაიდან ბაზიყას მისრეთს გამგზავრება ფაქტიურად ამ (მე-154) ხანიდან იწყება – (მეათე თავი შეიცავს ბაზიყას მისრეთში გამგზავრების მოთხრობას).

– 131 –

155. მცნობსა ვისმე მიაბარა მამული და სახლ-კარები,
ვით დატვირთეს ჯორ-აქლემნი, არ იკმარეს აზავრები,
ბედისაგან მომდურავი, სოფლისაგან ნაჯავრები,
და იოსების შესაყრელად მისრეთს მივა ნამგზავრები.
156. რა ცნეს, ფიცხლად მოახსენეს მათი მოსვლა ზილიხანსა:
– „ქალი ვინმე შემოვიდა ტურფა რამე, მეტად ხასა,
გავაკვირვა ¹ თვალად მნათმან ², ჩვენ გვეუბნა, გვეპირხასა –
და «საქმე მაქვსო გასაგები» – თქვა – «დავჰყოფო ცოტას ხანსა».
157. ვერ შეიტყო, თუ ვინ იყო, ვერცა გული მიატანა,
გამზდელს უთხრა: „მიეგებე ³“, თან ხადუმნი წაატანა,
ბრძანა: – „დაჰხვდეს სრულ ქალაქი ⁴“; ყველამ ძღვენი მიუტანა:
და რა მივიდა, უსალამა ⁵, იგ აუდგა სარო-ტანა.
158. ჯელს აკოცა მან დიაცმან, შორს დაუჯდა ყოფა-ქცევით.
– მოგიკითხეს ჯელმწიფეთა, სამსახურად მოველ თნევით“.
– „ვინ ხარ, ანუ სით მოსულხარ? – თუ გვიბრძანებთ, შეგვემცნევით,
და მონახული ⁶ უნახავად მე გამჭადე ⁷, გნახე მზე-ვით“.

159. ქალმან მაღლი გარდუხადა, თქვა: – „გნახეო ჩემთვის დედად, ობოლი და უთვისტომო მე გამგვადარვარ ⁸ ბედ-უბედად, საქმე რამე შემომმესწრა, გარდმოვიჭერ ⁹ ცეცხლთა დებად, და ხვალ მიჩვენე, მას მნათობსა ყველა ვჰკადრო ენა-ყბედად“.
160. – „გარჯილხარო“, თვალ-გოვარი მას მოართვეს ¹⁰ წინ დადებით, გაუკვირდა, ოდეს ნახა იგ ვერვისგან ფას-დადებით, თაყვანი სცა, იგ შეიქმნა ნამეტნავად გულ-დადებით, და გვერდს იახლნეს მას ღამესა, ტკბილად იყვნეს ¹¹, ვით და დებით ¹².

1) L – : განგვაკვირვა.

2) ასეა მხოლოდ B და P-ში; სხვაგან კი ვკითხულობთ – : სალთა ნათმან.

3) E – : გამდელს უთხრა, მიეგება.

4) აქა-იქ – : დახვდენ სულ ქალაქნი.

5) ასეა E-ში; B, M, O – : მივიდეს და უსალამეს; სხვაგან – : მივიდა და უსალამა.

6) A – : მოახსენეს.

7) E – : ჩვენ გაგვკადენ.

8) B, M, O – : ვშობილვარ.

9) M, O – : გამოვიჭერ.

10) E – : მოართვა.

11) აქა-იქ – : იყვნენ.

12) ასეა B, E, M და O-ში; სხვაგან – : ვით დედებით.

– 132 –

161. რა გათენდა, წასვლისათვის ¹ ჩადრსა ² შიგან წაეხვია, გლოვით იყო, მთვარეს პირზე შავი რიდე მოეხვია, ვნახეთ უცხო მოარული, სარო ნაზი ³ დაეხვია, და მივა წყლულთა საკურნებლად, მაგრამ უფრო დაეხვია.
162. ბანოვანნი გააგება, მკვევალნიცა წინა მდგომნი, რა შევიდა, მოეხვია, ყელით ყელსა გარდამჭდომი, გაანათლეს იგი არე, განკმულ იყო ცათა ჯომი, და ჰგავს, თუ ეტლზედ გარდეწვია, მთვარე ვნახეთ მზესთან მჯდომი.
163. მასპინძლისა საკადრისი: ვეჭვ. სტუმარი შემოჰყრია, მათი ეგრე შუქ-სინათლე მნათობთ გულსა შემოჰყრია, ბროლ-ბალახში, გიშრის ტევრი შვენებითა შემოჰყრია, და ტურფა რამე მოდარბაზე, ფერი ვარდსა შემოჰყრია.
164. ჰკითხა: – „მითხარ, ქალო, ვინ ხარ, ჩემსა სრასა შემოსული? რად გარჯილხარ, ან სადით ხარ ⁴, ვისთა გვართა გამოსული? არ მინახავს სხვა შენებრი შვენებითა ეგრე სრული, და ბაგე ვარდი, მელნის ტბანი გიშრის სრითა შემოსული ⁵“.
- 165*. ბაზიყამ თქვა: – „მიკვირს, მზეო, მე რად ⁶ მაქებ,საქებური, შენ ციურთა მონაწილე. მნათთა მნათი მუნებური, ბრძენნი შეკრბეს, თქვეს: «მნათობი ჯამსო მისთვის მუნებური» და საწუთროსა ბრუნვისაგან მაქვეს სიცოცხლე უნებური“.
166. – „იამანით წამოვსულვარ ⁷, მოველ შენთა ფერჯთა მტვერად,

სვე-ბედი და ჩარხთა ბრუნვა მე შემქმნია ყველა მტერად,
მშობელნი მყვეს მეტად კარგი ⁸, მე არა ჰყვა არცა გერად ⁹,
და დამეკონეს, მარტო დავრჩი გლახ ლახვართა დასამგერად“.

167. „არც ღირს ვიყავ, ვერც ველირსე მათგან ჩემზე დანაპირსა,
მათ მიბრძანეს შენი კარგი: «ჩვენს ჟამშია არ გველირსა ¹⁰,
ნუ მიწვდები ვარდი ყვავსა, ნუ აჭმევო ხურმას ვირსა»,
და ვტირ მას უკან დაღრეჯილი, არ გამიღებს დანა პირსა“.

1) B, M, O – : წასასვლელად.

2) A, N – : ჩარსა; L – : ჩარდსა; C – : ჩარსავ; E – : ჩარშავშიგან; F – : ჩარშავშიგან.

3) აქა-იქ – : საროს ნაზი, საროს ნაძვი, სარო ნაძვი.

4) A, C, D, F, G, H, N – : ან სითა ხარ: B – : ან სიდამ ხარ; E – : ან სით მოხველ.

5) E – : ბაგე ვარდსა მელნის ტბითა გიშრის სარით შემოსრული.

6) E ხელნაწერში ამოვარდნილია ერთი ფურცელი, რომელზედაც მოთავსებული უნდა ყოფილიყო მე-165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173 და 174 ხანები.

6) M, O – : სად.

7) B, M, O – : იამანით წამოსული.

8) M, O – : მშობელი მყვა მეტად დიდი; B – : დიდი.

9) C – : არცა გვარად; L – : მე არ დარჩა არა გუარი; M, O – : არცა ბერად (?).

10) M, B, O – : ჩემს ჟამს შიგან არ მეღირსა.

– 133 –

168. „მე მიაშბეს – თქვენგან მონა ვისგან რამე მოსყიდულა ¹,
იგ ანათობს სამყაროსა, მზესა შუქი დაეგულა,
მისთვის ხელი გამოვჭრილვარ, მისი ნახვა გამეგულა ²,
და ვით დამეთმო ³ ცეცხლთა დება, ანუ ვითმცა დამელულა“?

169. „გეხვეწები: იგ მიჩვენე მისთვის გაჭრად მოარულსა,
სული მოგცე სულთ აქათი, მე შემყარე ტკბილსა სულსა,
წყალობისა წყალი მიეც გულსა დამწვარ-დადაგულსა,
და მე გამსახურო სიკვდილამდის ⁴, გყავდე მცველად, – მიმეც ყულსა“!

170. „ეგზომ გიძღვნა მე საჭურჭლე – დაგავიწყო მისრეთული,
თვალ-გოვარი, სამკაული, გაგიკვირდეს ლართა ქსული,
შენ გაახლო ⁵ ჩემი მორჭმა, ოღონდ წამყვეს მე თან სული,
და აწ სიკვდილსა მისწურვივარ ⁶ სიცოხლისა მიმაშური“.

171. რა ზილიხამ გაიგონა ბაზიყასგან საუბარი ⁷,
იგ ატირდა გულ-მდუღარედ, ვნახეთ ცრემლთა საგუბარი ⁸,
შეებრალა თავის გამო, გული ჰქონდა ნალმოზარი,
და გაუახლდა, მისცა ცეცხლი პირველ მისგან ნაგმოზარი.

172. უბრძანა, თუ: – „ჩემი სენი, მიკვირს, სიდამ გარდაგედვა?
შორიდან ⁹ უნახავად ცეცხლი ვითა გარდაგედვა?
მე გიჩვენო იგი მოყმე, ვისთვის თავი გარდაგედვა,
და სჯობდა მისი ეშყი ¹⁰ გულსა არ შეგეშვა, გარდაგედვა“.

173. თქვა: – „რაციფი ¹¹ მყოლებია, მეგონა, თუ, მარტო ვარ-და“!
უალერსა მან საყვარლად, იგ თავ-მდაბლად დაუვარდა,
– „ჩვენ გაგვკადა მან ბულბულად, მგონი, იგი გაგვივარდადა,

და აწ მოვიდეს სამსახურად!“ – იოსებცა შემოვარდა.

174. რა ბაზიყამ გაიცადა ¹² იოსების სიტურფენი,
ტანი-სარო, ბროლ-გიშერი, ვით ზუალი, შუქთა მფენი,
დაზნდა, ფიცხლავ გარდაიქცა ზაფრის ფერად ¹³ ვარდთა მფენი,
და გლახ წამალი ვერა ირგო მისთა წყლულთა გასამთელნი.

1) B, M, O – : მემიამბეს; აქა თქვენგან ყული რამე მოსყიდულა.

2) B, M, O – : გამეძულა.

3) C, M, O – : ვით დამერთო.

4) აქა-იქ – : სიკვდილამდე. სიკვდილამდი, სიკვდილამდინ.

5) B, M, O – : შენ გაალნო.

6) C, B, M, O – : მივწურვილვარ.

7) B, M, O – : ნაუზარი.

8) B, M, O – : ნაგუზარი.

9) B, M, O – : შორიდადმე; F – : შორიდადმენ.

10) L – : ეშხი.

11) A, H, N – : რაყიბი.

12) M, O – : გაიგონა. C – : ზაფრანის ფრად.

– 134 –

175. შეებრალდათ ¹ იგი ქალი, რითაც იყო მოაბრუნეს,
ითვისეს და ეპატრონეს იგ არა თუ გაემგუნეს;
იოსებ დგას ² მათთვის სანთლად, თავს ფარვანად დაებრუნეს,
და ვერ გაუძლეს შუქსა მისსა, სადგომისკენ გააბრუნეს ³.

176. ტირს ⁴ ბაზიყა, მოთქვამს მწარედ, ცრემლსა სისხლი გარეულა:
– „დღეის იქით სული, ცნობა ⁵, ვად, გამეჭრა ⁶ გარეულა!
ვეღარ ნათობს ⁷ მიწის ჯორცი, ვეღარც ეგრე დარეულა,
და ნარგიზთაგან გულსა წყლულსა აწ ლახვარი დარეულა.

- 177*. ზილიხამ თქვა: – „მას ლახვარი უწინ ჩემთვის გაუცია,
იგი არის ჯორციელი ⁸ – ხედავთ, რომე გაუცია,
დაუძვირა ⁹ სხვითა შუქი, მჭვრეტთა გული გაუცია,
და აწ შენვე თქვი ¹⁰: უშმაგოსა იგი ვისმცა გაუცია?“

178. „სიზმრად ვნახე, არ მენახა, მეფემ შვილად მოიყიდა,
ვერა ვირგე ¹¹ მე გლახ ხელმან ¹², ცუდად თავი მომიყინდა ¹³,
მზე არ მომკვდა, ვარდი ჩემი დაჭკნა ¹⁴, დაზრა, დამიყინდა".
და ესე თქვა და ამოტირდა წყნარად რამე, არ აყვირდა ¹⁵.

179. – „უწყის ღმერთმან ¹⁶, ეგრე მიყვარ: ან და იყო, ან ასული.
მართლად გითხრობ, ვიცი, გაწყენ: ცუდ მაშვრალად ხარ მოსული,
შუქი მზისა დამიძვრიდა, ვარდი მით ვარ დანასული ¹⁷,
და მე მომკვდა, შენ ვით მოგცე სულისაგან უფრო სული ¹⁸?“

1) აქა-იქ – : შეებრალა, შეებრალდა.

2) აქა-იქ – : იოსებ თქვეს.

3) M და O-ში ეს „ვნეს“ რითმით არის წარმოებული.

4) აქა-იქ – : სტირს, ჰსტირს.

5) M, O – : სულ იცნობა.

6) E – : გამეჭრას.

- 7) B – : ვით ნათობდეს; M, O – : ვითამც.
 8) B, M, O – : ქვეყნიერი.
 9) B, M – : დაუძვირდა.
 10) M – : შენვე ჰსთქვი.
 11) M, O – : მე რა ვირგე.
 12) E – : მისთვის ხელმან.
 13) E – : მომიყინვდა.
 14) M – : დაჭრა.
 15) M, O – : წყნარად რამე, არა, არ აყვირდა.
 16) B, M, O – : ღმერთმან იცის.
 17) B, M, O – : ვარდი ვით ვარ დანასული.
 18) E – : სულისაგან უტკბო სული; A, C, D, F, G, H, L, N – : სულთაგანცა უფრო სული; P – : სულთა მაგანც უფრო სული.
 *) ეს ხანა გამოტოვებულია O-ში.

– 135 –

180. რა ბაზიყას სიტყვა ესმა ზილიხასგან უიმედო,
 რა შეიტყო მათი საქმე, არა თქვა რა დასაყბედო,
 მან დასწყევლა ¹ შობის დღენი, თქვა: – „რა მიყავ, ჩემო ბედო?
 და სრულად ცეცხლთა დასაწვავად ² რისთვის შემქმენ, შემომქმედო?“
181. ესე თქვა და სისხლის ცრემლი ³ გიშრის ლარით ჩამოღარა,
 საყელონი გარდიხივნა, ბროლის ბურთნი ამოყარა,
 მთვარე სავსე მცხრალად იქცა ⁴, სრულ დალივა, ჩამოყარა,
 და – : „აწ სიკვდილი უამეა, სიცოცხლე ხარ ჩემ აღარა ⁵“.
182. დაიხია ⁶ პირის სახე, თმა გაყარა დია გიშრად.
 დაბნდა, იქმნა ვითა მკვდარი ⁷, – «არ მოკვდესო» – იქმნეს მშიშრად.
 თქვეს: – „საწუთრო ⁸, ტკბილი სული გაგიწირავს, ქალო, ვიშ, რად!“
 და ეხვეოდეს სრულად ჯარი, არ დააგდეს მარტო მქვიშრად ⁹.
183. დიდ-ხან იყო ¹⁰, ვითა მკვდარი, ძლივ მობრუნდა ქალი სრულად,
 შემოიხსნა სამკაული, მას საჭურჭლე მოაქვს სრულად,
 წინ დაუდვა ზილიხანსა, ანგარიში უნდა ნულად,
 და ვითა ჰმართებს ¹¹ ხელსა გაჭრა, სოფლით მივა კარგ უსულად.
184. ტანს ჩაიცვა მსხვილი ჩოხა, თავსა შალი მოიხვია,
 ვით ტყემალი, სასიკვდილოდ თავი კალთას გაიხვია,
 არ უსმენდა, ვინც რა უთხრა, ერთობ თავი მოიხვია,
 და მან აიგო ¹² ნაბდის ქოხი, შიგან ჩაჯდა, ჩაიხვია.
185. აატირნა მისნი მჭვრეტნი, ყოვლთა გული დაუწვა-და,
 ბებიასაც ამ საქმითა გულს ლახვარი დაუწვადა,
 მან გაყარა თმა სპეტაკი, გული ცეცხლზე დაუწვა-და ¹³,
 და ქვა თავსა და ჯელი გულსა კბილით ჯორცსა დუწვადა ¹⁴.

1) აქა-იქ – : დასწყია, დასწყივა, დასწყევა.

2) M, O – : სრულად ცეცხლში დასაწვავი.

3) C, D, G – : ცრემლით; M, O – : ცრემლში.

4) B, M, O – : მცხრლად შეიქმნა.

5) აქა-იქა – : არა, ჩემო ღარა.

6) ბევრგან – : დაიხია.

7) აქა-იქ – : მკვდარივითა.

8) M – : საწუთო.

9) C, D, L, M, O, P – : ქვიშრად.

10) B, M, O – : იდვა.

11) B, M, O – : ვითა ჰფერობს.

12) აქა-იქ – : მან ააგო.

13) E – : სპეტაკი საკმილშიგან დაუწვავდა.

14) დაახლოებით ასეა მხოლოდ L-ში; A, B, D, G, H, M, O – : თქვა თავსა და კბილით ჯორცსა იჭამს, კარში დაუწვავდა; C, E, N – : ქვა თავსა და კბილით ჯორცა იჭამს; F – : თავის თავს კბილით ჯორცს იჭამს, კარში დაუწვავდა.

– 136 –

186. მოსთქვამს: – „შვილო, საყვარელო, კარგსა თავსა რა უყავ-და, რად მოგძულდა სინათლენი, რომე მზესა გაუყვავდა, დაწვთა შენთა უნათლესი ¹, მითხარ, ედემს რა უყავ-და! და შენ დაჭკნები რად-ლა? – ჰკმობენ: «ბულბულს ვარდი გაუყავ-და».

187. „რად არ მომკალ პირველ-უწინ ², თუ ამ საქმეს მიჩვენებდი? სანთლად მყვანდი ³ შენთა გვართა, ბნელსა გულსა მითენებდი, ტანად ⁴ ალვა გამეზარდე, ზაგეს ძოწად იშენებდი, და მაცოცხლებდა შენი ჭვრეტა, სულსა ყელში მიყენებდი“.

188. სიბრალული ბაზიყასი სწვავს ზილიხანს, ადენს ცმელსა, რქვა იოსებს: – „მას საჭმელსა შენ მისცემდი კელით-ჯელსა!“ მოვიდოდის, მიუტანდის, მისთვის მკვდარსა, მისთვის ხელსა, და შემოხედის ⁵ რეტად რასმე, გარდიგდებდის საწყლად ყელსა.

189. ეტყოდა: – „უცხოვ ⁶, რად მომკალ? ნეტარ შენ ვინ და მე ვინე? შავშთა ნარგიზთა ⁷ ლახვართა ⁸ უწყალოდ დამახვევინე? ვითა ფარვანა სანთელსა, მე შუქთა დამაწვევინე, და ეს ეგრეც მიყავ – დამმარხე, სამარე გამათხრევინე!“

11. სიკვდილი ხელისა ბაზიყასი იოსების გულისათვის.

190. ვედარ გაძლო, მან იცოცხლა ხანი რამე დია მცირე, ბებიასა დაუძახა: „მოდი, სული გავეც ვირე, მე მოგიკვდი, ჩემი ბნელქმნა ⁹ მნათობთაცა მიუმტკივრე ¹⁰, და მიწას მიმეც, მჯეცთ ნუ მიმცემ, გული წყლული აქვიტკირე ¹¹.“

191. მოკვდა ბაზიყა გარჯილი მიჯნურობისა სენითა, სრულად მისრეთი ტიროდა, თქვეს: – „ცოდვით ავივსენითა“.
შავსა მშობელსა კალთასა უწვა, მოსთქმიდა ენითა, და ზილიხანც მივა ტირილით, პირსა იცემდა კელითა.

1) B, M, O – : უტურფესი.

2) M, O – : რად მომკალ პირველ უწინა.

3) F – : ჰყვანდი.

4) ასეა მხოლოდ E-ში; სხვაგან – ტანი ალვა.

5) M, O – : შემოვიდის.

6) აქა-იქ – : უცხო. უცხოოდ.

7) აქა-იქ – : ნარგისთა.

8) F – : ლახვარსა.

9) B – : ხელქმნა.

10) E, F, H, M, N, O – : მიუმტკივნე.

11) B – : წყლული განიკურნე; M, O – : აქ ვიტკინე.

– 137 –

192. მოსთქმიდა: – „შვილო, აწ მკვდარი პირველად გნახე მე ხელი, ბაგე შეგიკარ ვარდისა, თვალთა დაგხურე მე ჯელი, უსულოდ გხედავ ცოცხალი, რად არ დამეცა მეხელი? და აღარა მყევხარ ბედკრულსა, ვისილა ვიყო მკვეხელი ¹?
193. „ვის ჰყოლია შენებრ შვილი, დაზრდილი და ან ასული? ედემს ალვა არ გაზრდილა, ეგრე ტურფად ამოსული, შენ ნათობდი საწუთროსა, ზეცით ჰგვანდი ჩამოსული, და ვერ შეჭამოს სხვა მიწამან ეგრე ნაზი კარგ-უსული“.
194. ესე თქვა და მოეხვია პირით პირზე დაეკონა ², ეტყოდა, თუ: – „რამან შეგქმნა ზაფრის ფერად ვარდის კონა ³?“ იგ ათროთოლდა, ვით ფურცელი, სულთ ამოსვლად გააკრკოლა ⁴, და მიისწრაფა მასთან მანცა, წასვლად ვინმცა დააბრკოლა!
195. რა ზილიხამ ორივ ნახა ეგრე საწყლად დანაჯოცი, მკერდსა ზედა ჯელი იკრა, გამოჭვირდა ⁵ ბროლის ჯორცი, ზედ გიშრის თმა დააყარა, მას ცრემლი სდის მოსაჯოცი ⁶: და – „აწ უცილოდ მეცა მომკლავს იგ მიჯნურთა ამომჯოცი“.
196. გაიტანა მან უკლებლად განძი მისგან მონატანი, სასაფლაო აღეშენა, გუმბათი ⁷ ქმნა ოქრო მყარნი, მას ⁸ სოფლები მოუყიდა სულისათვის შესატანი, და თქვენც გასინჯეთ სოფლის საქმე – მიწას მისცეს საროტანი ⁹!

12. მეორედ გამოიჯნურება ზილიხანისაგან იოსებისა.

197. აწ ამბავი სხვა დავიწყო, ლექსთა ბოლო შემოკლდების, სოფლის ნივთთა შემსჭვალული კაცი ბოლოს ¹⁰ გამწარდების, რა აივსოს გუბე ¹¹ წყლითა, გზას შეიქმს და გადვარდების, და ეშვი თავსა არ დამალავს, ვის დამეტდეს – გაშმაგდების.

¹) აქა-იქ – : აღარა მყავს რა ბედკრულსა, ვისილა ვიყო მე ხელი; D – : აღარა მყავს ბედკრულსა შვილი გაზრდილი ანახული; B, M, O – : აღარა მყავს რა ბედკრულსა, ვისილა ვიყო მკვეხელი.

²) G – : დაეკოლა.

³) G – : კოლა.

⁴) A, M – : გააკრკოლნა; F – : გაკრკოლა; B, O – : გააკრკონა; G – : გაეკრკოლა; C – : გაეკრკოლნა; L – : გაეკონა; D – : გაეკრკონა.

⁵) B, M, O – : გამოუჩნდა.

⁶) აქა-იქ – : დანაჯოცი.

⁷) A, E – : გუმბაზი; H, N – : გუმბადი.

⁸) ზოგ ადგილას – მათ, მით, მის.

⁹) უმეტეს შემთხვევაში – : საროს ტანი.

¹⁰) აქა-იქ – : ბოლოდ.

¹¹) E – : გუბი.

198. გაუგრძელდა მიჯნურობა; გლახ ზილიხანს ცრემლი სდიან,
მან არიფი ვერ იშოვნა, ვის მნათობნი შეჰნატრიან,
წალკოტს სერნობს ნაღვლიანი, ფერვთ ქვეშ ვარდსა დაუყრიან,
და მარტო იწმო მან გამზრდელი, სხვათა კარში გამოჰყრიან.
199. ეუბნებოდა ¹: – „მარგე რა“? – გულ-ამოსკვნითა ტიროდა,
პირი უგვანდა მთვარესა, ცხვირი სოთურად სტვიროდა,
მათ მესისხლეთა ბაგეთა შუა სადაფი სჭვიროდა,
და ეგრე უთმინოდ გასვლასა მისსა გამდელი ჰკვიროდა.
200. მას ზილიჯან ეხვეწების ²: – „დედა ხარ და ჩემი ³ დები,
მალ მეწივე, არას მარგებს ცუდი რამე გულის დები,
უკურნებლად სენს სიკვდილი, ხელი გაჭრას არ ავსცდები,
და არას მარგებ შენ გამზრდელი ⁴, ვით ბაზიყა, მოგიკვდები“.
201. გამზრდელს რა ესმა ნათქვამი, საგონებელსა ჩავარდა,
ტკბილთა ⁵ არჩევდა სიტყვათა მისთვის საქებრად ავარდა:
– „მუშკ-სურნელება ⁶ მთიებსა, შენგან სინათლე დავარდა,
და სული არა მშურს, მიბრძანე, მე სამსახურად მზა ვარ-და!“
202. „შენ საწუთრო განანათლე, მზისა შუქი დაიმონე,
ძოდან მიველ, მას რეგვენსა თქვენი საქმე გავაგონე,
არ ინდომა ⁷ შენი შეყრა, გაუსინჯე ჭკუა-გონე!
და აწ თუ ბრძანებ ⁸, ჩემს ჭკუაში სხვა თათბირი მოვიგონე“.
203. „ჩვენ მოვკაზმით სრა-სამყოფი ⁹, ავაცვაოთ ვით სამოთხე,
მარტო იწმე ¹⁰ – დაჰპატიჟე იგი ალვა მორჩი ¹¹, ვით ხე,
ღვინო ვასვათ, მოტყუვდების, იგ გულ-ტკბილად მოიკითხე,
და თუ ლომია, მზეს მივვდების ¹², თუ არ მოგვეყვს, რად არ ითხე“?

¹) აქა-იქ – : ეხვეწებოდა; ეს უწყებოდა.

²) E – : ეხვეწება.

³) აქა-იქ – : ჩემთვის.

⁴) B, E, M, O – : არას გარგებს შენ გაზრდილი.

⁵) B, M, O – : ტკბილად.

⁶) აქა-იქ – : სუნნელება, სულნელება.

⁷) M, O – : არ მინდაო.

⁸) M – : აწ თუ ჰბრძანე, ჩემსა ჭკვაში; O – : აწ თუ მბრძანებ, ჩემსა ჭკვაში.

⁹) B, M, O – : სადგომი.

¹⁰) აქა-იქ – : უკმე.

¹¹) B, M, O – : ნორჩი.

¹²) A, C, D, G, H, L, N – : მიჰყვების.

204. დაუმაღლა ¹ მან მნათობმან, გამდელს უთხრა დიდი ქება:
– „სულსა ² შენგან დაგიმადლებ, თუ მომვდების ცეცხლთა ვსება ³!“
მათ დაასკვნეს იგ თათბირი, შექმნეს დიდი მომზადება,
და სახლი მორთეს უცხოდ რამე, თილისმით ⁴ ჰქმნეს, მგონი, გრძნება.

205. მათ აჭრელეს კედელ-ყურე, ქვეშ-საფენი ⁵ ფარდა ნატეს, ყველაზედა მათ ქალ-ყმათა მსგავსი ⁶ რამე გამოხატეს, ერთგან ⁷ მწოლნი, შეხვეულნი, გვანდეს ცოცხალს, დაამეტეს, და ყმას შეადგეს საილათოდ ⁸ – უნდა თუმცა გაერეტეს.
206. ქალს კაზმიდა იგ დიაცი, აბანოსა აბანებდა, ცა ჰშვენოდა მას საჯდომლად, სახლი რამცა აბანებდა, ბულბულს ვარდი რადლა უნდა ⁹ – მაზედ ჳმასა აბანებდა, და დაემონეს მას მნათობნი, რამცა ექმნა, აბანებდა!
207. მას ტურფათა ¹⁰ უტურფესსა სამკაულსა მოასხმიდა, მას გიშრისა ტოილოსა მრავალ-ფერად ¹¹ დაუთხზვიდა ¹², ნახა შუქთა დამეტებით – მზესა შესწრფა ¹³, ველარ სხივდა, და ვით ყვავილი სამოთხისა, იგ ანორჩდა, ამოლივდა.
208. დაჯდა ტურფად შეკაზმული იგ მომლოდნე ცეცხლთა შრეტად, გვირგვინი და ტყავ-საყური ტახტზე ჯდომა ჰშვენის მეტად, მზემ და მთვარემ მისად ნახვად თამაშა ჰქმნეს, მოდგეს ჳვრეტად, და არ თუ კაცი უნივთოცა, ვეჳვ, გაშმაგდეს, გაცდეს ¹⁴ რეტად.
- 209*. სამნი ქალნი შეიყვანეს შინათ ¹⁵ – იყვნენ მისანდონი, მკვრელნი უცხოდ, მოშაითნი ¹⁶, მღერენ, ვითა იადონი, ხადუმთ უთხრეს დაცვა კართა, იგ არვისგან გასარონი, და ყმა მიიჭმეს სამსახურად, მივა ვითა მინარბონი ¹⁷.

1) აქა-იქ – : დაიმაძლა.

2) B – : სრულად.

3) M, O – : დება.

4) აქა-იქ – : ტილისმით.

5) E – : ქვეშაგები.

6) A, E – : მგზავსი.

7) B, M, O – : ერთად.

8) აქა-იქ – : საილეთოდ.

9) M, O – : აღარ.

10) M, O – : ტურფასა.

11) B, E, M, O – : კეცად.

12) აქა-იქ – : დაუთხზნიდა.

13) A, C, D, G, N – : შესწრაფა; F – : შესწრაფდა; H – : შესწვრთა; L – : შსწვთა; M – : შესწმდა; O – : შსწყდა.

14) აქა-იქ – : იქმნეს.

15) აქა-იქ – : შეიყარეს.

16) ასეა მხოლოდ B, E და P-ში; სხვაგან – მუშაითნი.

17) უმეტეს შემთხვევაში – : მინარბენი.

*) ეს ხანა დავიწყნიათ გადამწერთ M და O ხელნაწერებისა.

210. შემავალსა ქვე მჯდომისა შუქი მდიდრად ¹ შეაგდების, მათსა ეგრე უცხოდ მორთვას იოსებცა გაკვირდების, ჯდომა, ლხინი; დაჰპატიჟეს, – „არ ვღირსვართ“-ო – ფეწზე დგების, და გვერდს ² მოისვა ³, ღვინო მისცა, მოსატყუვრად შეადგების.

211. მიმოიხედნა, მალ-იცნა, რომ მათი ხატი სახევედა,
თვალს არიდებდა ⁴ საჭვრეტლად, სიცოცხლით ვედარ ნახევედა,
ზილიხან ვარდის ზაგითა ⁵ ღიმობდა, აღარ ახევედა,
და ნარგიზი მისთა მჭვრეტელთა აღმასიც იყოს, დახევედა.
212. მათ ორთავე მაქებარი ჯამს უმიროს, პითაღორა ⁶,
სოლომონ, დავით და სამსონ ⁷ უნდა ეგრე მოეღორა,
დალილას და ვითა ბილყიხს ⁸, ცნობა სრულად მიეღორა,
და ღვინოს მისგან მირთმეულსა სვემდა, ვითომც ⁹ მოეღორა!
- 213.* ლხინად ისხდეს და მუტრიბნი ლექსსა მღერდენ სამიჯნუროს,
ეტყოდა: – „მოკალ ზაზიყა, ცრემლი ზედა დაეპკუროს,
რად არ გეწყალვი, მისებრივ მეცა მიწა მიმებუროს ^{10?}“
და ცოტა უკლია მართალსა, გლახ გული გარდაუბრუნოს!
214. ყმამ შეხედნა, ტკბილად რამე ეშყი გულსა აუდუღდეს,
– „შიში მკლავს და მერ ¹¹ სირცხვილი, თვარე შენთვის ვით არ მსურდეს?
თავი დამიც მე უღირსად, ეს გაბედვა ვის არ გჭირდეს ^{12?}“
და ესე თქვა და მოეხვია, მათი კოცნა სულად ღირდეს!
215. იაგუნდი მარგალიტსა, ბროლს გიშერი აერია,
მათი ელვა მზისა შუქსა, ხედავთ, რომე აერია?
ვარდსა დაზრულ-დაყინულსა მიხვდა დარი, ჰაერია,
და ვერვინ სრულყოს ქება მათი, ბრძენთა ჭკუა ¹³ აერია!

1) M, O – : შუქი მზისა.

2) აქა-იქ – : გვერც, გვერდ, გვერთს.

3) აქა-იქ – : მოისო, დაისვა.

4) A, B, E, F, L, M, N, O, P – : თავს აღნებდა.

5) ასეა მხოლოდ E-ში; სხვაგან – : ბაღითა.

6) B – : მათ ორთავე მაქებარი ყრმას უმზიროს პირთა ღორა; L – : უმიროს, პით მიეღორა.

7) უმეტეს შემთხვევაში – : სოლომონ და ვით სამფსონი.

8) ასეა B, E, M და O-ში; სხვაგან კი – : ლეილსა და ვით ზაზიყას.

9) E, M, O – : ვითამცა.

10) C, D, G, L – : მიმეყაროს; F – : რად არ გეწყალვი მეც მიწას მიმბარო? (სტრიქონი დედანში დამახინჯებულია); E – : რად არ გეწყალვი? მისგამო მეც მიწა მამებუროსა.

11) ასეა მხოლოდ G, L-ში; სხვაგან – : მე სირცხვილი.

12) აქა-იქ – : ვით არ ჰკვირდეს.

13) აქა-იქ – : ენა.

*) O ხელნაწერში პოემა აქ წინა ხანით მოულოდნელად წყდება; ფურცლის მეორე გვერდზე იწყება „მ ი ჯ ნ უ რ თ ბ ა დ ე“.

13. იოსების და ზილიხანის ერთგან შეყრა და მეფისგან შეტყობა*.

- 216.** მათ ერთად წოლა გაპირეს ¹, შევლენ ხალვათსა კარავსა,
ორნი მთიებნი მნათობნი ² ლხინს აპირებენ არ ავსა,
მის სალოცავსა ზილიხან ფარდასა მოაფარავსა,
და ყმა ეტყვის: – „გრცხვენის კერპთაგან, რა უთხრა დაუფარავსა?“

217. – „მისგან გეშინის, რომელსა თვალი არ ასხენ, ყურები, მე მას რა უთხრა ³ მოხედვით, ვინ შეძრა ოთხივე ყურები? ვინ ხედავს, ესმის ყოველთა, არ უნდა მოსაყურები“? და მათ ლაპარაკი შეექმნათ მომადლო, არ ჩურჩულები ⁴.
218. „თუ გაქვს, მზეო, სიყვარული ჩემი გულსა დანათესი, დაამტვრიენ უსულონი, იცან ღმერთი უკეთესი! შენი ⁵ ვიყო სიკვდილამდის, სიშორითა არ გაკვნესი, და შენ განაგდე ეშმაკთ ზორვა, იგი გწამდეს, მოვა მესი“.
219. იქ ⁶ მეფე შევა საწოლსა, აქ ამათ ჰქონდათ ცილობა, ქვეშ საგებელი ⁷ ვერ პოვა, მისის ვარდისა შლილობა, სძებნის, იკითხავს, გაშმაგდა, მას მიხვდა ჭკვა-შემლილობა, და ზილიხანს მიხვდა დღეს იქით თვალთა ცრემლისა მილობა.
220. ერთმან ვინმე ღვთისა მტერმან მათი საქმე მოაკსენა: «ლხინი აქეთო მათ ხალვათი, იგ ორნივე ერთად სხენა», ვით მართებდა შეჭირვება, გულსა მიხვდა დიდი წყენა, და აწ ზილიხანს ლხინის ჟამსა გლახ მიხვდება ცრემლთა დენა!
221. მათ აცნობა კარის მცველმან: – „მეფე მოვა“ – შერბის მონა, ეგრე მწარე მოსასმენი სხვასა ვისმცა გაეგონა?! წყენა, შიში, შეჭირვება მათი ვისმცა აეწონა?! და ვერ გაასწრეს, ფეჭხედ იდგნენ, სხვა რაღამცა მოეგონა?

1) M, B – : გაბედეს; D – : მათ ერთხელა გააპირეს.

2) ასეა მხოლოდ B, E და M-ში; სხვაგან – : ორნი მნათობნი მთვარენი.

3) G – : რა ვუთხრა.

4) B, E, M – : ჩურჩულები; B-ში ეს სტრიქონი მესამედ არის მოქცეული. მესამე კი ქვეშა ჩამოტანილი.

5) B, M – : შენთან.

6) აქა-იქ – : იგ.

7) გხვდება – : ქვეშაგებელი, ქვეშ საგებელი.

*) ეს კარი ამ ხანით იწყება A, C, D, F, G, H, M, N, და P ხელნაწერებში (B უკვე კარებად არ არის დაყოფილი. O- გამორიცხულია), ხოლო E და L-ში – მე-219-თი.

**) M ამ კარის სათაურს უმატებს – : და იოსების ორმოში ჰშთაგდება.

222. ზალიხანს ღაწვი-ყაყაჩო თეთრ ვარდად გარდაჰქცეოდა, გაყრისა წყენა მიჯნურთა მეფისა შიშსა მძლეობდა, ყმასა პერანგის საყელო ჭიდებაშიგან ხეოდა, და იგ ქალმან ქმარსა მართვა თქვა: – „გამიკითხე, მეო-და“!
223. „მოიყვანე უცხო თესლი, ჩვენთა სჯულთა ¹ განაკიდი, «შვილად გყავს»-ო – ეს მიბრძანე, არ მისმინა ², რასაც ვსწრთენიდი, მთვრალი სითმე შემოიჭრა ³, სიტყვით ვერა დავამშვიდი, და ჩემთან ჯდომა მოინდომა, გავგულისდი, წავეკიდი“.
224. „თავი ჳელთა არა ჰქონდა, თურმე ღვინოს გაეხელა, იგ ეძებდა დასაწვავად ⁴ – კერპი ⁵ უნდა მოეჯელა,

საყელონი დავაგლიჯე, გამდელიცა მოგვეშველა,
და შუღლი გვექონდა თქვენც მოგვესწარ ⁶, თქვენმა მოსვლამ გაგვაშველა“.

225. თავს მართლობდა იგი მთვარე, ღონეს რასმე ედებოდა,
მეფეს ჭკუა აღარ ჰქონდა ⁷, ტვინსა ცეცხლი ედებოდა,
მას შეუპყრა თმა გიშრისა ⁸, – ქვე მიწამდი ედებოდა,
და ეტყოდა, თუ: – „გათქმევინებ, რაცა გულსა გედებოდა“!

226*. სცემს უწყალოდ, ურიდებლად, ვით ინდოს ქალს, დავარდების,
კელი, მჯილი ⁹, ქუსლი, წიხლი ¹⁰ – ოთხივ დაშვრა, დავარდების,
პირი ცემით დაულურჯდა ¹¹, ვით პირველ ვერ დავარდების ¹²,
და თქვა: – „უბრალო არამც მოვკლა ¹³, ლამის ენა ჩავარდების“!

227. გამობრუნდა, იგ დააგდო, ვითა მკვდარი უსულობდა,
ალვა ნაზი დამტვრეული ვედარ ეშყდა, უსულობდა,
ეხვეოდეს ბანოვანნი ¹⁴, ყველა მასთან მისულობდა,
და მას სწამლობდეს, მრავალს რასმე სურნელსაცა ¹⁵ უსულობდა ¹⁶.

1) აქა-იქ – : რჯულთა, ჰსჯულთა.

2) აქა-იქ – : არ ისმინა. არ ისმენდა, არ ისმენდის.

3) B, M – : შემოვარდა; A – : შემოვიდა.

4) E – : დასამტვრევლად; B – : დასალეწლად; M – : დასაწოლად (?)

5) B, E, M – : ღმერთი.

6) M – : მოხვედით.

7) ასეა მხოლოდ E-ში; A – : მეფეს ჭკუა აღარ შერჩა; B, C, D, F, G, H, L, M, N, P – :
მეფეს ჭკვა აღარა აქვს.

8) E – : თმა გიშერი.

9) G – : მჯიხვი; D – : მჯიხვით; B, H, N – : მჯიღვი.

10) M – : ფერჯი, ქუსლი.

11) A, B, H – : გაულურჯდა; C – : გაულურჯა.

12) G – : ვარდება; (ხანა „ვარდება“ რითმაზე).

13) E – : ანამც.

14) E – : ბანოვანნი.

15) D – : კურნელსაც; E – : სურნელებსა; F, G, L, M – : სუნნელსაცა.

16) A, B, D, G, H, N – : უსუნობდა; C, F, L – : უსუნებდა.

*) ამ ხანის მეორე სტრიქონის შემდეგ წყდება პოემა P ხელნაწერში; გადამწერს ერთი
ფურცელი გამოუტოვებია და შემდგომ დაუწყია ახალი ნაწარმოების გადაწერა. (ამ ხანიდან P
ხელნაწერი ტექსტის დადგენისათვის აღარ გვაქვს მხედველობაში).

228. მზემან ნახა ეგრე მყოფი, მისთვის გული დაეწო-და,
მთვარემ იცა პირსა ზედა, მუნით ლეზი დაეტეოდა,
ეთერი და მუშთარ-ზუალ ¹ ცრემლთა ღვარსა დაელტო-და ²,
და მისთა წყლულთა საკურნებლად ასპიროზცა ³ მისკენ რბოდა ⁴.

229. მეფემან ბრძანა: – „იოსებ შეკარით ჯელ-ფეჯ-მაჯებით,
ვიყიდე, შვილად გავზარდე ეგ ეშმაკი და ქაჯებით“!
იგ თავსა არას მართლობდა, არცა თქვა სიტყვა აჯებით ⁵,
და თქვა: – „ჯორცხნი მოსწყედეს უბრალო, სულით არ დავისაჯებით“?

230*. დიაცს ვისმე გამოყვანდა შვილი-წული სამის თვისა,
ყმამან თქვა, თუ: – „ჩვენი ⁶ საქმე მაგას ჰკითხეთ, მაგან თქვისა“.

ჰკითხეს: – „გვითხარ, თქვი მართალი: ვის აქვს ბრალი საქმის ქნისა“?
და თქვა: – „იოსებ უბრალოა ⁷, უსამართლოდ დანათქმისა“.

231. გაუკვირდათ, ვისმცა ესმა ჯერ უენო ენიანად,
სასწაულმაც ვერა არგო, გედი ჰქონდა სენიანად,
იგ ჩააგდეს ორმოშიგან გესლიანსა გველიანად,
და ძალი ღვთისა მას მართალსა ჰფარავს მარგედ ⁸, შველიანად ⁹.

232. გამოიმეტეს იოსებ ¹⁰ საკვდავად მათის გუნებით,
იგ ევედრების უფალსა გულითა, არ ორგულებით:
– „ერთხელ კვლავ მივსენ, უფალო, არა მყავ დაკარგულებით ¹¹.
და პატიჟთა განსაცდელისა დათმობა მომეც სრულებით!“

233. პირსა უთრევდა მიწასა – ცრემლთაგან ტალახებულა,
დასცვივდეს ჯუნდნი, ბორკილნი, კოჭნი აღარა ღებულა,
ზეგარდმო მონაცემობით ¹² საზრდელი განპოხებულა ¹³,
და ალვა ჩარგული მიწასა, ზე აღმა აღარ ხებულა.

1) A – : ეთერისა მუშთარ-ზაულ; B – : ევსთერი და ზოალ-მუშთარ; D – : თეთრი დამშთარ ზრუალ; F – : ერთი დამშრთა ზუალ-ზოალ; N – : ესთერი.

2) A, C, D, F, G, H – : დაეტყოდა; L – : დაერწყოდა; N – : და ეტყოდა.

3) A, L – : აზფაროსცა; B – : ასპარეზცა; F – : საფიროზცა; H, N – : ასფაროზცა.

4) ასეა B, E, M-ში; A, C, D, F, G, H, L N – : დაეტყოდა.

5) A, C, D, F, G, H, და L ხელნაწერებში მეორე და მესამე სტრიქონები ერთ-მეორეში არეულია: მესამეს უკავია მეორეს ადგილი. მეორეს კი – მესამესი.

6) აქა-იქ – : ჩემი.

7) C, D, G – : მართალია.

8) აქა-იქ – : მარგად, მაგრად.

9) C, G, L, N – : შვენიანად; D – : შვენიან; F – : მშვენიარად.

10) A – : გამოიმეტეს გლახ იოსებ; C – : გამოიმეს იოსებ.

11) M, B – : ერთხელ კვლავ მივსენ, პირველად რომ ვიყავ დაკარგულებით; C – : ერთხელ კვლავ მივსენ სიკვდილსა, რომ ვიყავ დაკარგულებით; L – : კვლავც მივსენ ერთხელ, უფალო, არ მიყავ დაკარგულებით.

12) E, B, M – : მონაცემითა.

13) M – : განოხებული; (ხანა „ებული“ რითმაზეა).

*) H ხელნაწერში ამოვარდნილია ორი ფურცელი, სადაც მოთავსებული უნდა ყოფილიყო მე-230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248 და 249 ხანები.

234. ეს გაუმვათ, სიტყვა ლექსთა სხვას ამბავზე გარდაცდების,
ზილიხანსა უსიკვდილოდ მეტი არა გარდაჰხების,
იოსების საქმე ესმა, ლამის სული ამოჰცდების,
და იტყოდა, თუ: – „მზისა შუქი ეს მეორედ ქვე დაცდების“.

235. „მე მოვრჩი და იგი მოვკალ, შემეშინა დიაცურად“ – ,
– ედებოდა ცეცხლი ცხელი, გაკდა ცრემლში გასაცურად –
„სოფელი და ბედი კრული მე აღმიდგეს ¹ მეტად შურად,
და იგ ზის მიწას სასიკვდილოდ, მე ვით ვლახო მოარულად“?

236. იგლოვს ³ და მოთქვამს ჳმა-მაღლა, ვით იადონი ყიოდეს,
იგ მოწის ⁴ ფერნი წყარონი არღავანს გამოსდიოდეს.

– „ბროლისა მსგავსი ჯელ-ფენი, ვად, თუ რკინაში ⁵ გტკიოდეს!
და ბნელმან დაგფარა ნათელი, ალვა მიწასა ხიოდეს“ ⁶!

237. თავ-მოჯდელი, მწარ-ამოყრით, ვინცა ნახა, გაუკვირდეს,
„ცუდიაო ჩვენი ჭირვა ⁷“ – თქვეს, – „ციერთა არის ვირ ეს,
არისტოტ და პლატონიოს ⁸ მისი შესხმა დააპირეს,
და ვერ ისიბრძნეს, ვითა ღირდა, თავნი მათნი გაივრეს“⁹.

238. ორნი ვინმე მოიბირნა ¹⁰ ქრთამით ტყვისა სამსახურად,
თქვა: – „საჭმელსა მიაართმევდით, მიხვიდოდით ორმოს პირად“ –
რა იცოდა: მას საზრდელი მოუვაო ზეციდ პურად!
და მცველმან უგრძნა, შიგ ჩაყარა, უთხრა: – „რად ხართ თქვენ ორგულად“¹¹?

239. ერთი იყო მზარეული 12, იგ მეორე მეღვინობდა,
ორმო ნახეს განათლებით, ეგონათ, თუ შუქი მზობდა,
მათ აჭამის, რაცა ჰქონდის, არ თუ პური დაუობდა,
და დაქსნა სწადდა ¹³ შემოქმედსა ¹⁴, იგ ბჭეთა-ბჭე სხვასა ბჭობდა ¹⁵.

1) აქა-იქ – : აღმიდგა.

2) M – : მიწად.

3) M – : იგლეჯდა.

4) M – : იგ მიწის.

5) G, C, D – : მიწაში.

6) ხელნაწერებში ეს სიტყვა არეულადაა ამოტანილი, მაგ., – : ზიოდეს (A, G, L, N), ჰხიოდეს (B), სდიოდეს (M).

7) A, D, F, G, N – : ჭვირვა; E – : ჭირნი.

8) A – : პტიოლმეოს; C – : პონტიომეოს; D – : პლემეოს; F – : პტოლმესო; G, N – : პტოლემეოს; L – : პონტოლმეოზ.

9) B, M – : გაიგმირეს; F – : გავირნეს.

10) აქა-იქ – : მოიბირა.

11) E – : ორგვარად.

12) G – : მზვარეული.

13) აქა-იქ – : უნდა.

14) აქა-იქ – : დაქსნა სწადდა მის მართლისა.

15) A – : იგ უფალი სხვასა ბჭობდა; C – : იგი ღმერთსა შებრალობდა; D – : იგ ბეჭეთა-ბეჭ სხვასა ბეჭობდა; L – : იგი მგრძნობი სხვას აბჭობდა; M – : იგ ბრჭეთა ბრჭე სხვასა ბრჭობდა; N – : იგ მზეთა ბჭე სხვასა ბჭობდა.

240. მათ კაცთა ნახეს სიზმარი, სევდითა შეჭირვებულთა,
იგ მოახსენეს იოსებს: – „ავვიკსენ ვაგლახებულთა“.
თქვა ¹: – „ნუ გგონიათ ოცნება, გემველათ თქვენ ზმანებულთა,
და ხვალე აგასხმენ უთუოდ საბლითა მაზმანებულთა“.

241. მათ უთხრა მათი საქმენი ², არ ლიქნა ³ მოსაფერები,
ერთსა აუქსნა: – „შენ მოგკვლენ, რა ახვალ, შენი მტერები“,
მეღვინეს უთხრა: – „ბედი გაქვს შენ ზედა დასამღერები:
და მეფესთან მოგხვდეს დიდება, ვეჭვ მეცა გაგეხსენები“.

242.* გათავდა მათზე ყოველი წინასწარ სიტყვა თქმულები,
მცველმან აასხნა 4 ორნივე საკვდავად განწირულები,
მზარეულზედან იხმარეს თავის სასხლევად ცულები ⁵,

და მეღვინეს მიხვდა მეფესთან ახლო რამ სამსახურები.

243. ჯდა შვენიერი იოსებ მას ბნელსა ⁶ საპყრობილესა,
ვით ბაბილოვანს დანიელ ჯურღუმლსა რასმე მღვიმესა,
ის ლომსა მისცეს საჭმელად, ეს გველთა მიუშვირესა,
და წინასწარისა ⁷ შეტყობით მეფენი გააკვირესა ⁸.

14. ბრძანებითა ღვთისითა მეფისაგან სიზმრის ნახვა და იოსების ორმო- დან ამოყვანა.

244. მონისა დაჯსნა უნდოდა მას შემოქმედსა ცისასა ⁹.
ჩვენება რამე აზმანა მპყრობელსა მისრეთისასა:
გამოვლენ შვიდნი ძროხანი ¹⁰ წყლითა მის ნილოსისასა,
და მსუქანნი, ერთობ პოხილნი, ვერავინ ესვრის ისარსა.

1) N – : ჰრქუა.

2) M – : ჰამბავი.

3) B – : არა ქმნა მოსაფერები; M – : არ ღიმად მისაფერები.

4) M – : მცველმან რა ნახა.

5) A, B, M, N – : ღულეები.

6) M – : ზის.

7) M – : წინ წინასწართა.

8) აქა-იქ – : მეფეთა გაიკვირესა.

9) L – : იოსებ მონისა დაჯსნა უნდა მას შემოქმედსა ცისასა.

10) ასეა მხოლოდ E-ში; სხვაგან – : ზროხანი.

*) F და G ხელმწერებში არ არის ეს და მომდევნო ხანა; F-ის გადამწერს გადაუწერია მე-242-ის მხოლოდ ერთი სტრიქონი და მეორე სტრიქონის პირველი სიტყვა, შემდეგ კი (ალ-ბად დედანი დაზიანებული იყო) გამოუტოვებია დიდი ფორმატის მთელი ფურცელი – ეტყობა დანამდვილებით არ იცოდა, თუ რამდენი აკლდა ტექსტს.

G-ის გადამწერს მე-212 ხანის ყველა სტრიქონების პირველი 3 – 2 სიტყვა გადმოუწერია, შემდეგი ხანის კი-მხოლოდ პირველი სიტყვა – „ჯდა“.

– 146 –

245.* შვიდნი სხვაც ამოჰყვებიან მჭლენი არ ჯორცთა ქონებით,
პირველ მოსულთა შესჭამენ მჭლენი მსუქანთა ქონებით.
გამოელვიდა მეფესა, სრა სულ სავსეა მონებით,
და ვეზირთ უბრძანა: – „ვინც ავსნით, ხართ სიბრძნე მოსაწონებით“.

246. სრულად შემოკრბეს, ვინც ბრძენნი იყვნეს მუნ ეგვიპტისანი,
მესტროლაზე და მერამლე ¹, ქურუმნი ანუ მისანი,
უბრძანა: – „კამსო შეტყობა, თქვენ გაქვთ აღვირნი ჭკვისანი“.
და ვერავინ ავსნა, ვერა ცნეს მიზეზნი შეტყობისანი.

247. მეფე დაჰმუნდა, მათ შესწრფა ², იგინი დანაღვლიანდეს,
გვანდეს ტალახში დაფლულსა, რა ვით არ მიხვდეს ³, გვიანდეს,
ბრძანა, თუ: – „ვირე არ ავსნით ⁴, მე გული არ დამიამდეს“!
და მეღვინეს ორმოს ამბავი დრო არის აღარ გვიანდეს.

248. თქვა, თუ: – „ვიკადრებთ, მეფეო, სიტყვა რამე გვაქვს მონასა,
აწ მე მიბოძეთ ⁵ ფარმანი ⁶, არ მოველოდე წყრომასა:
ვნახე რამ საქმე ზეგარდმო შარშან ორმოსა ჯდომასა,

და ვეჭვ, რომე ჩემმან ამბავმან ბრძენთა შეტყობა მონასა“.

249. „ჩვენ ორნი ვინმე ჩაგვყარეს იოსებს თანა ტყვისადა, ზეცით მოიღის საზრდელი, სხვასა მისვლია ვისა-და⁷ სიზმარი ვნახეთ, უამბეთ მას აქსნად შეტყობისადა⁸, და აგვიცდა სრულად ნათქვამი⁹ მის საკვირველის ბრძნისადა“.
250. გვითხრა: «ხვალ ორთავ აგასხმენ, თქვენ ავლოთ ორმოს პირები», მე მითხრა: «პოვო დიდება, მეფესთან ახლო ირები», მას უთხრა: «შენთვის მოლესონ საკვდავად დანის პირები». და თუ აქსნა გინდათ, მას ჰკითხეთ, იგ არის გამოცდილები“.
251. მეფესა ესმა გაჰკვირდა, თითსა იკბინა კბილითა, თქვა: – „ვით ცოცხალა აქამდის, რად არ შეჭმულა მღილითა? უბრალო თურმე გავსაჯე¹⁰“ – ცრემლს იწმენდს ჯალ-მანდილითა, და – „ამოიყვანეთ, მომგვარეთ ხვალ ადრე ჩემთან დილითა“.

1) L – : მესტორაბლე და მერამნი.

2) L – : მალე სწადს.

3) აქა-იქ – : რა ვითა მიხვდეს.

4) B, M – : ბრძანებდა, ვირემ არ აქსნით.

5) M – : ან მე მიბოძე.

6) A, B, D, F, L, N – : ფარვანი.

7) G – : ვის, სადა.

8) G – : შეტყვებისადა.

9) B – : აგვიცდა ფიცხლავ ნათქვამი; M – : ფიცხლავ აგვიცხნა ნათქვამი.

10) აქა-იქ – : გავსარჯე.

*) მე-245, 246 და 247 ხანები არ არის F და G ხელნაწერებში; მათ მაგიერ ცარიელი ადგილია დატოვებული

252. ამოიყვანეს იოსებ, ვით ვარდი ფერმიცდილები, ბაგეთა ფერი წასვლოდა, ვერ ისრევ თეთრად კბილები. მეფემან პირსა აკოცა, თქვა: – „არ მერჩივნა¹ შვილები, და მეგონა: არის შემცოდე², წყლული ამისთვის გილები³“.
253. თავი მოჰპარსეს იოსებს⁴, ტანს აცმენ შესამოსელსა, პალატსა სამეუფოსა დასმენ, არ თურე ბოსელსა, მისის ჭვრეტითა ყოველთა უნდათ, აამონ თუ სულსა⁵, და ზილიხანს ვინდა უჩვენებს, სისხლის ცრემლითა მოსულსა⁶“?
- 254.* მეფემ უამბო⁷ სიზმარი, რაც ღამით მოსჩვენებოდა, რამც იყო საქმე ამისი, მას აქსნა მისგან ნებოდა. გარ ეხვივნეს და ჰკითხვიდეს, მათგან არ მოსვენდებოდა, და იგ ყველას მიხვდა უცთომლად⁸, აღარას დაღონდებოდა.
255. თქვა, თუ: – „ჩვენება გინახავს⁹, არ ცუდი იგი ოცნებით, ღმერთმან გაუწყა¹⁰, მეფეო, წყალობა მისი ოცნებით, ხსნა უნდა დაბადებულთა¹¹, ნულარ ვართ ცრემლთა ჯოცებით, და, აწვე არ შეჰკრებთ საზრდელსა, – სიყმილით დავიკოცებით“.

256. „შვიდნი მოვლენ წელიწადნი იგ მსუქანნი, სავსე სრულად, ასრე რომე, რაც დათესონ, იგ მოიმკონ ასეულად, ვერ კმა ეყოს ¹² მათ ამბარი, ვერც ორმოს ჰქნან დატეულად, და შვიდნი მჭლენი სხვა გინახავს მსუქანზედან მიტეულად“.

257. „იგ მსუქანსა რომ შესჭამენ, წელნი მოვლენ მერმე შვიდად, რისხვა მოვა ცოდვათათვის, მეთა კაცთა დასაყმიდად, ვერცა რამე თვით მოიმკონ, ვერც იშოვნონ სხვაგან სყიდვად“.
და სრულ სიზმარი ¹³ მათ აუქსნა, იგ უამბო ამოდ, მშვიდად.

1) აქა-იქ – არ მერჩია.

2) A, B, F, G, N – გულებილ D – წყლულია ამისთვის გულები; C – შემცოდე ამაღ არ მოვეც გულები.

3) M – ვილები.

4) M – თავს მოჰპარსეს, აბანეს.

5) A – უნდა თუ ამოს ესელსა; B – მისის ჭვრეტითა ულურსი უნდა თუ ამოსა ხელსა. N, D, G, L – ამოს ესელსა; F – (გაურკვეველია); M – ამოსეხელსა.

6) გვხვდება – მოსილსა, მოსველსა.

7) M – უბრძანა.

8) M – უცნობლად.

9) M – ჰსთქვა – ჩვენება რამ გინახავს.

10) M – ღმერთი გაუწყრა.

11) E – ადამიანთა.

12) A, N – ვერ მოეყოს; M – ვერ მოირგონ; B – ვერ მოისწრონ; E – ვერ მოეყოსთ.

13) E – იგ სიზმარი.

* აქედან მოყოლებული G ხელნაწერში დაკარგულია ფურცლები, სადაც უნდა ყოფილიყო მოთავსებული მე-254 – 283 ხანები, ე. ი. სილ 30.

– 148 –

258. მეფემ უბრძანა: – „აწ გვესმა ჩვენ სიტყვა მოსწავებული, აწ შენვე გმართებს წამალი, არ ვიყვნეთ ვაგლახებული“!
იოსებ ჰკადრა: – „მეფეო, სვემცაა თქვენი ვსებული, და თქვენ გამოგზარდოს უფალმან, არა გყოს დაკნინებული ¹⁴“.

259. „მე ამას ვარჩევ, მეფეო: კოშკი ვაშენოთ გებულად დიდი, უზომო, ნებროთის გოდლისა მიმსგავსებულად, შვიდის წლის მომავლობისა ქრთილით ვყოთ ამოგებულად, და სიყმილის დროსა ² ყოველნი მან გამოგზარდოს კრებულად ³⁴“.

260. დაუმაღლა ⁴ თვით-მპყრობელმან, მოიწონეს სრულად ერთა, გავეზირდა ⁵ მისრ-ეგვიპტეს, მეფემ გული გაუერთა, მიაბარეს იგ ქალაქი, მას ჩაუგდეს ყველა ჯელთა, და მან მიიგდო მათი საქმე, მიიკისრა, ისულ-ღმერთა.

261. რაღას ვაგრძელებ სიტყვათა, სჯობს რამე ⁶ შემოკლებითა: იგი ქალაქი სიყმილსა მორჩეს უფლისა ნებითა, აივსო სრულად ქალაქი ისრაელთ ბანაკებითა, და იაკობ ⁷ მე გასყიდული ნახა, აივსო შვებითა.

15. სიკვდილი მეფისა და იოსების გაკვლმწიფება და ზილიხანის შერთვა.

262. წესი არის საწუთროსა: საქმეს ბოლო დაექნების,
სენი მოვა სასიკვდინე – მკურნალთაგან რა ექნების?
დიდი იყოს, გინა ⁸ მცირე, იგი არვის მოეთნების ⁹,
და მეფე სოფლით გარდიცვალა, ტახტზედ ცეცხლი აენთების.

263. კელმწიფე წავა ¹⁰, დააგდებს არ ძესა, არცა ქალოსა,
მუნ მაშინდელსა სევდასა, ჭირს ვინმცა დაემალოსა,
იაკობც მოკვდა ტყეზა არს არარატისა ¹¹ კალოსა,
და ჭირი დაერთო ჭირზედა ზილიხან ბროლ-ფიქალოსა.

1) აქა-იქ – : ვაგლახებული.

2) აქა-იქ – : ჟამსა, წელსა.

3) E-ში ეს ხანა „ებული“ რითმაზეა.

4) უმეტეს შემთხვევებში – : დაიმაძღა; E – : დაიმაძღა (sic!)

5) აქა-იქ – : გავაზირდა.

6) E – : სიტყვათა, ჟამია.

7) M – : იოსებ; A – : იაკობ თვის ძე.

8) B, M – : უნდა.

9) E-ში მეორე და მესამე სტრიქონებს ადგილებში ერთი-მეორე შეუცვლიათ.

10) E – : წავალს.

11) A – : იაკობიც მოკვდა, დამარხეს, არს არარატის კალოსა; B – : იაკობც მოკვდა ტყე-
ზარა; D – : იაკობც მოკვდა ტყეზა ატადადისა კალოსა; M – : იაკობც მოკვდა მტყებარსა
ატადისავე კალოსა.

264. ჰგავს, თუ ცასა დააქცევდა მაშინდელი მოთქმა, ზარი,
ზახილი და თავსა ცემა – დღე რამ იყო შესაზარი,
ზილიხანცა კუბოს მისდევს თავსა რიდე დაუფარი ¹,
და ჰგავს, თუ თოვლზე ² ყორანი ზის, ბროლსა ³ ჩასდის სისხლის ღვარი.

265. მოსთქვამს, ვმა უგავს ბულბულსა, რა ჭიკჭიკებდეს ბუდესა:
– „უღონოთა და ობოლთა და ქვრივთა ნავთსაყუდელსა,
შენებრ სხვა მეფე ტახტზედან, ვეჭვ, ველარ დაეყუდესა“!
და გიშრის თმა, ვარდის წალკოტი დაგლეჯით გააცუდესა.

266. ტახტ-გვირგვინია უმკვიდროდ ⁴, უძეობასა ჩიოდა,
თქვა: – „უსაწყლე ვარ მკვდრისაგან; მე უფრო მოვითქმიო-და ⁵,
მზე გნახე ეგრე გასული.“ – იოსებს გული სტკიოდა,
და გული დაეწვა სამისოდ, ვარდზედა ცრემლი სდიოდა.

267. იგი მპყრობელი კელმწიფე ⁶ სამარესა მიღებულა,
დიდებულთა პირი სისხლით, ტანი შავად მიღებულა,
საჭურჭლისა კარის კლიტე გასადებლად მიღებულა,
და მწუხარებით ამას ჰგვანდა – ყოვლთა ცნობა მიღებულა.

268. მათ დამარხეს, ვით ჰფერობდა ⁷, გასცეს ალვა, ფალუდება ⁸,
ორმოც უკან ერთმან-ერთსა მათ დაუწყეს ⁹ გულის დება,
ერთობით თქვეს: – „მეფე ვძებნოთ, ჩვენ გვეყოფა ცეცხლთა დება,
და ვინც ტახტს დავსვათ, მზეც მას შევრთოთო ¹⁰, მგონი ჰმართებს დამალება ¹¹“.

269. ვეზირნი დასხდეს, არჩევდეს, ჰქონდათ ჯანყი და ყრილობა,

ზოგთა ზოგი თქვეს, ზოგთა სხვა, შექნეს ამისი ცილობა,
ერთმან თქვა: – „დავსვათ იოსებ, თვით მეფემ უყო შვილობა,
და სიტურფით მზეს ჰგავს, აჩნია გვარი, სიბრძნე და ზრდილობა“.

270.* დაემოწმნეს: – „მაგის მეტი ამ საქმესა არვინ ღირსა“!
მოვიდეს და თაყვანი სცეს, დაბლად მოდრკეს მიწის პირსა,
იგ მადლობდა შემოქმედსა ჯელ-აპყრობით, ცრემლით ტირსა,
და ჯერ ზილიხამ არ იცოდა, გარ მოეცვა გლოვის ჭირსა.

1) M-ში მეორე სტრიქონი მესამეაა მოქცეული, მესამე კი – მეორედ.

2) E – : გავს, თუ ბროლზედ.

3) E – : ვარდსა.

4) აქა-იქ – : უმკვიდრო.

5) A – : მოვითქმეოდა; M – : მოვითმინო-და.

6) B, M – : ჯმელეთისა; E – : მისრეთისა.

7) E – : ვითა ჰფერობს.

8) M – : ფალუტება.

9) M – : დაუდვეს.

10) M – : მივსცეთ.

11) ასე მხოლოდ A-ში: სხვაგან კი – : დამადლება.

*) არ არის B-ში.

– 150 –

271. ბრძანება არის მაღლისა თქვენზედა ჩემი მეფობა ¹
თქვენც განგიზრახავთ აწ ჩემი უპირატესად ² სუფობა,
აწ მეც მაქვს თქვენთან სათქმელო სიტყვათა დანამეფეობა,
და მას თაყვანი ვსცეთ, ვინ კმელზედ შემზადა ცისა სუფობა“.

272. მათ მოაქსენეს: – „მონანი ვართო, მეფე ხარ ფლობითა,
ჩვენ აღვასრულოთ ბრძანება თქვენისა მესათნობითა ³,
ვინცა დაგვბადა, სხვა ღმერთი, ვინც იყოს მისანდობითა?
და ჩვენ დავთმოთ სჯული ⁴, მამული, კერპნი ცეცხლს მივსცეთ დნობითა“!

273. მათგან ესმა რა იოსებს სიტყვა მისი საწადელი,
დაუმაღლა შემოქმედსა საქმე ესე აწინდელი,
დაწვა კერპნი საკერპოთურთ, იგ უსულო ქვა და ძელი,
და სახლსა ღვთისა სალოცავად აღუშენა სამირკველი.

274. მერმე გამოვა ⁵ პალატად, სახლი დგას მოკაზმულობით,
მას ზედან დასვეს იგი ყმა ⁶, ვით სარო ⁷ ალვა რგულობით,
მოვლენ, ულოცვენ შეფრფინვით, უჭვრეტენ სულ-წასულობით,
და გულსა ეტყოდეს ყოველნი: – „რადლა დაები სრულობით?“ ⁸.

275. დაახალვათეს ვეზირთა ⁹, გარ-გამოასხეს ერები,
წარდგეს და ჰკადრეს: – „მეფეო, ვიკადრებთ მიწა-მტვერები:
ბნელსა ზის გლოვად ¹⁰ მთიები, ბროლ-მინა, ვარდის ფერები,
და სჯობს, გვერდსა გიჯდეს ტახტზედა მზე შენი შესაფერები“.

276. „ჩვენ ვერ დავსთმობთ მას მნათობსა ტახტისაგან კიდევანად,
არ ნახულა სხვა მისებრივ სიბრძნით არცა თვალად ¹¹, გვარად,
დღეს აქამდის ეს სამეფო ¹² მან გააგო შესაგვანად,

და რა მას ნახვენ ზეციერნი, შუქსა ფარვენ მოსაფარად“.

1) B – : ბრძანა: ნებაა მალლისა; C – : ბრძანება არის თქვენზედა მალლისგან; E – : თქვა: ბრძანებაა მალლისა; M – : ჰბრძანა: ნება მალლისაა.

2) E – : უპილატესად.

3) M – : თქვენითა მოსათნობითა.

4) აქა-იქ – : რჯული.

5) M – : მერმე გავიდა.

6) A, C, D, F, H, L, N – : იგი მზე; E – : დასვეს იოსებ.

7) M – : ვითა სრა.

8) A, D, F, H, L – : C – : რადგან დაებით, სულ ებით; C – : რადგან დაებით სულობით; E – : რადგან დაებით სრულებით; N – : რადგან დაებით გულებით.

9) აქა-იქ – : დახალვათდეს იგ ვეზირნი.

10) არის – : გლოვით, მგლოვი.

11) E – : თავად.

12) E – : სოფელი.

– 151 –

277. იოსებს ესმა, იამა ვეზირთა მონახსენები ¹:

– „მაგა სიტყვითა განკურნეთ აწ წყლულთა ჩემდა სენები,
მე მონა ვიყავ მეფისა, მით წყენა არა მენები,
და აწ ვით არ მინდეს სამოთხის ბაღშია გამოსვენები?“ ²

278. ხადუმთ უფროსი მოკმეს, გამდელიც მოაწვივიან,
მათ აბარებდეს ტირილით, თვალთაგან ცრემლი სცვივიან,
მას მოწყალესა მეფესა ტყე და ბალახიც ჩივიან:

და – „არ ვღირსვართ, მაგრა მზისათვის აწ უფრო გული გვტკივიან“.

279. „ჩვენ გვმართებდა მას უკანით ყველას თავი დაგვეკოცა,
სულ გვდენოდა სისხლის ცრემლი გაუწყვეტლად, არ გვეკოცა,
ღვთის წინაშე ჩვენ გვეაჯა, თავი ჩვენი დაგვემხო-ცა ³,
და ვინც მოურჩა საწუთროსა, ბოლოდ არა დაემხო ცა ⁴“?

280. „კარგია ესე სოფელი, თუ კაცს გატანით ინდობდეს ⁵!
მე არ დარჩა, ჯუფთი ვპოვეთ ⁶, ამ საქმესა ვერვინ ჰგმობდეს,
აწ შეყრა სჯობს ერთათ მსხდომთა, მზე და მთვარე ვერა გჯობდეს,
და რა ბრალია, შენებრ ტურფა ტახტსა ზედა არ ნათობდეს!“

281. იოსებცა შეუთვალა ნორჩი რამე საუბრება:
– „ღმერთი ჰხედავს, დიდად მიმძიმს, მზეო, შენი გამწარება,
ვით ვიკადრო ესე გვარი, ერთობ დიდად მეზარება:
და შვიდს წელიწადს შენთვის მომხვდა ორმოშიგან მე მტკვერება ⁷“.

282. „ვიაჯ, რომე შეისმინოთ ⁸ მშიშრეული მოკსენება:
იცანთ ღმერთი უკეთესი, სჯობს კერპთაგან განყენება,
მერმე შეყრა თუ მაღირსოთ, ნახოთ ჩემი დამონება,
და მე წელ-შერთყმით სამსახური, თქვენ მეფობით მოსვენება“.

283. დაიბარეს ⁹ მოციქულთა, წამოვიდეს მინადენით,
შევიდეს და ნახეს მთვარე ცრემლის ღვარით ¹⁰ მონადენით,
«ვარდი ბროლსა გარეულა ¹¹» – თქვეს მაშინვე მინადენით,

- 1) B და M-ში ეს ხანა „ენება“ რითმაზეა.
2) M – : აწ ვითარ მინდეს ბადისა სამოთხის გამოსვენება.
3) B, M – : სოფელი და სოფლის საქმე სიზმარშიგაც არ გვეკოცა.
4) L, M – : დაეკოცა.
5) E – : კარგი არის ეს სოფელი კაცს გატანით დაინდობდეს.
6) M – : ძე არ დაგრჩა, ჯუფთი დაგრჩა; E – : ძე არ დაგრჩა, ჯუფთი ჰპოვე.
7) C – : მე ტყვეობა; D – : მე მტყვეობა; N – : მე მტიერება; M – : ,ე ,ტკივნება.
8) აქა-იქ – : გეაჯები, რომ მისმინო.
9) M – : დააკარეს.
10) E, M – : ცრემლთა ღვართა.
11) ასეა მხოლოდ B და M-ში; სხვაგან – ვარდი ბროლსა მორეოდა.
12) აქა-იქ – : მოებრყვილა.

– 152 –

284. მეფისა და დიდებულთა შეთვლილობა ჰკადრეს წყნარად,
მას მოედვა გულსა ¹ ცეცხლი, ვარდზედ წვიმა-ცრემლი ჩქარად,
შერცხვენდა და შავი რიდე პირს მიუპყრა ² მოსაფარად,
და გაუჭირდეს მელექსესა ქებად ენა მოსაწყმარად.
285. ბაგე დამრა საპასუხოდ, ჯმა სიტყვასა იადონდა,
პირს ნახოვი ესრეთ აჩნდა, ვით ³ სარკესა ჟანგი ⁴ ჰქროდა,
იტყოდა, თუ: – „ამას წინად სოფლის საქმე რად მომწონდა?
და რად ვერ მეცნა იგი მუხთლად, ან სურვილი რისთვის მქონდა?“
286. მან იოსებ არ აჯსენა, ვეზირთანა აბარებდეს:
– „გუშინ ვნახე, მეფისათვის საფლავს თხრითა აბარებდეს,
ჴამსცა ეგრე მიბარება, კაცი სულსა აბარებდეს,
და აწ დაზრულა ⁵ ვარდი ჩემი; ნუ ჰყოს ღმერთმან – “ აბარებდეს.
287. გამოვიდეს მოციქულნი, ხადუმ თანა გამდელობდა,
თქვეს: – „მზე არის მოღრუბლებით, ბალი ყმისა ვერ მდელობდა.
აწ ეს გაჯდა, ვითა ხელი, აქანამდის ის დელობდა,
და ვითა ლომი მომშეული, კანჯრისათვის გამგელობდა“.
288. მოვიდეს, ჰკადრეს ⁶ უკლებლად ზილიხას შემოთვლილობა,
იოსებს ესმა ⁷, დაჭმუნდა, არ ჰქონდა ვარდთა შლილობა,
თქვა, თუ: – „რამც უყო ჩემზედა ეგზომ გულ-გამოცვლილობა?
და აწ თვით წავიდე ვეაჯო, ვის უც მნათობთა წილობა“.
289. იოსებ გარ დგას, ვეზირნი შევლენ, იქმოდენ ხვეწნასა,
ყელს მოიდებდეს ჩოქითა, ჴელმანდილ მონაფრეწასა,
მან თქვა: – „არ მინდა სოფელი“ – მზე ლამის გარდახვეწასა,
და თქვეს, თუ: – „რად დაგვყრი, რისთვის იქ შენ ჩვენსა გარდახვეწასა?“
290. ტირს, ამას იტყვის ზილიხან:.. – „რამც იყოს ჩემზე ძალები,
მწუხარებისა საჯმილი მედების გულსა ალები,
აწ აღარ მინდა საწუთრო, სოფელსა დავემალები,
და მეფისა საფლავს ვმსახურო ⁸, მინდა, თუ მეცვას შალები ⁹“.

- 1) აქა-იქ – : გულთა.
 2) ასეა მხოლოდ B და M-ში; სხვაგან – : პირს მთვარესა.
 3) უმრავლესობაში – : ჰგავს.
 4) E – : ჯანგი.
 5) უმეტეს შემთხვევებში – : დაძრულა.
 6) E – : მოვიდეს, ამბეს; ალაგ-ალაგ – : მოვიდეს ამბავს.
 7) ასეა მხოლოდ M-ში; B-ში ეს სტრიქონი სულ არ არის – მის ადგილას შეცთომით ხანის დასაწყისია ჩაწერილი; სხვაგან კი ვკითხულობთ – : იოსებს იცნობთ. დაჭუნდა...
 8) E – : ვმსახურებ.
 9) D – : ლალები.

– 153 –

291. მათ მოაჴსენეს: – „ტურფაო, სჯობს მოგვისმინო მონათა, სოფლად შემოხველ, მას უკან მზემ შუქი ვედარ მონათა, თქვენი არ ჩვენზედ მეფობა ყურსა ვითა გავაგონთა? და თავნი მოვიკლათ ¹ და გულსა ლახვარი გავაწონოთა?“
292. ტიროდა იგი მნათობი, აღარა უპასუხა რა, გამზრდელი მოვა, ვეზირთა ეტყოდა: – „ჩოქით ნუ ხარა, ეს დაუკრთია ² სოფელსა, ჰხედავთ გული აქვს მწუხარა, და აწ დააცაღეთ, იგლოვოს“ – მათ წელიწადი უხარა ³.
293. ზრუნვით იყვის წელიწადამდის, მკვდრის საქმესა გააგებდა. ვით ჰფერობდა ჴელმწიფესა ⁴, სამარხოსა ააგებდა, შეუძვობდა სამარესა, ზედ სტავრასა დააგებდა, და იგ საზრდელად გლახაკთათვის ტაბლას მდიდრად დააგდებდა.
- 294*. ჴირნი წავიდეს გლოვისა, აწ მოვლენ ქორწილობანი, «დრო არის შეყრა მიჯნურთა» – მაღლად იძახდეს ნობანი, ეთერი ანუ მთიები ვერ რომელ მის ოდნობანი, და საწვევრად ყოვლთა სულდგმულთა წარავლინიან ცნობანი.
295. მკვდართაც ქნან მათი თამაშა, თუ ცნობა ⁶ ჴქონდეთ, გონიცა: ჯარი შემოკრფა ტურფათა, დარბაზად ჴმართებს, მგონი ცა, ინდოთ ნასროლი ისარი მჴვრეტთა გულეებმა მგონ იცა, და მათ სიძე-რძალთა ⁷ საქებრად ლექსნი ჴამს მოსაგონიცა.
296. მექორწილეთა მნახავნი ვარსკვლავთა ჴარს აგვანებდეს, თქუეს, თუ: – „სიძე ჴგავს მარისსა, რძლად მუშთარს მოიყვანებდეს“! მათთა შუქთა და ელვათა გარ ნათლად მოივანებდეს, და წყლული დამთელდეს მიჯნურთა, გულსა აღარა დანებდეს.
297. გვირგვინი მოაქვთ ⁸ ვეზირთა, ტახტი მოკაზმეს სრა დია, უკუეყარა ღრუბელი მზეს, შუქი გამოსცხადია, დაბუნდებულან ⁹ ციერნი, სინათლე აღარ ბადია, და მათთანა არვინ შეყრილან ძე კაცთა დანაბადია.

1) აქა-იქ – : თავნი დავიკლათ, დავიკლნეთ.

2) E – : ეს დაუფრთხია.

3) A, E – : უხანა.

4) აქა-იქ – : ჴელმწიფეთა.

- 5) A, C, D, F, G, H, L, N – : ნობანი; B – : წარვლენ მეფისა ჯმობანი; M – : ჯმობანი.
 6) E – : ჭკუა.
 7) აქა-იქ – : სძალთა.
 8) M – : მოაქვენ; აქა-იქ – : მოაქვსთ.
 9) აქა-იქ – : დაბინდებულან.
 *) ამ ხანიდან E და L-ში ახალი კარია – განმეორება წინანდელის მეორე ნაწილისა – : „ქორწილი იოსებისა და ზილიხანისა (L) და მისრეთს ჯელმწიფობა“ (E).

– 154 –

298. ბანოვანთა თქვეს: – „ცუდია მას ზედან ჩვენი ყრილობა, რა მოუკაზმით ზილიხანს: ბაგე, ვარდი და კბილობა? ბროლსა რად უნდა სითეთრე, ანუ თუ წარბსა ხშირობა? და ღმერთს შეუმკია – ტურფამან ყველამ მოჰამოს პირობა ¹“.
299. ვით ჰვერობს მეფეთ ქორწილსა, ყველა ქნეს მათი წესები, სრა და ფარდაგი ყვაოდა სამოთხის უტურფესები, თქვეს თუ: „დღე გვაქვსო ყოველთა დღეთაგან უკეთესები“ და იყო მღერა და ზეიმი, არსით ისმოდა კვნესები.
300. გამოიყვანეს ზილიხან, ტახტზედ დასმასა ჩქარობდეს, ზედ ვარდი ესხა ნაყოფად, ჰგავს ალვა მოიარობდეს ², მათს შესაფერთა შეყრასა ყოვლი სულდგმული ხარობდეს, და გვერდსა ³ დაუსვეს იოსებ, მეფე დედოფლად ჯმარობდეს.
301. თავსა დახურეს გვირგვინი, ლოცვენ, აყრიან გოვარსა ⁴, დაწვთა ყაყაჩო ჩაეცვა მას მზესა შეუპოვარსა, სხვა მათი მსგავსი უფალმან, რადგან არ არის, ნუ არსა. და მათ უმღეროდა ბულბული, ვარდის მიჯნური, ბუ – არსა!
302. იყო ლხინი და ნადიმი მის დღისა შესაფერები, ველთა ყვავილით სავსესა ჰგვანდა კეკლუცთა ⁵ ფერები იადონისა სტვენასა – მუტრიბთა ამომღერები, და ჯამ-ტაბაკ ოქრო თვალისა, ქვე სტავრა მონაფენები.
- 303*. მათ შესაფერად შესხმასა მელექსე დაყმუნებულა, არისტოტელი საქებრად აწ მათთვის გამზადებულა, ჰგავს ოტარიდი მისკენ წევს ⁶, შეყრასა გასწრაფებულა, და იგ მესისხლენი ბაგენი არღავნის ფერად ღებულა.
304. რა გათავდა ქორწილობა, ჯალაბობა გათხელდების, რა მოკრიფოს ჯელმან ვარდი, რაღას ბნდების, რას ხელდების? სიშორითა გული წყლული ახლო შეყრით გამთელდების, და შეიერთნეს შესაფერნი, ცეცხლი დამრტა, რად ⁷ ცხელდების?

¹) C – : ყველამ მას მისცა ხშირობა.

²) E – : მოიბარობდეს.

³) A – : გვერცა; E – : გვერთ.

⁴) აქა-იქ – : გოარსა, გუარი, გვარსა (F).

⁵) G – : კეკლუცად.

⁶) B – : ჰგავს ოტარიდი აწ მისსა.

⁷) აქა-იქ – : არ.

305. აშენდა იგი ქალაქი, გარიგდა მათის მეფობით,
ჯიმშედს ¹ აჯობეს ² სამართლით ³, ნუშრევანს მოიეფობით,
ტახტი შეამკვეს, გვირგვინი სეფის პირია სეფობით,
და მგელნი ძოვდიან ცხვართანა, ძაღლნი ⁴ უვლიან მყეფობით.
306. ოთხი ძე მიხვდა უებრო, ოთხი ⁵ მნათობნი ასული,
არ ჰგვანდეს მიწის ნაყოფსა, იგ ზეცას იყო ასული,
ყრმანი ლომ-ვეფხთა ნაკვეთსა ⁶, ქალნი ქალურად ნასული ⁷,
და ეს დარჩეს შედგამად სანაცვლოდ ⁸, იგ სოფლით გავლენ, გასული.
307. აწ გარდავლა მათ მნათობთა ენასა ვით ვათქმევინო?
იგ ზარიფი ბროლი ტანი მიწას ვითა ჩავაწვინო?
მათ ნარგიზთა ⁹ მოცინართა მტვერი ვითა გარდავადინო?
და იგ ყვავილნი სამოთხისა ვით ჭიან ვყო და ვამლიღნო?
308. მათს საქმესა საღმრთო წიგნი მოკლედ ამბობს – დაბადება,
სპარსთ გალექსეს ტკბილად რამე, რა ბრალია ჩალაგმება!
რაც მათ ეთქვა, მე ის ვთარგმნე, ხოტბა იყო, თუ ლაყბება,
და არას მარგებს საუკუნოს, ვაჰმე, სული მებრალება!
- 309*. გათავდა მათი ამბავი, პირველ სპარსთაგან თქმულია,
ჩვენ უწვრთელისა ნაღვაწი ქართულად გათარგმნულია ¹⁰,
ენა დავაშვრე ¹¹ და პირი, ვარდი ვყარე და სულია,
და ვინცა არ ისმენთ, ნუ იწყენთ ¹², ვერა ხართ ცნობა სრულია.
- 310.** შენ მომიტევენ სიტყვანი, უმი, არ ნაყოფიანი,
რომელმან ცვრითა უწვიმე და დარი მიეც მზიანი,
ცოდვასა ზედან სულგრძელობ, შერისხვა იგი გვიანი,
და ვაჰმე, ცუდისა ლაყბითა, თუ სული დავაზიანი?!

1) A, C, D, L – : ჯიმშეთს; F – : შიმშითს.

2) აქა-იქ – : აჯობებს.

3) აქა-იქ – : სიმართლით (B, M).

4) M – : ძაღლებრ.

5) M – : ორი.

6) M – : ლეკვებსა.

7) C, D – : ნაზული.

8) E – : ესე დარჩებათ შედეგად; M – : ესენი დარჩეს შედეგად.

9) აქა:იქ – : ნარგისთა.

10) C, F, D – : ნათარგმნულია.

11) A – : დავაშვრე; E – : დავაშრევ; F – : დავაშვერ.

12) არის – : ნუ გაწყენთ (E); ნუ გვაწყენთ (F).

*) არ არის D-ში.

**) არ არის M-ში.

311. დასაბამ შენ ხარ, უფალო, დასასრულ არსთა დგომამდი,

ჟამ-უკან ქალწულისაგან ჩვენთვის ჯორც-შესხმად მოლამდი,
წყელმც არს ნაჯაფ, ქაღალა ¹, მაქა, მადინა ² მოლამდი,
და გადიდო ერთ-ღვთად სამეხით სულისა აღმოქროლამდი.

¹) A – : ქაღალა.

²) L – : ზადინა.